საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№2 (189)
23 - 29 ნოემბერი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

4 ივანიშვილი ერევანში, ანუ სად მივყავართ მატარებლის ლიანდაგს?

# შენელებული მოქმედების (პ)რეზიდენტი

3



# სააკაშვილი «მეორედ მოსვლისთვის» ემზადება! 2

8 რა დაუბარა ვანო მერაბიშვილმა თავის ერთგულ პოლიციელებს?

„რა უფლება აქვს დავით უსუფაშვილს, მთელი ქართველი ხალხის მაგიერ აპატიოს „ნაციონალური მოძრაობის“ კლანს ათასგვარი დანაშაული?!“

14 «სააკაშვილის ხროვა ამოსაძირკვია, არანაირი დანდობა მათ!»

16 ვინ ალაგმავს სააკაშვილს და დააბალანსებს პოლიტიკურ პროცესს?

17 საქართველოს ბედი საპრეზიდენტო არჩევნებზე გადაწყდება

18 საჭიროა სააკაშვილის პიკეტირება ყველგან, მთელი ქვეყნის მასშტაბით!

„მას ისეთი ატმოსფერო უნდა შევუქმნათ, რომ საქართველოში არ დაედგომებოდეს!“

«თუ რაიმეს გააპროტესტებდი ან იტყოდი, ვშიმშილობო, გაგიყვანდნენ აბანოში და ვილაცის ნახმარ საპონს შეგაჭმევდნენ» 6

7 «ქრიალაშვილის, ამირიძისა და ჩემს ჩაცხრილვას ესწრებოდნენ მერაბიშვილი, თარგამაძე და უგულავა...»

13 «ამდენი ადამიანი მოკლეს, ამაზე არ ჰქონდა დასავლეთს რეაქცია და ჩემზე ვის რა რეაქცია ექნებოდა?!»

საქართველო და მსოფლიო
ავი მესაიჯი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილის განცხადებები ორი წლის შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, ამომრჩეველში, სულ მცირე, გაუგებრობას წარმოშობს. „ნაციონალების“ საქციელსა და გამონათქვამებში ხშირად იგრძნობა, რომ ისინი სრულიადაც არ ელოდნენ საკუთარ შეცდომებსა თუ დანაშაულებზე პასუხისგებას. იმ ადამიანებში კი, რომლებიც არც „ნაციონალებს“ ემხრობიან და არც „ოცნებას“, უკვე ჩნდება განცდა, რომ საერთო-სახალხო აღშფოთების ფონზე ხელისუფლების გადაბარების მორიგი სპექტაკლი გათამაშდა.**

# სააკაშვილი «მეორედ მოსვლისთვის» ემზადება!

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას მიხეილ სააკაშვილმა იმდენი ტყუილი თქვა, რამდენიც ერთ გამოსვლაში არასოდეს უთქვამს. „მე ჩამოსული ვარ საქართველოს პარლამენტის იმ წევრებთან ერთად, რომლებიც იმყოფებიან ყოველდღიური ზეწოლის, შანტაჟის და, პირდაპირ რომ ვთქვათ, ტერორის ქვეშ, სხვა არაფერი არ ჰქვია ამ ყველაფერს, სისხლის სამართლის საქმეებია აღძრული, რომ ისინი გადავიდნენ ერთი ფრაქციიდან მეორეში, ხმა მისცენ სრულიად დამანგრეველ, მათ შორის, საკონსტიტუციო ცვლილებებს“.**



ამ დროს კი საქართველოში სულ უფრო მატულობს აღშფოთება იმით, რომ ძველი რეჟიმის წარმომადგენლები „დიდ გულზე“ არიან და საუკეთესო თავდაცვის ტაქტიკას მიმართავენ – ახალ ხელისუფლებას ესხმიან თავს. **ბაჩო ახალაია „ვაშლის გათლისთვის“ არის დაპატიმრებული, ხოლო მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილები გირაოთი თავისუფლდებიან. ვადაგასული პრეზიდენტი აშკარად ანტისახელმწიფოებრივად იქცევა, „ოცნების“ ჯინაზე გუბერნატორებს ნიშნავს და ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირეულ ცვლილებაზე ლაპარაკობს.**

„საქართველოს ნატოში გაწევრიანება, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს“. ეს კითხვის ნიშანი, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს მოხსნილა, ხოლო 2008 წლის „მოგებული“ ომის შემდეგ მას ძახილის ნიშანიც დაემატა. თუმცა „მაპზე უკეთესის“ მიმღები ამ საკითხს არ ულრმავდება და საკუთარ ფანტაზიებში კიდევ უფრო შორს მიდის: „ძალიან დიდი გაოცება გამოიწვია პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ, რომელიც მან ერევანში ვიზიტის დროს გააკეთა. მან ხაზი გაუსვა, რომ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს კარგი ურთიერთობები ნატო-სთან და რუსეთთან ერთდროულად და ცოტა უცნაური ტოლობა დასვა ამ ორ ძალას შორის და მაგალითად ჩვენი სომეხი მეგობრები მოიყვანა. საქართველომ აირჩია ნატოს წევრობა, სომხეთმა ეს გზა არ აირჩია. ეს არის ნებისმიერი ერის სუვერენული უფლება, რომ აირჩიოს ის გზა, რომელიც მისთვის უფრო მისაღებია, მაგრამ ურთიერთობები და ინტეგრაცია სხვადასხვა მცნებებია. ის, რაც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, სამწუხაროდ, ცვლის ყველაფერს, რაც ჩვენ აქამდე გვითქვამს“.

**ვინ დაჰპირდა სააკაშვილს, რომ არჩევნების შემდეგ არ შეცვლიდა არაფერს, მათ შორის, ყველაფერს, რაც მიშას აქამდე უთქვამს? მისი ფრაზა ხომ სწორედ ამ გაოცებას ასახავს? თუმცა თანმიმდევრულად მივყვეთ სააკაშვილის გამოსვლის ძირითად ხაზს; იგი ყოველთვის მეტს ამბობს, ვიდრე აპირებდა, და ყურადღებიანი მსმენელისთვის ბევრი რამ ხდება ხოლმე ნათელი.**

„ერთია, როდესაც უმჯობესდება ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ მეორეა, როდესაც ნარჩუნდება ქვეყნის ძირითადი მისწრაფებები. მე ვფიქრობ, რომ ქართველ ხალხს ხმა არ მიუცია ამ ძირითადი გზის შეცვლისკენ“. არადა, ქართველმა ხალხმა სწორედ მიშას „ძირითადი გზის“ შეცვლას მისცა ხმა!

„90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველო დანაწევრებული და გაყოფილი იყო, ჩემი პოლიტიკაში ჩართვა განსაზღვრა იმ იდეამ, რომ ოდესმე შევუერთდებოდით ევროპულ დემოკრატიულ ოჯახს, სადაც ცვლილება ხდება ხმებით და არა ტყვიებით“. მიშა, ჩვეულებისამებრ, ცრუობს: **იგი პოლიტიკაში 90-ანი წლების დასაწყისში არ ჩართულა. მეტიც, როცა საქართველოში ტყვიები ზუზუნებდა, იგი ამერიკაში „პეტერსონ-ბენქლაფის“ დოკუმენტებს დაატარებდა აღმა-დაღმა. პოლიტიკაში კი უკვე დასტაბილურებულ საქართველოში, 1995 წელს ჩაერთო. კიდევ შვიდი წელი ასევე პროდასავლური შევარდნაძის ქება-დიდებაში გაატარა და მერეღა გახდა ოპოზიციონერი, ისიც, სულ ერთი წლით. მერე კი იყო „ვარდების რევოლუციად“ წოდებული სასახლის გადატრიალება და 9-წლიანი მმართველობის სიტკბო.**

„რა თქმა უნდა, მე იმედგაცრუებული დავრჩი ამ არჩევნების შედეგებით, მაგრამ ამაყი ვარ, რომ სწორედ ამ გზით მოხდა ხელისუფლების შეცვლა ქვეყანაში. მე ამაყი ვარ ჩემი პარტიით, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა იმისთვის, რომ ქვეყანაში აეშენებინა ისეთი სისტემა, სადაც უმრავლესობა და უმცირესობა იცვლება არა გადატრიალებით, არამედ არჩევნების შესაბამისად“. თუმცა არჩევნების შედეგებმა, სააკაშვილის ვერსიით, არ უნდა იმოქმედოს ქვეყნის საგარეო კურსზე.

„ნებისმიერ დემოკრატიაში უმრავლესობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამომრჩეველთა ხმების მიხედვით, მაგრამ ჩვენი ერის მისწრაფება ევროპისა და ევროინტეგრაციის მიმართ ნებისმიერი პოლიტიკური დანაწევრების მიღმა გადის. ეს არის მთავარი გზავნილი, რომელიც მინდა ასამბლეის წინაშე გავაჟღერო“.

**სტრასბურგში სააკაშვილის „ისტორიული“ გამოსვლის მეორე დღეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ, დაკავებული თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მინისტრმა გულისტკივილი გამოთქვა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით და ვაშაკიძეს დიპლომატიურ სამსახურში საქმიანობა შესთავაზა, თუმცა მის შეთავაზებაზე ვაშაკიძემ უარი განაცხადა. ერთი სიტყვით, ვაშაძისგან მემკვიდრეობით მიღებულ ვაშაკიძეს ფანჯიკიძე ლამის ეხვეწა, დარჩიო, მან კი დემარშით დატოვა სამინისტრო.**

მართლაცდა რა ხდება?

ყველაზე ადეკვატურად ეს საგარეოპოლიტიკური თამაშები პარლამენტის საგარეო კომისიის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძემ აღიქვა: **„ევროსაბჭოს წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი. ამის დასტურია დღევანდელი სხდომაც. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი გზავნილები და პოლიტიკის მთავარი საკვანძო საკითხები ევროპასა და ამერიკაში ბოლომდე არ არის მიწოდებული. უკმაყოფილებას ადასტურებს ის შეფასებები, რომელთაც ჩვენ ბოლო პერიოდში ვისმენთ. „ქართული ოცნება“ მარტო სააკაშვილის კრიტიკით კი არ უნდა დაკავდეს, ასევე უნდა დავიწყოთ თვითკრიტიკაც, რათა უფრო ეფექტური გახდეს ჩვენი კომუნიკაციები გარე სამყაროსთან. ახლა აქ ყოფნისას მე ვგრძნობ, რომ ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს აკლიათ ინფორმაცია და ეს ჩვენი ბრალია“.**

მერედა, რა უშლის ხელს ახალ ხელისუფლებას, იყოს უფრო ეფექტური, სათანადო ოპონირება გაუწიოს ძველ რეჟიმს, განახორციელოს ცვლილებები, ამომრჩეველს სასიკეთო ცვლილებები დაანახოს? მხოლოდ დასავლეთი და მის მიერ მოთხოვნილი ყბადაღებული „კოაბიტაცია“? იქნებ პრობლემა ქვეყნის შიგნით არის და არა სადმე სხვაგან?

**ივანიშვილის განცხადებები ორი წლის შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, ამომრჩეველში, სულ მცირე, გაუგებრობას წარმოშობს. „ნაციონალების“ საქციელსა და გამონათქვამებში ხშირად იგრძნობა, რომ ისინი სრულიადაც არ ელოდნენ საკუთარ შეცდომებსა თუ დანაშაულებზე პასუხისგებას. იმ ადამიანებში კი, რომლებიც არც „ნაციონალებს“ ემხრობიან და არც „ოცნებას“, უკვე ჩნდება განცდა, რომ საერთო-სახალხო აღშფოთების ფონზე ხელისუფლების გადაბარების მორიგი სპექტაკლი გათამაშდა.**

**პრეზიდენტობიდან პრემიერობამდე გადებული ბილიკი, რუსული სცენარით, თანამებრძოლთან როკირებით უნდა შემდგარიყო, მაგრამ საქართველოში იმგვარი ვითარება შეიქმნა, როცა ხალხი სააკაშვილის შემოთავაზებულ „მედვედევს“ არ მიიღებდა. ივანიშვილი, რომელსაც არასოდეს ჰქონია პოლიტიკაში ჩარევის სურვილი, სწორედ ის პიროვნება იყო, რომელსაც ხალხი მხარს უეჭველად დაუჭერდა. „ორი წლით“ პოლიტიკაში მოსვლა ძალიან ჰგავს იმ სცენარს, რომლის თანახმადაც მცირე პაუზის შემდეგ სააკაშვილი ამჯერად ორჯერადი ვადით შეუზღუდავი პრემიერის ადგილზე დაბრუნდება.**

ამ ეჭვს კიდევ უფრო ამძაფრებს ისიც, რომ ივანიშვილმა მხოლოდ „მიშას ყოფილი მეგობრები“ შემოიკრიბა და არ მიიკარა არც ერთი ის ძალა, რომელიც იმთავითვე დაპირისპირებული იყო სააკაშვილთან. თუ ორი წლის შემდეგ „ოცნების“ ლიდერი პოლიტიკას დატოვებს, რა შეუშლის ხელს, მაგალითად, რესპუბლიკელებს, კვლავაც მიშას ნავში ჩახტნენ? **აკი ლევან ბერძენიშვილი 2002 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თანათავმჯდომარე იყო სააკაშვილთან ერთად! სტრასბურგში სააკაშვილის გამოსვლის შემდეგ რესპუბლიკელმა თინა ხიდაშელმა მისთვის უჩვეულო მორიდებით აღნიშნა, რომ სააკაშვილმა მათ საპარლამენტო ასამბლეაზე პასუხებისთვის დრო არ დაუტოვა. და ამას ამბობს ქალი, რომელიც დებატებში მოწინააღმდეგეს არასოდეს უტოვებს პასუხის გაცემის დროს!**

სიტუაციას ამძაფრებს ისიც, რომ სამართლიანობის აღდგენა ვერა და ვერ ხერხდება. დაზარალებული ადამიანები კი ხედავენ, რომ მათი საქმეების ნაცვლად „ქართუ ბანკის“ გაკოტრების გამო იძებნება იუსტიციის ყოფილი მინისტრი ადეიშვილი. რეზონანსულ მკვლელობათა საქმე ჯერჯერობით ადგილიდან არ იძვრის, ტარიფების დაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა, „ნაციონალური“ ხელისუფლების წარმომადგენლები კი აშკარად დასცინიან ხალხს. 9 წლის განმავლობაში ყველაზე მიყურადებული და მოთვალთვალე რეჟიმის ლიდერი თვალთმაქცურად ითხოვს ფარული ვიდეოჩანაწერების განადგურებას. არადა, ამ მასალებზე დაყრდნობით არაერთი ადამიანი დღესაც იხდის სასჯელს ცოცხებით განთქმულ ქართულ ციხეებში!

**არადა, ეს ჩანაწერები კონკრეტული თანამდებობის პირთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ნივთმტკიცებას წარმოადგენს და იურისტის დიპლომის მქონე სააკაშვილმა შეუძლებელია არ იცოდეს, რომ სამართლის ენაზე ამ ჩანაწერების განადგურებას ნივთმტკიცებების განადგურება ჰქვია, რომელიც ისჯება, თუმცა იგი იმდენად შეეჩვია დაუსჯელობას, რომ ამგვარ „წვრილმანებზე“ ფიქრით გონებას არ იღლის.**

პარადოქსულია, მაგრამ ევროსაბჭოში დაუსჯელობის ამ სინდრომზე არა „ქართული ოცნების“ დეპუტატებმა, არამედ რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა ილაპარაკა. ალექსეი პუშკოვი მოითხოვს, რომ მომზადდეს ცალკე მოხსენება, რომელიც მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარების კუთხით არსებულ ვითარებას მიეძღვნება. მან ხაზი გაუსვა, რომ ამ მოხსენების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საკითხიც უნდა იყოს. სააკაშვილის „ღრმაშინაარსიან“ გამოსვლაზე კი მან მცირე კომენტარი გააკეთა: „გამოსვლა პროპაგანდისტული იყო. საქართველოს პრეზიდენტმა არ უპასუხა საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ შეკითხვებს. მიხეილ სააკაშვილი „კარგი ინგლისურით, საშუალო ფრანგულით და შესანიშნავი რუსულით“ წარსდგა.

სააკაშვილმა თავადაც ბევრი იტრაბახა რუსული ენის ცოდნით: „მე რუსულად გაცილებით უკეთ ვლაპარაკობ, ვიდრე დღევანდელი პრემიერ-მინისტრი. მე პუტინს ვუთხარი, რომ შეიძლება ბოლო ქართველი ლიდერი ვარ, რომელიც მას რუსულად ესაუბრება და, რომელსაც შეუძლია პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვა კლასიკოსების თუ თანამედროვე მწერლების ციტირება“. კაცი, რომელიც მშობლიურ ლიტერატურაში რუსთაველსა და ორბელიანს ვერ არჩევს ერთმანეთისგან, დღეს რუსული კლასიკის ცოდნით ტრაბახობს და რუსეთთან ურთიერთობაზე მზადყოფნას აცხადებს!

სტრასბურგში სააკაშვილმა 9 წლის განმავლობაში ყველაზე საუკეთესო პოლიტიკური გადაწყვეტილება დაასახელა, თუმცა ყველაზე ცუდი და წარუმატებელი პოლიტიკური გადაწყეტილება — არა. „ყველაზე კარგი გადაწყვეტილება, რომელიც მე მივიღე, ალბათ, ეს იყო გადაწყვეტილება, რომელიც არჩევნების დროს, პირველ ოქტომბერს მივიღე, რომ დაუყოვნებლივ, ნებისმიერი შეყოვნების გარეშე, ეგზიტპოლების შედეგების გამოცხადებისთანავე მიმელო ეს შედეგები. ასეთი რამ არც ერთ ოპოზიციურ თუ ხელისუფლებაში მყოფ ძალას აქამდე საქართველოს ისტორიაში არ გაუკეთებია. მე ეს გავაკეთე დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ეჭვების გარეშე და არ გამივლია კონსულტაციები არც ჩემს პოლიტიკურ მეგობრებთან, პოლიტიკურ ძალასთან, პოლიტიკურ მხარდამჭერებთან, რადგანაც ზუსტად ვიცოდი, რომ ეს იყო საქართველოს მომავლისათვის ძალიან მნიშვნელოვანი. თუმცა, მე ძალიან პესიმისტურად ვუყურებდი იმ ძალას, რომელიც ხელისუფლებაში მოდიოდა, მაგრამ ოპტიმისტურად ვუყურებდი საქართველოს მომავალს და ვიცოდი, რომ ეს არის აუცილებელი იმისთვის, რომ საქართველომ მიიღოს სწორი გამოცდილება, განვითარების სწორ გზაზე დადგეს“.

სააკაშვილმა მისი პრეზიდენტობის პერიოდში კონკრეტული წარუმატებელი გადაწყვეტილება არ დაასახელა. ერთადერთი სიმართლე, რომელიც მან სტრასბურგში თქვა, ასე გამოიყურება: „რაც შეეხება წარუმატებლობებს, საკმაოდ გრძელი სია არის იმ გადაწყვეტილებებისა, რომლებიც მე შემიძლია ამ სიაში შევიტანო და, ალბათ, უფრო მეტი უნდა ვიფიქრო, სანამ კონკრეტულად ავარჩევ ერთს“.

**სააკაშვილის წარუმატებლობებისა და დანაშაულების სია მართლაც ვრცელია, მაგრამ „ოცნება“ მის მხილებას არ ჩქარობს. დრო კი გადის და მიხეილი „მეორედ მოსვლისთვის“ ემზადება.**

**თამარ დავითულიანი**

**საეჭვო იურიდიული სტატუსის მქონე და რევანშზე მეოცნებე სააკაშვილი შენელებული მოქმედების ნაღმს დაემსგავსა, რომელიც, კაცმა არ იცის, როდის აფეთქდება.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შენელებული მოქმედების (პ)რეზიდენტი

**მიხეილ სააკაშვილის სახელობის კოშმარი გრძელდება; კონსტიტუცია დაირღვა, გამოსავალი კი არ ჩანს. 21 იანვრიდან მოყოლებული უგულვებელყოფილია ძირითადი კანონის 70-ე მუხლის პირველი პუნქტი: „პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით“. ეს ხუთწლიანი ვადა კი (2008 წლის 20 ინვრის ინაუგურაციიდან) უკვე ამოიწურა.**

ერთადერთი დებულება, რომელიც 20 იანვრის შემდეგ ფორმალურად ამართლებს სააკაშვილის თანამდებობაზე ყოფნას, მისი მორჩილი პარლამენტის მიერ დამტკიცებული, ციტირებულ პუნქტთან აშკარა წინააღმდეგობაში მყოფი, ამავე მუხლის მე-9 პუნქტია: „პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში“. სააკაშვილი და მისი გულშემატკივრები თვლიან, რომ ამ ფორმულირებიდან მისი თანამდებობაზე ყოფნის ვადის 9-თვიანი გახანგრძლივება გამომდინარეობს. შექმნილი სიტუაცია, იურიდიული თვალსაზრისით, მეტად ორაზროვანია და ქვეყანას აშკარა საფრთხეს უქმნის.

თუ 2008 წლის არჩევნების შემდეგ ჩვენ ვსაუბრობდით ლეგიტიმურობის დეფიციტზე, რადგან საზოგადოების ნაწილი არჩევნებს გაყალბებულად თვლიდა და სააკაშვილს პრეზიდენტად არ აღიარებდა, **ამჯერად, ალბათ, უკვე „ლეგიტიმურობის ვაკუუმზე“ უნდა ვისაუბროთ. დღეს სააკაშვილი ეყრდნობა არა მყარ საკანონმდებლო ფუნდამენტს, არამედ წინააღმდეგობაში შესული პუნქტების მისთვის სასურველ ინტერპრეტაციას, თანაც იმ პირობებში, როდესაც საზოგადოების სერიოზული მხარდაჭერა არ აქვს. ამაზე ნათლად მიუთითებენ იმ ორგანიზაციების (თუნდაც ენ-დი-აის) გამოკითხვების შედეგებიც კი, სადაც მისი და „ნაცმოძრაობის” რეიტინგი ყოველთვის არადამაჯერებლად მაღალი იყო.**

ვითარება მით უფრო საგანგაშოა, რადგან კრიზისის დაძლევა კონსტიტუციის ხელახალი დარღვევის გარეშე თითქმის შეუძლებელი ჩანს. ერთი შეხედვით, 5-წლიანი ვადის ამოწურვიდან გამომდინარეობს სააკაშვილის მიერ „უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა“, რომელიც მოხსენიებულია 76-ე მუხლის პირველ პუნქტში და ამ შემთხვევაში „პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემთხვევაში, აგრეთვე, თუ პარლამენტი დათხოვნილია, საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს პრემიერ-მინისტრი“. ეს ჩანაწერი თითქოსდა ჩიხიდან გამოსვლის შესაძლებლობას გვაძლევს, მაგრამ ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად „არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დროიდან 45 დღის განმავლობაში“ და მისი პრაქტიკული რეალიზება, თავის მხრივ, ისევ შეგვიყვანს წინააღმდეგობაში 70-ე მუხლის ავადსახსენებელ მე-9 პუნქტთან, რომლის თანახმად არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. იდეაში, არჩევნები შეიძლება რიგგარეშეც იყოს, მაგრამ რომელ რიგგარეშე არჩევნებზეა საუბარი მაშინ, როდესაც 5-წლიანი ვადა უკვე ამოიწურა? მარტივად რომ ვთქვათ, ქვეყანა ჩიხში შევიდა; კონსტიტუცია დარღვეულია, სააკაშვილი კი გადადგომას არ აპირებს.

აშკარაა, რომ ამ ეპიზოდის შემდეგ, ძირითად კანონში შესატანი იქნება ცვლილება, რომელიც ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ დატოვებს. კარგ მაგალითს, ამ მხრივ, აშშ-ს კონსტიტუცია გვაძლევს, სადაც წერია არა მხოლოდ ის, რომ პრეზიდენტი „თანამდებობას ოთხწლიანი ვადის განმავლობაში იკავებს“, არამედ (მე-20 შესწორებაში; რატიფიცირებულია 1933 წლის 23 იანვარს) მითითებულია დღე და დრო, როდესაც ის თანამდებობას ტოვებს — **„პრეზიდენტის და ვიცე-პრეზიდენტის უფლებამოსილება იწურება 20 იანვარს, შუადღეს, ხოლო სენატორებისა და წარმომადგენლების 3 იანვარს შუადღეს“.**

ამ შესწორებას საინტერესო ისტორია აქვს. მის მიღებამდე აშშ-ის პრეზიდენტის ინაუგურაცია 4 მარტს იმართებოდა. თითქმის ოთხთვიანი პაუზა, არჩევნებსა და ინაუგურაციას შორის XVIII საუკუნის ცხოვრების რიტმიდან და გადაადგილების ტემპებიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი ჩანდა, თუმცა პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს მეტისმეტად ბევრია, როგორც პრეზიდენტისთვის, ისე კანონმდებლებისთვის; უპირველესად იმიტომ, რომ თანამდებობებიდან მიმავალ „კოჭლ იხვებს“ ამ პერიოდში პასუხისმგებლობის გრძნობა მკვეთრად უმცირდებოდათ და მეტად საეჭვო გადაწყვეტილებების მიღება შეეძლოთ.

პირველად პრობლემამ თავი 1800 წლის არჩევნების შემდეგ იჩინა, როდესაც თანამდებობიდან წასვლის წინ ჯონ ადამსმა (თავისი უმრავლესობით კონგრესში) სასწრაფოდ მთელი ქვეყნის სასამართლო სისტემის რეფორმირების შესახებ და მოსამართლეებად 50-ზე მეტი მხარდამჭერი დანიშნა. ახალარჩეულმა თომას ჯეფერსონმა (თავისი უმრავლესობით კონგრესში) მიღებული კანონი გააუქმა და იმ მოსამართლეებზე, რომლებმაც უფლებამოსილების დამადასტურებელი პატენტების აღება ვერ მოასწრეს, მათი გაცემა აკრძალა. ყოველივე ეს დასრულდა დიდი სკანდალით და მოსმენებით უზენაეს სასამართლოში, თუმცა ეს არაფერია 1861 წლის ტრაგედიასთან შედარებით, როდესაც პაუზაში აბრაამ ლინკოლნის არჩევასა და ინაუგურაციას შორის, აშშ-ს სამხრეთის შტატები გამოეყვნენ და სამოქალაქო ომის დაწყება გარდაუვალი გახდა. ლინკოლნს არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ხოლო მისმა წინამორბედმა ჯეიმს ბიუკენენმა, რომელიც მოვალეობის შესრულებას განაგრძობდა, მარტივად რომ ვთქვათ, ვერ ივარგა. პრობლემის აქტუალურობა ამერიკელებმა 1932 წლის არჩევნების შემდეგაც იგრძნეს, როდესაც ფრანკლინ დელანო რუზველტი 4 თვის განმავლობაში მოკლებული იყო შესაძლებლობას, თავისი „ახალი კურსი“ გაეტარებინა და „დიდ დეპრესიასთან“ ბრძოლა დაეწყო.

აშშ-ში „კოჭლ იხვებთან“ დაკავშირებულ სირთულეებს არაგონივრულად ხანგრძლივი პაუზა ქმნიდა; იქ კონსტიტუცია არავის დაურღვევია და თანამდებობაზე ყოფნის ვადა 9 თვით არ გაუხანგრძლივებია. საქართველოში 20 იანვრის შემდეგ შექმნილი ვითარება კი გაცილებით სერიოზულია, აქ საუბარი კოჭლ იხვზე კი არა, კოჭლ სირაქლემაზე და კოჭლ პტეროდაქტილზეა.

ყველა ნორმა, რომელიც უმაღლეს თანამდებობებს ასეხება, ზედმიწევნით ზუსტად უნდა იყოს გაწერილი, რადგან იმ სივრცეში, სადაც ვაკუუმი ან ინტერპრეტაციის შესაძლებლობა რჩება, შეიძლება სახიფათო პრეცედენტი შეიქმნას. ასე, **ჯორჯ ვაშინგტონის უარმა მესამე ვადით არჩევაზე საფუძველი ჩაუყარა ტრადიციას, დაუწერელ კანონს, რომელიც მეორე საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ თანამდებობის დატოვებას გულისხმობდა.** თუმცა ამ წესს ყველა როდი იცავდა, თეთრ სახლში მესამე ვადით დარჩენას ულის გრანტი, გროვერ კლივლენდი და თეოდორ რუზველტი ცდილობდნენ, საწადელს კი ფრანკლინ დელანო რუზველტმა მიაღწია, რომელიც პრეზიდენტად ოთხჯერ აირჩიეს. ამის შემდეგ მიღებულ იქნა 22-ე შესწორება, რომელიც „ორვადიანი ლიმიტი“ დააწესა. საინტერესოა, რომ ამ შესწორების გაუქმების აქტიური მცდელობა რონალდ რეიგანის მეორე ვადით არჩევის შემდეგ დაფიქსირდა.

ფრანკლინ დელანო რუზველტი აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი პრეზიდენტი გახლდათ, მაგრამ მის მიერ შექმნილი პრეცედენტი სახიფათო იყო, რადგან „12-წლიანი“ ან სულაც „16-წლიანი“ პრეზიდენტების გადამკიდე, აშშ-ის პოლიტიკური სისტემა, ძალიან დიდი ალბათობით, არასასურველ ტრანსფორმაციას განიცდიდა. აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონისა და მისი შემცვლელების მიერ შემოღებული დაუწერელი წესი არასაკმარისია და კანონმდებლობაში 22-ე შესწორების სახით შემზღუდავი ნორმა ჩაიდო.

პრობლემა იმდენად მწვავე არ იქნებოდა, თუ სააკაშვილი მშვიდად დატოვებდა პოსტს და ბრძოლას ხელისუფლებაში დაბრუნებისთვის მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებდა, კონვენციური მეთოდების გამოყენებით, როგორც ამას ყველა ნორმალური ოპოზიციონერი აკეთებს. მაგრამ აშკარაა, რომ ის რევანშისთვის მის ხელში დარჩენილ სახელისუფლო ბერკეტებს იყენებს და ეს ქვეყნის სტაბილურობას უდიდეს საფრთხეს უქმნის. თავი დავანებოთ მის „ჯინაზე მიღებულ“ საკადრო გადაწყვეტილებებს და ძალზე უცნაურ კომენტარებს შიდაპოლიტიკურ პრობლემებზე; ქვეყანა ამას როგორმე გადაიტანს. მაგრამ **რა ვუყოთ მის განცხადებებს საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებით?** აგერ, გასულ კვირას გამოვიდა და თქვა: „ჩვენ ახლა გვაქვს სერიოზულად გართულებული ურთიერთობა თურქეთთან!“. დაფეთებული ვრეკავ სტამბულში; თურქეთში სიმშვიდეა, აბდულა გიული და რეჯებ ტაიპ ერდოღანი არაფერს ამბობენ, ხოლო თანამოსაუბრეებს, თურქ ექსპერტებსა და ჟურნალისტებს საერთოდ არ ესმით, რაზეა საუბარი — რა გართულება? რატომ?

**არა მხოლოდ ნორმალური პრეზიდენტი, არამედ მინიმალური პასუხისმგებლობის მქონე მეეზოვეც კი, სავარაუდოდ, თავს შეიკავებდა ასეთი დესტრუქციული შეფასებებისგან; ასე მხოლოდ მტრული სპეცსამსახურების რეზიდენტები იქცევიან. სად არის გარანტია, რომ ადამიანს, რომელსაც დილით აქვს გართულება თურქეთთან, საღამოს არ ექნება ომი რუსეთთან (ან ინგლისთან, „მიუნჰაუზენის“ ცნობილი ეკრანიზაციის არ იყოს)? ან რა იყო მისი ორშაბათის გამოსვლა სტრასბურგში თუ არა პირდაპირი დივერსია არა „ქართული ოცნების“, არამედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ?** (სააკაშვილი, როგორც ჩანს, საერთოდ ვერ გრძნობს, სად გადის ზღვარი მის პირად და ეროვნულ ინტერესებს შორის). **იღებს თუ არა „ქართული ოცნება“ და პირადად ბიძინა ივანიშვილი პასუხისმგებლობას იმაზე, რომ კონსტიტუციის დაღრვევასთან და სააკაშვილის თანამდებობაზე დარჩენასთან შეგუება დიდ უბედურებას არ მოგვიტანს?** ფაქტობრივად, **საეჭვო იურიდიული სტატუსის მქონე და რევანშზე მეოცნებე სააკაშვილი შენელებული მოქმედების ნაღმს დაემსგავსა, რომელიც, კაცმა არ იცის, როდის აფეთქდება.**



სარწმუნო წყარო ამერიკის შეერთებულ შტატებში იტყობინება, რომ ზოგიერთმა ლობისტმა ვაშინგტონში მიიღო დაკვეთა სტრატეგიის შემუშავებაზე, რომლის გამოყენებით შეეცდება (უხეშად რომ ვთქვათ) „გააპრავოს“ სააკაშვილის მიერ მთავრობის დათხოვნა გაზაფხულზე (საუბარში რატომღაც ნახსენები იყო არა „ნაციონალებისთვის“ საოცნებო აპრილი, არამედ მარტი); საბაბად ამისთვის, წყაროს ცნობით, ფიგურანტი ქვეყნის სუვერენიტეტისთვის საფრთხის შექმნას და „რუსული შეთქმულების“ თემას გამოიყენებს. მსგავსი საგანგაშო სიგნალები ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ფიქსირდება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ გასაჭირს თავს დანაკარგების გარეშე დავაღწევთ, 99%-იანი ალბათობით, მივალთ დასკვნამდე, რომ ქვეყანას ახალი კონსტიტუცია (ან მოქმედის საფუძვლიანი რედაქტირება) სჭირდება. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება არა უზარმაზარი აშშ-ის, არამედ პატარა ისლანდიის გამოცდილება გამოგვადგეს.

ამ ქვეყნის ახალი კონსტიტუცია ასე მიიღეს: მოსახლეობამ 552 კანდიდატიდან საკონსტიტუციო საბჭოს 25 წევრი აირჩია, რომლებმაც მუშაობა მოქალაქეების მიერ შეტანილი წინადადებების შესწავლით დაიწყეს. საბჭოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია მის საიტზე და „ფეისბუკის“ გვერდზე ხდებოდა, ხოლო ისლანდიის მოქალაქეები მას შენიშვნებს ონლაინრეჟიმში აწვდიდნენ. ეს მუდმივი, ძალზე ინტენსიური დიალოგი იყო და საბოლოოდ, სწავლული იურისტებისა და უბრალო მეთევზეების მიერ შემოთავაზებული ფორმულირებები კონსტიტუციის ტექსტში ერთმანეთის გვერდიგვერდ მოხვდა. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუციის პროექტი მთელმა ერმა დაწერა და მას გასული წლის 20 ოქტომბერს გამართულ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა. ცხადია, ჩვენ დაგვჭირდება ისლანდიური გამოცდილების გარკვეული ადაპტირება ქართული რეალიების მიმართ, მაგრამ **მთავარი იდეა, ის რომ კონსტიტუციის შექმნასა და დამტკიცებაში მოქალაქეებმა უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღონ, ალბათ, შეუცვლელად უნდა გადმოვიღოთ.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ივანიშვილი ერევანში სადავო ეკლესიების საკითხსაც შეეხო და ერთობ მოულოდნელი ინიციატივითაც გამოვიდა. ეს განცხადება შეიცავდა კეთილი ნების გამოვლენას და არსებითად წარმოადგენდა იმ კონფლიქტის დარეგულირების მცდელობას, რომელიც ათწლეულების, თუ არა საუკუნეების, განმავლობაში გრძელდება და ორი ქვეყნის ურთიერთობას დაღს ასვამს. დაველოდოთ და ვნახოთ, რით გვიპასუხებენ სომხები. ...ქართველებისა და სომხების ურთიერთობას გაჯანსაღება და გამოცოცხლება სჭირდება და ეკლესიების პრობლემის მოგვარება ამ კონტექსტში შეიძლება „კარგ დასაწყისად“ იქცეს.**



## თედო ჯაფარიძე: ევროსაბჭოში «ქართული ოცნების» მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი

**„ქართული ოცნება“ მარტო სააკაშვილის კრიტიკით კი არ უნდა დაკავდეს, ასევე უნდა დავიწყოთ თვითკრიტიკაც, რადგან უფრო ეფექტური გახდეს ჩვენი კომუნიკაციები გარე სამყაროსთან. ახლა აქ ყოფნისას მე ვგრძნობ, რომ ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს აკლიათ ინფორმაცია და ეს ჩვენი ბრალია“,** — განაცხადა თედო ჯაფარიძემ.

ევროსაბჭოს წარმომადგენლები „ქართული ოცნების“ მიმართ უარყოფითად არიან განწყობილნი. ამის დასტურია დღევანდელი სხდომაც. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი გზავნილები და პოლიტიკის მთავარი საკვანძო საკითხები ევროპასა და ამერიკაში ბოლომდე არ არის მიწოდებული. უკმაყოფილებას ადასტურებს ის შეფასებები, რომელთაც ჩვენ ბოლო პერიოდში ვისმენთ, — ეს განცხადება პარლამენტის საგარეო კომიტეტის თავმჯდომარემ ევროსაბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გააკეთა.

## კოალიციის შავ პიარზე «ქართული ოცნების» წევრებიც მუშაობენ

**პრემიერმა მითხრა, რომ „ქართული ოცნების“ შიგნითაც არიან ადამიანები, რომლებიც კოალიციის შავ პიარზე მუშაობენ.** „როდესაც ჩავწერე ინტერვიუ პრემიერ-მინისტრთან, პრემიერმა მითხრა, რომ „ქართული ოცნების“ შიგნითაც არიან ადამიანები, რომლებიც კოალიციის შავ პიარზე მუშაობენ. მე მან მითხრა, რომ მისთვის მათი ვინაობა ცნობილია და იცის მათი საქმიანობის შესახებ. მე ახლა მათ სახელებსა და გვარებს ვერ დავასახელებ, თუმცა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რაც მითხრა პრემიერმა“, — განაცხადა ირმა ინაშვილმა „პირველი რადიოს“ ეთერში საუბრისას.

# ივანიშვილი ერევანში, ანუ სად მივყავვართ მატარებლის ლიანდაგს?

**17 იანვარს სომხეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა „შესაძლებელია“ და ეს საკითხი შეიძლება სწრაფად მოგვარდეს, „თუ ყველა მხრიდან ამის ნება იქნა“. ივანიშვილმა დასძინა, რომ ქართული მხარე საკითხის სწრაფ გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. ამ განცხადებას საქართველოში ხმაურიანი პოლემიკა მოჰყვა, თუმცა კომენტატორების უმრავლესობამ არ მიაქცია ყურადღება იმას, რაც ერევანში მომდევნო დღეს მოხდა.**
**18 იანვარს, საზეიმო პრეზენტაციაზე, სომხეთის ხელისუფლებამ განაცხადა ახალი პროექტის, „სომხეთის სამხრეთის რკინიგზის“, სტარტის შესახებ, რომელიც სომხეთ-ირანის დამაკავშირებელი მაგისტრალის აშენებას გულისხმობს. თუ ამ ფაქტს და აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას არა ცალ-ცალკე, არამედ ერთ კონტექსტში განვიხილავთ, სავარაუდოდ, მივალთ დასკვნამდე, რომ საქმე არა მხოლოდ და არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც გეოპოლიტიკური დატვირთვის მქონე პროექტს ეხება; სარკინიგზო არტერია ბალტიიდან სპარსეთის ყურემდე სახუმარო რამ ნამდვილად არაა.**



**განცხადებას რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით სომხეთში ძალზე დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ფაქტობრივ ბლოკადაში მოქცეული ქვეყანა შეიძლება მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფნად იქცეს**

### ტრანსევრაზიული ექსპრესი

ენ-დი-აის კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც 12 დეკემბერს გამოქვეყნდა, გამოკითხულთა 68 პროცენტისთვის აფხაზეთის გავლით რუსეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა მისაღებია და მხოლოდ 8%-მა განაცხადა, რომ ეს მიუღებელია. ამ უკანასკნელთა პოზიცია გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილმა გააჟღერა: „პირველ რიგში ეს არის განცხადება, რომელიც საერთოდ არ ითვალისწინებს საქართველოს გეოპოლიტიკურ და პოლიტიკურ სტრატეგიულ ინტერესებს, — თქვა სააკაშვილმა, — ბაქო-ახალქალაქი-ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის, რომელიც აზერბაიჯანს, საქართველოს გავლით, თურქეთს დაუკავშირებს, ამოქმედების შემდეგ, საქართველოსთვის არანაირი პრაქტიკული საჭიროება აღარ ექნება რკინიგზის გახსნას აფხაზეთის გავლით, ვინაიდან მას უკვე ალტერნატიული გზა გაეხსნება ევროპისკენ“. მან ასევე განაცხადა, რომ რკინიგზის გახსნა აფხაზეთი ოკუპაციის დაკანონებას შეუწყობს ხელს და თქვა, რომ „ჩვენი რკინიგზა რუსეთის ტრანსციმბირულ რკინიგზას დიდ საფრთხეს უქნის“. სააკაშვილის ამ განცხადებას განსაკუთრებული რეზონანსი არ მოჰყოლია, უპირველად იმიტომ, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა ის, უბრალოდ, „ჩამოწერა“ და მის გამოსვლებს სერიოზულად აღარ აღიქვამს. თუმცა ამ გამოსვლის ციტირება ნამდვილად ღირდა, რადგან ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე არა მხოლოდ პოლიტიკური ოპონენტის კრიტიკასთან, არამედ ორი მსოფლმხედველობის დაპირისპირებასთან გვაქვს.

სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, არაფერი ჯობია იმას, რომ საქართველოზე, ერთის მხრივ, თურქეთ-აზერბაიჯანის, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთ-სომხეთ-ირანის დამაკავშირებელმა მაგისტრალმა გაიაროს. ეს ქართულ ეკონომიკას უამრავ ბონუსს მოუტანს; მართალია, **პროექტის რეალიზებას შეიძლება ქართული პორტების მნიშვნელობის დაკნინება მოჰყვეს და ამ პრობლემის გადაწყვეტაზე ხელისუფლებამ წინდაწინ უნდა იზრუნოს, თუმცა მთლიანობაში ამონაგები დანაკარგზე, სავარაუდოდ, გაცილებით დიდი იქნება. კონკრეტულ ციფრებზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევია, მაგრამ ეკონომისტების უდიდესი ნაწილი სარკინიგზო პროექტების რეალიზებასთან დაკავშირებულ პერსპექტივას მეტად ოპტიმისტურად აფასებს.** სააკაშვილისთვის კი, სავარაუდოდ, მიუღებელია ნებისმიერი პროექტი, რომელიც რუსეთთან თანამშრომლობას ითვალისწინებს; მისი შეხედულებები ტვირთებისა და ენერგომატარებლების ტრანზიტთან დაკავშირებით ეფუძნება მაგიურ ფორმულას „რუსეთის გვერდის ავლით“, მაგრამ რეალურად პრობლემა კიდევ უფრო ღრმაა.

სამყაროს მოდელი, რომლის ფარგლებში ოპერირებენ სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები, მკვეთრად ბიპოლარულია, ის ნამდვილად დაამშვენებდა „ცივი ომის“ პერიოდს, თუმცა დღესდღეობით ერთობ მოძველებული ჩანს. მათ ამ მოდელის ფარგლებში დაპირისპირებული ორი მხარე თეთრ და შავ ფერად შეღებეს, ერთს ნათელი, მეორეს კი ბნელი უწოდეს, ერთს სიკეთე, მეორეს კი — ბოროტება, ისეთივე მონდომებით, როგორითაც ამას უხსოვარ დროში მანიქეველი მოძღვრები აკეთებდნენ. საინტერესოა, რომ მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში კარის ექსპერტებმა და პოლიტიკოსებმა ვერ გასცეს თუნდაც მოკლე, მაგრამ გამართული პასუხი კითხვაზე: „როგორია ჩინეთის როლი თანამედროვე მსოფლიოში?“, რადგან ეს უძლიერესი და უმნიშვნელოვანესი ქვეყანა მათ მიერ შეკოწიწებულ დუალისტურ მოდელში, სადაც ერთმანეთის პირისპირ აშშ და რუსეთი იდგნენ, უბრალოდ, „არ ეტეოდა“.

იმის ახსნა, თუ რა არის „მრავალპოლარულობა“, „მრავალფეროვნება“, „კონსენსუსზე და ორმხრივ სარგებელზე დაფუძნებული თანამშრომლობა“ ადამიანისთვის, რომელიც მიიჩნევს, რომ სიკეთისა და ბოროტების შავ-თეთრი ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება, ძალიან რთულია, თუ არა შეუძლებელი. ამასთანავე, **ცნობა ერევნიდან სააკაშვილისთვის განსაკუთრებით მტკივნეული, სავარაუდოდ, იმიტომ კი არ იყო, რომ მან რაღაც ახალი შეიტყო, რადგან ჯერ კიდევ არჩევნებამდე, 22 სექტემბერს, ზუგდიდში გამართულ მიტინგზე ბიძინა ივანიშვილმა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე დადებით კონტექსტში ისაუბრა, არამედ იმის გამო, რომ დაინახა, პრობლემის მოგვარება უკვე სახელმწიფოთაშორის დონე-** ▶

## ჩიორა თაქთაქიშვილი: მეამაყება, იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ, რომელსაც ასეთი პრეზიდენტი ჰყავს

**საპარლამენტო უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი პრეზიდენტის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლას ეხმაურება. როგორც დეპუტატი „ფეისბუქზე“ აქვეყნებს, სააკაშვილის გამოსვლით უსაზღვროდ ამაყია.**

„უსაზღვროდ ამაყი ვარ!!! ამაყი ვარ იმითაც, რომ იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ, რომელსაც ასეთი პრეზიდენტი ჰყავს!!!! მეამაყება, რომ ყველა სიამაყით შემოგვცქერის და აღფრთოვანებულია იმ ენთუზიაზმით და გამბედაობით, რომლის უდავო დეფიციტია ირგვლივ და რაც მიშამ გააღვიძა თითოეული ასამბლეის წევრის გულში ამ გამოსვლით!!! იმათშიც კი, ვინც ზოგადად სკეპტიკურად არის განწყობილი და რეალპოლიტიკისთვის მთავარი ღირებულებების გადაყოლებას სიბრძნედ მიიჩნევს. დღეს მიშამ გამოაჩინა, როგორ შეიძლება იყო ბრძენი და იმავდროულად შენი ღირებულებებისთვის შეურიგებლად მებრძოლი ლიდერი!!!“ — წერს ჩიორა თაქთაქიშვილი.



# ცხადია, რკინიგზის ამოქმედებას მოჰყვება ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთობის გამოცოცხლება, ერთობლივი ბიზნეს-პროექტების დაწყება და, საბოლოო ჯამში, დათბობა და შემოტრიალება წარსულიდან მომავლისკენ.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზე განიხილება და მალე შეიძლება რეალობად იქცეს; სააკაშვილის რეაქციის სიმწვავე და ემოციურობა, ალბათ, სწორედ აქედან მოდის.**

## სარკინიგზო გვირაბი ბერლინის კედელში

პირველად ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ იმთავითვე კი არ უარყო ქართული მხარის ინიციატივა, როგორც ეს არაერთგზის მომხდარა, არამედ განაცხადა, რომ, თუ შესაბამისი შემოთავაზებით მიმართავენ, მას „კოლექტიურად განიხილავს". ამის თაობაზე 18 იანვარს სოხუმში გამართულ პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ანქვაბმა ისაუბრა. „ამაზე სპეციალისტები უნდა დასხდნენ და იმსჯელონ; დათვალონ, თუ რა შეიძლება მიიღოს აქედან აფხაზურმა მხარემ", — განაცხადა ანქვაბმა და, ამასთანავე, რკინიგზის დღევანდელი, მეტად არასახარბიელო მდგომარეობა აღწერა: „ფსოუდან სოხუმამდე გზის მონაკვეთის ეფექტურობა შეიძლება სამიანზე შეფასდეს. ოჩამჩირემდე მონაკვეთს შეიძლება ვუწოდოთ პირობითი გზა, ხოლო ოჩამჩირეს იქით საერთოდ არაფერი არ არის. იმისათვის კი, რომ რკინიგზა სრულყოფილი იყოს, საჭიროა მრავალმილიარდიანი ინვესტიციები". ანქვაბი ასევე შეეხო აფხაზეთზე გამავალი რკინიგზის ძველ, ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მომავალ პრობლემას — მის დაბალ გამტარუნარიანობას.

**ასეთ რეაქციას, სავარაუდოდ, ორი მიზეზი განაპირობებს: სეპარატისტების ლიდერები ვერ წავლენ (ყოველ შემთხვევაში, ღიად) იმ პროექტის წინააღმდეგ, რომლის რეალიზებას მხარს მოსკოვი უჭერს;** ამავე დროს, მათ რკინიგზის რეაბილიტაციიდან და ტრანზიტიდან მოსალოდნელი ამონაგები ხიბლავს. სიტუაცია მთლიანობაში მხარეებს დიალოგისკენ უბიძგებს და ამ შემთხვევაში სოხუმს არ ექნება შესაძლებლობა, გამოიყენოს ფორმულა „რაზე უნდა ველაპარაკოთ?" ან კიდევ „დამოუკიდებლობის აღიარებამდე არ დაველაპარაკებით", როგორც ეს წარსულში არაერთგზის გაუკეთებიათ. თანაც ეს იქნება არა „დიალოგი დიალოგისთვის", არამედ კონკრეტული საუბარი ციფრებით ხელში სავსებით რეალისტური მიზნების მისაღწევად. **ცხადია, რკინიგზის ამოქმედებას მოჰყვება ქართველთა და აფხაზთა შორის ურთიერთობის გამოცოცხლება, ერთობლივი ბიზნეს-პროექტების დაწყება და, საბოლოო ჯამში, დათბობა და შემოტრიალება წარსულიდან მომავლისკენ,** მაგრამ ყოველივე ამასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში გარკვეული ეჭვებიც არსებობს, რომელთა მოკლე შინაარსი დაახლოებით ასე ჟღერს: **ხომ არ შეუწყობს ეს პროცესი ხელს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი სტატუს-კვოს აღიარებას?** მსგავსი ეჭვების არსებობა სავსებით ლეგიტიმურია, ხოლო გაჩენა — ბუნებრივი, რადგან მომავალი შეთანხმებების კონტურები ჯერ კიდევ ძალზე ბუნდოვანია, ხოლო სააკაშვილის პროპაგანდა ირწმუნება, რომ ენგურზე აღმართული „ახალი ბერლინის კედლის" დემონტაჟი მხოლოდ მიუღებელი კომპრომისების ხარჯზე თუ მოხერხდება.



**ქართველებისა და სომხების ურთიერთობას გაჯანსაღება და გამოცოცხლება სჭირდება და ეკლესიების პრობლემის მოგვარება ამ კონტექსტში შეიძლება «კარგ დასაწყისად» იქცეს**

ამ შემთხვევაში ძალიან ბევრი რამ დამოკიდებული იქნება რუსეთ-საქართველოს დიალოგის დინამიკაზე და მის ფარგლებში მიღწეულ შეთანხმებებზე. ზურაბ აბაშიძე ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს, თუმცა, როგორც ჩანს, უკვე გაჩნდა პრინციპულ საკითხებზე უმაღლესი პირების შეთანხმების აუცილებლობა და ამ კონტექსტში, ალბათ, ყურადღება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტს უნდა მივაქციოთ. რუსეთში გამგზავრების წინ, ინტერნეტ-გამოცემა „ამბიონის" ცნობით, ილია II-მ მრევლს შემდეგი მოწოდებით მიმართა: „მივდივართ მოსკოვში, საყურადღებო საკითხებზე იქნება მსჯელობა. ილოცეთ, შეავედრეთ საქართველო უფალს და, რაც შეგიძლიათ ილოცეთ „მოწყალებისა კარი განგვიღე". ორშაბათს უწმინდესი რუსეთის პატრიარქ კირილეს შეხვდა და განაცხადა: **„ვფიქრობ, ჩვენი ვიზიტი მოემსახურება ურთიერთგაგებას, ჩვენს ერებს შორის ძმური კავშირების გაძლიერებას და ის პრობლემები, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოებს შორის არსებობს, დადებითად გადაწყდება".** დღეს ილია II რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდება. საგულისხმო იყო პატრიარქის შემდეგი განცხადებაც: **„ჩვენს ეკლესიებს შორის ძმური ურთიერთობა ერთადერთი გზა იყო, რომელიც ჩვენს სახელმწიფოებსა და ერებს აკავშირებდა. ღვთის მადლით, დრო იცვლება და ჩვენც მასთან ერთად ვიცვლებით".** პატრიარქმა, ფაქტობრივად, მიანიშნა, რომ ამიერიდან ზრუნვა საერო საქმეებზე და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დარეგულირებაზე დიპლომატებისა და პოლიტიკოსების ხელში გადადის, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ვიზიტის ფარგლებში გამართული მოლაპარაკებები ამისთვის უმაღლეს დონეზე ნიადაგს არ მოამზადებს.

მოკლედ, ყინული აშკარად დაიძრა, კონკრეტული შეთანხმებები კი ჯერჯერობით არ არის. ალბათ, ისღა დაგვრჩენია, რომ მოვლენათა განვითარებას დაველოდოთ და სტრიქონებს შორის კითხვის დავიწყებული ხელოვნება გავიხსენოთ. ხოლო ვიდრე დიპლომატები იმუშავებენ ფორმულაზე, რომელიც, ერთის მხრივ, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს, ალბათ, მიზანშეწონილია, ვისაუბროთ ერევანში ივანიშვილის ვიზიტის სხვა ასპექტებზე და გავარკვიოთ, რა რკინიგზას აშენებენ სომხები ირანის საზღვარზე.

## ჰაოსისა და ქართლოსის სახელობის ინიციატივა

ერევანში ძალზე რთულია, მიიღო ერთმნიშვნელოვნად დადებითი გამოხმაურება პრესაში, იქაური კომენტატორები განსაკუთრებული ეჭვიანობით და კრიტიკულობით გამოირჩევიან, თუმცა ივანიშვილმა ეს მოახერხა. განცხადებას რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით სომხეთში ძალზე დადებითი გამოხმაურება მოჰყვა და დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ფაქტობრივ ბლოკადაში მოქცეული ქვეყანა შეიძლება მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფნად იქცეს.

დეკემბერში ჩინურმა „საკომუნიკაციო-სამშენებლო კომპანიამ" დაიწყო კვლევითი სამუშაოები იმ 316-კილომეტრიან მონაკვეთზე, სადაც სომხეთ-ირანის დამაკავშირებელმა მაგისტრალმა უნდა გაიაროს. ექსპერტების შეფასებით, 3 მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტის რეალიზებას (რკინიგზასთან ერთად შენდება ჩქაროსნული ტრასაც) დაახლოებით ხუთი წელი დასჭირდება. ხელმოწერილია 30-წლიანი საკონცესიო ხელშეკრულება სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროსა და არაბულ კომპანია **„რასია ფზე"-ს შორის, რომელმაც პროექტის დაფინანსების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. „რუსეთი და ჩინეთი ითანამშრომლებენ სომხეთთან რკინიგზის განვითარების საკითხში, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს",** — ნათქვამია სომხეთის ტრანსპორტის სამინისტროს განცხადებაში, რომელიც 18 იანვარს გავრცელდა.

ცხადია, სტრატეგიულ მნიშვნელობას ამ პროექტს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა ანიჭებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა მხოლოდ სომხეთისთვის და ირანისთვის საინტერესო პროექტი, რომელიც, კაცმა არ იცის, როდის განხორციელდებოდა. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა სომხეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების ერთმნიშვნელოვნად დადებითი რეაქცია ივანიშვილის განცხადებაზე; მათ, რკინიგზელები რომ იტყვიან, გვირაბის ბოლოს სინათლე დაინახეს.

ივანიშვილი ერევანში სადავო ეკლესიების საკითხსაც შეეხო და ერთობ მოულოდნელი ინიციატივითაც გამოვიდა. **„ვთქვი, რომ დიდი ხნის წინ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდის დახმარებით, რომლის მეშვეობითაც აღდგა და რესტავრაცია ჩაუტარდა საქართველოში არქიტექტურის 500-ზე მეტ ძეგლს, მიუხედავად იმისა, როდის ვაღიარებთ ამ ეკლესიების წარმომავლობას, მზად ვარ, ხვალვე დავიწყო ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საკამათო ეკლესიების რესტავრირება. სწორედ ამ ფონდის დახმარებით უკვე დაწყებულია აღდგენითი სამუშაოები ორ მათგანში, რომლებზეც სომხები საუბრობენ. კომისიის მუშაობის პარალელურად, შეგვიძლია დავიწყოთ არქეოლოგიური სამუშაოებიც, რომელთა დასაფინანსებლადაც მზად ვარ ამ ფონდის მეშვეობით. მოხარული ვიქნები, თუ ეკლესიები აღდგება და რესტავრირდება, მიუხედავად იმისა, ვის ეკუთვნის ის — სომხეთს თუ საქართველოს. ჩემი აზრით, ინიციატივა მოიწონა სომხეთის პრეზიდენტმაც. ვფიქრობ, რამდენიმე დღეში ჩვენ შევქმნით ორივე მხარის წარმომადგენელ კომისიას, დავიწყებთ რესტავრაციის პროცესს და ამ ძეგლების აღდგენას, პარალელურად კი დავადგენთ მათ წარმომავლობას",** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რადიო „თავისუფლებასთან" საუბარში.

მიუხედავად იმისა, რომ კონსენსუსის მიღწევა ხსენებული კომისიის ფორმატში საკმაოდ რთული (ზოგიერთ შემთხვევაში კი, ალბათ, შეუძლებელი) იქნება, ალბათ, არავინ დააყენებს ეჭვქვეშ იმას, რომ ეს განცხადება შეიცავდა კეთილი ნების გამოვლენას და არსებითად წარმოადგენდა იმ კონფლიქტის დარეგულირების მცდელობას (ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულებით სიარულის დაწყებას), რომელიც ათწლეულების, თუ არა საუკუნეების, განმავლობაში გრძელდება და ორი ქვეყნის ურთიერთობას დაღს ასვამს. დაველოდოთ და ვნახოთ, რით გვიპასუხებენ სომხები. ორმხრივ ურთიერთობებში ამ წლების (ათწლეულების? საუკუნეების?) განმავლობაში, დეკლარირებული ძმობის მიუხედავად, ძალიან ბევრი ნეგატივი და უნდობლობა დაგროვდა. **ქართველებისა და სომხების ურთიერთობას გაჯანსაღება და გამოცოცხლება სჭირდება და ეკლესიების პრობლემის მოგვარება ამ კონტექსტში შეიძლება „კარგ დასაწყისად" იქცეს.**

**დიმიტრი მონიავა**



## პრიმაკოვი: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გადაუჭრელი პრობლემები მოგვარებადია

**რუსეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის, ევგენი პრიმაკოვის, განცხადებით, „საქართველოს დსთ-ში დაბრუნება ძალიან კარგი იქნებოდა, თუმცა ეს ხანგრძლივი პროცესია. ვფიქრობ, ჩვენ პატარა ნაბიჯებით უნდა ვიაროთ".**

რადიოსადგურ „Голос России"-სთან საუბრისას პრიმაკოვმა ასევე განაცხადა, რომ „რუსეთმა და საქართველომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით მწვავე პოლიტიკური პრობლემის გადასაწყვეტად პირობები უნდა შექმნან".

**„ჩვენ გვაქვს პრობლემები, რომლებიც სწრაფად არც ერთ მხარეს არ გვარდება. ჩვენ არ შეგვიძლია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე უარის თქმა, საქართველოს კი ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის აღიარება არ შეუძლია. ამ პირობებში საჭიროა, ერთმანეთისკენ პატარა ნაბიჯებით ვიაროთ, რათა ბოლოსდაბოლოს შევძლოთ პირობების შექმნა ძალიან ბევრი იმ ამოცანის გადასაწყვეტად, რომლებიც დღეს გადაუჭრელად გვეჩვენება",** — განაცხადა პრიმაკოვმა.

## ბედუკაძეს კვერცხები ესროლეს

**ციხის სკანდალური კადრების ავტორ ვლადიმერ ბედუკაძეს კვერცხები ესროლეს. ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ინფორმაციით, ინციდენტი წუხელ ღამით საზოგადოებრივ მაუწყებელთან მოხდა.** ბედუკაძე ტელეკომპანიას დავით პაიჭაძის გადაცემაში მონაწილეობის მიზნით სტუმრობდა. აღსანიშნავია, რომ ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახეს და ციხის კადრების ავტორმა საზოგადოებრივი მაუწყებელი სწორედ სამართალდამცველების დახმარებით დატოვა.

ბედუკაძე მომხდარს პროვოკაციად აფასებს.

## «მე ამაყი ვარ ჩემი პარტიით!»

**ის, რაც მოხდა საქართველოში ბოლო 8 წლის განმავლობაში და მათ შორის 1 ოქტომბერსაც, არის სწორედ ჩვენი დემოკრატიული გამოცდილების ძალიან დიდი ნაწილი, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

მისივე სიტყვებით, ის 8 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა გუნდს, რომელიც ცვლიდა და ამკვიდრებდა დემოკრატიულ ღირებულებებს, ათავისუფლებდა საზოგადოებას იმ მემკვიდრეობისგან, რომელიც მოდიოდა საბჭოთა წარსულიდან და ამკვიდრებდა იმ გაგებას, რომ მთავრობა უნდა ემსახურებოდეს ხალხს და არა პირიქით.

**„ის, რაც მოხდა საქართველოში ბოლო 8 წლის განმავლობაში და მათ შორის 1 ოქტომბერსაც, არის სწორედ ჩვენი დემოკრატიული გამოცდილების ძალიან დიდი ნაწილი. იმედი მაქვს, რომ მან არა მარტო ჩვენი ერი, არამედ მთელი რეგიონი შეცვალა. ეს ბედისწერა არ იყო, ეს იყო არჩევანი არა ქაოსსა და ტირანიას შორის, არამედ დემოკრატიასა და სხვა ტიპის ხელისუფლებას შორის. საქართველომ დაამტკიცა, რომ მას აქვს ერთი რადიკალური არჩევანი და ეს არის ევროპული გზა",** — დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა.



ნაც-ტერორი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„როცა ცემისგან გულწასულს წყალი დამასხეს, ხელები მქონდა შეკრული, იატაკზე ვეგდე და უამრავი პოლიციელი დაუნდობლად მირტყამდა. გონს რომ მოვედი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, აფერისტიაო, თქვა ჩემზე, შემაგინა, ამოიღო ბეისბოლის ჯოხი და ახლა ის დამცხო... ყველას მკვდარი ვეგონე. ალბათ, გონზე რომ არ მოვსულიყავი, ჩემს გვამსაც სადმე სახურავზე შეაგდებდნენ.“**

შაქრო ზურაშვილი:

# პატიმარი თუ იტყოდა, რომ კბილი სტკიოდა და ამოღება სურდა, კბილს მუშტებით ამოულებდნენ

**ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ამნისტიის შესახებ მიღებულმა კანონმა უამრავ უკანონო პატიმარს მისცა სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების საშუალება. ყოფილი პატიმრები დღეს ციხეში გატარებულ შემზარავ ისტორიებს იხსენებენ. ორი პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებული ბადრი ბიწაძის მძღოლი, შაქრო ზურაშვილი, 26 მაისის ღამეს, საპროტესტო აქციის დარბევისას ნინო ბურჯანაძის ავტომანქანის საჭესთან იჯდა. სწორედ ეს გახდა მისი დაპატიმრების მიზეზი. მიუხედავად იმისა, რომ ბრალი არ ულიარებია, სასამართლომ მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასტიკი ცემის შედეგად, შაქრო ზურაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად შერყეულია, მას ხერხემალი დაუზიანდა და ხელჯოხის გარეშე გადაადგილება უჭირს. მისი საქმე უკვე სტრასბურგის სასამართლოშია გაგზავნილი.**

**„საქართველო და მსოფლიოსთან“ პოლიტპატიმარი შაქრო ზურაშვილი 26 მაისის ღამეს და ციხეში გატარებულ პერიოდს იხსენებს.**



**«თუ რაიმეს გააპროტესტებდი ან იტყოდი, ვშიმშილობო, გაგიყვანდნენ აბანოში და ვიღაცის ნახმარ საპონს შეგაჭმევდნენ»**

— 26 მაისის ღამეს, საპროტესტო აქციაზე ნინო ბურჯანაძესთან ერთად ვიმყოფებოდი, როდესაც მოულოდნელად დარბევა დაიწყო. ქალბატონი ნინო მაინც არ ჯდებოდა მანქანაში, ამბობდა, სანამ მე აქ მხედავენ, თქვენც ვერაფერს დაგიშავებენო. თუმცა, მას შემდეგ რაც დაინახეს, რომ ნინო ბურჯანაძე ჩემს მანქანაში ჩაჯდა, ყველანაირი იერიში მოიტანეს ჩვენზე: გვესროდნენ რეზინისა და პლასტმასის ტყვიებს, ცრემლსადენ გაზს, ხელკეტებით ჩაგვიმტვრიეს მანქანის შუშები. საშინელება ხდებოდა, ფაქტობრივად, განწირულები ვიყავით, თუმცა იქიდან გამოღწევა მაინც შევძელით.

27 მაისი თენდებოდა, როცა დამაპატიმრეს. დაკავებისთანავე გადამიყვანეს პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც უკვე წინასწარ ჰქონდათ შემუშავებული ტექსტი, თითქოს მე მოვკალი პოლიციის ორი თანამშრომელი. ყველას ეუბნებოდნენ ჩემზე — ეს ის კაცია, ორი პოლიციელი რომ მოკლაო, რის შემდგაც ყველა დაუნდობლად მირტყამდა. პოლიციის სამმართველოს ეზო ნიღბიანებით იყო სავსე და ეზოშივე დაუნდობლად მცემეს, მცემდნენ იარაღით, ხელკეტით, ფეხით. ასე ამიყვანეს მეექვსე სართულზე. იქიდან მხოლოდ ერთი დეტალი მახსოვს, როცა ცემისგან გულწასულს წყალი დამასხეს, ხელები მქონდა შეკრული, იატაკზე ვეგდე და უამრავი პოლიციელი დაუნდობლად მირტყამდა. გონს რომ მოვედი, ერთ-ერთმა თანამშრომელმა, აფერისტიაო, თქვა ჩემზე, შემაგინა, ამოიღო ბეისბოლის ჯოხი და ახლა ის დამცხო. მეორედ რომ მოვედი გონზე, უკვე სასწრაფოს ექიმი ჰყავდათ გამოძახებული. ალბათ, შეეშინდათ, არ მოვმკვდარიყავი. ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ ხმა მესმოდა. ექიმმა თქვა, ისე აქვს ხელები გაშავებული, ამპუტაცია დასჭირდებაო. როგორც მერე გავიგე, ჩვენი დაცვის წევრებს დავუნახივარ, როცა სასწრაფო დახმარების მანქანას მივყავდი და ყველას მკვდარი ვეგონე. ალბათ, გონზე რომ არ მოვსულიყავი, ჩემს გვამსაც სადმე სახურავზე შეაგდებდნენ.

საავადმყოფოში ჩემი გაშვება არ უნდოდათ, მაგრამ სასწრაფოს ექიმმა არ დათმო და გადამიყვანეს ჩაფიძის საავადმყოფოში, თუმცა მეორე დღესვე სასწრაფოდ დამაბრუნეს პოლიციის სამმართველოში და იქ მაჩვენეს კადრი, რომელსაც იმ დღეებში ტელეკომპანიებიც აქტიურად ატრიალებდნენ ჩემ წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ზურაშვილმა მოკლა პოლიციის თანამშრომლები — ვლადიმერ მასნურაშვილი და ნოდარ ცხადაძეო. ამის მოსმენის დროს ისევ ცუდად გავხდი და წამალი ვითხოვე, რის შემდეგაც, ვიღაც ახალგაზრდა თანამშრომელმა, ორადმოკეცილი კომპიუტერის კაბელი აიღო და თავში ჩამარტყა, თან მეუბნებოდა, როცა კაცს კლავდი, მაშინ არ იყავი ცუდადო?! ვიძახდი, რაღაც გაუგებრობაა-მეთქი, მაგრამ არავინ მისმენდა.

**როდესაც კადრები მანახეს, ერთი სერიოზული შეცდომა დავუშვი, პოლიციის თანამშრომლებს ვუთხარი, ეს „ემელის ჯიპია“, ჩემი ავტომანქანა „ტოიოტა პრადოა“, ეს არ არის ჩემი მანქანა-მეთქი. წესით, ეს ყველაფერი სასამართლოზე უნდა მეთქვა, რადგან ამის მოსმენისთანავე შემიცვალეს ბრალდება. ახალი გეგმა შეიმუშავეს და ბრალი წამიყენეს, თითქოს მანქანით გადავუარე ვაკის რაიონის სოდის თანამშრომელს — ლევან ნინოშვილს.**

**სერიოზული ეჭვი მაქვს, რომ დაღუპული პოლიციელი ვლადიმერ მანსურაშვილი იმ ადგილზე არ დაღუპულა. ის უკვე გარდაცვლილი მოიყვანეს იქ. ალბათ, სიმართლე მალე გაირკვევა, — სად და რატომ მოკლეს. პრეზიდენტს ვითომ ყველაზე რომ გული შესტკივა, მთელი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გახსენებია ეს ბიჭი.**

**— უზენაესმა სასამართლომ საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა და 12 წელი მოგისაჯათ. რა მტკიცებულებები წარმოადგინა სასამართლომ თქვენ წინააღმდეგ?**

— არანაირი მტკიცებულებები არ ჰქონდათ ჩემ წინააღმდეგ. **საქმეში არსებობს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმადაც, ნინო ბურჯანაძის კორტეჟის მანქანების რაიმესთან ან ვინმესთან შეჯახება გამოირიცხა.** ამის შემდეგ დამიმატეს 353-ე მუხლი, წინააღმდეგობის გაწევა. არადა, არავისთვის არ გამიწევია წინააღმდეგობა. დამაბრალეს, თითქოს უწყება სახლში მომივიდა 27 მაისს და ხელიც მოვაწერე. არადა, ასეთი რამ არ მომხდარა. სოდის ორი თანამშრომელი გამოიყვანეს მოწმედ ჩემ წინააღმდეგ, ისინიც არეულ ჩვენებებს იძლეოდნენ, ერთი ამტკიცებდა, თითქოს ადამიანს მანქანის წინა ბორბლით გადავუარე, მეორე ამტკიცებდა უკანა ბორბლით გადაუარაო. უცნაური იყო დაზარალებულის ჩვენებაც, **ასე სასიკვდილოდ დამტვრეულმა კაცმა როგორ დაინახა და გაარჩია ღამით, ისეთ არეულობაში მანქანის ნომერი?** ამას გარდა, დაზარალებულის ტანისამოსიც არ გვაჩვენეს. მერე თქვეს, თითქოს ავსტრიაში წაიყვანეს სამკურნალოდ და **45 ათასი აშშ დოლარის საფასურად ბინის დაყადაღება სურდათ ჩემთვის, მაგრამ ქირით ვცხოვრობდი და ვერაფერი დამიყადაღეს.** გირაოც არ შემიფარდეს, იმ მოტივით, რომ მე სოდის თანამშრომელზე ზეწოლა არ მომეხდინა. იმ მთავრობას თუ ისეთი სოდი ჰყავდა, რომ ჩემნაირების ეშინოდათ, კარგად ყოფილა მათი საქმე. მაგრამ **ისეთი ნაცემი ვიყავი, არ სურდათ ეს ციხის გარეთ ვინმეს ენახა. თავად პატიმრებიც კი გაოცებულები იყვნენ, მთელი სხეული გაშავებული მქონდა.** საბოლოოდ, **მოსამართლე ზვიად ესებუამ 12 წელი იმისთვის მომისაჯა, რომ მათთვის სასურველი ჩვენება ვერ მიიღეს ჩემგან.**

**— კონკრეტულად რის აღიარებას მოითხოვდნენ თქვენგან?**

— პროკურორი პროკოფი ჭანკოტაძე პირდაპირ მეუბნებოდა, სასჯელის მაქსიმუმს მოგისჯითო. **მაიძულებდნენ, ნინო ბურჯანაძისთვის დამებრალებინა, თითქოს 26 მაისის ღამეს მან მითხრა, მე უნდა გამიყვანო აქედან და, თუ გინდა, ნებისმიერს გადაუარეო. როგორც ჩანს, ჩემი ჩვენების საფუძველზე ნინო ბურჯანაძის დაჭერა სურდათ, რადგან მის წინააღმდეგ რეალური სამხილები არ გააჩნდათ. როცა უარი ვთქვი, სხვა ვერსია შემომთავაზეს, უნდა მეთქვა, თითქოს საჭესთან მე კი არა, ნინო ბურჯანაძის უფროსი ვაჟი იჯდა. თუ დავთანხმდებოდი, მხოლოდ 4 წელს მომისჯიდნენ და პლუს ხუთ წელს პირობით.** არადა, ანზორ ბურჯანაძე იმ მანქანაში საერთოდ არ მჯდარა. ვინმე გრიგოლი შემოდიოდა, მკვლელობათა განყოფილებიდან, და ცდილობდა ანზორ ბურჯანაძისთვის დამედო ხელი. ის გველი უნდა იყოს ციხეში და შენ გარეთ უნდა იყოო, მეუბნებოდა. კიდევ ვიღაც **კოკაია** შემოდიოდა, მთავარი პროკურატურიდან, ის ცდილობდა, ქალბატონი ნინო დამედანაშაულებინა. ისიც შემომთავაზეს, ითანამშრომლე ჩვენთან და **სასჯელს გაგინახევრებთ, ოღონდ ვიღაცას დაადე ხელი, რომელიმე რუსეთის აგენტს, რომელიც ვითომ შეკრული იყო ბურჯანაძის პარტიასთანო. როცა ამაზეც არ დავთანხმდი, ჩემი ქალიშვილი აღსრულების ეროვნულ ბიუროში მუშაობდა და სამსახურიდან გაათავისუფლეს.** ორი ბიჭი მყავს: ერთი სტუდენტია, მეორე მეთორმეტეკლასელი და პროკურორი პროკოფი ჭანკვეტაძე პირდაპირ მემუქრებოდა, **შენს შვილებსაც ჩაუდებენ იარაღს ან ნარკოტიკს და დაიჭერენ, თუ ჩვენს პირობებს არ დათანხმდებიო.** ბოლოს ვუთხარი, დაიჭირეთ, რადგან მირჩევნია, ციხეში იყვნენ, ვიდრე გარეთ ვიღაცამ წამოაძახოს, მამათქვენი მკვლელიაო.

საგულისხმოა, რომ სანამ ფიზიკური დაზიანებები მქონდა, ექსპერტიზა არ ჩამიტარეს. არადა, ორი თვე მთელი სხეული გაშავებული მქონდა ცემისგან. მართალია „წითელი ჯვრის“ წარმომადგენელი შემოდიოდა ხოლმე სანახავად, მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. როგორც ჩანს, ისინი მხოლოდ თავიანთ უფროსებს წარუდგენდნენ ნანახის შესახებ ანგარიშებს.

დაცვის წევრებიდან სამი ისე შეაშინეს, რომ ჩემ წინააღმდეგ მისცეს ჩვენება. არადა, მე გავიყვანე აქციიდან უსაფრთხოდ. დღეს ბევრი თავს იმართლებს, შვილის ან მეუღლის ფოტო დამიდეს და დამემუქრნენო, მაგრამ ეს არ ამართლებს მათ ქმედებას. არც მე წავუყვანივარ რესტორანში საქეიფოდ, მეც ციხეში ვიჯექი, მაგრამ, **როცა სხვა ადამიანის ბედთან გაქვს საქმე, საკუთარი თავის გადასარჩენად უღირსად არ უნდა მოიქცე. მკვდარი ვეგონე ყველას, შვილების დაპატიმრებით მემუქრებოდნენ, მეტი რა ზეწოლა უნდა ყოფილიყო ჩემზე? ნინო ბურჯანაძეს არ შეშინებია და ქალმა როგორ უნდა მაჯობოს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ?!** გაუმართლებელია, რაც გააკეთა გენერალმა გია უჩავამ, მისი ჩვენების გამო ბადრი ბიწაძე ქვეყნიდან გაიქცა. ახლა კი ამბობს, რომ შემაშინეს და ჩვენება დამაწერინესო, მაგრამ, რომც მოკვდე, ასე არ უნდა მოიქცე! იმის გამო, რომ ჩემს შვილებს გაეხარათ, სხვისი შვილები გამემწარებინა? **მგონი ერთადერთი მე დავრჩი, ვისაც აღიარებითი ჩვენება არ მიუცია და ამის გამო 12 წელი მომისაჯეს.**

**— ციხეში როგორ გექცეოდნენ?**

— ციხეში ჩემ მიმართ უფრო ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, ცემას და წამებას რატომღაც ერიდებოდნენ, ვინაიდან ჩემთან შემოდიოდა ადვოკატი ნათა კორკოტაძე, სახალხო დამცველი, წითელი ჯვრის თანამშრომელი და ეშინოდათ, იცოდნენ, ჩემს უკან მაინც ბევრი ხალხი იდგა. **ერთადერთი კარანტინის დაშლის დროს მცემეს, რადგან მეუბნებოდნენ, შეაგინე ნინო ბურჯანაძესო და არ შევაგინე! ნინო ბურჯანაძეს კი არა, მათ ნათქვამზე მტერს არ შევაგინებდი. დავაკვირდი, სიამოვნებდათ, როცა ტკივილისგან ყვიროდა პატიმარი, ამიტომ ვცდილობდი, არ მეყვირა.**

ხორციელდებოდა ძლიერი ფსიქოლოგიური ზეწოლა. ღამე შუქების ჩაქრობის შემდეგ გავყავდი დაკითხვაზე და სულ ველოდებოდი, რომ მცემდნენ ან მაწამებდნენ. გამუდმებით მიზეზს ეძებდნენ, მაგალითად, შეამოწმებდნენ და თუ ოდნავ წვერი მქონდა გასაპარსი, ამის გამო კამერაში ხუთ პატიმარს თავს პარსავდნენ, რათა მერე ისინი დაეპირისპირებინათ ჩემთვის. **ფანჯარასთან მისვლაც კი აკრძალული გვქონდა, რადგან მე-8 საპყრობილის ფანჯრები პირდაპირ ციხის საავადმყოფოს უყურებდა, საიდანაც ლამის ყოველდღე მიცვალებულები გაჰყავდათ, კარანტინის დაშლის დროს კი ბევრი პატიმარი შეჰყავდათ საავადმყოფოში დასისხლიანებული და არ სურდათ, ეს ყველაფერი დაგვენახა.**

ერთხელ ფანჯარასთან დამინახეს. მოვიდა ოლეგ ფაცაცია რამდენიმე თანამშრომელთან ერთად და მკითხა, რატომ იდექი ფანჯარასთანო. გარეთ გასვლა აკრძალული გვაქვს, დაფანჯრიდან მაინც მინდა გავიხედო-მეთქი, ვუპასუხე. ჩემთვის არაფერი უთქვამს, აიღო მაგიდიდან სქელტანიანი წიგნი და ჩემ თვალწინ ხუთივე პატიმარს წიგნით სასტიკად სცემა. როცა შევეწინააღმდეგე, მე ვიდექი ფანჯარასთან და ამათ რატომ სცემ-მეთქი, ისევ არაფერი უთქვამს, ადგა და ხელმეორედ სცემა პატიმრებს. იძულებული გავხდი, გავჩუმებულიყავი.

**პატიმარი თუ იტყოდა, რომ კბილი სტკიოდა და ამოღება სურდა, გაიყვანდნენ აბანოში და კბილს მუშტებით ამოულებდნენ, შეიძლება თან ერთი-ორი საღი კბილიც მიეყოლებინათ. თუ რაიმეს გააპროტესტებდი და იტყოდი, ვშიმშილობო, გაგიყვანდნენ აბანოში და ვიღაცის ნახმარ საპონს გაჭმევდნენ. სხვათა შორის, 26 მაისის შემდეგ ციხეში პირობები კიდევ უფრო გაამკაცრეს. დღის განმავლობაში არათუ ძილის, დაწოლის უფლებაც არ გვქონდა.** ყველა გაზეთის წაკითხვის საშუალებაც არ გვქონდა, ხელისუფლებისადმი რადიკალურად განწყობილი პრესა ციხეში აკრძალული იყო. რადიო „მაესტროს“ მოსმენის უფლებასაც არ გვაძლევდნენ, ვისაც წაასწრებდნენ, რადიოს უმტვრევდნენ. ერთი კაცი თუ დააშავებდა რამეს, მთელ საკანს სცემდნენ.

კარანტინში 6-კაციან ოთახში 22-25 კაცი იყო მოთავსებული, 8 დღე ასეთ პირობებში გავატარე და, მიუხედავად იმისა, რომ ტვინის შერყევა მქონდა, ჩემთვის უბრალო ტკივილგამაყუჩებელიც კი არ მოუციათ.

**— თქვენ განაჩენი სტრასბურგში გაასაჩივრეთ. როგორც ცნობილია, იმ პატიმრების მიმართ, რომლებიც სიმართლის დადგენას ევროსასამართლოში ცდილობდნენ, ციხის ადმინისტრაცია განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა.**

— დიახ, ასე იყო, მაგრამ მე მაინც ერთადერთი სტრასბურგის სასამართლოს იმედი მქონდა. ჩემი საქმე „საიამ“ გააგზავნა ევროსასამართლოში და სიმართლეს მალე ყველა შეიტყობს, ბევრს დღესაც ორი პოლიციელის მკვლელი მძღოლი ვგონივარ.

**სასტიკი წინააღმდეგი ვარ, ახლა რომ საუბრობენ ზოგიერთები თანამდებობრივ ამნისტიაზე. ქალბატონ ეკა ბესელიას ვუთხარი კიდეც, დამაინვალიდეს, მათი წყალობით ავიღე ჯოხი ხელში, თქვენ რომ პატიობთ, მე ვპატიობ, არ მეკითხებით-მეთქი?! მოკლე პასუხი გამცა, ყველანი დაისჯებიანო. პროკურორმა პროკოფი ჭანკვეტაძემ აუცილებლად უნდა აგოს პასუხი! რაც ჩაიდინეს, არ უნდა შერჩეთ.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

„მძღოლმა გვითხრა, ამ ტომრებით კარტოფილსა და ნიორს ვეზიდები ბაზარშიო, თურმე ეს ტომრები კუდის სამ თანამშრომელს ეყარა თავზე, მარშრუტკის დაქოქვის შემდეგ ხუთი წუთი არ იყო გასული, რომ საპატრულო მანქანამ გზა გადაგვიკეტა, ფაქტობრივად, გათვლილი იყო ყველაფერი — კუდის თანამშრომლებმაც ამოყვეს თავი და ჩაგვცხრილეს იქვე, მიკროავტობუსში სამივე...“





# კობა ოთანაძე: ეს იყო ლიკვიდაცია, სპეცრაზმის მხრიდან აყვანის მცდელობაც არ ყოფილა

**მუხროვანის ამბოხებაში ბრალდებული კობა ოთანაძე, რომელსაც 30-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ერთი კვირაა, რაც გათავისუფლდა. პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული თადარიგის პოლკოვნიკი კობა ოთანაძე აცახადებს, რომ სააკაშვილმა მისგან მტრის ხატი შექმნა და მოაწყო მოდელირებული ამბოხის ინსცენირება.**

— ღამით ციხეში შემოდიოდა პროკურორი გრიგალაშვილი და გვეუბნებოდა, გვეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაგვიდენია. გვეუბნებოდნენ: თუ აღიარებთ „ამბოხს“, მაშინ ცოტა სასჯელს მოგცემთო, თუ არ აღიარებთ, ციხეში ამოგხდით სულსო. ვინც აღიარეს, მათ 4 ან 5 წელი მიუსაჯეს, ხოლო მე — 29 წელი (თუ ვაღიარებდი, 10 წელს მომისჯიდნენ).

**— ბატონო კობა, თქვენ დაპატიმრებული იყავით სახელმწიფო ამბოხისა და გადატრიალების ბრალდებით, რა მოხდა რეალურად მუხროვანის ბატალიონში?**

— არც არაფერი. მაშინ არეულობა იყო მთელ საქართველოში, კარვების ქალაქად იყო ქცეული თბილისი, მე არაფერში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ დაიდგა სპექტაკლი ისე, როგორც დაიდგა. ეს პროვოკაცია, ანუ ე. წ. მუხროვანის ამბოხი წინასწარ იყო დაგეგმილი... მაშინდელ ხელისუფლებას სურდა შეიარაღებული ძალების ჩართვა მიტინგების დარბევაში, როგორც 2007 წელს გამოიყვანა მიშამ ჯარი ხალხის წინააღმდეგ, ისე უნდოდა 2009 წლის მაისშიც. ამ დროს ცხონებული გია კრიალაშვილი ახალი ჩამოსული იყო უკრაინიდან და მასთან ავედი სანახავად. ამ დროს ლევან ამირიძემ გამოგვიარა მე და გიას, გვითხრა, რომ აპირებდა გორგიაშვილთან ერთად განცხადების გაკეთებას — მათ სურდათ, უკმაყოფილება გამოეთქვათ იმდრონდელი ხელისუფლების მიმართ. პროტესტის გამოთქმის შემდეგ კი აპირებდნენ თანამდებობიდან გადადგომას. ჩვენ ვუთხარით, ისეთი რამ არ მოხდეს, ვიღაცამ რამე არ დაგვაბრალოს-თქო, რადგან ამის რეალური საშიშროება არსებობდა...

**— ანუ რაღაც წინაპირობა იმისა, რომ ამირიძისთვის რაღაც დაებრალებინათ, არსებობდა?**

— არსებობდა, იქიდან გამომდინარე, რომ ამირიძის შტაბის უფროსი და თანამშრომელი აიყვანეს და არსებობდა ინფორმაცია, რომ მასაც დააკავებდნენ.

მე და გიამ ლევან ამირიძე ავიყვანეთ მუხროვანში, ყოველივე ეს ცნობილი გახდა ხელისუფლების ზედა ეშელონებისთვის და მოაწყვეს ის, რაც მოაწყეს.

**— კონკრეტულად რეინჯერების ბატალიონს თუ ჰქონდა მიტინგის დარბევის ბრძანება?**

— ალბათ, გახსოვთ, როდესაც ხალხს უნდოდა გომბორის გადაკეტვა, რეინჯერების ბატალიონმა მიიღო სიტყვიერი ბრძანება მათ დასარბევად. გარდა ამისა, უნდოდა აღლუმის ჩატარება, ხომ იცით, მიშას რომ უყვარს აღლუმები! წინა წელს, აგვისტოს ომში რეინჯერების ბატალიონმა 26 ჯარისკაცი დაკარგა, ბევრმა ოჯახი და სახლი დაკარგა... ამიტომაც მათ არ სურდათ ამ აღლუმში მონაწილეობა...

**— ამის შემდეგ რა მოხდა?**

— ხელისუფლებამ ჩვენი ლიკვიდაციის სიტყვიერი ბრძანება გასცა. ჩვენ ეს ვიცოდით და ამიტომაც ვაპირებდით ქვეყნის დატოვებას, არც ვიცოდით, სად წავსულიყავით, ოღონდაც გავცლოდით კი საქართველოს. ამ დროს თითქმის ყველა ჩვენი ნათესავი დააპატიმრეს — ჩემი ძმა დაიჭირეს, მას ხელი მოსტეხეს და პოლიციისთვის წინააღმდეგობის ბრალდებით ჩასვეს ციხეში, აიყვანეს ასევე ჩემი დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ჩვილბავშვიანი ქალი... ჩემი თითქმის ყველა ნათესავი აიყვანეს.

**— სპეცნაზისთვის როგორ გახდა ცნობილი, რომ თქვენ ქვეყნიდან გადიოდით?**

— ტელეფონის საშუალებით რამდენიმე მესიჯი მოგვივიდა, რომ მოვიდოდა ჩვენ მიერ დაბარებული მძღოლი და მანქანით გაგვიყვანდა. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი მესიჯებით ადგილმდებარეობა გაიშიფრა. ველოდებოდით მანქანას, რომელიც გაგვიყვანდა. ჩვენ ვიმყოფებოდით გლდანში მამკოდის ტყეში, მოვიდა მიკროავტობუსი, დღემდე არ ვიცი, ვინ იყო მძღოლი, ალბათ, სასამართლო დაადგენს. მიკროავტობუსში უკან ტომრები ეყარა, მძღოლმა გვითხრა, ამ ტომრებით კარტოფილს და ნიორს ვეზიდები ბაზარშიო, თურმე ეს ტომრები კუდის სამ თანამშრომელს ეყარა თავზე, მარშრუტკის დაქოქვის შემდეგ ხუთი წუთი არ იყო გასული, რომ საპატრულო მანქანამ გზა გადაგვიკეტა, ფაქტობრივად, გათვლილი იყო ყველაფერი და კუდის თანამშრომლებმაც ამოყვეს თავი და იქვე, მიკროავტობუსში, ჩაგვცხრილეს სამივე... **გია კრიალაშვილი ადგილზე გარდაიცვალა, მე ცხრა ტყვია მომხვდა და მძიმედ ვიყავი დაჭრილი, ამირიძეს კი 7 ტყვია მოხვდა.. ეს იყო ლიკვიდაცია, სპეცრაზმის მხრიდან აყვანის მცდელობაც არ ყოფილა.**



გია კრიალაშვილი



ლევან ამირიძე

**«გია კრიალაშვილის, ლევან ამირიძისა და ჩემს ჩაცხრილვას ესწრებოდნენ ვანო მერაბიშვილი, გივი თარგამაძე და გიგი უგულავა...»**

**— თუ გახსოვთ, ამის შემდეგ რა მოხდა?**

— ჯერ აპირებდნენ ჩემს მორგში წაყვანას, შემდეგ რომ გავინძერი და ცოცხალი აღმოვჩნდი, გადმომაგდეს მარშრუტკიდან და ხელები და ფეხები დამიცხრილეს ხელახლა.

**— რომ არ გაქცეულიყავით?**

— გაქცევა სად შემეძლო, ფეხზე ვერ ვდგებოდი. მოკვლა უნდოდათ, მაგრამ ველარ გაბედეს, რადგან ძალიან ბევრი ხალხი შეგროვდა, ადგილობრივი მოსახლეობა. მძიმედ დაჭრილები წაგვიყვანეს ღუდუშაურის საავადმყოფოში, სადაც გაგვიკეთეს ოპერაცია, მადლობა მინდა გადავუხადო ღუდუშაურის საავადმყოფოს ექიმებს, ალბათ, ციხის საავადმყოფოში ვერ გადავრჩებოდით.

**— სპეცოპერაციას თუ ესწრებოდა რომელიმე მაღალჩინოსანი, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელი?**

— ჩემს ჩაცხრილვას ესწრებოდნენ ვანო მერაბიშვილი, გიგი უგულავა და გივი თარგამაძე, საავადმყოფოში, დავინახე, ბოკერიაც მოვიდა.

**— რა მოხდა საავადმყოფოში? გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ აღიარებითი ჩვენებისთვის ხელის მოწერას გთხოვდნენ.**

— საავადმყოფოში ჯერ გონზე არ ვიყავი, მერე „რეზბალნიცაზე“ მომიტანეს ფურცელი, სხვადასხვა ზომის ასოებით დაბეჭდილი: დიდი, პატარა, საშუალო, წამიკითხეს და მთხოვდნენ აღიარებას.

**— რის აღიარებას?**

— რომ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალებას და ამბოხის მოწყობას. უნდოდათ ამის ტელევიზიით ჩვენება.

**— ანუ ზეწოლა თქვენზე საავადმყოფოშივე განხორციელდა?**

— კი, იყო მუქარა: თუ არ მოაწერ ხელს, ხალხმა იცის, რომ მძიმედ ხარ დაჭრილი და სიკვდილს გაგიჩალიჩებთო.

**— მერე ვერ გაბედეს?**

— ყველაფერიც გაბედეს, მაგრამ ღმერთმა გადამარჩინა. უბრალოდ, ჩემი გადარჩენის შანსი იყო მინიმალური, ამიტომ გაჩერდნენ, მაინც მოკვდებაო, მაგრამ გადავრჩი... ღამით შემოდიოდა პროკურორი გრიგალაშვილი და ითხოვდა, გვეღიარებინა დანაშაული, რომელიც არ ჩაგვიდენია. იყო სხვადასხვაგვარი ზეწოლა როგორც ფსიქოლოგიური, ასევე ფიზიკურიც.

**— თქვენს სასამართლოზე საუბარი იყო იმაზე, რომ რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი იყავით, რომ გადატრიალებისთვის რუსეთმა დაგაფინანსათ და რომ ეს თანხა თვითმფრინავით უნდა ჩამოეტანათ?**

— ეს არის ზღაპარი, რომ თვითმფრინავი გადმოფრინდებოდა და ფულს ჩამოგვიტანდა. საბანკო გადარიცხვები რისთვის არსებობს? ეს რომ აბსურდი და სასამართლოზე დადგმული სპექტაკლი იყო, ყველა მიხვდა. ღვალაძემ ასეთ ზღაპრებს რომ მოაწერა ხელი, იმიტომაც მიუსაჯეს მას ორი წელი და მერე შეწყალებით გაათავისუფლეს. გია ღვალაძეს 4 კუდის თანამშრომელი ჩაუნერგეს და მათ ათქმევინეს, თითქოს ღვალაძე როგორ მელაპარაკა ამბოხებაზე. ღვალაძე ჩემთან მხოლოდ სატელეფონო მოკითხვის დონეზე საუბრობდა, **არავითარი სატელეფონო ჩანაწერი და რაიმე ხელჩასაჭიდი მტკიცებულება მათ არ ჰქონდათ. იარაღი საერთოდ არ მქონია. რომც მქონოდა, 3 კაცი ვიყავით ამბოხებაში ბრალდებული და შეიძლებოდა 3 კაცს მოეწყო ამბოხება?** ვიღაცის კაბინეტში ამოიღეს მათ მიერვე ჩადებული იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერება. ვისთვის უნდა მესროლა იარაღი ან რად მინდოდა?

**— საქართველოდან რომ გადიოდით, არც მაშინ გქონიათ იარაღი?**

— არა, უიარაღო ვიყავით. რად გვინდოდა იარაღი ან ვისთვის უნდა გვესროლა?

**— რატომ სანდო ადამიანები არ მონახეთ, რომ ქვეყნიდან გასულიყავით?**

— ალბათ, გადაღლილები ვიყავით, ორი კვირა ტყეში გავატარეთ, არ ველოდით, რომ ესენი ასე გაგვიმეტებდნენ.

**— იყო თუ არა შეწყალებაზე საუბარი? პრეზიდენტმა ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ მან შეწყალება შემოგთავაზათ, თქვენ კი უარი განაცხადეთ და უთხარით, რომ მოვა ბიძინა და გამათავისუფლებსო...**

— შეწყალებაზე იყო საუბარი, მაგრამ უარი ვუთხარი, ამათი შეწყალება რად მინდოდა! მეგობარი მომიკლეს და ასეთ დღეში ჩამაგდეს, გია კრიაშვილი სულ უდანაშაულოდ შეიწირეს.. მიშა ბევრ რამეში ტყუის. მჯეროდა, მოვიდოდა დრო და ეს ტირანი ხელისუფლება წავიდოდა.. მე კი ვიცოდი, რომ ღმერთის წყალობით გავთავისუფლდებოდი, მადლობა მინდა გადავუხადო ბიძინა ივანიშვილს, რომ მიშა და ის ბოროტი ხელისუფლება მოაშორა ქვეყანას, ეგ რომ არა, კიდევ კარგახანს ვიჯდებოდი ციხეში. ბიძინა ივანიშვილმა სხვა არაფერიც რომ არ გააკეთოს, ესეც ეყოფა დამსახურებისთვის.

**— სასამართლო პროცესების დროს იყენებდით დუმილის უფლებას, რატომ?**

— რა აზრი ჰქონდა ლაპარაკს? გინდ მელაპარაკა და გინდ არა, მაინც 30 წელი უნდა მოესაჯათ. ყველაფერი დაგეგმილი იყო. სასამართლო იყო ფარსი და სპექტაკლი. უბრალოდ, ერთ დღეში ხომ არ დაამთავრებდნენ სასამართლო პროცესს და ამიტომ გრძელდებოდა.

**— თქვენი აზრით, რისთვის სჭირდებოდა მუხროვანის ე. წ. ამბოხის ინსცენირება სააკაშვილის ხელისუფლებას?**

— პირველ რიგში, ჯარის დასაშინებლად. იმ პერიოდში 200 ოფიცერი დაითხოვეს სამსახურიდან, ისინი, ვინც, მათი აზრით, არალოიალური იყო. ფაქტობრივად, ყველა მათდამი არალოიალური კადრი ჯარიდან დაითხოვეს. სააკაშვილს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევდა ამბოხის ინსცენირება, ხალხმა კი არ დაიჯერა, მაგრამ ესენი ხომ მოდელირებულად აკეთებდნენ ყველაფერს! მოდელირებული ამბოხი, მოდელირებული ქრონიკა და ა. შ. მთელი 9 წელი მოდელირებულად აცხოვრა სააკაშვილმა ქართველი ერი.

**— თუ შეგიძლიათ გვითხრათ ცოტა რამ საპატიმროში ყოფნის შესახებ?**

— მე დახურულ დაწესებულებაში ვიხდიდი სასჯელს, იმიტომ, რომ ხელისუფლება საშიშ დამნაშავედ მთვლიდა. ჩვენთან ერთად სასჯელს იხდიდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანებიც, რომლებიც პოლიტპატიმრებად არ არიან აღიარებულნი. **ძალიან ბევრი უკანონო პატიმარია დახურულ ზონაში, 1500-მდე პატიმრიდან 80 პროცენტი დაუმსახურებლად იხდის სასჯელს. თან პატიმრების უმრავლესობას სასჯელი გაორმაგებული აქვს.**

**— რა მიზეზით?**

— სასჯელს უორმაგებენ მაშინ, როცა ფული არ მიაქვთ, მიდგომა იყო ისეთი, რომ, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაეჭირათ. სააკაშვილის ხელისუფლება მოსვლის დღიდან კრიმინალური იყო, ის ამბოხის გზით მოვიდა ხელისუფლებაში. Kკორუფცია არ იყო ის, რომ ამდენ ადამიანს წაართვეს ფული? ჯერ დაიჭერდნენ, ფულს წაართმევდნენ და გამოუშვებდნენ, ოჯახი არ არსებობს, რომ პატიმარი არ ჰყავდეს, ალბათ 37-ში არ იყო ასე, რაც სააკაშვილმა გააკეთა. საქართველოდან მილიონ-ნახევარი კაცია გაქცეული, მან შექმნა ისეთი ტერორი ქვეყანაში, როგორიც არც ერთ დამპყრობელს არ განუხორციელებია — არც ჯალალ-ედინს და არც მურვანყრუს.

**— რას იტყვით გია კრიალაშვილზე?**

— ვფიქრობ, გამოვლინდებიან მისი მკვლელები და დაისჯებიან, ჩვენ წინააღმდეგ სპეოცოპერაციას ასეულობით ადამიანი ესწრებოდა და ყველაფერი გაირკვევა, ვიღაცა ხომ იტყვის სიმართლეს?!..

ესაუბრა **ეთერ ბალაძე**

ვაი ქვეყნისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ხალხი ბიძინა ივანიშვილისგან კვლავ ერთსულოვნად მოითხოვს მთავარი დანაპირების ასრულებას — სამართლიანობის აღდგენას ქვეყანაში. სამართლიანობა კი მანამდე ვერ აღდგება, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის" ყველა დამნაშავე წევრი სამართლიანი სასამართლოს წინაშე არ წარსდგება. ამდენად, საყოველთაო პატიებაზე ლაპარაკიც კი უაზრობაა."

# რა დაუბარა ვანო მერაბიშვილმა თავის ერთგულ პოლიციელებს?

**„საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება „სახალხო კრების" ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ამირეჯიბი.**

## ლაშა ამირეჯიბი: რა უფლება აქვს დავით უსუფაშვილს, მთელი ქართველი ხალხის მაგიერ აპატიოს «ნაციონალური მოძრაობის» კლანს ათასგვარი დანაშაული?!



**— ლაშა, რას იტყვით „ქართული ოცნების" ზოგიერთი საპარლამენტო ლიდერის ინიციატივაზე — „ნაციონალური მოძრაობის" წევრებსა და ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკებს, რომელთაც მძიმე დანაშაული არ ჩაუდენიათ, სხვა სახის დანაშაული ვაპატიოთ, მივუტევოთ და ეს კანონითაც გავამყაროთო?**

— პირველად ეს იდეა დავით უსუფაშვილმა გაახმაურა და მას „ქართულ ოცნებაში" ბევრი მხარდამჭერიც ჰყავს. ამის გაკეთება იმისთვის სჭირდებათ, რომ „ნაციონალებთან" კოაბიტაციის რეჟიმში იყვნენ. ისე, „ქართული ოცნების" არაერთი ლიდერი არჩევნებამდეც და დღესაც კოაბიტირებულია „ნაციონალური მოძრაობის" ზოგიერთ წევრთან. როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, მისი უმთავრესი დაპირება ის იყო, რომ ქვეყანაში სამართლიანობას აღადგენდა. წინასაარჩევნოდ ამას იმეორებდნენ მისი კოალიციის ის ლიდერები, დღეს რომ პარლამენტში სხედან. როგორც მახსოვს, უსუფაშვილი და ამ „პატიების იდეის" მხარდამჭერები აცხადებენ, იმათ ვაპატიოთ, ვისაც მკვლელობა არ ჩაუდენიათ და ხალხი არ უწამებიათო. მორწმუნე ადამიანი ვარ და მიტევების საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს, მაგრამ მე შემიძლია მივუტევო მას, ვინც მე რაიმე დამიშავა. **რა უფლება აქვს თუნდაც პარლამენტის თავმჯდომარესა და ხალხის მიერ არჩეულ დავით უსუფაშვილს, მთელი ქართველი ხალხის მაგიერ აპატიოს „ნაციონალური მოძრაობის" კლანს ათასგვარი დანაშაული?!** მარტო მკვლელობები და ხალხის წამება იყო? უამრავ ადამიანს წამალი და იარაღი ჩაუდეს და საკმაოდ დიდი ვადით გაუშვეს ციხეში, ზოგს იმავე წამლის ჩადების მუქარით, ბიზნესს ვინღა ჩივის, საცხოვრებელი წაართვეს და ქუჩაში დატოვეს, ათასობით ადამიანი შანტაჟით, დაშინებით გააუბედურეს და ლამის მონებად აქციეს, მიტინგების დაშლისას ხალხი ისე სცემეს, რომ დაახეიბრეს — ამის ჩამდენმა ადამიანებმა პასუხი უნდა აგონ! როგორ შეიძლება, აპატიო გიორგი ბარამიძეს აფრასიძეების ოჯახის წევრების ჩახოცვა, როლანდ ახალაიას — მთელი სამეგრელოს დატერორება, ხალხისთვის ქონების წაგლეჯა და უდანაშაულო ადამიანების ციხეში გაშვება?! დავით საყვარელიძის კისერზეც ბევრი უდანაშაულო პატიმარია და ამ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ამ ხალხს უნდა მოეკითხოს თავიანთი ცოდვები და კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი, იმის მიუხედავად, ვინ დეპუტატია დღეს და ვინ ყოფილი ძალოვანი. თუ პატიებაა, მაშინ იმ ხალხმა უნდა აპატიოს, რომელიც დაზარალდა, ვინც ტყუილად იჯდა ციხეში და ვინც „ნაციონალებმა" გააუბედურეს. „მპატიებელმა პოლიტიკოსებმა" ჰკითხონ ამ ხალხს, თუნდაც რეფერენდუმის ან სხვა გზით, თანახმანი არიან, რომ მიუტევონ დანაშაული „ნაციონალურ მოძრაობას" და, თუ ხალხი თანახმა იქნება, მაშინ ხალხის ნება უნდა აღსრულდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა დაეხსნან ამ თემას და თავიანთი საქმე აკეთონ. რამდენადაც ვიცი, ხალხი ბიძინა ივანიშვილისგან კვლავ ერთსულოვნად მოითხოვს მთავარი დანაპირების ასრულებას — სამართლიანობის აღდგენას ქვეყანაში. სამართლიანობა კი მანამდე ვერ აღდგება, ვიდრე „ნაციონალური მოძრაობის" ყველა დამნაშავე წევრი სამართლიანი სასამართლოს წინაშე არ წარსდგება. ამდენად, საყოველთაო პატიებაზე ლაპარაკიც კი უაზრობაა.

თუ უფრო მასშტაბურად შევხედავთ ამ საკითხს, ეს იდეა დასავლეთის, ამერიკელების შემოგდებულია. დასავლეთმა უამრავი ფული და ადამიანური რესურსი დაახარჯა „ნაციონალურ მოძრაობას", მაგრამ ამ პარტიამ მათი იმედები ბოლომდე ვერ გაამართლა, ბოლომდე ვერ მოახერხა ქვეყნის დანგრევა. ამიტომ ახლა ცდილობენ, რაღაც დონეზე შეინარჩუნონ „ნაცმოძრაობის" ნარჩენები და მერე მათ ხელისუფლებაში დაბრუნებას შეუწყონ ხელი, რათა საბოლოოდ დააქციონ საქართველო. აი, ამისთვისაა გამოგონილი ეს კოაბიტაციაც და პატიების იდეაც. დამნაშავეებს განაჩენი ქართველმა ხალხმა — სამართლიანმა სასამართლომ უნდა გამოუტანოს და არა მათმა მფარველმა უცხოელებმა.



**«ქართული ოცნების» არაერთი ლიდერი არჩევნებამდეც და დღესაც კოაბიტირებულია «ნაციონალური მოძრაობის» ზოგიერთ წევრთან»**

**— ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა საკადრო დეფიციტია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ სახელისუფლო სტრუქტურებში ვერ ელევიან ძველ კადრებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი და მათი დანაშაულებრივი საქმიანობის დამადასტურებელი უამრავი მასალაა მედიით გავრცელებული. მართლა ასე მძიმედაა საქმე ქვეყანაში კადრების მხრივ?**

— მითი, თითქოს ქვეყანაში საკადრო დეფიციტია, ბატონ გია ხუხაშვილს ეკუთვნის. ამ პიროვნების შესახებ, თუ შეიძლება, ჩემს აზრს ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი კადრებს მივხედოთ. **კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ნამდვილად არ არის ქვეყანაში.** გაიხსენეთ, თუნდაც „ქართულ ოცნებაში" შემავალი პოლიტიკოსების ძველი საჯარო განცხადებები — ამ ხალხისგან ლამის ყოველდღიურად გვესმოდა, რომ სააკაშვილის რეჟიმმა პროფესიონალი კადრები უკანონოდ გამოყარა სახელმწიფო სტრუქტურებიდან და ათიათასობით ადამიანი დატოვა სამსახურის გარეშეო. კი, ეს მართლაც ასე იყო, „ნაციონალებმა" უამრავი პროფესიონალი დაითხოვეს, თან ყველა სფეროდან და უცოდინარ, გამოუცდელ ხალხს გაუკაფეს კარიერისკენ გზა. მაინტერესებს, ახლა სად არიან ის კვალიფიციური, უმუშევარი კადრები? ისინი სახლებში სხედან და, თუ მოინდომებენ, იპოვიან. გია ხუხაშვილს კი ამ „საკადრო დეფიციტის" შექმნა იმიტომ სურს, რომ საკუთარ კადრებს გაუწიოს ლობირება, თავისი ხალხი დაასაქმოს ყველა სფეროში და ამას წარმატებით ახერხებს.

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი აცხადებს, სულ 373 პროკურორი მყავს, კადრებში მიჭირს და იძულებული ვარ, ძველ პროკურორებს დავეყრდნოო. **ზურაბ ადეიშვილმა უამრავი პროკურორი დაითხოვა თავის დროზე, მათმა უმრავლესობამ უარი თქვა მისი ბინძური დავალებების შესრულებაზე და ამიტომ მოიშორა. ის ხალხი სად არის? გაქრა? დაუძახონ და დაასაქმონ! ანდა ბოლო 10 წლის მანძილზე რამდენიმე ათეულმა ახალგაზრდამ მაინც ხომ დაამთავრა წარჩინებით იურიდიული ფაკულტეტი? ჩაატარონ კონკურსი და დაასაქმონ ეს ხალხი, მისცენ შანსი.** მთლად რაიონის პროკურორებად ნუ დანიშნავს მათ კბილაშვილი, მაგრამ ახალი სისხლი ხომ სჭირდება მის უწყებას და უკეთესს რას გააკეთებს პროკურატურის საკადრო გადახალისებისთვის? რა ხდება, იცით, პროკურატურაში? უამრავი უკანონო პატიმარი ითხოვს რეაბილიტაციას, მათ თავიანთი შეთითხნილი საქმეების ხელახლა გამოძიების მოთხოვნით პროკურატურაში განცხადებები აქვთ შეტანილი და მათ ამ განცხადებებს ის პროკურორები განიხილავენ, რომლებმაც თავის დროზე ეს საქმეები შეთითხნეს, ანუ პროკურორებმა უნდა დაუმტკიცონ თავიანთ თავს, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს და უდანაშაულო ადამიანები ციხეებში გაუშვეს. მითხარით ახლა, რომელი ჭკუათმყოფელი პროკურორი გააკეთებს ამას?

**ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილეს, შალვა ჯანაშვილს, ერთ-ერთი მსხვილი დეპარტამენტის უფროსად უპირებენ დანიშვნას. ეს ის ჯანაშვილია, 26 მაისის სისხლიანი აქცია რომ დაგეგმა და „უნაკლოდაც" შეასრულა. მარტო ეს კმარა, რომ ჯანაშვილს საერთოდ აეკრძალოს სახელმწიფო სისტემაში მუშაობა და, წესით, ეს კაცი მკაცრადაც უნდა დაისაჯოს. ამის ნაცვლად კი ირაკლი ღარიბაშვილი მას დაწინაურებას უპირებს. ამავე უწყებაში არის ერთი პიროვნება, შაინიძე, რომელსაც, ჩემი ინფორმაციით, მრავალი უკანონობა აქვს ჩადენილი და მის დაწინაურებასაც აპირებს ღარიბაშვილი. ეს უკვე საკადრო** ▶

**«აგვისტოს ომი როცა დასრულდა, მერე მისცა ამერიკამ მილიარდები მიხეილ სააკაშვილს და ეს ფული ქვეყანას არ მოხმარებია, სააკაშვილმა და მისმა კლანმა «აითვისა» — ამერიკა საქართველოს კი არა, სააკაშვილსა და «ნაციონალურ მოძრაობას» დაეხმარა»**

ვაი ჭკუისაგან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## „ვანო მერაბიშვილის ყოფილ მოადგილეს, შალვა ჯანაშვილს, ერთ-ერთი მსხვილი დეპარტამენტის უფროსად უპირებენ დანიშვნას. ეს ის ჯანაშვილია, 26 მაისის სისხლიანი აქცია რომ დაგეგმა და „უნაკლოდაც“ შეასრულა. მარტო ეს კმარა, რომ ჯანაშვილს საერთოდ აეკრძალოს სახელმწიფო სისტემაში მუშაობა და, წესით, ეს კაცი მკაცრადაც უნდა დაისაჯოს. ამის ნაცვლად კი ირაკლი ღარიბაშვილი მას დაწინაურებას უპირებს.“

**◀ დეფიციტი კი არა, ხალხის აბუჩად აგდებაა. ხალხმა „ქართულ ოცნებას“ იმიტომ მისცა ხმა, რომ ჯანაშვილებისთანა ჩინოვნიკები დასჯილიყვნენ** და არა იმიტომ, რომ ახალი ხელისუფლების პირობებშიც საკვანძო პოსტები დაეკავებინათ. იმის რეალური საფრთხეც არსებობს, რომ „ნაციონალთა“ ლიდერებმა, თავიანთი პოლიტიკური ბოსების დაკვეთით, როცა მათ ეს დასჭირდებათ, საბოტაჟი მოაწყონ ძალოვან უწყებებში და ეს რა შედეგსაც მოუტანს მმართველ გუნდს, თავად გათვალონ. **მე მაქვს ინფორმაცია და ამას ექსკლუზიურად გიმხელთ: ვანო მერაბიშვილმა თავის ერთგულ პოლიციელებს დაუბარა, რომ რაც შეიძლება მკაცრად და უსამართლოდ მოეპყრან ხალხს, კანონის დარღვევის ზღვარზე იმუშაონ, რათა ხალხს აფიქრებინონ, „მერაბიშვილის პოლიცია“ დღევანდელზე უკეთესი იყოო.** ამას მერაბიშვილის ერთგული პოლიციელები განსაკუთრებული წარმატებით რაიონებში აკეთებენ და, სამწუხაროდ, სამინისტროს ხელმძღვანელები ამ ფაქტებზე არ რეაგირებენ.

გია ხუხაშვილს რაც შეეხება, ეს კაცი ძალიან ბევრს იღებს თავის თავზე. ამასწინათ განაცხადა, ჩემთან მოდიან ბიზნესმენები და თავიანთ გასაჭირზე მიამბობენ, თუ რა მძიმე დღეში იყვნენ „ნაციონალების“ დროს, როგორ აწერდნენ მათ ფულს და მე ამ მასალებს გადავცემ პროკურატურასო. გია ხუხაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელია, თანაც პოლიტიკური პროფილის არასამთავრობოსი და მას ბიზნესთან შეხება არ აქვს. მაინტერესებს, რატომ ითავსებს ადვოკატის ფუნქციებს ხუხაშვილი, ის ბიზნესმენები, აღსარებას მას რომ აბარებენ, პროკურატურაში რატომ არ მიდიან და იქ არ უყვებიან პროკურორებს იმ უკანონობის შესახებ, რასაც წლების მანძილზე განიცდიდნენ?

**— ფაქტია, რომ ბიზნესმენთა უმრავლესობა მართლა მიდის გია ხუხაშვილთან დახმარების სათხოვნელად. ალბათ, იმიტომ, რომ მას ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილის მრჩევლის პოსტი ეჭირა...**

— კი, მაგრამ დღეს მას ივანიშვილის კარზე არანაირი პოსტი არ უკავია, თუმცა ამბობენ, კვლავ დიდი გავლენა აქვსო. **მე ვიცი, რომ ხუხაშვილი თითს არ გაატოკებს, თუ ხეირს არ მოელის. მას სურს, ბიზნესი აკონტროლოს საქართველოში, ის შავი ფული, რომელიც ადრე „ნაციონალთა“ სალაროში მიდიოდა ბიზნესიდან, თავისკენ გადმოქაჩოს.** ვატყობ, ჯერჯერობით წარმატებით გამოსდის ეს საქმე. ბიზნესმენები კი მასთან საკუთარი სურვილით არ მიდიან, ისინი იძულებულნი არიან, მივიდნენ ხუხაშვილთან. ხუხაშვილი იძახის, მე მინდა, ქართული ბიზნესი გავაცოცხლო, ქართულ ბიზნესს ძველი, სამარცხვინო ლაქა უნდა ჩამოვაცილოო. **ვინ დანიშნა ხუხაშვილი ქართული ბიზნესის მექისედ?**

ის უკვე გითხარით, ხელისუფლებაში არ დარჩა სფერო, მისი კადრები რომ არ იყვნენ გაბნეულნი. ფაქტია, ვილაცამ მიანიჭა მას ეს ძალაუფლება და ამდენს იმიტომ ბედავს. **მე მინდა ვკითხო ბიძინა ივანიშვილს — ვისგან აქვს სანქცია ხუხაშვილს, რომ საქვეყნო საქმეებში ერევა ერთი ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი? თავად ივანიშვილს, როგორც ვიცი, ამგვარი ნებართვა არ გაუცია. ეს კაცი არის ან ცდილობს, იყოს კლასიკური ტიპის „რუხი კარდინალი“ და თუ ბიძინა ივანიშვილმა დროზე არ შეაჩერა, ძალიან ბევრ უსიამოვნებას დაახვედრებს წინ.**

**— „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება „ნაციონალურიომძრაობის„ კლანური მმართველობის მოსპობა და სახელმწიფო სტრუქტურებში ადამიანების ნიჭისა და შესაძლებლობების ნიშნით დანიშვნა იყო. არადა, სხვა და სხვა დონეზე, უკვე აშკარაა ახალი, „ქართული ოცნების“ კლანების ჩამოყალიბება-კოალიციის მრავალი ლიდერი საჯუთარი ოჯახის წევრებისა და ნათესავების დასაქმებით აქტიურადაა დაკავებული.**



— გავეცანი თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულ წერილს „კლანური ოცნება“, რომელიც, წესით, საგანგაშო და გამომაფხიზლებელ ფაქტორად უნდა იქცეს ბიძინა ივანიშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვისთვის. მე ჩემსას დავამატებ ამ ფაქტებს. ვადასტურებ, რომ ახალციხის გამგებლად ბესო ხითარიშვილის დანიშვნაში აქტიურად იყო ჩარეული ზვიად ძიძიგური, მან ზეწოლით აიძულა ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარე ოლეგ სანდროშვილი, საკრებულოს წევრები, „აერჩიათ“ გამგებლად ხითარიშვილი. დავამატებ, რომ ამ საქმეში დავით საგანელიძის ხელიც ურევია — ისიც ახდენდა ზეწოლას სანდროშვილზე, რათა ძიძიგურის პროტეჟე, ხითარიშვილი, გამხდარიყო გამგებელი. **კანონს ის ხალხი არღვევს, რომლებიც აქეთ მოგვიწოდებენ კანონის დაცვას.**

ახლა კი ბესო ხითარიშვილის მოცილება უნდათ და მის ადგილას რესპუბლიკელი თამარ გოგოლაძის დანიშვნა. ხალხს კვლავ არავინ არაფერს ეკითხება. ვინმე კახა ინდუაშვილი და ძმები მემოგნიშვილები კახეთიდან ჩავიდნენ ახალციხეში, ხალხს ეუბნებიან, რომ დავით უსუფაშვილისა და თინა ხიდაშელის წარმომადგენლები არიან, გოგოლაძის გამგებლად დანიშვნა მათთან შეთანხმებულია და რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ აქვს. კახა ინდუაშვილი გამგებლის მოადგილეობას აპირებს. მერე ეს გარესპუბლიკელებული „ნაციონალები“ ოლეგ სანდროშვილის გადაყენებასაც აპირებენ საკრებულოს თავმჯდომარეობიდან და მთელი რაიონის ხელში ჩაგდება უნდათ. ამას გარდა, ხალხს ემუქრებიან, ვინც ამ საქმეში წინააღმდეგობას გაგვიწევს — აქციებს მოაწყობს ან სხვა აქტიური ფორმით გააპროტესტებს გოგოლაძის მოსვლას და სანდროშვილის წასვლას — მათ შინაგან საქმეთა მინისტრთან, გელა ხვედელიძესთან, ექნებათ საქმეო.

## «მინდა ვკითხო ბიძინა ივანიშვილს — ვისგან აქვს სანქცია ხუხაშვილს, რომ საქვეყნო საქმეებში ერევა ერთი ჩვეულებრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი? თავად ივანიშვილს, როგორც ვიცი, ამგვარი ნებართვა არ გაუცია»

**— გელა ხვედელიძე რა შუაშია ახალციხის გამგებლის დანიშვნასთან?**

— ეგ კითხვა მეც მაწუხებს... ალბათ, ხვედელიძესაც აქვს თავისი ინტერესები ახალციხეში.

უსუფაშვილსა და ხიდაშელს რაც შეეხებათ, მათი ამ საქმეში მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს. რესპუბლიკელებს სურთ, რაც გურჯაანში გააკეთეს, ახალციხეშიც იგივე გაიმეორონ — ახალციხის საკრებულოს „ნაციონალი“ წევრები რესპუბლიკურ პარტიაში გააწევრიანონ. მოკლედ, **კლანური მმართველობის ნიშნები აშკარად შეინიშნება „ქართულ ოცნებაში“** და ნაცნობმეგობრობით თანამდებობებზე დანიშვნის პროცესი უნდა შეჩერდეს. ამით, უპირველესად, ხალხი იზარალებს. **რა ქნან იმ ადამიანებმა, რომლებიც არც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ იყვნენ და დღეს არც „ქართული ოცნების“ წევრები არიან, არც ერთ ხელისუფლებაში მფარველი და პატრონი რომ არ ჰყოლიათ? არ დადგა ამ ხალხის დასაქმების დრო?**

წინასაარჩევნოდ, ყველას კარგად გვახსოვს, კოალიციის ლიდერებმა ფეხით მოიარეს ლამის მთელი საქართველო, გამორჩეულად კი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები აქტიურობდნენ — წინასაარჩევნო პერიოდში ფეხი არ მოუცვლიათ იმ რაიონებიდან, რომლებშიც კენჭს იყრიდნენ. მაშინ კოალიციის წევრები ხშირ-ხშირად იმეორებდნენ, რომ მოსახლეობასთან კომუნიკაცია აუცილებელია, ხალხის მაჯაზე უნდა ედოს ყური პოლიტიკოსს, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ მარტო წინასაარჩევნოდ ახსენდება რეგიონები და, ჩვენ თუ გავიმარჯვებთ, მათგან განსხვავებით, ამ ხალხის ცხოვრებით ვიცხოვრებთო. რაღაც ვერ ვხედავ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ დეპუტატებს რაიონებში, საიდანაც დეპუტატებად აირჩიეს. რა, ხალხთან კომუნიკაცია აღარ არის საჭირო? გაინაღდეს თავიანთი და აღარ ახსოვთ ის ხალხი, რომელმაც მათ დეპუტატობა მოუტანა? ჩემი უფროსი მეგობარია ბატონი გოგი ქავთარაძე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა — ის რომ დროულად ჩარეულიყო ზესტაფონელი მოვაჭრეების საქმეში და ეს საკითხი მოეგვარებინა, ბიძინა ივანიშვილის სახლთან ზესტაფონელები ორდღიან აქციას არ მოაწყობდნენ. საერთოდ, პრემიერ-მინისტრის საქმე არ არის რომელიმე რაიონის ბაზრის საკითხის გადაწყვეტა. კოალიციიდან ერთი სოსო ჯაჭვლიანი ვიცი, თავის გლდანელ ამომრჩეველთან რომ არის ნებისმიერი გასაჭირის დროს და მეორე — ვიქტორ ჯაფარიძე, რომელსაც მესტიელები ძალიან ემადლიერებიან. მე იმაზე ვწუხვარ, რომ ზოგიერთი მაჟორიტარის მიერ ხალხის მოტყუებით ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი დაეცემა და ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე დაასხამს წყალს, თორემ, მათ მეორედ აირჩევენ თუ არა, ნაკლებად მაინტერესებს.

**— რამდენიმე დღის წინ, მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს სპეცსამსახურების მიერ მოპოვებული ვიდეომასალები გამოაქვეყნა. გაირკვა, რომ ჰომოსექსუალებს ყოფილი ხელისუფლება აშანტაჟებდა ამ კადრების გავრცელებით, მათ აგენტებად იყენებდა და ფულსაც სძალავდა. ამ კადრების გავრცელება „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევად შერაცხა. როგორ ფიქრობთ, დაირღვა ვინმეს უფლებები?**

— ეს კადრები დაშიფრული იყო და ისე გავრცელდა. ამდენად, პიროვნებათა იდენტიფიცირება შეუძლებელია. 2009 წელს, როცა ე. წ. კარვების აქცია მიმდინარეობდა, გეხსომებათ, „ნაციონალურმა ტელეარხებმა“ აჩვენეს კადრები, როცა რამდენიმე ადამიანი კარავში ნარკოტიკულ ნივთიერებას მოიხმარდა. ეს იყო კუდისა და სოდის მიერ ფარული კამერით გადაღებული კადრები და ამ ადამიანების სახეები არ იყო დაფარული. აი, მაშინ რატომ არ აყვირდნენ „ნაციონალები“? რა, არ იყო ეს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევა? რატომ მაშინ არ ახმაურდნენ? ამ ადამიანებს არ ჰყავდათ ოჯახები, შვილები და მათ არანაირი სტრესი არ გადაიტანეს? იქნებ მათმა ოჯახის წევრებმა სულაც ამ კადრების გავრცელების შემდეგ გაიგეს, რომ ისინი ნარკოტიკს მოიხმარდნენ? „ნაციონალები“ ჰომოსექსუალთა კადრების გავრცელებასაც პიარისთვის იყენებენ, თორემ მათი ბედი საერთოდ არ აღელვებთ. ზოგადად კი, **ჰომოსექსუალიზმზე იმას ვიტყვი, რომ, როგორც რუსეთში მოხდა, მისი პროპაგანდა და რეკლამა აქაც უნდა აიკრძალოს. ბავშვს არ უნდა უთხრა, რომ ეს კარგია ან მავნებელი არ არის. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და ჩვენი რელიგია გმობს ჰომოსექსუალიზმს.**

## «ზოგიერთი მაჟორიტარის მიერ ხალხის მოტყუებით ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი დაეცემა და ეს «ნაციონალური მოძრაობის» წისქვილზე დაასხამს წყალს»

ამდენად, ხალხის ინტერესების დაცვის მიზნითაა აუცილებელი ამ ღონისძიების გატარება და, რაც შეიძლება, სწრაფად.

**— წეღან მითხარით, დასავლეთი „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნებას შეეცდებაო. რამდენად რეალურია, რომ ისინი ამას მოახერხებენ?**

— ეს არასდროს მოხდება, თუმცა კი შეეცდებიან. ამერიკელებმა დიდი ამაგი დასდეს „ნაციონალებს“ და ეცდებიან, რომ წყალში არ ჩაეყაროთ — ან ხელისუფლებაში მათ დააბრუნებაზე იზრუნებენ, ან მათ სოლიდურ, ანგარიშგასაწევ ოპოზიციურ ძალად ჩამოყალიბებაზე. თუმცა აქედან არც ერთი არ გამოვა, რადგან ხალხმა „ნაციონალებს“ განაჩენი გამოუტანა — მათ მმართველობაზე უარი თქვა და „ნაციონალთა“ ლიდერების გასამართლებას ითხოვს. მაგრამ საფრთხე მაინც არსებობს და მას უნდა გავუმკლავდეთ.

**— მაინც როგორ უნდა გავუმკლავდეთ ამ საფრთხეს?**

— ერთხელ, არჩევნებამდე, ბიძინა ივანიშვილს ვკითხე, — ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში როგორ აპირებთ ქართული, ამერიკული და რუსული პოლიტიკური ინტერესების ერთდროულად გატარებას-მეთქი. მე ამას შევძლებ, ამ პოლიტიკურ ინტერსებს დავაბალანსებო, — მიპასუხა. მჯერა, რომ ბატონი ბიძინა ამას შეძლებს. აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება, ამით ქვეყნის საზიანოდ მომძლავრებული ამერიკული ინტერესები დაბალანსდება. ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი პრორუსულად არის განწყობილი. ცხადია, მოსახლეობის ამ ნაწილს სოლიდური პოლიტიკური ძალა უნდა წარმოადგენდეს და მან კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს პრორუსული განწყობა მოსახლეობაში.

**— ეს ნატოს უფრო დაგვაშორებს. არადა, ბევრი ფიქრობს, რომ ნატო საქართველოს ერთადერთი ხსნა და საშველია.**

— ამ ნატოში კიდევ ვინ გვლებულობს, ერთი მითხარი, რა, ვაჟკაცურად? ვის ვჭირდებით იმ ნატოში, რომ ვეჩრებით? ხალხის ერთ ნაწილს ჰგონია, რომ ნატოში არიან კეთილი ბიძიები, რომლებიც დღე და ღამე იმაზე ფიქრობენ, რა სიკეთე გაუკეთონ საქართველოს. ზოგს ლამის საქველმოქმედო ორგანიზაცია ჰგონია ნატო. ეს სტერეოტიპი უნდა დაიმსხვრეს. **თუ რამე სიკეთე გაუკეთებია ჩვენთვის ნატოს, ათმაგად გადაგვიხდია. მარტო ავღანეთის სამხედრო ოპერაციაში ქართველი ბიჭების მონაწილეობა გავიხსენოთ — ოცჯერ იაფი უჯდებათ ქართველი ჯარისკაცის ყოფნა ავღანეთში, ვიდრე ნატოს წევრი ქვეყნების ჯარისკაცებისა.**

როცა ნატო რაიმეს გიკეთებს, შენგან ათმაგ და ოცმაგ მოგებას ელის და ნახულობს კიდეც, ეს ფაქტია. **ოკუპირებული ტერიტორიებით ნატოში არავინ მიგვიღებს, ესეც უნდა გაიგოს ხალხმა, ხოლო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება, რუსეთი ნების გარეშე, შეუძლებელია. ამდენად, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება ჩვენთვის გარდაუვალია. ვისაც ეს არ ესმის, მას საქართველოს ერთიანობა არ უნდა.**

2008 წლის აგვისტოს ომის დროს ხომ დავინახეთ, ჩვენი როგორი სტრატეგიული პარტნიორები არიან ნატო და ამერიკა! აი, მაშინ გამოჩნდა მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ვინმემ იბრძოლა ჩვენ გვერდით? ვინმემ გაატოკა ხელი? არავის არაფერი გაუკეთებია, ამერიკამ გამოგვიგზავნა პამპერსები და წყალი და სულ ეს იყო. რუსეთის ჯარების შეჩერება არც უცდიათ და არც სხვა დროს შეაჩერებენ, ღმერთმა დაგვიფაროს და, თუ ოდესმე რუსეთთან ურთიერთობა კიდევ დაგვეძაბა, ნატო და ამერიკა რუსეთთან ჩვენ გამო ურთიერთობას არ გაიფუჭებენ და ნატოს წევრი ქვეყნის არც ერთი ჯარისკაცი თოფს არ გაისვრის ჩვენ სასარგებლოდ. **აგვისტოს ომი როცა დასრულდა, მერე მისცა ამერიკამ მილიარდები მიხეილ სააკაშვილს და ეს ფული ქვეყანას არ მოხმარებია, სააკაშვილმა და მისმა კლანმა „აითვისა“ — ამერიკა საქართველოს კი არა, სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ დაეხმარა.**

ესაუბრა
**ლევან ჯავახიშვილი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„შეიძლება ნიკა ვაჩეიშვილს ვინმე აძალებდა სარესტავრაციო სამუშაოების სწრაფად დასრულებას, მაგრამ ვაჩეიშვილი ისეთი მაღალი რანგის პროფესიონალია, რომ პასუხისმგებელია თუნდაც იმაზე, რომ ვერ დაიცვა თავისი გასაკეთებელი საქმე და, უხეშად რომ ვთქვათ, ვიღაცის „თამაში ითამაშა“.**



### გურამ ოდიშარია:

# დანაშაულია, ხალხს ისტორიული ბაგრატის ტაძარი წაართვა და სრულიად სხვა ძეგლი დაუბრუნო

**ცნობილი ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია ჩვენი გაზეთის სტუმარი არაერთხელ ყოფილა. ბატონი გურამი აქტიურად მოღვაწეობდა სახალხო დიპლომატიის მიმართულებით და აფხაზებთან და ოსებთან გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენას ცდილობდა. დღეს კულტურის მინისტრის რანგში ჩვენი პირველი ინტერვიუა, თუმცა კვლავინდებურად მიაჩნია, რომ მთავარი ადამიანების სიყვარულის დაბრუნებაა და დაკარგული კავშირების აღდგენაში სწორედ კულტურა და ხელოვნება დაგვეხმარება. კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრიორიტეტებსა და მიმართულებებზე, ბაგრატის ტაძრის ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე და საერთოდ, როგორი იქნება ახალი მთავრობის კულტურული პოლიტიკა „საქართველო და მსოფლიოს“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია ესაუბრება.**

**— ბატონო გურამ, ახლახან აღმოჩნდა, რომ ბაგრატის ტაძარი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში აღარ არის, ვინაიდან რესტავრაციის პროექტი იუნესკოსთან შეთანხმებული არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების არასწორი მიმდინარეობის შესახებ საუბარი ჯერ კიდევ ზაფხულში დაიწყო, პატრიარქმა შესაბამისი ბრძანებაც გასცა, შედეგი არ შეცვლილა. ვინ არის ამ ყველაფერში დამნაშავე?**

— სააკაშვილის ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი იყო ნაჩქარევი ნაბიჯები და არამართო ძეგლებთან მიმართებაში. ყველაფერი სწრაფად და უხარისხოდ შენდებოდა, რამაც სავალალო შედეგებამდე არაერთხელ მიგვიყვანა. ამჯერადაც ბაგრატის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოების უხარისხოდ ჩატარების მთავარი მიზეზი, შესაძლოა, ეს სისწრაფე გახდა, ვინაიდან, როდესაც მე ვესაუბრე იტალიელ არქიტექტორს, ანდრეა ბრუნოს, და სხვა მაღალი რანგის პროფესიონალებს, ყველა მათგანი მიზეზად რესტავრაციის პროცესის დაჩქარებულ ტემპებს ასახელებს.

ალბათ, პრესაში დაწერენ და გვისაყვედურებენ კიდეც, რომ ეს თანამედროვე პარამეტრებით აგებული, სახედაკარგული ტაძარია და მართლებიც იქნებიან. ვინაიდან **ეს არ იქნება ის ბაგრატის ტაძარი, რაც იყო. არადა, შეიძლებოდა ყველაფერი აუჩქარებლად, ხარისხიანად და იუნესკოს რეკომენდაციების გათვალისწინებით გაკეთებულიყო.** ამას გარდა, როდესაც ასეთ დიდ ისტორიულ პროექტს ახორციელებ, პროცესი უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს, აუცილებელია, საზოგადოების აზრი გაითვალისწინო. ყოფილი ხელისუფლება ასე რომ მოქცეულიყო, ამით ბევრ პრობლემას ავიცილებდით თავიდან და საზოგადოებაც იგრძნობდა, რომ ისიც ამ პროცესების თანამონაწილეა.

**— კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ვაჩეიშვილმა თანამდებობა დატოვა. როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ის პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე?**

— რა თქმა უნდა, ყველა პასუხისმგებელია, ვინც ტაძრის რესტავრაციის პროცესში მონაწილეობდა. შეიძლება ნიკა ვაჩეიშვილს ვინმე აძალებდა სარესტავრაციო სამუშაოების სწრაფად დასრულებას, მაგრამ **ვაჩეიშვილი ისეთი მაღალი რანგის პროფესიონალია, რომ პასუხისმგებელია თუნდაც იმაზე, რომ ვერ დაიცვა თავისი გასაკეთებელი საქმე და, უხეშად რომ ვთქვათ, ვიღაცის „თამაში ითამაშა“.**

ჩვენი ქვეყანა ძლიერია ჩვენი კულტურით და ვფიქრობ, კულტურის სამინისტროს პოზიცია ბევრად უფრო მკაცრი უნდა იყოს ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით. როდესაც საქმე გაქვს ასეთ მნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლთან, ყველა პროცედურა ზედმიწევნით უნდა დაიცვა. **არ შეიძლება ხალხს ისტორიული ბაგრატის ტაძარი წაართვა და სრულიად სხვა ძეგლი დაუბრუნო.**

**— იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილეს, ფრანჩესკო ბანდარინის, შეხვდით, დღეისთვის რაიმე შანსი თუ არსებობს, რომ ბაგრატის ტაძარი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში დარჩეს?**

— ამის შანსი არსებობს, თუმცა მინიმალური. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს. შესაძლოა, ბაგრატის ტაძარი, გელათთან ერთად, საერთო პარამეტრებით დარჩეს სიაში, მაგრამ ეს ორი ძეგლი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისგან, არ ვიცი, რა შეიძლება მოვიფიქროთ, რომ ისინი ერთად განვიხილოთ. **სამწუხაროდ, ბაგრატის ტაძარს უკვე განხილავენ, როგორც ნაკლულ ძეგლს და, როდესაც ვიკითხე, გვქონდა თუ არა შანსი, ბაგრატს ძველი სტატუსი დაბრუნებოდა, მიპასუხეს, რომ ვერანაირ გარანტიას ვერ მომცემდნენ...**

ამ ყველაფერს საფუძვლიანი გამოძიება სჭირდება და გაირკვევა, ვინ არის დამნაშავე, მაგრამ ეს საკითხი სამაგალითო უნდა იყოს, რათა მსგავსი ფაქტები აღარასდროს განმეორდეს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, გელათმაც ბაგრატის ტაძრის ბედი გაიზიაროს...**

— გვითხრეს, რომ გელათი და ბაგრატი იუნესკოს გადასარჩენ ძეგლთა სიაშია და იუნესკო თავისი რეკომენდაციებით თუ მატერიალურად დაგვეხმარება. ვფიქრობ, გელათთან დაკავშირებით ყველაფერი რიგზე იქნება.

**— ხელისუფლების შეცვლის შემდეგ წამოიჭრა საკითხი ოკუპაციის მუზეუმთან დაკავშირებით. რას აპირებთ, გაუქმდება ოკუპაციის მუზეუმი?**

— რამდენიმე წერილი მივიღეთ სამინისტროში, გვთხოვდნენ მუზეუმის გადაკეთებას ან საერთოდ გაუქმებას. ჩემი პირადი დამოკიდებულება ასეთია: **მე ოკუპაციის მუზეუმში ვერაფერს ანტირუსულს ვერ ვხედავ. ეს უფრო ანტისაბჭოთა მუზეუმად შეიძლება ჩაითვალოს.** საბჭოთა პერიოდში, რეპრესიების დროს ბევრი ქართველი დახოცეს, ამიტომ ამ მუზეუმმა ერთგვარი „განგაშის ზარის“ ფუნქცია უნდა შეასრულოს. ეს არის ჩვენი ბრძოლის, ჩვენი გამარჯვების მუზეუმი. ეს ჩვენი ისტორიაა.



**— თუმცა, თუ ისტორიული თვალსაზრისით განვიხილავთ, ამ ლოგიკით, შესაძლოა, ირანის, თურქეთისა და ა.შ. ოკუპაციის მუზეუმებიც დავაარსოთ?**

— რატომაც არა, შეიძლება გაკეთდეს ისტორიის მუზეუმი, ოღონდ ეწოდოს არა ოკუპაციის მუზეუმი, არამედ სხვა სახელი, თუნდაც ეს იყოს ჩვენი გადარჩენის მუზეუმი, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ, როგორ უძლებდა და უმკლავდებოდა ჩვენი ქვეყანა როგორც გარეშე ურიცხვ მტერს, ასევე შინაურ მოღალატეებს. ისტორია არ უნდა დავივიწყოთ და ამავე დროს შევეცადოთ მომავალი უკეთესი გავხადოთ. თურქეთის ერთ-ერთ სოფელში ვნახე მთელი ტყიდან ერთადერთი გადარჩენილი ხე, რომელიც ქალაქის მერიამ დააჯილდოვა და მას აწერია: ეს შენ — გადარჩენილს ადამიანის უგუნურებას, ნაჯახს, ყინვებს, გვალვას, ქარიშხლებს...

**ჩვენ ქრისტიანი ხალხი ვართ და ქრისტე გვასწავლის, რომ უნდა გიყვარდეს მტერი შენი. მტერი შენს მეგობრად უნდა აქციო. არ შეიძლება სიძულვილზე ორიენტირებულმა დააარსო მუზეუმები. მუზეუმი უნდა გააკეთო სიყვარულისთვის, ვინაიდან ერთადერთი ძალა, რომ წინ ვიაროთ, სიყვარულია, რაც ძალიან დაგვაკლდა ბოლო წლებში.** ამ ყველაფერმა მიგვიყვანა იქამდე, რომ არჩევნების წინ საქართველო ორად გაყოფილი და დაპირისპირებულ იყო. ხშირად უნდა გავიხსენოთ გრიგოლ ფერაძე, რომელიც მრავალშვილიანი ებრაელი კაცის მაგივრად შევიდა გაზის კამერაში; ალექსანდრე კლდიაშვილი, რომელიც გადაეფარა და დარბევას გადაარჩინა ებრაელთა ოჯახი; იოსებ ჟორდანია, რომელმაც თავისი მაშველი რგოლი სხვას დაუთმო; გია აბესაძე, რომელმაც თავი დაიწვა რუსთაველის გამზირზე და თქვა, დაე, მე ვიყო ბოლო მსხვერპლი, ოღონდ ქართველებმა არ ესროლოთ ერთმანეთსო. დღეს ამ შესანიშნავ პიროვნებას არც ვახსენებთ, მისი გმირობაც არ დავიჯერეთ. ხშირად უნდა გავიხსენოთ ღირსეული ქართველები.

**— ორიოდე თვეა, რაც კულტურის მინისტრი ბრძანდებით. რა იქნება თქვენთვის პრიორიტეტული და რა არ მოგწონდათ წინა მთავრობის კულტურულ პოლიტიკაში, რასაც აღარ გააგრძელებთ?**

— მინისტრები მოდიან და მიდიან, მაგრამ კულტურა მარადიულია და ყველა მინისტრმა, მათ შორის, ვინც ჩემ შემდეგ მოვა, ყველაფერი უნდა გააკეთოს კულტურის პოპულარიზაციისთვის. **ძირითადად ორი მიმართულება გვაქვს არჩეული: დავეხმაროთ კულტურას და მომავალ თაობებს გადავცეთ ჩვენი ისტორიული ძეგლები.** კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, ამბიციური კაცი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ქვეყანაში კულტურის სამინისტრო პირველი უნდა გახდეს, რადგან მხოლოდ კულტურული ადამიანი, ღრმად გათვითცნობიერებული საკუთარ ისტორიაში, ადამიანის მოყვარე, თავდაცვაშიც პირველი იქნება, დიპლომატიაშიც და ყველა სფეროში ღირსეულად შეასრულებს თავის მოვალეობას.

წინა მთავრობის კულტურულ პოლტიკაში არ მომწონდა, რომ უზარმაზარი თანხა იხარჯებოდა კონცერტებსა და უცხოელი მომღერლების ჩამოყვანაში. რა თქმა უნდა, კარგია, როცა ბოჩელი ან სტინგი ჩამოგვყავს, ისინი სხვა ქვეყნებშიც ჩადიან, მაგრამ ეს ბიუჯეტის ხარჯზე არსად ხდება. ასე აღარ გაგრძელდება.

**— ბატონო გურამ, თქვენ საზოგადოების გარკვეული ნაწილის წინაშე დათმობაზე წახვედით და მოხსენით თქვენი მოადგილეები: იური მეჩითოვი და ხათუნა ხუნდაძე, თუმცა თანამდებობებზე კვლავ რჩებიან წინა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ადამიანები, რომლებიც დღესაც არ მალავენ დამოკიდებულებას ყოფილი ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, ნინა წკრიალაშვილი და მარინა ბერიძე. თქვენი საქციელი ბევრმა სისუსტის გამოვლინებად ჩაგითვალათ.**

— არც ერთი მოადგილე არ გათავისუფლებულა, ისინი, უბრალოდ, წარდგენილნი იყვნენ მოადგილის თანამდებობებზე. მათი კანდიდატურები, მთავრობამ არ დაამტკიცა, თუმცა ორივე ღირსეული ადამიანია და ისინი კვლავ კულტურის სამინისტროში მუშაობენ. **რაც შეეხება ნინა წკრიალაშვილს და მარინა ბერიძეს, თუ ადამიანი პროფესიონალია და თავის საქმეს აკეთებს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა პარტია უყვარს, ვერ გავათავისუფლებ.** ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ არ მოგვწონდა სააკაშვილის ხელისუფლების დამოკიდებულება, როცა პარტიული ნიშნით არჩევდნენ ადამიანებს და, ვინც მათთან არ იყო, ყველა მათი მტერი იყო? ბიძინა ივანიშვილის ლოზუნგი, რომ ჩვენ, ყველანი ერთად გავიმარჯვებთ, ჩვენთვის ძალაშია. საერთოდ, ყველაზე მძიმეა, როცა ხელმძღვანელი ხარ და ვინმეს ათავისუფლებ სამსახურიდან, მაგრამ ხელი არ ამიკანკალდება, როცა ვიცი, რომ ადამიანი გასათავისუფლებელია სერიოზული შეცდომების გამო. მაგალითად, გავათავისუფლე მოზარდმაყურებელთა თეატრის მმართველი მიხეილ ანთაძე, რომელსაც დარღვევები აღმოაჩნდა. ასევე დავწერე ბრძანება ნიკა ვაჩეიშვილის გათავისუფლების შესახებ, მიუხედავად ჩემი პატივისცემისა მის მიმართ, როგორც ადამიანისა და პროფესიონალისადმი, ვინაიდან ჩვენი ხედვა ერთმანეთს არ ემთხვევა.

თუმცა გარკვეული დროის შემდეგ რეორგანიზაციის დაწყებას ვაპირებთ და რაღაცები შეიცვლება. რეგიონებზე გავამახვილებთ ყურადღებას, ასევე ვაპირებთ ჩვენი კულტურის მსოფლიო მასშტაბით პოპულარიზაციას.

**— სახალხო დიპლომატიის რანგში აქტიურად მოღვაწეობდით, გამოსცემდით ალმანახს, ამ მიმართულებით მუშაობას, ალბათ, ვეღარ შეძლებთ. თუ აპირებთ კულტურული კავშირების აღდგენას აფხაზეთთან, ოსეთთან, თუნდაც რუსეთთან?**

— რა თქმა უნდა. ეს ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. უბრალოდ, ქართველებს უცებ გვინდა ყველაფერი. როდესაც აფხაზეთში ქართულ სიმღერას ვუსმენ, როდესაც ვუყურებ ოსურ და აფხაზურ ცეკვებს როგორ ცეკვავენ ქართველები, მიხარია და დარწმუნებული ვარ, კულტურა იქნება ჩვენი პირველი შუამავალი. ამიტომ ვამბობ, რომ კულტურის სამინისტრო პირველი უნდა გახდეს ქვეყანაში, რადგან კონფლიქტების დარეგულირების საკითხშიც ის თავისი ქვეყნის სამსახურში იქნება.

**— ცოტა ხნის წინათ საქართველოში ყველაზე ტოლერანტულ ადამიანად დაგასახელეს. დამთმობი, ტოლერანტული ხასიათი როგორ ეთავსება მკაცრ მენეჯერულ ბუნებას? ეს ტოლერანტობა ხელს არ შეგიშლით მუშაობაში?**

— ვფიქრობ, პირიქით, ხელს შემიწყობს. ხელმძღვანელის რამდენიმე ტიპი არსებობს, ისეთ მკაცრ ხელმძღვანელს, რომლისაც ეშინიათ, როგორც წესი, არც საქმეს უკეთებენ კარგად და არც უყვართ. მე მიმაჩნია, რომ ადამიანს ყოველთვის უნდა დაელაპარაკო და ყველაფერი აუხსნა. ადამიანი არასდროს არ უნდა დაკარგო. ამ პრინციპით ვმუშაობ და უფრო მეტ წარმატებას ვაღწევ. ჩვენ მინისტრებად და დირექტორებად არ ვიბადებით, ეს მხოლოდ ჩვენი გამოცდაა...

**«რაც შეეხება ნინა წკრიალაშვილს, თუ ადამიანი პროფესიონალია და თავის საქმეს აკეთებს, მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა პარტია უყვარს, ვერ გავათავისუფლებ»**

ესაუბრა **შორენა ციმქარაშვილი**

**„დღეს საზოგადოების მოლოდინი არის მშიერი ზვიგენის მოლოდინი — სამართლის ხახაში იხილოს ის მმართველები, რომლებმაც უსამართლობის სისტემა შექმნეს.“**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროკურატურაში ვიყავი, მთავარ პროკურორს ჩემი წიგნი მივართვი წარწერით „საქართველოში სამართლიანობა რომ იმარჯვებს, თქვენი დამსახურებაა, უწინარეს ყოვლის“.**

# არჩილ კბილაშვილი: ფარული ვიდეოთვალით გადაღებულ ფირებზე პოლიტიკოსი მამაკაცებიც არიან



— მოდით, შეფასება მივანდოთ იმ დროს, როცა პროკურორის პოზიციაზე არ ვიქნები, და იქიდან დავინახოთ, ეს მცდელობა წარმატებული იქნება თუ არა, ზნეობრივი იქნება თუ არა. ძალიან მინდა, რომ ასე იყოს. დღეს საამისო ყველა პირობა გვაქვს შექმნილი. ჩვენც ძალასა და ღონეს არ ვიშურებთ, მაგრამ ჯერ გასავლელია რაღაც გზა, და შეფასება, მით უმეტეს, ჩემი და, მით უმეტეს, დადებით ასპექტში, რისი მოსმენა ჩემთვის არის ძალიან მძიმე განაჩენი ან ძალიან დიდი კრედიტია ავანსად მოცემული, — **ასეთი იყო მისი პასუხი.**

— წინასწარ ჩემი ასეთნაირი შეფასება მძიმე მდგომარეობაში მაყენებს. მომეცით უფლება, უფრო თავისუფლად ვიყო, ხანდახან შეცდომაც დავუშვა, მაგრამ არა ზნეობრივი, უფრო სწორად, შეცდომა უზნეო არ უნდა იყოს, თორემ შეცდომისგან არავინ ვართ დაზღვეული.

მჯერა, რომ პროკურორის მიმართ უნდა არსებობდეს შიშნარევი პატივისცემა. შიში — კანონის. საზოგადოება პროკურორში კანონს უნდა ხედავდეს. და პატივისცემა იმიტომ, რომ იგი კანონს იცავს.

ერთადერთი, რაც დისკომფორტს მიქმნის ამ თვალსაზრისით, არის ის, რომ ორთვენახევარია, რაც საზოგადოებასთან ვურთიერთობ და უკვე მეუბნებიან, რომ ჩემდამი გაჩნდა სიმპათია, დადებითი განწყობილება. მგონია, რომ ცოტა აცდენილი ვარ შიშნარევ პატივისცემას.

**— ბატონო არჩილ, რა არის იმაში ცუდი, თუ ხალხის სიმპათია დაიმსახურეთ?**

— ცუდი არ არის, მაგრამ ხალხს შეიძლება უყვარდეს ფეხბურთელი, მსახიობი, მწერალი, კარგი დეკლამატორი, მაგრამ პროკურორი არ შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის საყვარელი პიროვნება. მოცემულობაა ასეთი: ცოტა მკაცრი უნდა იყოს, ცოტა პირქუში, ცოტა ხისტი, თუმცა ყველა შემთხვევაში — ადამიანური.

ვცდილობთ, რომ ასე იყოს, ვცდილობთ, ვიყოთ ობიექტურები, დავიკავოთ ოქროს შუალედი.

**— რას გულისხმობთ ოქროს შუალედში?**

— ქართული საზოგადოებრიობის განწყობა არჩევნებამდე და არჩევნების დროს უსამართლობის დიდი მორევის ასალაგმად იყო მიმართული. ხალხის დაკვეთაა, თუ შეიძლება ითქვას, ისეთი, რომ იმათ, ვინც გამგებლები იყვნენ ამ ქვეყნის, ვინც ქმნიდნენ მაშინდელ რეალობას, პასუხი უნდა აგონ არა მარტო პოლიტიკურად, არამედ სამართლებრივადაც. **დღეს საზოგადოების მოლოდინი არის მშიერი ზვიგენის მოლოდინი — სამართლის ხახაში იხილოს ის მმართველები, რომლებმაც უსამართლობის სისტემა შექმნეს.**

## «არც მდივანი, არც მძღოლი არ შემიცვლია»

არჩევნებიდან მოვდივარ მეც და მეც ვქადაგებდი და მხარს ვუჭერდი ამ აზრს, ამ განწყობილებას, რომელიც სუფევს ჩვენში.

მაგრამ **არის მეორე განწყობილება, რომელიც ვლინდება დასავლეთის სახელმწიფოთა ლიდერების, ჩვენი მეგობარი ქვეყნების, უფლებადამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რაც გამოიხატება ჩვენდამი კრიტიკულ დამოკიდებულებაში. კერძოდ, რომ ჩვენ ძალიან სწრაფად ვიღებთ დამსჯელ გადაწყვეტილებებს.**

ქართული საზოგადოების დამოკიდებულება არის ერთი პოლუსი, მეორე პოლუსი კი დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულებაა.

რომ არ შევაფასოთ, მათგან რომელია სწორი და მართალი, რომელი რა ინფორმაციით არის ნასაზრდოები — სწორითა თუ მცდარით, ფაქტი სახეზეა. ამიტომ გვმართებს ოქროს შუალედის პოზიციაზე დგომა.

შეიძლება დაჭერა-დაკავება გადავწყვიტოთ იმიტომ, რომ იმ გაუბედურებული ადამიანის კმაყოფილება გამოვიწვიოთ, რომელიც საღამოს ტელეეკრანს მიუჯდა, ნახა, რაც მოხდა და გულს მოიფხანს იმით, რომ ვიღაცამ პასუხი აგო ისეთი უსამართლობისთვის, როგორიც მის თავსაც დატრიალდა. მაგრამ არ შეიძლება ჩვენი ქმედება ამ ადამიანის თვალთახედვით იყოს ნაკარნახევი, ისევე, როგორც არ შეიძლება მეორე პოლუსიდან წამოსულ ხმას დავუჯეროთ, რომელიც გვიქადაგებს — ნუ დაიჭერთ, ნუ დააკავებთ!

**— მაგრამ ხომ ვიცით, რომ ერის ხმა ღვთის ხმის თანაფარდია. ხომ ფაქტია, რომ ამ დაჭერა-დაკავებით სუფთავდება საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფერო, რომ იმარჯვებს მაღალზნეობრიობა, რომელიც შეიძლება კანონზე მაღლაც კი დგას. ეს ცოტაა?**

— ეს ძალიან ძლიერი რამეა, რაც გვაძლევს ძალას და გვანიჭებს ბედნიერებას. მეც ამ საზოგადოების ნაწილი ვარ. როცა წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლებს ვხვდებოდი, ვქადაგებდი, რომ ყველაზე დიდი უბედურებაა უსამართლობა, ის, რაც ციხეებში ხდებოდა, გნებავთ, ციხეების გარეთ, და გამომდინარეობდა დათრგუნვის იმ რეჟიმიდან, რომელიც ჩვენ გარშემო არსებობდა. დათრგუნვის ყველა ის ბერკეტი, რომელიც ციხის კედლებს აქეთ იყო მიღებული, ციხეში ცოცხების სახით ტრანსფორმირდება.

**— თქვენი ერთი ნათქვამი გამანდეს: დილას რომ ვიღვიძებ, იმაზე ვფიქრობ, გუშინ ისეთი რამ ხომ არ გავაკეთე, რომ ხვალ ქუჩაში არ გამესვლებოდეს, ცხოვრებაში წინ არ დამხვდეს, ხალხთან შეხვედრის არ შემრცხვეს. გიდგათ ეს პრობლემა, ეს შინაგანი ბრძოლა გაწუხებთ?**

— როგორ არა! ხშირად ვიხსენებ დოჩანაშვილის ნაწარმოების გმირის ერთ ნათქვამს, რომ ღამე, დაძინებამდე ყოველთვის არის ერთი წამი, როცა ადამიანის თვალწინ გაიელვებს გასული დღე, აფასებს იმ დღეს თავის ნამოქმედარს. რა თქმა უნდა, ეს წამი ყველა ადამიანს აქვს, მათ შორის, მეც. მითუმეტეს, როცა ასეთი ხვედრი მერგო. როცა ასეთ თანამდებობაზე ვარ, პასუხისმგებლობა განსაკუთრებით დიდია. ყველას და ყველანაირად ვერ გავწვდები, რათა სამართალი ყველგან თანაბრად იყოს აღმატებული უკეთურობაზე, მაგრამ ვცდილობ.

ოთხშაბათობითა და პარასკევობით მოქალაქეთა მიღება მაქვს, ვხვდები ადამიანებს. ჩემი მდივანი მეუბნება (სხვათა შორის, არც მდივანი, არც მძღოლი არ შემიცვლია, დასამალი არაფერი მაქვს), რომ ამ კაბინეტიდან ლოცვით გამოსული არავინ მინახავს, ახლა — რამდენიც გინდათო. ასეთებიც არიან.

გუშინ ორი თვის სტატისტიკა მოვატანინე: 38 ადამიანის მიმართ, ვის წინააღმდეგაც დევნა იყო დაწყებული, პატიმარი იყო, პასუხისგებაში მიცემული, შევწყვიტეთ დევნა და გავათავისუფლეთ, გავუშვით, გავამართლეთ. **21 ადამიანის ბრალდებაზე, რომელთა საქმე სასამართლოში განიხილებოდა, უარი ვთქვით და ისინიც სასამართლომ გაამართლა. საერთო ჯამში, პირველი იანვრის მდგომარეობით, ასეთი ადამიანი 59-ია. ესენი არიან ის ჩვენი მოქალაქეები, რომელთაც ემუქრებოდა ზოგს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ზოგს მისჯილი ჰქონდა 11 წელი, ზოგს — 15 და ა. შ.**

**— რისთვის კეთდებოდა ასეთი უსამართლობა: ხალხის დასათრგუნად თუ ფულის გამოძალვის მიზნით?**

— ყველაფერი მომდინარეობდა იმ უკეთურობიდან, რომლის არსი იყო: ხელისუფლებაში მოვედით და სულ უნდა ვიყოთ ხელისუფლებაში.

ამ ფორმულით შეიარაღებული ყოველთვის ეძებს გზებს ხელისუფლებაში მუდმივად დასარჩენად. ძალოვანი სტრუქტურები არის იარაღი და საშუალება მმართველობის დაუსრულებლობის. სულ მართავ იმას, ვისაც ეშინია.

**— დაშინება, როგორც მიზანი?**

— დაშინება, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება. შენ უნდა იცოდე, რომ გელის დაპატიმრება, ციხე. შენ უნდა იცოდე, რა გელის ციხეში, შენ უნდა „განიბანო“ კარანტინის წესებით, უნდა გცემონ, უნდა განიცადო ფსიქოლოგიური ზემოქმედება და ა. შ. ხოლო გარეთ გამოსულს კარგად უნდა გახსოვდეს, ვინაა მამა და მარჩენალი, ვინაა შენი პატრონი და ვის უნდა სცემდე თაყვანს.

100 ათასზე მეტი პრობაციონერი გვყავდა და 25 ათასამდე პატიმარი, საქართველოში ოჯახი არ იყო დარჩენილი, რომელიც ამ უსამართლობის მსხვერპლი არ გახდა.

აქ იყო ჩადებული მანკიერების სათავე, რომლის აღმოფხვრა და ამოძირკვა დავიწყეთ.

**— და, ხალხის აზრით, წარმატებულადაც.**

— როცა ბატონი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ წელიწად-ნახევარში, ორ წელიწად-ნახევარში აპირებს წასვლას, მე ამას განვიხილავ, როგორც კულტურულ ფენომენს.

**— განმარტავთ, რას გულისხმობთ?**

— თავისი ამ განცხადებით იგი მეუბნება, რომ ჩემთან ერთად შენც წამოხვალ. როცა ვიცი, რომ რაღაც ორ წელიწადში აქ, ამ თანამდებობაზე არ ვიქნები, მეც და დღეს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები ისე არ უნდა მოვიქცეთ, რომ ხალხში გამოსაჩენი პირი არ გვექნეს. ხელისუფლებაში ყოფნა არის რაღაც გარდამავალი საპატიო ჯილდო პასუხისმგებლობით გამორჩეული. ჩაივლის ამ ჯილდოსთვის გამოყოფილი დრო და შენ დარჩები ჩვეულებრივ მოქალაქედ. ეს განწყობაა, რომელიც ჩვენ დღეს გვჭირდება და რომლის შენარჩუნებასაც ვცდილობთ.

**— მაგრამ ამ „საჭირო განწყობას“ აფუჭებს ისეთი ფაქტები, რომელთა გაცნობაც კარგ ხასიათზე ნამდვილად არ დააყენებს ადამიანს. ვგულისხმობ მაქსიმალურად დაშტრიხულ ვიდეოკადრებს, რომლებითაც მამათმავლობის გამჟღავნების პროვოცირებით აშინებდნენ და გადაიბირებდნენ მათთვის საჭირო ადამიანებს...**

— სამწუხაროდ, ასეა.

**— და ბატონი სააკაშვილი გამოდის ამის წინააღმდეგ, რომ თურმე ეს ყოფილა ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევა (?!).**

— პოლიტიკურ ოპონენტებზე მაკომპრომენტირებელი მასალების მოსაპოვებლად ხდებოდა ჰომოსექსუალი მამაკაცების დაშანტაჟება, გადაბირება და შემდეგ ეს ნაცემ-ნაზეგვი ჰომოსექსუალი უკავშირდებოდა საზოგადოებაში კარგად ცნობილ, ასევე ჰომოსექსუალ მამაკაცს, აჰყავდა კონსპირაციულ ბინაში, სადაც დამონტაჟებული ფარული ვიდეოთვალით გადაიღებდა ამ უხამსობას და შანტაჟის იარაღიც მზად იყო. ხელისუფლების მხარდამჭერიც — მოპოვებული.

გადამბირებელს ას და ორას ლარს უხდიდნენ.

**— ისინი მხოლოდ შოუბიზნესის წარმომადგენლები იყვნენ?**

— არა, ფარული ვიდეოთვალით გადაღებულ ფირებზე პოლიტიკოსი მამაკაცებიც არიან. ამან გატეხა ზნეობრიობა.

**— სააკაშვილი ტელეეკრანიდან იფიცებოდა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ასეა ვითომ?**

— მოდით, რიტორიკულად ჩავთვალოთ ეს კითხვა.

**— თვითონ აკეთებდნენ და ახლა თქვენ გაწმენდენ ხელს — რატომ გამოაქვეყნეთო.**

— უამრავი ჩანაწერი პირადი და ინტიმური ცხოვრების, მიყურადება, გადაღება, რასაც ისინი ჩადიოდნენ, მიმართული იყო იმისკენ, რომ ყველა ადამიანი ყოფილიყო ცოდვილი, კომპრომეტირებული. ეს კი საშუალებაა იმისა, რომ მათი მმართველობა ყოფილიყო ხანგრძლივი, დაუსრულებელი.

**— ოპონენტები უკვე ლაპარაკობენ, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ნეპოტიზმში შეინიშნებიან. მიგაჩნიათ, რომ ეს დანაშაულია?**

— სასურველია, რომ ასეთ შემთხვევებს გვერდი აუარონ. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც მინიმუმ, ეს ხდება საფუძველი არაჯანსაღი დამოკიდებულებისა საზოგადოების მხრიდან. მაგრამ ნიჭიერი კაცისთვის, ვიღაცის ნათესაობა გადაულახავ ბარიერად არ უნდა ვაქციოთ.

**— პრემია ხომ არ აგიღიათ?**

— პროკურატურაში არის ხელფასის და პრემიის ფიქსირებული სტანდარტული ოდენობა, რაც ვრცელდება ყველაზე. თუ პრემიაში გულისხმობთ, გამოვიწერე თუ არა ჩემთვის განსაკუთრებული თანხა, გიპასუხებთ, არა, არ გამომიწერია. რა სტანდარტიც იყო დამკვიდრებული, ის შევინარჩუნეთ ყველასთვის.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. — ბოლო სიტყვას მოვიდეთ.**

**— ყველაფერი ძალიან მარტივია: ხელისუფლებაში ყოფნა არის დროებითი, არ შეიძლება დაუპირისპირდე ზნეობრიობას, ტრადიციას, უნდა ჩამოვიშოროთ ეს მანკიერება და ვაკეთოთ ის, რაც ჩვენი საქმეა — პროკურორის თუ პოლიციელის: აღვკვეთოთ დანაშაული და, თუ მაინც მოხდება, გამოვიძიოთ, დავსაჯოთ. არ უნდა ვემსახუროთ პოლიტიკას, მით უფრო — კერპებს: ბიძინა ივანიშვილისგან აღკვეთილი გვაქვს მის მიმართ მსახურება.**

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რატომ უკვირთ, ბაჩო ახალაიას შეაგინონ მის მიერ გამწარებულმა და გაუბედურებულმა პატიმრებმა?! მაშინ შეუბრუნოს სიტყვა, შეაგინოს თვითონაც, თუ ამის ვაჟკაცობა აქვს, თუ საკუთარ თავთან, სინდისთან მართალია. საქმეც ისაა, რომ ამ კაცს აღარ დარჩა არაფერი სათქმელი. დასამალი ადგილიც ვერ იპოვა დედამიწაზე და ამიტომ ჩამოვიდა თავისი ფეხით, თორემ მაგას ცოცხალი თავით ვინ ჩამოიყვანდა.“**

# აკაკი დარასელია: გლდანის ციხის მთავარი ჯალათები — ოფიცერი ვახტანგ გაგუციძე და «ატამანი» მალხაზ ღვინიაშვილი დღემდე არ დაუსჯიათ

**წინა ხელისუფლების დროს ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე, წამების, ღირსების შემლახველი მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებსა და სასჯელაღსრულების სისტემაში წლების მანძილზე დაგროვილ პრობლემებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ფრონტის“ დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრად აღიარებული აკაკი დარასელია.**



**— აკაკი, 18 სექტემბერს გლდანის ციხეში პატიმართა წამების ამსახველი ვიდეოკადრების გავრცელებამ, გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, მთელი ცივილიზებული მსოფლიო შეძრა. თქვენ ხართ თვითმხილველი ყველა იმ უბედურების, რომლებიც საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ხდებოდა. კონკრეტულად რა სახით ირღვეოდა მსჯავრდებულთა უფლებები და რამდენად შეესაბამებოდა რეალობას ის ინფორმაციები, რომლებიც ციხეებში არსებულ მდგომარეობაზე წლების მანძილზე ვრცელდებოდა?**

— ამის გადმოცემა სიტყვებით, უბრალოდ, შეუძლებელია. მე რომ ეს ყველაფერი საკუთარი თვალით არ მენახა, საკუთარ თავზე არ გამომეცადა, სხვის მონათხრობს, ალბათ, ვერ დავიჯერებდი. კი, მანამდე ჩემი მეგობრები: ლევან გოგიჩაიშვილი, შაკო გოგინაშვილი, გიორგი ალხაზიშვილი, მელორ ვაჩაძე და სხვები ისხდნენ ციხეში და ზოგადად ვიცოდით, იქ რაც ხდებოდა, მაგრამ ის, რაც საკუთარი თვალებით ვნახე, იყო რაღაც გაუგონარი საშინელება, სისასტიკის ეპოპეა. როგორ გითხრათ, მთლიანად სისტემა ჰქონდათ ისე აწყობილი, რომ ადამიანი იქიდან უნდა გამოსულიყო ცოცხალმკვდარი, ანუ ფიზიკურად ცოცხალი, მაგრამ სულიერად, მორალურად უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი. ვიდეოკადრები ახსენეთ თქვენ და სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: **ციხის ადმინისტრაციაში არ იყო არც ერთი თანამდებობის პირი, არც რიგითი, რომელმაც არ იცოდა, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა ჩვენს თავს. ეს იყო საკონცენტრაციო ბანაკი, საიდანაც ცოცხლად გამოსვლის შანსი ფაქტობრივად არ არსებობდა.**

რაც შემეხება პირადად მე, ისევე, როგორც სხვა პატიმრებს, მეც განსაკუთრებით სასტიკად მეპყრობოდნენ. ამას, უბრალოდ, ვერ გაექცეოდი, ვინც უნდა ყოფილიყავი და რა მხარდაჭერაც უნდა გქონოდა ციხის გარეთ.

**— კი, მაგრამ თქვენი კატეგორიის პატიმრები რეჟიმისთვის განსაკუთრებით საშიშინი არიან. საფრთხეს ვერ ხედავდნენ იმაში, რომ ეს ყველაფერი შეიძლებოდა გაგეხმაურებინათ?**

— ამიტომაც მეძახდნენ ინტრიგანს. ერთადერთი, რასაც ჩემ მიმართ ერიდებოდნენ, იყო ღიად, სხვების თვალწინ ცემა, იმიტომ, რომ, მათი აზრით, ამას მოყვებოდა ხმაური იმავე ადვოკატების, უფლებადამცველების, ჩემი მეგობრების მხრიდან და ა. შ. მათ ძალიან არ უნდოდათ, ამ ამბავს მიეღწია საელჩოებამდე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებამდე, ამიტომ, როცა ევროკავშირის ან გაეროს დამკვირვებლები მოდიოდნენ, კარანტინში ჩაჰქონდათ ხოლმე ლეიბები, რათა ენახვებინათ, აი, რა კარგი პირობებიაო. მათაც, ალბათ, სჯეროდათ ეს ყველაფერი. ამ დროს იმ კარანტინში, დაახლოებით 20 კვადრატულ მეტრში ერთი თვის განმავლობაში ამყოფებდნენ ორმოცამდე პატიმარს.

**— ალექსანდრე მუხაძის სისასტიკეზე „ლეგენდები“ დადიოდა. რით გამოირჩეოდა ის სხვა თანამშრომლებისგან?**

— ის იყო მთავარი შემოქმედი იმ სისასტიკისა და დაუნდობლობის, რომელიც პატიმართა მიმართ ხდებოდა. ამიტომაც შეარქვეს მეტსახელად „ქილერა“. პირადად ამ ადამიანმა გაანადგურა და გააუბედურა უამრავი პატიმარი, მათი ოჯახები და ამას ყველაფერს ის აკეთებდა წარბშეუხრელად, ისე, რომ თვალს არ ახამხამებდა.

**— დავით ხუჭუაზე რას იტყვით?**

— ხუჭუამ საერთოდ ახალი „პრაქტიკა“ დანერგა ციხეში. ის კარანტინს ნიშნავდა ყოველ პარასკევს და ეს დღე, რომელსაც შემდეგ პატიმრებმა წითელი პარასკევი შეარქვეს, იყო რაღაც წარმოუდგენელი სისასტიკის დღე. კიდევ ვიმეორებ, ამის გადმოცემა შეუძლებელია, **იქ რაც ხდებოდა, მსგავსი რამ, ალბათ, ჰიტლერის საკონცენტრაციო ბანაკებშიც არ მოსდიოდათ აზრად ფაშისტებს.**

**— იქნებ დააკონკრეტოთ, რაში გამოიხატებოდა და რა ფორმით ეს სისასტიკე...**

— მე შემიძლია გითხრათ სახელები და გვარები იმ პატიმრებისა, რომლებსაც ჩემ თვალწინ საშინელება გაუკეთეს, მაგრამ ზოგი დღესაც ციხეშია და არ მინდა, მათ მაგივრად ვისაუბრო, როცა გამოვლენ, თვითონ იტყვიან ყველაფერს. რაც შეეხება არაადამიანური მოპყრობის ფორმებს, ვისაც ფანტაზია რის საშუალებას აძლევდა, არაფერს ერიდებოდა. **წარმოიდგინეთ, პატიმარს, რომელიც იცოდნენ, რომ ხელს ისედაც არ შეუბრუნებდათ, ბორკილებს მაინც ადებდნენ და ისე სცემდნენ, ანუ დარტყმის დროს მსჯავრდებული რომ ხელს იფარებდა, ისიც აღიზიანებდათ. ჩვენ, დანარჩენებს, ვინც საკანში ვისხედით, ამ ყველაფრისთვის მშვიდად უნდა გვეცქირა. იტყოდი რამეს და ისეთ დღეში ჩაგაგდებდნენ, ან გადარჩებოდი, ან ვერა.**

**— უფლებადამცველებისგან გამიგონია, რომ პატიმრის ცემის მიზეზი შეიძლებოდა, ყოფილიყო თუ ვთქვათ, ხმამაღლა გაიცინებდა, ან რადიოს ცოტა ხმას აუწევდა. ეს რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს?**

— მეტსაც გეტყვით, ღამის 10 საათის შემდეგ, როცა ყველას უნდა დაგვეძინა, ჩურჩულით რომ გადაგელაპარაკა ვინმესთვის, მაშინვე ყურს ადებდნენ კარს. მერე შემოგივარდებოდნენ და იწყებოდა დაკითხვა: რაზე საუბრობდით? რამე მნიშვნელოვანი ხომ არ გითქვამს? რაც უნდა გეპასუხა, მსგავსი შემთხვევა მაინც ფიზიკური ანგარიშსწორებით მთავრდებოდა. დილის 7 საათზე, პურის დარიგება რომ მორჩებოდა, მივყავდით დაახლოებით 20-წუთიან გასეირნებაზე. სირბილით ავდიოდით სხვენში, რომელსაც ჭერის მაგივრად ჰქონდა გისოსები და უკანვე გვაბრუნებდნენ. გზადაგზა მოგაწევდნენ ლანძღვას, გინებას. შეიძლებოდა, ვინმეს ფეხიც დაედო, წაქცეულიყავი, შემდეგ ამაზე იწყებოდა ხუმრობა, ქილიკი და დამცირება. იყო შემთხვევა, როცა ადამიანი წააქციეს, დასცინეს და მხოლოდ იმიტომ სცემეს, რომ უცბად, წამში ვერ წამოდგა. **თუ ვინმეს მიმართ რამე განსაკუთრებული ინტერესი გაუჩნდებოდათ, აბანოში ჩაჰყავდათ და იქ უსწორდებოდნენ. არ ვიცი, რატომ, შეიძლება იმიტომ, რომ აბანოში კამერები არ იყო.**

**— ე. ი. ყველაფერში შარს ეძებდნენ?**

**«ციხის ადმინისტრაციაში არ იყო არც ერთი თანამდებობის პირი, არც რიგითი, რომელმაც არ იცოდა, რა ჯოჯოხეთიც ტრიალებდა ჩვენს თავს»**

— წარმოიდგინეთ, საკუთარ საწოლზე სველი პირსახოცი რომ გადაგეკიდა გასაშრობად ან ღამით წიგნი დაგრჩენოდა გადაშლილი, ამაზე გცემდნენ. ასევე სასტიკად გისწორდებოდნენ, თუ, ვთქვათ, ონკანი ოდნავ მოშვებული დაგრჩებოდა, თუ გაბედავდი და ტანსაცმელს გარეცხავდი, რეცხვა გვეკრძალებოდა. მოკლედ, ეს იყო ჯოჯოხეთი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

**— შეგიძლიათ, დაასახელოთ კონკრეტული პიროვნებები, რომლებიც განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ პატიმრების მიმართ?**

— რა თქმა უნდა, მათ სახელებს რა დამავიწყებს. მაგალითად, **ვახტანგ გაგუციძე, რომელიც იყო ოფიცერი და გამოირჩეოდა რაღაც გაუგონარი, მანიაკალური სისასტიკით.** ეს ადამიანი არ დასჯილა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან, ის თავის კუთვნილ სასჯელს მიიღებს. ასევე **გამოირჩეოდა სისასტიკით ოფიცრების ატამანი მალხაზ ღვინიაშვილი. პირდაპირ შემიძლია, გითხრათ, რომ ეს კაცი არის ავადმყოფი და, სანამ მას კიდევ უფრო დიდი ზიანი არ მიუყენებია საზოგადოებისთვის, უნდა აიყვანონ, გამოიკვლიონ და მოათავსონ შესაბამის დაწესებულებაში: ან სამკურნალოში, ან პირდაპირ ციხეში.** მე, როგორც ერთ-ერთი მოწმე მის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისა, მზად ვარ, ჩვენება მივცე ამ არაკაცის წინააღმდეგ და პირობას ვდებ, ყველაფერს გავაკეთებ, რათა მან პასუხი აგოს. რაც შეეხება დანარჩენ ჯალათებს, თქვენ იცით, რომ მათი უმეტესობა დაჭერილია, ამიტომ ახლა ამაზე არ შევჩერდები.

**— პირადად თქვენ მიმართ თუ გამოუჩენია რომელიმე თანამშრომელს სისასტიკე?**

— მაგალითად, ვიქტორ ყაჭეიშვილმა იმის გამო, რომ 31 მაისს შემომიგზავნეს სურათები, რომლებიც ჩემს მეგობრებთან: ლევან გოგიჩაიშვილთან, გოგა ხაინდრავასთან და ლევან გაჩეჩილაძესთან ერთად მქონდა გადაღებული, 20 დღით კარცერში გამიშვა. შემდეგ, ვინაიდან მან კარგად იცოდა, შესაბამის ოქმს ხელს არ მოვაწერდი, დამემუქრა, რომ უარის შემთხვევაში, ჩემთან ერთად საკანში მყოფ შვიდ კაცს სასტიკად გაუსწორდებოდა. აი, ასეთი ბინძური მეთოდებით ხორციელდებოდა ჩვენზე ზემოქმედება. ასევე, მინდა, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ **კარანტინის ყოველ დაშლას, ყოველ ე. წ. წითელ პარასკევს პირადად ესწრებოდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გაგა მკურნალიძე.** ამდენად, **საუბარი იმაზე, თითქოს მინისტრმა კალმახელიძემ არ იცოდა, დაწესებულებებში რა ხდებოდა, აბსურდია.**

— სამედიცინო მომსახურების კუთხით რა პირობები გქონდათ?

— **თუკი რამე აგტკივდებოდა და ცუდად გახდებოდი, უკიდურეს მდგომარეობამდე, კრიზისამდე უნდა მისულიყავი, რომ ყურადღება მოექციათ.** ამასთან, წამლის მოთხოვნა ავტომატურად ნიშნავდა შეურაცხყოფას. **უდიერად გვექცეოდნენ თვითონ სამედიცინო პერსონალის წარმომადგენლებიც.** მაგალითად, იყო ასეთი შემთხვევა: ადამიანს გულის შეტევა დაემართა, მოვიდა ექთანი, ამოიღო აბი, რომელიც შუაზე გატეხა და ეუბნება, ერთი დალიეთ ახლა, ერთი ცოტა ხნის მერე, ერთი წნევისაა, მეორე ტკივილგამაყუჩებელიო. აი, ასეთი ცინიკური დამოკიდებულება ჰქონდათ ექიმებსაც, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ყველას არ ეხება.

**— თქვენ თქვით, რომ მზად ხართ, პროკურატურაში ჩვენება მისცეთ ციხის იმ თანამშრომლების წინააღმდეგ, რომლებიც პატიმრებზე ძალადობას ახორციელებდნენ. მეგის ქარდავა, ზურაბ ადეიშვილი და მთელი ამ დანაშაულებრივი რეჟიმის სხვა მთავარი შემოქმედები დღეს გაქცეულები არიან. მათ წინააღმდეგ თუ აპირებთ სარჩელის შეტანას?**

— რა თქმა უნდა. მე ცხრა წელი იმიტომ მომისაჯეს, რომ არ დავნებდი და საპროცესო შეთანხმებაზე არ წავედი. ცხადია, ვაპირებ საკუთარი პრესტიჟის აღდგენისთვის ბრძოლას და ამას ჩემს მეგობრებთან ერთად გავაკეთებ. თითოეული ის ადამიანი, დაწყებული რიგითი თანამშრომლებიდან, რომლებმაც ნარკოტიკი ჩამიდეს, დამთავრებული განაჩენის გამომტანებით, პასუხს აგებს. **ყველას, ვისი უფლებებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს შეილახა, მოვუწოდებ, მივიდეს პროკურატურაში და დამნაშავეები ამხილოს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ მომავალში მსგავსი რამ არ განმეორდეს.** წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კი ჩვენ რაღაც-რაღაცებზე თვალს დავხუჭავთ, დამერწმუნეთ, ისევ გამოჩნდებიან ყაჭეიშვილის, მუხაძისა და ხუჭუასნაირი ნაძირალა ადამიანები, რომლებიც კიდევ ერთხელ ჩაიდენენ ამ ყველაფერს.

**— ბაჩო ახალაია გლდანის ციხეში რომ მოათავსეს, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მას პატიმრებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. თქვენი აზრით, არიან დღეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანები, რომლებიც ახალაიასთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ?**

— აბსურდია ის, რომ თითქოს ახალაია საკანში დაცული არ არის. ვინც იცის, ციხეში რა კონტროლია, ამაში დამეთანხმება. რაც შეეხება თქვენს კითხვას, რა თქმა უნდა, არიან მასზე განაწყენებული ადამიანები, მაგრამ ვიღაცა რომ ამაზე პიარს აწყობს, ეს ჩემთვის გაუგებარია. მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ციხეში ვიყავი, მე, ვისაც ცხოვრებაში არავისთვის შეურაცხყოფა არ მიმიყენებია, ვიღაც მანქურთები მაგინებდნენ. **რატომ უკვირთ, ბაჩო ახალაიას შეაგინონ მის მიერ გამწარებულმა და გაუბედურებულმა პატიმრებმა?! მაშინ შეუბრუნოს სიტყვა, შეაგინოს თვითონაც, თუ ამის ვაჟკაცობა აქვს, თუ საკუთარ თავთან, სინდისთან მართალია. საქმეც ისაა, რომ ამ კაცს აღარ დარჩა არაფერი სათქმელი. დასამალი ადგილიც ვერ იპოვა დედამიწაზე და ამიტომ ჩამოვიდა თავისი ფეხით, თორემ მაგას ცოცხალი თავით ვინ ჩამოიყვანდა.**

დარწმუნებული ვარ, იგივე მოელით ქარდავასაც და ადეიშვილსაც, მთლიანად სააკაშვილის რეჟიმს, რომლის პოლიტიკური პარაკლისიც უკვე გადაიხადა ქართველმა ხალხმა.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„მეუბნებოდნენ, საერთაშორისო საზოგადოებაც მხარს გვიჭერს და ჩვენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას კანონიერად და სამართლიანად ჩათვლიან. ასე რომ, ყველაფერს გავაკეთებთ და სამუდამოდ ციხეში დარჩებიო. პირად საუბრებში ციხის თანამშრომლები, პროკურორი, გამომძიებელი არც მალავდნენ, — ვიცით, რომ არ ხარ დამნაშავე, მაგრამ „ზემოდან“ არის მითითება და ამიტომ უნდა აღიარო დანაშაულიო.“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# სიმონ კილაძე: ამდენი ადამიანი მოკლეს, ამაზე არ ჰქონდა დასავლეთს რეაქცია და ჩემზე ვის რა რეაქცია ექნებოდა?!

**სიმონ კილაძე პირველი იყო, სააკაშვილის ხელისუფლებამ ჯაშუშობისა და სამშობლოს ღალატისთვის 2006 წელს რომ გაასამართლა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი მრჩეველი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულეს. დღეს სიმონ კილაძე სრულ რეაბილიტაციას და მის საქმეზე „გრიფით საიდუმლოს“ მოხსნას ითხოვს.**

**პირველი ჯაშუშური სკანდალის მონაწილე, სიმონ კილაძე, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება.**

## «დღემდე არ ვიცი, რომელი ქვეყნის ჯაშუშობას მაბრალებდნენ»

**— ბატონო სიმონ, თავს დამნაშავედ არ ცნობთ და სრულ რეაბილიტაციას ითხოვთ. როგორ ფიქრობთ, რა გახდა თქვენი დაპატიმრების რეალური მიზეზი?**

— ჩემთვის არანაირი სახელმწიფო საიდუმლოს შემცველი დოკუმენტი ან ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ ყოფილა. ჩემი ძირითადი მოვალეობა იყო როგორც ქართული, ასევე უცხოური მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმოხილვა და ანალიზი, რომელიც შემდეგ ეგზავნებოდა სხვადასხვა სტრუქტურას, უშუალოდ პრეზიდენტს. მე მქონდა ინფორმაცია მხოლოდ პრეზიდენტის ვიზიტების შესახებ, რაც შემდეგ ჩემ წინააღმდეგ გამოიყენეს, თითქოს მე გავამხილე ამ ვიზიტების შესახებ ინფორმაცია, რაც სრული აბსურდი იყო, ვინაიდან ეს ისედაც საჯარო ინფორმაციაა და აღნიშნული ვიზიტების შესახებ ისედაც ყველა ჟურნალისტმა ყველაფერი იცოდა.

ქართულ პრესაში ხელისუფლების შესახებ იბეჭდებოდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი პუბლიკაციები. აქედან გამომდინარე, ჩემი მასალები ხელისუფლების კრიტიკასაც შეიცავდა, რაც არ მოსწონდათ. ამას გარდა, ხელისუფლებისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში მიმდინარე პროცესებისადმი საკმაოდ კრიტიკულად ვიყავი განწყობილი და ამას არც ვმალავდი. სხვათა შორის, რამდენიმეჯერ მიმანიშნეს კიდეც, რომ არ უნდა მელაპარაკა. იყო კიდევ ერთი მიზეზი — მე აშშ-ის საელჩოსთან ვთანამშრომლობდი და მათთვისაც ვამზადებდი მედიის მიმოხილვას. ასევე, მქონდა კავშირი ჩეხეთის ერთ-ერთ კვლევით ცენტრთან და ქართული პრესის ანალიზის საფუძველზე მათაც ვუგზავნიდი მასალებს. რასაკვირველია, ეს ხელისუფლებას ძალიან არ მოსწონდა, ვინაიდან საზღვარგარეთ გადიოდა ყველა ის კრიტიკული და უარყოფითი ინფორმაცია, რომლებიც ხელისუფლების შესახებ ქართულ პრესაში იბეჭდებოდა. დაპატიმრების შემდეგ მითხრეს კიდეც, თქვენ თავს უფლებას აძლევდით, რომ ხელისუფლების შესახებ ასეთი კრიტიკული მასალები მოგემზადებინათო.

2005 წელს რუსეთში, კერძოდ ყაზანში ოფიცალური ვიზიტით ვახლდი მიხეილ სააკაშვილს, შევხვდით იქაურ ქართველებს, პრეზიდენტმა აღუთქვა, რომ ამიერიდან ყურადღებას მოგაქცევთ, ხალხს გამოვაგზავნით, რომელიც გიპატრონებთო. მეორედ უკვე ოფიციალური მივლინებით გამაგზავნეს ყაზანში, ბაშკირეთში, უფაში. ეს არ ყოფილა საიდუმლო ვიზიტი, რუსეთში საქართველოს საელჩოს მიწვევით ვიმყოფებოდი, მაგრამ შემდგომში ეს სრულიად უვნებელი ფაქტიც კი ჩემ წინააღმდეგ გამოიყენეს. თუმცა მაშინ რუსეთთან არ გვქონდა ასეთი დაძაბული ურთიერთობა და ასე უსაფუძვლოდ რუსეთის ჯაშუშადაც ვერ გამომაცხადებდნენ, რადგან ამაზე რუსეთს მწვავე რეაქცია ექნებოდა.

**ვფიქრობ, ჩემი დაპატიმრების ძირითადი მიზეზი ის გახდა, რომ მე უკვე ვიყავი ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი და მათთვის არასასურველი პიროვნება, რომელიც სახელმწიფო სამსახურში მუშაობს.** ყველა ატესტაცია და კონკურსი წარმატებით მქონდა გავლილი, ამიტომ ასე უბრალოდ ვერ გამათავისუფლებდნენ და, მიზეზი რომ ვერ მომინახეს, ითმენდნენ ჩემს იქ არსებობას, მაგრამ შემდეგ მოკლეს სანდრო გირგვლიანი, მოხდა ციხის ბუნტი, ხელისუფლებას სასწრაფოდ სჭირდებოდა ამ მოვლენების გადაფარვა, რისთვისაც მე გამომიყენეს.

**— საკმაოდ სერიოზული ბრალდებით დაგაპატიმრეს. რას ითხოვდნენ თქვენგან?**

— **სურდათ, მეღიარებინა, თითქოს უცხოეთის სპეცსამსახურებთან ვთანამშრომლობდი. თუმცა საგულისხმოა, რომ არ იყო დასახელებული კონკრეტულად რომელი ქვეყნის სპეცსამსახურთან ვთანამშრომლობდი. დამიწერეს აღიარების ტექსტი და მაიძულებდნენ, ხელი მომეწერა.**

**— ჯაშუშობაში დაგადანაშაულეს, მაგრამ საქმეში მითითებული არ იყო, კონკრეტულად რომელი ქვეყნის ჯაშუში იყავით?**

— დიახ, განაჩენში არ იყო მითითებული. სწორედ ამაში გამოიხატება საქმის აბსურდულობა. დღემდე არ ვიცი, რომელი ქვეყნის ჯაშუშობას მაბრალებდნენ. ვინაიდან მაშინ ყველანაირი უკანონობა გასდიოდათ, რასაც მოისურვებდნენ, ჩემი საქმეც ასე შეთითხნეს. საკმარისია, ფოტოგრაფების საქმე გაიხსენოთ, მიხვდებით, როგორ უსწორდებოდა ხელისუფლება მათთვის არასასურველ ადამიანებს.

**— თუმცა საბოლოოდ თქვენ მაინც აღიარეთ ბრალი. რატომ?**

— როდესაც ციხეში მოხვდება ადამიანი, არავინ იცის, როგორ მოიქცევა. თავიდან მტკიცედ ვიდექი, ვაპროტესტებდი უსაფუძვლო ბრალდებებს, მაგრამ... რაც სურდათ, იმას აკეთებდნენ, თვითონვე შეთხზეს აღიარებითი ჩვენება და მომთხოვეს, ხელი მომეწერა. **კონტრდაზვერვის სამსახურის უფროსი შალვა ჟღენტი მეუბნებოდა, აღიარე, თორემ აქედან ვერ გახვალო. ზოგჯერ ფსიქოლოგიური ზეწოლა უარესია, ვიდრე ფიზიკური. ოჯახის წევრების დაჭერით დამემუქრნენ. ერთი საუბრის დროს მაჩვენეს ვიდეოკადრები, როგორ უთვალთვალებდნენ ჩემს შვილებს. ეს ძალიან მტკივნეული აღმოჩნდა ჩემთვის. ბევრი ფიქრისა და უძილო ღამეების შემდეგ გადავწყვიტე, აღიარებთ ჩვენებაზე ხელი მომეწერა. ჩემმა ადვოკატმაც მირჩია, ახლა მთავარია, გარეთ გახვიდე, არავის შენი ჯაშუშობის არ სჯერაო.**

**— რა გელოდათ იმ შემთხვევაში, თუ ბრალს არ აღიარებდით?**

— მეუბნებოდნენ, — საერთაშორისო საზოგადოებაც მხარს გვიჭერს და ჩვენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას კანონიერად და სამართლიანად ჩათვლიან. ასე რომ, ყველაფერს გავაკეთებთ და სამუდამოდ ციხეში დარჩებიო. პირად საუბრებში ციხის თანამშრომლები, პროკურორი, გამომძიებელი არც მალავდნენ, — ვიცით, რომ არ ხარ დამნაშავე, მაგრამ „ზემოდან“ არის მითითება და ამიტომ უნდა აღიარო დანაშაულიო.

**ჯერ არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა, ადამიანს იჭერდნენ და რამდენიმე წუთში პრეზიდენტი, შს მინისტრი, კონტრდაზვერვის უფროსი, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ყველა ერთხმად აცხადებდნენ დამნაშავედ.** დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამის შემდეგ ნორმალურ სახელმწიფოში ნებისმიერი ნორმალური სასამართლო გამათავისუფლებდა. მაშინდელი პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი გიორგი არველაძე გამოვიდა და მანაც პირდაპირ დამადანაშაულა, თურმე სამსახურში ასეთი აგენტი გვყოლიაო.

**გამოვიდა ვანო მერაბიშვილი და განაცხადა, სიმონ კლაძეს 20 ათას ლარს ურიცხავდა ამერიკის საელჩოო. ჯერ ერთი, ეს თანხაც გაზვიადებული იყო, თუ დავიანგარიშებთ, სულ 10-12 ათასი ლარი მაქვს აღებული მათგან ორი წლის განმავლობაში. არც ერთი ჯაშუში ასეთ მცირე თანხაზე არ მუშაობს, ეს ხომ ალოგიკურია, ამას გარდა, თანხა მერიცხებოდა ოფიციალურად, რომელ აგენტს ურიცხავენ ხელფასს ბანკში?**

**— რატომ არ ჰქონდა მწვავე რეაქცია ამაზე ამერიკის საელჩოს?**

— **ეს ის პერიოდია, საქართველო „დემოკრატიის შუქურად“ რომ მოინათლა, ჯორჯ ბუში ჩამოვიდა საქართველოში და ხელისუფლებას სრული თავისუფლება ჰქონდა მინიჭებული. ციხის ბუნტის დროს ამდენი ადამიანი მოკლეს, ამაზე არ ჰქონდა დასავლეთს რეაქცია და ჩემზე ვის რა რეაქცია ექნებოდა?!**

**— ჯაშუშობის ბრალდების მიუხედავად, საკმაოდ მალე გაგათავისუფლეს, რა პირობით გამოგიშვეს ციხიდან?**

— ციხეშიც ყველა ხვდებოდა, რომ ტყუილუბრალოდ ვიყავი დაპატიმრებული და მეუბნებოდნენ, არც სააკაშვილი და არც მერაბიშვილი შენს გამო არ უარყოფენ თავის ნათქვამს და საჯაროდ ბოდიშს არ მოგიხდიან, ამიტომ ცოტა ხანს იჯექი და მოითმინეო. ასევე მთხოვეს, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ საჯაროდ ნუ ილაპარაკებ ამ ყველაფერზეო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პირობითი სასჯელი მქონდა, ყველა ოპოზიციურ საპროტესტო აქციაზე დავდიოდი და ხელისუფლებასაც ვაკრიტიკებდი. ერთი-ორჯერ დამირეკეს და მიმანიშნეს კიდეც, რომ გავჩუმებულიყავი.

**— დღეს სრულ რეაბილიტაციას ითხოვთ, თუ აპირებთ სარჩელის შეტანას დამნაშავეების წინააღმდეგ?**

— შევიტანე განცხადება პროკურატურაში, თუმცა, რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ ჩემ გამო ვანო მერაბიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს არავინ დაიჭერს, მაგრამ ჩემთვის არც არის არსებითი, ყველა დაიჭირონ და ციხეში გამოკეტონ. კარგი იქნება, გამოვიდნენ და აღიარონ მაინც საკუთარი დანაშაული, გაჩუმდნენ მაინც და ისეთი პოლიტიკური განცხადებები აღარ აკეთონ, როგორსაც ახლა ვანო მერაბიშვილი აკეთებს. ჩემთვის ახლა მნიშვნელოვანია როგორც სხვა პოლიტპატიმრების, ასევე ჩემი საქმის გადახედვა და სრული რეაბილიტაცია მოხდეს.

ახლა მთავარია, საკანონმდებლო ორგანომ შეცვალოს კანონი საპროცესო შეთანხმების შესახებ, რადგან კანონში წერია, რომ გასაჩივრების უფლება ჩვენ არ გვაქვს. „ნაციონალებმა“ ეს ყველაფერი წინასწარ კარგად გათვალეს და უსამართლობის გასაჩივრების უფლებაც არ დაგვიტოვეს.

**მინდა ჩემს საქმეს აეხსნას „გრიფით საიდუმლო“, ჩატარდეს გამოძიება და მოხდეს ჩემი სრული რეაბილიტაცია, მაგრამ ამისთვის საჭიროა, სააკაშვილის ხელისუფლების მოსამართლეები და გამომძიებლები სამსახურებიდან გათავისუფლდნენ, რადგან არც ერთი მოსამართლე და გამომძიებელი თავის გაფუჭებულ საქმეს არ აღიარებს და, რა თქმა უნდა, იმავე განაჩენს გამოიტანს.**

პირველ რიგში, მაინც უმთავრესია, სამართლიანობა აღდგეს, დამნაშავე უნდა დაისაჯოს და შერიგებაზე მერე ვისაუბრებთ.

**— როგორია საზოგადოების დამოკიდებულება „ყოფილი ჯაშუშისადმი“ და როგორ ცხოვრობთ დღეს?**

— მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლო ტელევიზიები ჩემს აგენტობას აქტიურად ამტკიცებდნენ, ჩემ მიმართ დამოკიდებულება არ შეცვლილა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ არანაირი ჯაშუში მე არ ვიყავი. ციხიდან გათავისუფლების შემდეგ გავაგრძელე სამეცნიერო მუშაობა. დღეს „ქართულ-ამერიკული“ უნივერსიტეტის ლექტორი და ამავე უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრის თანამშრომელი ვარ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ჩემი საზოგადოებრივი რეაბილიტაცია უკვე მოხდა, მაგრამ მინდა როგორც საქართველოს სახელით დამნაშავედ გამომაცხადეს, ასევე საქართველოს სახელმწიფოს სახელით მოხდეს ჩემი რეაბილიტაცია.

**«ჩემი საზოგადოებრივი რეაბილიტაცია უკვე მოხდა, მაგრამ მინდა როგორც საქართველოს სახელით დამნაშავედ გამომაცხადეს, ასევე საქართველოს სახელმწიფოს სახელით მოხდეს ჩემი რეაბილიტაცია»**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„საზღვარგარეთელი ძმები სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებენ. ახლა რომ ამ „შუქურის“ მეთაურობით ჩადენილია სადისტური მკვლელობები, ერის გენოციდი, ეს, რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი არ არის და სირცხვილია, ამიტომ გამოძებნეს ერთადერთი აბსურდული გამოსავალი, ვითომ საქართველოში მიდის პოლიტიკური დევნა.“

**მამა ბასილი (მკალავიშვილი):**

# სააკაშვილის ხროვა ამოსაძირკვია, არანაირი დანდობა მათ!

**„საქართველო და მსოფლიოს“ მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე ესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი).**

**— მამაო ბასილ, ჯერ კიდევ 1998 წლის 25 ნოემბერს, თქვენს მრევლთან ერთად, მთავრობის სახლის წინ გამოხვედით მოთხოვნებით: 1. „პარლამენტმა მიიღოს კანონი რელიგიის შესახებ და საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოება გამოცხადდეს სახელმწიფო რელიგიად“; 2. „აღიკვეთოს მართლმადიდებელი სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული პროზელიტური მოქმედების სექტათა თარეში“... მაშინ პარლამენტის ოფიციალურმა პირებმა აღგითქვეს, რომ ამ საკითხზე საკანონმდებლო ორგანოში კონსულტაციები დაიწყებოდა, მაგრამ არა თუ ეს არ მოხდა, შემდგომ წლებში ანტიმართლმადიდებლურმა კამპანიამ კიდევ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. ახლა, როცა ხელისუფლება თითქმის ძირეულად შეცვლილია, რამდენად შესაძლებლად და ლოგიკურად მიგაჩნიათ იმავე მოთხოვნების ხელახლა დაყენება?**

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ჩვენთან არს ღმერთი. მადლობას მოგახსენებთ ამ შეკითხვისთვის, რადგან სწორედ ამ კითხვაშია ჩადებული ჩვენი განვლილი თუ ახლანდელი მოღვაწეობა, რისთვისაც ვიბრძოდი ჩემს მრევლთან ერთად.

ყოველი ადამიანი განვლილ ცხოვრებას კრიტიკის თვალით უნდა უყურებდეს. რა გააკეთა ღვთის სათნო საქმე ან რა ვერ გააკეთა, რომ გამოასწოროს, ხოლო **რაც შეეხება აწ უკვე ყოფილ ხელისუფლებას, მათ ხალხის საკეთილდღეოდ არაფერი გაუკეთებიათ.**

ჩემი მღვდლობის პერიოდში მაქსიმალურად ვილვწოდი მართლმადიდებლობის დასაცავად: მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად ვმართავდი მშვიდობიან აქციებს მოთხოვნით — შეწყვეტილიყო სექტანტების თარეში, პროზელიტიზმი, გამოცხადებულიყო მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ ბევრი მხარდამჭერები გვყავდა როგორც სამღვდელოებაში, ასევე პარლამენტში. როგორც კი გაიგო ეს ამერიკამ, უშუალოდ ჯორჯ სოროსმა, მაშინვე ამოქმედდა მისი ბოროტების მანქანა და ჩამოყალიბდა საქართველოში ანტიმართლმადიდებლური ორგანიზაციები თავისუფლების ინსტიტუტის სახით, რომლებშიც გაერთიანდნენ საქართველოს მოღალატეები, და იმდენი ქნეს, რომ მოახერხეს, პარლამენტს არ მიეღო მართლმადიდებლობის სასარგებლო რაიმე გადაწყვეტილება, მიიღეს ე.წ. კონკორდატი, რომლის მიხედვით ყველა მცირე რელიგიური კონფესიის უფლებები გაუთანაბრეს მართლმადიდებლობას. შემდეგ ამ გადაწყვეტილებას სინოდის წევრებმაც დაუჭირეს მხარი, გამონაკლისის გარდა. ეს სამარცხვინო ფაქტი შავ, მოუცილებელ ლაქად მიითვალა საქართველოს ისტორიამ. გაძლიერდა რა ბოროტი ძალები მმართველ ორგანოებში, მართლმადიდებლობაზე შემოტევამ აპოგეას მიაღწია. მიუხედავად სასტიკი წინააღმდეგობისა, ჩვენ ფარ-ხმალს არ ვყრიდით და ვაგრძელებდით ბრძოლას სარწმუნოების, ერის ტრადიციების დასაცავად, გვქონდა მრავალჯერადი მშვიდობიანი აქციები, მოვითხოვდით შეხვედრას ხელისუფლების წარმომადგენლებთან. აქციებზე ხშირად გამოდიოდნენ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი პარლამენტარები: ვახტანგ ბოჭორიშვილი, ანზორ აბრალავა, ელიზბარ ჯაველიძე. ისინი პარლამენტშიც აქტიურად უჭერდნენ მხარს მართლმადიდებლობას, რაც შეეხება გიგი წერეთელსა და ადამიანის უფლებების დაცვის წარმომადგენელ ალექსანდრე კოკოითს, ისინი ცალსახად გამოხატავდნენ ჭეშმარიტ პოზიციას. აკადემიკოსი პარლამენტარი, ბატონი გურამ შარაძე ჩვენი თანამებრძოლი იყო. როცა გვარბევდნენ მშვიდობიან აქციებზე, ბატონი გურამი ყოველთვის ჩვენ გვერდით იდგა.

ჩვენი მრავალჯერადი კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ კოკოითმა განაცხადა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გაიმართებოდა კონსულტაციები და ჩვენი წარმომადგენლებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. სავალალოდ მოხდა საპირისპირო. სწორედ აქედან დაიგეგმა და დღის წესრიგში დადგა იმ პიროვნებების ჩამოშორება, რომლებიც ხელს უშლიდნენ მათ შავ-ბნელი საქმეების აღსრულებაში სარწმუნოების აღმოფხვრისთვის.

კითხვაზე: რამდენად შესაძლებლად მეჩვენება ჩვენი მოთხოვნის დაყენება, არ გიპასუხებთ, ჯერჯერობით ვუყურებ ხელისუფლების კურსს. **მივესალმები, რომ მეტ-ნაკლებად მიმდინარეობს კანონიერების აღდგენა. მართლმადიდებლობა თუ თავის ადგილს არ დაიჭერს საქართველოში, ჩემი გაჩუმება არ იქნება, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში. ვინც არ დაიცავს მართლმადიდებლობას, ვერ აღვიქვამ ჭეშმარიტ მთავრობად. ეს არის ჩემი პოზიცია.**



> «დღეს ვინც სააკაშვილს ოპოზიციაში უდგას, მიტინგების სასტიკ დარბევებსა და ერის გენოციდში მის გვერდით იდგნენ!»

**— დღეს საქართველოში ფართომასშტაბიანი სამართლებრივი პროცესი მიმდინარეობს. გადაიხედა და ხელახლა ძიების პროცესშია არაერთი საქმე, რომელიც წინა ხელისუფლების დროს ბურუსით იყო მოცული. როგორ ფიქრობთ, 2004 წლის 12 მარტს ეკლესიის დარბევისა და თქვენი დაკავების ფაქტით უნდა დაინტერესდეს თუ არა გამოძიება? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ამ საქმისთვის აქამდეც უნდა მიექცია ყურადღება პროკურატურას?**

— როგორც აღვნიშნე, მიხარია, რომ მოსულმა ხელისუფლებამ მოღვაწეობა სამართლებრივი პროცესით დაიწყო, მაგრამ რატომღაც ავიწყდებათ ის, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტობა მართლმადიდებელ ეკლესიაზე შტურმით დაიწყო. მთელი მსოფლიო შეძრა ეკლესიის ბარბაროსული დარბევის კადრებმა და დიდ მარხვაში ღამის ნათევი მრევლის დაწიოკებამ. ამაზე მეტი ფაქტი შეიძლება? ჩვენი ეკლესიის დარბევა მაშინდელი მთავრობის სამარცხვინო ფაქტი იყო. ერთი უბრალო მღვდლის დასაჭერად, რომელიც ჯვრით ხელში ამბიონზე დგას და ლოცულობს, გამოიყენეს 3000-მდე სპეცრაზმელი და 2000-მდე ჯარისკაცი, მაშინ, როცა წინა დღით პრესკონფერენცია ჩავატარეთ სახალხო დამცველის ოფისის ეზოში. სულ 6 კაცი ვიყავით. ჩემი აყვანა სულ უბრალოდ მოხდებოდა, მაგრამ კაციჭამია პრეზიდენტმა ფაშისტური რეჟიმის ძალის დემონსტრირება მოახდინა. მაშინ სრულიად საქართველოს მოსახლეობამ უდიდესი ცოდვა ჩაიდინა თავისი დუმილით, ხმა რომ არ აღიმაღლა შემზარავი ფაქტის გამო, არ მოითხოვა დამნაშავეთა დასჯა. იქიდან მოყოლებული რაც მოხდა საქართველოში, ყველამ ვიხილეთ.

ვაპირებ თუ არა ჩივილს, გეტყვით, რომ არა. მე მინდობილი ვარ ღმერთს, მსაჯულად და კანონმდებლად მხოლოდ ის მიმაჩნია. ღმერთი მიაგებს ყველას თავისი ცოდვებისათვის. მე მოგიყვანთ ერთ ფაქტს. ჩვენი ეკლესიის ერთ-ერთი დამრბევი ავტოკატასტროფაში მოყვა, სიკვდილის წინ თქვა: მე იმიტომ ვკვდები, მამა ბასილის ეკლესიის დარბევაში რომ მივიღე მონაწილეობაო.

**— თუ საიდუმლო არ არის, ვინ იყო ეს პიროვნება?**

— დასამალი არაფერი მაქვს. ეს იყო გურიის გუბერნატორი ჟანი კალანდაძე. მე სასიკვდილოდ არავინ მემეტება, რამეთუ ღვთის ბოძებულ სიცოცხლეს თვით ღმერთი მიითვლის, მაგრამ ღვთის სასჯელს, ვინც სცოდა, ყველა მიიღებს. მე ვურჩევ მათ, ვინც ჩვენი ეკლესიის დარბევაში მონაწილეობდნენ, მოვიდნენ და დროზე მოინანიონ.

**— რადგან სამართლებრივი პროცესი ვახსენე, კონკრეტულ პიროვნებებზეც გკითხავთ, 2000 წლის 16 აგვისტოს გლდანის ეპარქიასა და იეღოველთა სექტას შორის გამართული სასამართლო პროცესი თავისუფლების ინსტიტუტის მაშინდელი ერთ-ერთი ლიდერის — გიგა ბოკერიასა და რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტ დავით პაიჭაძის მხრიდან მართლმადიდებელ მრევლზე გაავფთრებული თავდასხმით დასრულდა. დიდწილად ამ ორი ადამიანის აქტიური მცდელობის შედეგი იყო 2004 წლის 12 მარტს ჩატარებული ოპერაციაც, რომლის დროსაც დაგაკავეს. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია, ეს ყველაფერი მათ მიმართ რაიმე სახის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საფუძველი გახდეს?**

— მე უკვე მოგახსენეთ, რისთვის ჩამოყალიბდა თავისუფლების ინსტიტუტი, სადაც აღიზარდნენ სააკაშვილის ლეკვები, მათ შორის გიგა ბოკერია და დავით პაიჭაძე. ეს პიროვნებები იქ იყვნენ, სადაც, მათი აზრით, სექტანტებს „ჩაგრავდნენ“, ასევე მამათმავლებს, ლესბოსელებს, ამათი უშუალო ქომაგები იყვნენ. თქვენ ახსენეთ ფაქტი, როცა გიგა ბოკერია ქვებით ხელში თავს დაგვესხა: მოკლედ მოგიყვებით ამის თაობაზე.

როცა სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა ჩვენსა და იეღოველებს შორის, ისინი პროცესს არ ესწრებოდნენ, იყო მხოლოდ მამუკა ჭაბაშვილი — მათი ადვოკატი, მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტერი (ამჟამად სააკაშვილისა და მერაბიშვილის კრიმინალური ბანდის ქომაგი)...

**როცა სასამართლო პროცესი დამთავრდა, ჩემმა მრევლმა დატოვა სასამართლოს მიმდებარე ტერიტორია. დავრჩით 30-მდე. ამ დროს გიგა ბოკერია, რომელიც ჩასაფრებული იყო 200-მდე იეღოველთან ერთად ნაძვებში, მათთან ერთად მოულოდნელად დაგვესხა თავს და გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მაშინ, როცა გიგა ბოკერია ქვებით ხელში ჩვენკენ გამოექანა, შევძელით გამკლავება და უკან გავაბრუნეთ თავის დამქაშებთან. ეს კადრები ყველამ იხილა მაშინ.**

**სწორედ გიგა ბოკერიაა არქიტექტორი სააკაშვილთან და პაიჭაძესთან ერთად 2004 წლის 12 მარტის მოვლენებისა, ამიტომ ის უნდა დაისაჯოს და არა მარტო ამისთვის, არამედ 2006 წლის ციხეში ბუნტის დროს 8 ადამიანის ჩახოცვისთვის. მე იქ ვიყავი და უშუალო მოწმე ვარ, როგორ იქცეოდნენ ბოკერია და ბაჩო ახალაია პატიმრების მიმართ, როგორ იძლეოდნენ პატიმრების დახვრეტის ბრძანებებს. მე მგონი, დღევანდელი პროკურატურა ამას თავს გაართმევს და სიმართლე იზეიმებს.**

**— ისევ მიმდინარე დაპატიმრებებზე გკითხავთ, ინდივიდუალურ დაკავებებზე: უფრო ლოგიკური ხომ არ იქნებოდა, სააკაშვილის ხელისუფლება ერთიანად რომ გასამართლებულიყო, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი, როგორ ფიქრობთ?**

— დღეს საზოგადოება მთელი გულისყურით ადევნებს თვალს ყოფილი ხელისუფლების დანაშაულობებს, რომლებიც ხალხის სააშკარაოზე გამოდის. მათ კისერზეა უამრავი ადამიანის სიცოცხლე, მათ შორის აკადემიკოს გურამ შარაძის ამაზრზენი დახვრეტა. ყველა მკვლელობის კვალი სააკაშვილამდე მიდის. ეს ყველაფერი ჩვენ, მოქალაქეებმა ვიცით, პროკურატურას ხომ გაცილებით მეტი ეცოდინება.

მე მსაჯული არა ვარ, ღვთის მსახური ვარ, წინა ინტერვიუებში ვაცხადებდი და ახლაც გავიმეორებ: **სააკაშვილის ბოროტების ხროვა საერთოდ ამოსაძირკვია, წინააღმდეგ შემთხვევაში სულ არეულ-დარეულობა და გაურკვევლობა იქნება ჩვენთან. არანაირი დანდობა მათ. ამდენი ბოროტების ავტორები ჯაჭვის რგოლებივით ერთმანეთზე არიან მიბმულნი, ისევ რეანიმაციას ფიქრობენ. სირცხვილის ნა-** ▶

გიგა ბოკერია და დავით პაიჭაძე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ გლდანის ეპარქიის მრევლს



რელიგია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# „გია ბარამიძის ადგილი, პარლამენტში კი არა, ციხეშია. მას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი თავისი მეგობრებისა და ერის წინაშე, უნდა რცხვენოდეს, პარლამენტში რომ ზის და ხალხის ბედს წყვეტს. ჩვენი ეკლესიის დარბევას ის ხელმძღვანელობდა. გვესმოდა, როგორ იძლეოდა ბრძანებებს — ვინ ეცემათ, ვინ დაეჭირათ.“

ტამალი არ გააჩნიათ.

**— რაც შეეხება დასავლეთის პოზიციას ბოლო დროს აქ განვითარებულ მოვლენებზე, როგორ ფიქრობთ, რატომ აფასებენ ისინი, განსაკუთრებით ამერიკელები, მიმდინარე საგამოძიებო პროცესებს პოლიტიკურ დევნად?**

— დღეს არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც ამბობენ იმას, რომ საქართველო არის ამერიკის დამონებული შტატი. ამას მსოფლიოს გარკვეული ნაწილიც აღნიშნავს, რაც ცუდის მიმანიშნებელია. წარმოიდგინეთ, საქართველოს რომელიმე რეგიონში თუ რაიმე კონფლიქტი მოხდა სექტანტებს, მამამთავლებს, ლესბოსელებსა და მართლმადიდებლებს შორის, ამერიკის ელჩი იმ წუთშივე იქ გაჩნდება ვაიქართველებთან ერთად და ქომაგობს მათ. ამიტომაც არის მათი დაფინანსებით საქართველოში მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია შექმნილი. ძირითადად მათი მიზანია მართლმადიდებლობის აღმოფხვრა, ესაა მათი მზაკვრული ჩანაფიქრი. თეა თუთბერიძე მათი უშუალო დამცველია, სააკაშვილის იდეების ერთგული და მისი ყურმოჭრილი მონა. დღესდღეობით საქართველოში ყველაზე უბოროტესი ორგანიზაციაა თავისუფლების ინსტიტუტი. **კატეგორიულად მოვითხოვ, სასწრაფოდ გაუქმდეს არასამთავრობო ორგანიზაციის ყველა დაჯგუფება, რომელთა რიცხვი 200-ს აღემატება, რომლებიც უშუალოდ ჯორჯ სოროსისაგან და მართლმადიდებელთა დაუძინებელ მტერთაგან ფინანსდება. მოვითხოვ, იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით სასწრაფოდ გაუქმდეს მათი რეგისტრაცია და ხელმეორედ გატარდნენ რეგისტრაციაში მხოლოდ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაიცავენ ოცსაუკუნოვან სარწმუნოებას და ერის ძირძველ ტრადიციებს, რომელთა ამოძირკვას ცდილობენ სოროსი და მისი ქართველი მონები. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ამოშანთონ ქართველთა ცნობიერებიდან ღვთის შიში და სიყვარული, და საერთოდ გააქრონ საქართველოს ხსენება.** აი, ეს კამპანია დაიწყო გამყიდველმა სააკაშვილმა. ერის რისხვა და სასჯელი მოეწევა მას.

მინდა იცოდეს სრულიად საქართველომ, რომ სააკაშვილს მწარედ მხოლოდ მაშინ კი არ ვამხელ, როცა მისი მზე ჩაესვენა, ამას სხვები აკეთებენ, მე პირიქით, ციხის პირქუში კედლებიდან, სადაც მრავალჯერ დაიგეგმა ჩემი ლიკვიდაცია, არ გავჩერებულვარ და ვამხელდი მის ბოროტებას. და დღეს ვინც სააკაშვილს ოპოზიციაში უდგას, მის გვერდით იდგნენ და ნაყოფიერ ნიადაგს უქმნიდნენ მიტინგების სასტიკ დარბევებსა და ერის გენოციდში. ერის ღალატში ისინიც თანაზიარნი არიან ამ ჯალათისა, ყველამ ჩაიხედოს თავის სინდისში.

თქვენ გაინტერესებთ, რატომ აფასებენ საზღვარგარეთელები ჩვენთან მიმდინარე საგამოძიებო პროცესებს პოლიტიკურ დევნად.

ყველამ უწყით, რომ საზღვარგარეთელი ძმები სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებენ. ახლა რომ ამ „შუქურის“ მეთაურობით ჩადენილია სადისტური მკვლელობები, ერის გენოციდი, ეს, რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი არ არის და სირცხვილია, ამიტომ გამოძებნეს ერთადერთი აბსურდული გამოსავალი, ვითომ საქართველოში მიდის პოლიტიკური დევნა.

**— დღემდე არაერთხელ განაცხადეთ საჯაროდ, რომ 2004 წელს ეკლესიის დარბევა შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრის, გია ბარამიძის, გეგმითა და მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა. პროკურატურას ის არც კი დაუკითხავს. რა აზრის ხართ ამაზე?**

— პირდაპირ გეტყვით: **გია ბარამიძის ადგილი, პარლამენტში კი არა, ციხეშია. მას იმდენი დანაშაული აქვს ჩადენილი თავისი მეგობრებისა და ერის წინაშე, უნდა რცხვენოდეს, პარლამენტში რომ ზის და ხალხის ბედს წყვეტს. ჩვენი ეკლესიის დარბევას ის ხელმძღვანელობდა.** გვესმოდა, როგორ იძლეოდა ბრძანებებს, ვინ ეცემათ, ვინ დაეჭირათ და ა. შ. უფალი მას აძლევს მონანიების საშუალებას, მაგრამ ეშმაკის მოციქულთან სინანულს რა საერთო აქვს. რაც მან სვანეთში ჩაიდინა, მიკვირს, რატომ აქამდე არ იჭერენ. ბარამიძე ხომ ზურაბ ჟვანიას მარჯვენა ხელი იყო. მან ყველაფერი იცის ჟვანიას მკვლელობის შესახებ, ხმას არ იღებს, ნუთუ სინდისის ქენჯნას არ განიცდის. **ეს პიროვნება მოღალატეა როგორც მეგობრის, ასევე საქართველოსი.** დღეს რომ გამოდის ტელევიზიით და აქეთ ჭკუას გვარიგებს, ხალხს თვალში ნაცარს აყრის, ამ დროს ყველამ იცის მისი შავბნელი საქმეები, ღმერთს სად დაემალება?

ის თუ პროკურატურას არ დაუკითხავს, სამაგიეროდ უზენაესთან დაიკითხება. ურჩევნია, მან მთელი ერის წინაშე მოინანიოს, სანამ გვიან არ არის.

**მთელი ერი შეშფოთებას გამოთქვამს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტის გამო. მართალია, დაიწყო ტაბუდადებული საქმეების გამოძიება, მაგრამ არაფერს ამბობენ საქართველოს პირველი, დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას მკვლელობაზე. ის ხომ საქართველოს მოსახლეობის 87%-მა აირჩია. მისი პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდში ვიბრძენით, რომ ქართველნი ვიყავით და ჩვენს კუთვნილ მიწაზე ვცხოვრობდით.**

ვთხოვთ ახალ ხელისუფლებას, მკაცრად დადგეს პრეზიდენტის იდუმალებით მოცული მკვლელობის საქმის გამოძიების საკითხი.

**— ბოლო დროს მიწების გასხვისების საკითხი ისევ აქტუალურია. ცნობილია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ მთელი საქართველოს მასშტაბით, განსაკუთრებით ქართლსა და კახეთში, საუკეთესო ნაკვეთები უცხოელებზე გაასხვისა. როგორ უყურებთ ამ ყველაფერს? რა შედეგებამდე შეიძლება ამან მიგვიყვანოს?**

— მართლაც, სხვა უბედურებებთან ერთად ეს საკითხი მეტად მტკივნეულია და საჭირბოროტო საქართველოსთვის, რასაც რატომღაც ყურადღებას არავინ აქცევს. სააკაშვილის აზროვნება ფულის მომხვეჭელობისკენ იყო გადახრილი. საკუთარი ჯიბის გასქელებისთვის მან გამონახა გამოსავალი,




**«სააკაშვილი ხშირად სტუმრობდა ამერიკის ელჩს, ყოველდღიურ მითითებებს მისგან იღებდა, რათა ქვეყანა დიქტატორულად ემართა, შიშისა და ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდა ერი»**

გასხვისება წინაპართა სისხლითა და ძვლებით გაჟღენთილი მიწებისა და ამ გზით თავის სასარგებლოდ უდიდეს „წარმატებას“ მიაღწია. დაბეჩავებული ხალხის ზურგზე წარმოიდგინეთ კახეთის თითქმის ნახევარ ტერიტორიაზე ინდიელები და ჩინელები ჩაასახლეს, რასაც დიდი აღშფოთება მოჰყვა, მაგრამ ამაოდ... გადამთიელები ბუნებრივია, შეძენილ მიწებზე, ვინაიდან კომპაქტურად არიან ჩასახლებულნი, აიშენებენ თავიანთ სალოცავებს. სწორედ ეს არის ქართველთა ასიმილაცია. დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები რომ ჩამოასახლა, განფანტა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, შეკრა საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, დალმაშენებელმა სააკაშვილმა კი ყველაფერი გაასხვისა. ახლა დაიწყება მათგან პროზელიტური ქმედებები. ღმერთმა ყველას თავისი საცხოვრისი, ენა, ტრადიციები მიაგო, ჩვენ კი ფართოდ ვაღებთ ჭიშკარს და ყველას ვღებულობთ.

ეს ყოველივე, ჩემო კარგო, იმ შედეგამდე მიგვიყვანს, რომ ჩვენ, ქართველები, ჩვენივე ღვთივბოძებულ მიწა-წყალზე ლტოლვილები აღმოვჩნდებით.

**— 2012 წლის 12 დეკემბერს თბილისში ჯორჯ სოროსი იმყოფებოდა. ის შეხვდა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს. ოფიციალური ინფორმაციით, საუბარი საქართველოში ბიზნესკლიმატის გაუმჯობესებას შეეხებოდა. რას ფიქრობთ მის ვიზიტზე ჩვენს ქვეყანაში? ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ეს ყველაფერი საეჭვოდ დაემთხვა ხელისუფლების შეცვლას?**

— ამერიკა და ჯორჯ სოროსი რომ მართავს საქართველოს, ამას მე დიდი ხანია გავიძახი. გადამთიელები ამას ისევ გამყიდველი, დოლარებზე დახარბებული ვაიქართველების მეშვეობით ახერხებენ.

ხელისუფლების შეცვლისთანავე სოროსი უმალ აქ გაჩნდა. ნებისმიერი ჩახვდება, რომ ის გასაღებს ეძებს. ივანიშვილთან კარს მიღმა მათ რაზე ისაუბრეს, უცნობია, მაგრამ, როგორც ინფორმაციამ გამოჟონა, **სოროსმა გააფრთხილა ივანიშვილი, რომ რუსეთისკენ არ გადაიხაროს.** ჩემი ლოგიკური მოსაზრებით, ფინანსებით ივანიშვილს ვერ დააინტერესებენ, რამეთუ ის აქეთ ეხმარება საქართველოს საკუთარით. აქედან გამომდინარე, ივანიშვილი არ უნდა გატყდეს, სოროსმა ვერ უნდა აჯობოს. **ღმერთის მინდობილი ადამიანი მთებსაც შეძრავს. სიდინჯე მას არ აკლია და ვფიქრობ, არ გადადგამს ერის საწინააღმდეგო ნაბიჯს. მეტად რთული გამოცდის წინაშე დგას. ვფიქრობ, გაართმევს თავს.**

**— ერთი თვის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ ყრილობაზე სააკაშვილმა განაცხადა, რომ მომავალ არჩევნებში დიდი უპირატესობით გაიმარჯვებს და ხელახლა დაბრუნდება ქვეყნის სათავეში. რამდენად რეალურად გეჩვენებათ ეს ყველაფერი? რა შანსი აქვს „ნაცმოძრაობას“?**

— დღეს მიხეილ სააკაშვილი ისეთ ეიფორიაში იმყოფება, რას მოქმედებს, თვითონაც ვერ გაუგია. ამ გაუწონასწორებელმა გიჟმა ჩაიჭედა გონებაში, რომ ისევ უნდა დაბრუნდეს. ამაში არწმუნებს თავისი გუნდის წარმომადგენლებს, ეკლესიაში დასაყრდენს მის დამცველ სამღვდელოებაში ეძებს, რათა მისმა მომხრე სასულიერო პირებმა მრევლი დაარწმუნონ, რომ ისევ სააკაშვილი გახდება პრეზიდენტი. სააკაშვილმა ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ პარლამენტის დახმარებით ერთპიროვნულად მოირგო კანონი, კონსტიტუცია, სამომავლოდ გაიკეთა საქმე, რომ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ პრემიერ-მინისტრი გახდებოდა და ყველა ძალაუფლება მის ხელში გადავიდოდა. მე ამას მივუსადაგებ დავითის ფსალმუნიდან ფრაზას: „...და შთავარდეს იგი მთხრებლსა მას, რომელიცა ჰქმნა“... (ფსალმ. 7-16). მისი გეგმა ჩაიშალა. ახლა ყოველ ღონეს ხმარობს ხალხის გადასარწმუნებლად, მაგრამ ვერ აცნობიერებს, რომ ამ ჯალათის, მკვლელის, ფაშისტის უკან დაბრუნებას ღმერთი არ დაუშვებს.

**— წინა ხელისუფლება, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზეც, მთლიანად ვაშინგტონიდან იმართებოდა. მისი ყველა გადაწყვეტილება „თეთრი სახლიდან“ იყო ნაკარნახევი. რა შეიცვალა ამ მხრივ ახალი ხელისუფლების მოსვლით? რამდენად დამოუკიდებელია კოალიცია „ქართული ოცნება“, როგორ ფიქრობთ?**

— საქართველო დღეს დამოუკიდებელი არ არის. კომუნისტების დროს კარგად გვახსოვს ჩვენთან მოსკოვის გარეშე არაფერი წყდებოდა. ახლა კი სააკაშვილის წყალობით ოკეანისგაღმელების მორჩილები გავხდით. **სააკაშვილი ხშირად სტუმრობდა ამერიკის ელჩს, ყოველდღიურ მითითებებს მისგან იღებდა, რათა ქვეყანა დიქტატორულად ემართა, შიშისა და ზეწოლის ქვეშ ჰყოლოდა ერი.** ახერხებდა კიდეც ამას 9 წლის მანძილზე. ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა და მის პოლიტიკას წერტილი დაესვა, ჩვენ ამერიკისკენ არ უნდა მივაპყროთ იმედის თვალი, ისინი ჩვენ თავის სასარგებლოდ გვიყენებენ. **ხალხში გავრცელებულია აზრი, რომ ივანიშვილი ამერიკასთან მიმართებაში სააკაშვილის გზას მიჰყვებაო. აქ დიდი დაფიქრება გვმართებს. ვიმედოვნებ, პრემიერ-მინისტრი მოახერხებს, საერთოდ გაემიჯნოს ამ გიჟის კურსს.**

**— დაბოლოს, რით ახსნით იმას, რომ მართლმადიდებლობა დასავლურ ღირებულებებთან, ზნეობრივ ნორმებთან, ამერიკული ცხოვრების წესთან შეუთავსებელია? ვერც ერთ მართლმადიდებლურ ქვეყანაში დასავლეთი ვერ ახერხებს, ხალხი თავის ზნეობას დაუმორჩილოს.**

— ვიცით, რომ დასავლეთის წამყვანი ქვეყნები ძალიან ძლიერია. ამერიკა მათ საქმეებში მაინცადამაინც ვერ ერევა, გავლენას ვერ ახდენს, ამიტომ ისინი მცირე ქვეყნებზე ავრცელებენ თავის პოლიტიკის არეალს ვიეტნამში, ავღანეთში, ერაყში, აფრიკის ქვეყნებში და სხვ.

**მართლმადიდებლობა დასავლეთის ქვეყნების ზნეობრივ ნორმებთან მართლაც შეუთავსებელია. მართლმადიდებელი სარწმუნოება მეტად მკაცრი და ზნეობრივად ამაღლებული რწმენაა, რომელიც მხოლოდ უფლის დადგენილ მცნებებს დიდი სჯულის კანონით ხელმძღვანელობს, რომლის დაცვა საკმაოდ რთულია, მაგრამ მიმყვანებელი სასუფეველში. დასავლეთში კი ძირითადად არიან კათოლიკეები,** ბაპტისტ-ევანგელისტები, ლუთერანები და სხვ. ჩამოთვლილი მიმდევრობები სრულ თავისუფლებას აძლევენ ადამიანის ზნეობრივ ქმედებებს. ალბათ, ნახეთ ტელევიზიით ქალი ეპისკოპოსი, რაც, დიდი სჯულის კანონით, ყოვლად დაუშვებელია. ადამიანის ბუნება ისეთია, რომ ის ილტვის თავისუფლებისკენ. აი სწორედ ამ ქმედებებით ვიცდებით თითოეული ჩვენგანი. მათთვის დაშვებულია მამათმავლობა, ლესბოსელობა, ბევრ ქვეყანაში ერთსქესიანთა ქორწინებაც დასაშვებია. **ამასწინათ ვნახეთ ტელევიზიით, რომში როგორ ითხოვდნენ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას. მათ პოლიცია სასტიკად გაუსწორდა. საქართველოში, სააკაშვილის ბრძანებით, მათ აღლუმიც კი ჩაატარებინეს. ეს ნიშანი იყო იმისა, რომ, ამ გიჟს რომ დასცლოდა, უზნეობაში დასავლეთის ქვეყნებს მიბაძავდა. ეს პროცესი დაწყებული იყო ჩვენთან. ეს კურსი ახალმა მთავრობამ სასტიკად უნდა დაგმოს, რადგან ქვეყნის წინსვლას სერიოზულად შეაფერხებს, ჩვენ ჭეშმარიტმა, მამა-პაპათა, სახელოვან წინაპართან რწმენამ გვატარა დღემდე და შემდგომაც მხოლოდ ის გადაგვარჩენს, ამიტომ არანაირი ფუფუნების, მატერიალურის ხარჯზე არ უნდა დავთმოთ მართლმადიდებლობა.**

უფალთან ყოველი ჩვენგანი ჩვენი კეთილი და ბოროტი საქმეებით წარვდგებით, სხვას ვერაფერს გავიტანთ ამ ქვეყნიდან სამსჯავროზე, რაც არ უნდა შევინანოთ უფალი უვედრებელ არს. სწორედ გამოსაცდელად მოვევლინეთ ამ ქვეყნიერებას, რათა უფალმან გაგვარჩიოს, ვისნი ვართ — უფლისა თუ ბარაბასი.

ჩვენ, მართლმადიდებელნი, ვალდებულნი ვართ, დავდგეთ, როგორც ერთი ჩვენი ერის ტრადიციების, ადათ-წესების, სარწმუნოების სადარაჯოზე. მხოლოდ ეს გვატარებს ტაძრისკენ მიმავალ გზაზე და გადაარჩენს ჩვენს სულებს.

ვუსურვებ ჩემს ბედკრულ ქვეყანას, არ მოკლებოდეს უფლის წყალობა და კეთილდღეობა, დიდება მეოხება უფლისა მიმართ, ხოლო თითოეულ მართლმადიდებელ მამულიშვილს ჰქონოდეს მოთმინება, მორჩილება, თავმდაბლობა, სინანული ურთიერთსიყვარული. მხოლოდ ეს გადაგვარჩენს.

ღმერთმა დაგლოცოთ.

*ესაუბრა* **ჯაბა ჭუანია**

**«გურიის გუბერნატორმა ქანი კალანდაძემ სიკვდილის წინ თქვა: მე იმიტომ ვკვდები, მამა ბასილის ეკლესიის დარბევაში რომ მივიღე მონაწილეობაო»**

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აუცილებელია, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნებამ“ დაასახელოს და მხარი დაუჭიროს კანდიდატს, რომელიც დაასტაბილურებს პოლიტიკურ ძალთა ბალანსს და პრემიერთან ერთად მოახერხებს იმ მნიშვნელოვანი გამოწვევებისადმი გამკლავებას, რომლებიც სახელმწიფოს წინაშე დგას. რესპუბლიკური პარტია კი ვისი წარმომადგენელიც, სავარაუდოდ, განიხილება „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატად, ამ ფუნქციას ვერანაირად ვერ შეასრულებს.**

# ვინ ალაგმავს სააკაშვილს და დააბალანსებს პოლიტიკურ პროცესს?

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სააკაშვილის გამოსვლამ ცხადყო, რომ „ნაცმოძრაობა“ ბრძოლის გარეშე დანებებას არ აპირებს და ყველა ხერხს მიმართავს, რათა ძალაუფლება დაიბრუნოს. პრეზიდენტის უტიფარ სიცრუეთა კასკადმა, ნათელი გახადა, რომ ის მიზნის მისაღწევად არ მოერიდება არაფერს — არც სახელმწიფოებრივ ინტერესებს და არც ქვეყნისთვის აშკარად დამღუპველი ნაბიჯების გადადგმას, მისთვის მიზანი ამართლებს საშუალებას და, თუ თვითონ არ იქნება ხელისუფლების სათავეში, ქვას უთოვია საქართველოში.**

**ასამბლეაზე ასევე გამოიკვეთა, რომ „ქართული ოცნების“ დელეგატებმა არათუ ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მიხეილ სააკაშვილს (თუ გავითვალისწინებთ, რომ, „ოცნების“ ხედვით, სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მთავარი ოპონენტები კოალიციაში შემავალი რესპუბლიკელები უნდა იყვნენ), არც არის გასაკვირი, რომ ისინი ჯერჯერობით აგებენ ამ პაექრობას სააკაშვილთან, რომელიც უკვე აღარც მალავს, რომ არის ქართველი ხალხის არჩევანის წინააღმდეგ შეთქმულების თავკაცი.**

**და მაინც, რას წარმოადგენს რესპუბლიკური პარტია და ვის თამაშს თამაშობენ მისი თავკაცები?**







**კომუნისტების დროიდან მოყოლებული ცნობილი „სარეველები“ (როგორც მათ სახალხო ფრონტის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ უწოდა), რესპუბლიკელები, დღესაც „მჭიდში“ არიან.**

თუ ძალიან შორიდან დავიწყებთ მათი პოლიტიკაში მოღვაწეობის ისტორიას, მაშინ აუცილებლად დაგვჭირდება ისეთი ადამიანის დახმარება, რომლის თვალწინაც გაიარა რესპუბლიკელთა ცხოვრებამ, განსაკუთრებით კი — ძმები ბერძენიშვილებისამ. ასეთი ადამიანი გახლავთ ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც არ გაგვინაწყენდება, თუ მისი წიგნიდან „ავაჰმე, ჩემო მამულო!..“ ამონარიდებს გამოვიყენებთ.

აი, რას წერს ბატონი ელიზბარი ბერძენიშვილებზე: **„კომუნისტების ბატონობის პერიოდში, ერთპარტიულობის ხანაში რესპუბლიკური პარტიის დაარსება გადაწყვიტა (იგულისხმება ლევან ბერძენიშვილი), შექმნა მცირე ჯგუფი და დისიდენტური მოძრაობის თავკაცად წარმოიდგინა თავი. მან არალეგალური ჟურნალი „სამრეკლოც“ გამოსცა. უშიშროების კომიტეტმა უმალვე შეიტყო მისი დისიდენტური მოღვაწეობის შესახებ და ვირის აბანოში მიაბრძანა. ოთხ კედელში რამდენიმე დღეც არ ჰქონდა გატარებული, რომ უკვე გამოავლინა თავისი „უდრეკი ხასიათი“ და „პრინციპულობა“. 1984 წლის 5 იანვარს პირველსავე დაკითხვაზე იგი აღიარებს დანაშაულს და, რაც უფრო თავზარდამცემია, საკუთარ ძმას, დავით ბერძენიშვილს, ასახელებს თანამზრახველად და თანამებრძოლად, რითაც, ფაქტობრივად, ციხისთვის იმეტებს მას. ამავე დროს, ლამის ვედრებით მიმართავს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გამომძიებელს: „იმედი მაქვს რა ყოველივე აღნიშნულისა და ჩვენი კანონმდებლობის ჰუმანურობისა, ვლძრავ შუამდგომლობას გამოძიების წინაშე, მომცეს ქაღალდი, საწერ-კალამი და საშუალება, თვითონ, პირადად დავწერო ყოველივე სიმართლე ჩადენილი დანაშაულის ირგვლივ და ვითხოვო შეღავათი, ვინაიდან ჯერ კიდევ ახალგაზრდას შემწევს უნარი, კეთილი და პატიოსანი შრომით დავამტკიცო ჩემი ადამიანობა ერისა და სამშობლოს მიმართ“.** რა თქმა უნდა, საწერ-კალამი და ქაღალდი ლევან ბერძენიშვილს მისცეს და, როგორც ელიზბარ ჯაველიძე ამბობს, „წერამ აიტანა“. **თავში უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველი თავისი ძმა დააბეზღა, შემდეგ კი მოჰყვა დანარჩენებს. ჩამონათვალში აღმოჩნდნენ „სამრეკლოს“ სულისჩამდგმელნი ვახტანგ ძაბირაძე, ვახტანგ შონია, გაახსენდა ის ადამიანებიც, რომლებთანაც ამ საკითხებზე უსაუბრია: ზურაბ სიხარულიძე, გოდერძი ტოტოჩავა, ნაირა ბლიაძე და მერაბ ხახნელიძე, არ დაინდო ნათესავიც — მიხეილ ზამბახიძე. დამეთანხმებით, ასეთი დეტალური ინფორმაციის გაცემა დისიტენტის საქციელს ნამდვილად არ ჰგავს.**

**1984 წლის 2 მარტს ლევან ბერძენიშვილი აცხადებს: „დღეს გულწრფელად ვნანობ დანაშაულს, ვგმობ ჩადენილს და მსურს, დავარწმუნო გამოძიება, რომ ჩემი მხრიდან არასოდეს ექნება ადგილი დანაშაულებრივ მოღვაწეობას და მონდომებითი შრომით გამოვასწორებ და გამოვისყიდი ყოველივეს“.** თუ რას ნიშნავდა ბერძენიშვილის ეს განცხადება, ახლავე მოგახსენებთ და ისევ ელიზბარ ჯაველიძეს მოვიშველიებ: „კაგებე“ ასეთ ადამიანებს სანთლით ეძებდა და როგორ გაუშვებდა ხელიდან. როგორც ამბობენ, ამ დღიდან ლ. ბერძენიშვილი და მისი ძმა, დ. ბერძენიშვილი, სუკის ნაფიცი „დისიდენტები“ გახდნენ. **თუ რას ნიშნავდა ბერძენიშვილის სიტყვები „მონდომებითი შრომით გამოვასწორებ და გამოვისყიდი ყოველივესო“, სულ ცოტა ხანში გაცხადდა. ლევან „დისიდენტი“ დასახვრეტად განწირულ გეგა კობახიძეს, ხოლო მისი უმცროსი ძმა და კოლეგა დ. ბერძენიშვილი ასევე დასახვრეტად გამწესებულ ივერიელთაგან ერთ-ერთ ძმას საკნებში „ნასეტკებად“ შეუსახლეს. ვინც იმდროინდელი მართლმსაჯულების წესებსა და ციხის შინაგანაწესს იცნობს, მისთვის ცხადია, რომ სასჯელის უმაღლესი ზომისთვის განწირულებს საკანში არავის უსახლებდნენ, გარდა სანდო „ნასეტკებისა“, რომლებსაც სერიოზულ „მისიას“ აკისრებდნენ.**

**როგორც ჩანს, ძმებმა ამ „მისიას“ წარმატებით გაართვეს თავი, რაც შემდგომში თვითმფრინავის გამტაცებელთა და განსაკუთრებით კი უდანაშაულო სასულიერო პირის, ჩიხლაძის, დახვრეტით დაგვირგვინდა, ხოლო ძმების „ღვაწლი“ უშიშროებისა და საბჭოეთის წინაშე თავად Uუშიშროების შეფმა ა. ინაურმა დაშიფრული რადიოგრამით აცნობა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაღალ ეშელონებს, კერძოდ, ფილიპ ბაბკოვს და ძმების დიდი „ღვაწლისა“ და „დამსახურების“ გათვალიწინება სთხოვა. გაითვალიწინეს კიდეც: მათ მინიმალური სასჯელი გამოუტანეს და ორივე ძმა სასჯელის მოსახდელად ერთ კოლონიაში გაამწესეს, რაც იმ დროისათვის გაუგონარი რამ იყო. მეტიც, ისინი ვადამდე ადრე გაათავისუფლეს“.**

ვფიქრობ, ეს ამბავი ბევრს ახსოვდა, ბევრმა არც იცოდა, დამეთანხმებით, შემზარავი ისტორიაა.

რესპუბლიკური პარტია ჩვენს ქვეყანაში არსებობის ოცდაათ წელიწადზე მეტს ითვლის და მთელი ამ წლების მანძილზე მათ საამაყო არაფერი აქვთ, თუმცა ძალიან კი ამაყობენ. მათი ლიბერალიზმი დაარსების დღიდან ქვეყნისთვის დამღუპველი აღმოჩნდა. არ შემიძლია, ისევ ელიზბარ ჯაველიძის დიდი ხნის წინ დაწერილი ეს სიტყვები არ მოვიშველიო, რადგან დღემდე აქტუალურია: **„ბუნებრივია, კონდოტიერთა ეს ლაშქარი, რომელიც დღესაც აქტიურობით გამოირჩევა, მაღალი პრინციპულობითა და ზნეობრიობით არ ხასიათდება. იგი ერთობ ჭრელია და მრავალგვაროვანი. მათი ჩამოთვლა და დახასიათება შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგიერთი რჩეულთაგანი რომ არ ვახსენოთ, არც ის ივარგებს: რესპუბლიკელთა მედროშენი, მოძველბიჭო, მომორფინისტო, დედით იუდეველი ძმები გიორგი და ივლიანე ხაინდრავები; სუკის ნაფიცი დისიდენტები — ძმები ბერძენიშვილები, სოროსის სოროდან გამოსოროსებული: გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, დავით ზურაბიშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, ცოლ-ქმარი — თინა ხიდაშელი და დავით იუსუფოვი (უსუფაშვილად გადასოროსებული)“. აი, ასეთია მოკლე ჩამონათვალი და ამ ადამიანებმა მოახერხეს და ხელისუფლების სათავეში შეძლეს მოსვლა.**

მათი პოლიტიკაში მოღვაწეობა და თავისი ჩვეული მისიის შესრულება შეგვიძლია ირაკლი ალასანიასაც გავახსენოთ. სწორედ მაშინ უწოდა „სარეველები“ ნოდარ ნათაძემ რესპუბლიკელებს, როდესაც ალასანია, რომელიც ხალხს ამერიკიდან დაბრუნებული მხსნელად ევლინებოდა და კოალიცია რესპუბლიკელებთან ერთად შექმნა. 2010 წლის არჩევნები მათთვის კრახით დასრულდა, უფრო ზუსტად, სრული კრახით არ დასრულდა — რამდენიმე რაიონში კოალიციის წევრებმა საკრებულოებში შესვლა შეძლეს და ახლა ზუსტად ეს ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს თანამდებობისთვის. ზოგი რესპუბლიკელია, ზოგიც — ალასანიას ნამდვილი გულშემატკივარი, თუმცა იმ დროს, წინასაარჩევნო პერიოდში ალასანიაც „ნაცმოძრაობის“ სატელიტად მოიხსენიებოდა, როგორც სხვა ბევრი პარტია, მაგრამ უფრო მძიმე შემთხვევა იყო რესპუბლიკელები, მაშინ მათ მაინც შეძლეს თვითმმართველობებში შეძრომა.

ისაუბრო რესპუბლიკელებზე და არ გაიხსენო ლევან ბერძენიშვილის წარსულიდან პერიოდი, როდესაც ის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი იყო, არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ის პერიოდი მე და ჩემს თაობასაც კარგად გვახსოვს, მინდა მაინც ელიზბარ ჯაველიძეს დავესესხო: „...მაინც რით დაგვამახსოვრა თავი ამ „ერის შვილმა“? ჯერ იყო და ეროვნულ ხელისუფლებას გესლავდა, მის მოშხამულ აზრებს ბოლმით პირგამომშრალი და ენაგადმოგდებული მისი ძმა ახმოვანებდა. მერე იყო და, სამი წლის განმავლობაში ტელეეკრანიდან ედუარდ შევარდნაძის ქებით ყურები გამოგვიჭედა. ამ კაცის გონიერების, ქვეყანას რომ სიკეთეს მოუტონს, მჯერა და მჯერაო, — დღეგამოშვებით იმეორებდა. ჰოდა, ამ მჯერა-მჯერას ძახილით საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორობას გამოჰკრა ხელი.

**უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ცნობიერების ბურჯს, ილია ჭავჭავაძეს, შეუტია და განაცხადა: „ილია ჭავჭავაძეს — ასეთ ქართველ მწერალს მე არ ვიცნობ!“ ასეთი კადნიერი განცხადება თავის დროზე ილიას მოძულე სოციალ-დემოკრატებმა და პირწავარდნილმა კოსმოპოლიტებმაც ვერ გაბედეს“. მინდა გითხრათ, რომ, როდესაც ამ განცხადებას ხალხის აღშფოთება მოჰყვა, მან თქვა: „მე არც აკაკი წერეთელი მომწონსო“.**

ვინც ამ წერილს წაიკითხავს და იტყვის, რომ რაღა დროს ამის გახსენება იყო, ძლივს რაღაც გვეშველაო, მინდა მათ ვუთხრა, ახლა, ქვეყანა ახალი საშიშროების წინაშე დადგა. ეს ბოლო ამბავი რესპუბლიკელების მამებთან დაკავშირებით იმიტომ გავიხსენე, რომ ხალხის მხსნელსა და იმედს, **ბატონ ბიძინა ივანიშვილს ძალიან უყვარს და ხშირადაც ციტირებს ილიასა და აკაკის, მაგრამ მჯერა, რომ მას ბერძენიშვილებთან ილიაზე, აკაკიზე და საერთოდ ქართულ ლიტერატურაზე სასაუბროდ არ მოუცლია, თორემ პირველკაცებად არ აქცევდა, წერილის მიზანი სწორედ ისაა, რომ ეს ყველაფერი ბატონმა ბიძინამ იცოდეს.**

პოლიტიკა დინამიური პროცესია, მოსახლეობა გაგებით ეკიდება იმ გარემოებას, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ურთულეს პერიოდში მოვიდა და მას უამრავ გამოწვევასთან, მათ შორის საგარეო ზეწოლასთან, დასავლელი პარტნიორების ორმაგ სტანდარტებთან და „ნაცმოძრაობის“ ღია საბოტაჟთან უწევს გამკლავება. ასევე გასაგებია, ყველა პრობლემის მოგვარება ერთი ხელის მოსმით არ გამოვა, მაგრამ სათანადო დასკვნების გამოტანა აუცილებელია. სააკაშვილი უბრძოლველად არ დანებდება, „ნაცმოძრაობა“ არ დათმობს არაფერს, რიგით გამგებელსაც კი. ამის გათვალისწინებით, აუცილებელია, რომ ქართული ოცნების პარტნიორად, სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელების და მეგობრების გარდა (ვისგანაც დღეს უმრეტესად შედგება კოალიცია), მოიაზრებოდეს ძალა ან ფიგურა, რომელსაც ძალუძს „ნაცმოძრაობის“ დესტრუქციული საქმიანობის განეიტრალება. ფაქტია, რომ ახალი პარლამენტი შედგება სააკაშვილის მოქმედი თანაგუნდელებისგან უმცირესობის სახით და უმრავლესობისგან, რომელიც უმეტესად ასევე სააკაშვილის ყოფილი თანაგუნდელ-თანამებრძოლებით არის დაკომპლექტებული. იგივე სურათია აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, ანუ საქართველოში არიან ძალები, გნებავთ, პერსონები, რომელთაც შეუძლიათ „ნაციონალური მოძრაობის“ დესტრუქციული ქმედებების განეიტრალებაც და რიგ მნიშვნელოვან, მათ შორის საგარეოპოლიტიკურ მიმართულებებზე შედეგიანი ნაბიჯების გადადგმაც, მაგრამ ისინი არ არიან წარმოდგენილნი არც საკანონმდებლო და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამის გათვალისწინებით, იმისათვის, რომ საქართველო არ იქცეს პერმანენტული რევოლუციებისა თუ პერმანენტული არჩევნების ქვეყნად, **აუცილებელია, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში „ოცნებამ“ დაასახელოს და მხარი დაუჭიროს კანდიდატს, რომელიც დაასტაბილურებს პოლიტიკურ ძალთა ბალანსს და პრემიერთან ერთად მოახერხებს იმ მნიშვნელოვანი გამოწვევებისადმი გამკლავებას, რაც სახელმწიფოს წინაშე დგას. რესპუბლიკური პარტია კი ვისი წარმომადგენელიც, სავარაუდოდ, განიხილება „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატად, ამ ფუნქციას ვერანაირად ვერ შეასრულებს.**

**ეკა ნასყიდაშვილი**

**ძირძველ და საქართველოს ხერხემლად წოდებულ მხარეში ძველი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა. „ნაციონალების“ ეგიდით არჩეულმა ხობისა და სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატებმაც კი დატოვეს ძველი, დრომოჭმული და მოძალადე პარტია. ეს ყოფილი ხელისუფლების რღვევის აშკარა დასტურია და შორი არ არის დრო, როცა ეს პროცესი სრული ფიასკოთი დასრულდება.**

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს ბედი საპრეზიდენტო არჩევნებზე გადაწყდება

**საქართველოს მთავარ კანონში — კონსტიტუციაში, მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით სახალხო განხილვამ ზუგდიდში ხმაურისა და ინციდენტის გარეშე ვერ ჩაიარა. „ნაცმოძრაობის“ თავგამოდებულ იდეოლოგს, ბობოხიძეს, თავში მოხვდა ლაყე კვერცხები. ეთიკის ჩარჩოებიდან ეს კარგი არ არის. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით ატეხეს ხმაური.**



მადლობა უფალს, კოლხ კაცს სტუმრის მიღება არ ესწავლება და არც კეთილმოსურნისა და მტრის გარჩევა. ჩემთვის უცნაური აღსაქმელი იყო თავად ბობოხიძის რეაქცია „როგორ გამიბედესო აუგის თქმა და კვერცხების სროლა?“. იცით, ბატონო აკაკი? ძალიან კარგად ახსოვს საზოგადოებას, თქვენ ქუჩაში კი არ მოიქეცით ქუჩურად, არამედ, — სადაც ყველაზე დახვეწილად უნდა იქცეოდეს მამაკაცი, ჯენტლმენი და ზრდილი ადამიანი. პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამოავლინეთ ხულიგნური ქცევები. სწორედ თქვენ, ბაგეზე დუჟმორეულმა, სილა გააწანით კოლეგას და უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენეთ.

**არსებობს ქართული ანდაზა: „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“. ჰოდა, მოიმკეთ კიდეც ის, რაც დათესეთ. ამიტომ ჩემი მშობლიური მხარისადმი, სამეგრელოსადმი ცუდის თქმამდე პირში წყალი გამოივლეთ.**

**და კიდევ ერთი.**

დიახ, კიდევ ერთი. **ნუთუ ვერ ხვდებით, რომ მოსახლეობას ეჯავრებით? თქვენი დანახვა რომ ზარავს და აცოფებს?..** გამონაკლისი სამეგრელო არ არის. მხარის სოფლის მოსახლეობა თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, რომ 1 ოქტომბრის არჩევნებზე როლანდ ახალაიამ და მისმა დამნაშავე ამფსონებმა შეძლეს მათი „მოტყუება“. ცოდვის დიდი წილი სოფლის მუნიციპალიტეტის გამგებლებზე მოდის, რომლებსაც ლომის წილი მიუძღვით მოსახლეობის დაბნევასა და გადაცდომაში. აქვე უნდა ითქვას „ქართული ოცნების“ წარმომადგენელთა ცუდ ინფორმაციულ საქმიანობაზე სამეგრელოს სოფლებში.

ცხადია, ქალაქების მოსახლეობამ „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა. ეს ფაქტია. ფაქტი კი ჯიუტია.

და თუ, შეცდომაში შეყვანილი სამეგრელოს სოფლის მოსახლეობის იმედითაა „ნაცმოძრაობა“ და მისი ლიდერი სააკაშვილი, მოლოდინი უნდა გაგიცრუოთ. **ძირძველ და საქართველოს ხერხემლად წოდებულ მხარეში ძველი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა.**

„ნაციონალების“ ეგიდით არჩეულმა ხობისა და სენაკის მაჟორიტარმა დეპუტატებმაც კი დატოვეს ძველი, დრომოჭმული და მოძალადე პარტია. ეს ყოფილი ხელისუფლების რღვევის აშკარა დასტურია და შორი არ არის დრო, როცა ეს დაწყებული პროცესი სრული ფიასკოთი დასრულდება.

ლანქერს გაყოლილი ხელისუფლების მომავალი ის კუბოა, რომელიც 16 იანვარს ზუგდიდის ცენტრში ჩამოატარეს და მეგრული მოთქმით და გლოვით საფლავში ჩაუშვეს. მე არ ვარ მომხრე ამგვარი თეატრალიზებული ტრაგიკომედიური სცენების წარმოდგენისა, მაგრამ მოსახლეობას აქვს უფლება, საკუთარი დამოკიდებულება და რეაქცია გამოხატოს მიუღებელ მოვლენებთან დაკავშირებით.

გაჟღერდა, „თითქოს არჩევნებში სამეგრელომ „ნაცმოძრაობას“ დაუჭირა მხარი და ამიტომ სააკაშვილი სამეგრელოს რეზიდენციაში გადაბარგებას და იქ საიმედო პლაცდარმის შექმნას აპირებს, რათა იქიდან დაუპირისპირდეს მოქმედ ხელისუფლებას.

**ჯერ ერთი, ვადაგასული მიხეილ სააკაშვილი ზვიად გამსახურდია არ არის, მისებრ გულანთებული, მორწმუნე, წმინდა, უცოდველი, ალალი და სამართლიანი ერის შვილი, რომ სამეგრელომ სისხლის ფასად დაიცვას და გვერდით დაუდგეს. უკვე ცხადია, ყავლგასული ძველი ხელისუფლების ძალადობაზე დამყარებული ოლიგარქიული პლაცდარმი თვითმფრინავის ბოლივით დაიშალა.**

ისიც ცხადია, სააკაშვილი ცდილობს, გამოიყენოს ჯერ კიდევ მის ხელთ არსებული ბერკეტები, აქვს განუხორციელებელი სურვილი, ძველი დრო დააბრუნოს, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისთვის მას სამეგრელო ნამდვილად არ გამოადგება, რადგან, მიუხედავად მისი „ქართული ოცნებისადმი“ თვალთმაქცურად გაცხადებული შერიგებისა, არ ტოვებს არც ერთ ხელსაყრელ მომენტს, ჩირქი არ მოსცხოს მოქმედ ხელისუფლებას. ამგვარი განწყობითა და რევანშის წყურვილით, ცხადია, ის ქვეყანას მხოლოდ უბედურებას მოუტანს. მოსახლეობამ უკვე იწვნია მისი ავანტიურისტული, ძალმომრეობითი, უსამართლო, ინტელიგენციის „დაჩმორების“ და მისი როლის დაკნინების ავადმოსაგონარი ჟამი, ამიტომ „დასამარებულის“ ამოთხრასა და გაცოცხლებას არ დაუშვებს.

არა მგონია, სამართალში მიცემულმა ახალმა გუბერნატორმა, თენგიზ გუნავამ, შეძლოს რაიმეს წაღმა შემობრუნება. როგორც სააკაშვილმა მისი წარდგენის დროს განაცხადა, „ის წარმატებული დივერსიული და ერთგული მეთაურობისთვის დავაწინაურეო“. კარგად ვიცით მისი დივერსიული ქმედებები და ჩადენილი დანაშაულები რა მასშტაბისა იყო სამეგრელოში. გუნავამ ჯერ მოსახლეობის წინაშე უნადა მოინანიოს, თუმცა მეეჭვება, გულწრფელად მოინანიოს. ისიც საკითხავია, ამ მონანიებას ხალხი მიიღებს თუ არა. ყველა შემთხვევაში, ის ისეთივე ხელმოცარულ და ფორმალურ გუბერნატორად დარჩება, როგორიც მისი მფარველი და „მამა-მარჩენალი“ უუფლებო პრეზიდენტია.

ვერ გავიზიარებ პრესაში გაჟღერებულ ინფორმაციას, რომ „ივანიშვილი გაბრაზებულია სამეგრელოზე იმის გამო, რომ მისმა ბლოკმა შედარებით ცოტა ხმა მიიღო, რომ მას რეგიონის წარმომადგენლების მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა არ სურს“. ჯერ ერთი, ეს შეხედულება ძირშივე მცდარია იმის გამო, რომ იგი შეიძლება მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ „აგენტებს“ ეკუთვნოდეთ (ივანიშვილს ამის მსგავსი არაფერი გამოუვლენია). რადგან ძველ ხელისუფალთ ხელს აძლევთ, თითიდან გამოწოვილი მონაჩმახით ივანიშვილის წინააღმდეგ ქარიშხალი ააბობოქრონ მხარეში, მაგრამ ეს არ მოხდება; ან ჯერაც „შემორჩენილი“ საკუთარი მომხრეები დაარწმუნონ, რომ ყველაფერი დაკარგული არ არის.

ახალი ხელისუფლების ფრთხილი, მოზომილი პოლიტიკა რეგიონებისადმი გეგმაზომიერად ვითარდება. ჯერ ერთი, წამყვანი უწყების სამი მინისტრი (ალასანია, ოდიშარია და ნარმანია), ხოლო საკანონმდებლო ორგანოში კომიტეტის თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები სამეგრელოს წარმომადგენლები აირჩიეს. ეს გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ივანიშვილმა ძალიან კარგად იცის, რაც მოხდა სამეგრელოში, რა პოტენციალის მატარებელია ეს მხარე, ამიტომ არასდროს მისცემს თავს უფლებას, გახდეს ეჭვებზე დაფუძნებული შურისმაძიებელი.

ფორმალურად ჯერ კიდევ შემორჩენილი საკონსტიტუციო უფლებები სააკაშვილს და „ნაცმოძრაობას“ აძლევს იმის ფარატინა საფუძველს, რომ იყოს დაპირისპირებული მხარე. მხოლოდ იყოს. ცნობილია სააკაშვილის რადიკალური აშკარა და დაფარული გეგმები. იგი შეეცდება, გაცვეთილი „კომბალი“ მოიქნიოს, რადგან დასაკარგი არაფერი აქვს. **მგონია, რომ, რასაც ოთხზე შემდგარი სააკაშვილი ცდილობს, არის მხოლოდ მცდელობა, რომ მარტო არ დარჩეს ოქტომბრამდე, შეინარჩუნოს აქტიურ პოლიტიკოსის იმიჯი, თორემ თავადაც კარგად უწყის, რა რესურსი დარჩა.**

ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე გარკვეული დრო დარჩა. სააკაშვილის ვერსია, რომ მოსახლეობამ მხოლოდ სოციალური პირობების გაუმჯობესების გამო დაუჭირა მხარი ივანიშვილსა და მის კოალიციას, მცდარია ისევე, როგორც უმართებულოა, ივანიშვილის მიერ მოსახლეობაზე შეპირებულის აღსრულების დაყოვნება რომ მათ წისქვილზე დაასხამს წყალს.

ამგვარი ლოგიკა, წყალწაღებულის ხავსზე მოჭიდებას ნიშნავს.

**ცხადია, 2013 წლის ბოლოს ჩატარდება საპრეზიდენტო არჩევნები. მუსირებს აზრი, რომ „ეს თითქოსდა დრამატული შეჯიბრი იქნება. თუმცა ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ საშუალო კანდიდატიც კი, სავარაუდოდ, უპრობლემოდ დაამარცხებს „ნაციონალების“ ნებისმიერს, მათ შორის საუკეთესო კანდიდატს, რადგან არჩევნების ჩატარების მომენტისთვის „ოცნების“ მხარდამჭერთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, ივანიშვილის გუნდს ზურგს არ შეაქცევს და მათ დაემატება ის ამომრჩევლებიც, რომლებიც ხმას ნებისმიერ შემთხვევაში ხელისუფლებას აძლევენ.**

ცხადია, „ოცნების“ პოზიციები ერთ წელიწადში ისე არ გაფუჭდება, რომ მან რეიტინგი დაკარგოს. მით უფრო, რომ სახელისუფლო შტოებში მისი მომხრეები ინიშნებიან, რასაც ძალოვანი სტრუქტურების გარანტირებული ხმები მიემატება, სავარაუდოდ, საზღვარგარეთ მცხოვრებთა კეთილი ნებაც მათ მხარეზე იქნება, რაც საერთო ჯამში შექმნის იმის გარდაუვალობის საფუძველს, რომ „ოცნების“ კანდიდატი თითქმის უპირობოდ გაიმარჯვებს“.

**თუ გვინდა, რომ საქართველოში არსებულ ძალთა თანაფარდობა დასტაბილურდეს, ანუ, როგორც პოლიტიკოსები ვარაუდობენ, „ოცნების „საპრეზიდენტო კანდიდატს არჩევნებში რეალური კონკურენტი არ ეყოლა“, მაშინ მივიღებთ ერთპოლუსიან პოლიტიკურ ველს, რაც დაკარგავს მოსახლეობის ყოველგვარ ინტერესს და დაგვაბრუნებს წარსულში.**

პაექრობა უნდა გაიმართოს არა მხოლოდ პაექრობისთვის, მოჩვენებითი „საცირკო“ დადგმისთვის, არამედ რეალური, საინტერესო და შედეგიანი დაბოლოებისთვის, რასაც მხოლოდ ახალი, მესამე ძალა უზრუნველყოფს.

ამბობენ, რომ ყველაფერს მხოლოდ ორი მხარე აქვს — დადებითი და უარყოფითი. თუმცა არსებობს მესამე, ალტერნატიული გზა, რომელიც შუალედურს სთავაზობს საზოგადოებას. ეს გზა ნაცადია და მისაღები, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი ალტერნატიულს ირჩევს.

ეს არის არა პირობითი, არამედ ლოგიკური. ზოგჯერ კი არა, მეტწილად გამართლებული. როცა ორი, რადიკალურად დაპირისპირებული მხარე არკვევს ერთმანეთში ურთიერთობას, მუდამ მესამე ძალას აქვს მნიშვნელობა.

მსოფლიოში არსებობს ამის პრაქტიკა. XX საუკუნის დასაწყისში „მესამე გზის“ პრეტენზიას აცხადებდა „სოციალდემოკრატია“, რომელსაც მიაჩნდა, რომ ის იყო მემარცხენეცენტრისტული პოლიტიკური იდეოლოგიის მოძრაობა, რომელიც საკუთარ თავში მოიცავდა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს გავრცელებას და ეკონომიკური დემოკრატიის შექმნას.

არც საქართველოა გამონაკლისი. დღეს „მესამე ძალის“ პრეტენზიას აცხადებს პარტიათა ნაწილი, რომლებმაც ცალკე და გაერთიანებებთან ერთად უკვე სცადეს საკუთარი ბედი, მაგრამ მოსახლეობის ნდობა და სასურველი მანდატი ვერ მოიპოვეს. ამიტომ უნდა გამოჩნდეს ახალი და ისეთი „მესამე ძალა“, რომელიც დააკმაყოფილებს ხალხის არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ სულიერ და ოცნებადქცეულ მოთხოვნებს.

**„ქართულ ოცნებას“ ხელთ უპყრია ორი ძირითადი — სახელისუფლო და საკანონმდებლო „აღვირი“. ბევრს მიაჩნია, თუ მომავალი პრეზიდენტის „სამუშაო პრიორიტეტებს ჩამოვაყალიბებთ, მან უნდა იმუშაოს იმ მიმართულებებზე, იმ საკითხებზე, რომელთა დარეგულირება პრემიერისთვის და პარლამენტის სპიკერისთვის სირთულეს წარმოადგენს“. ეს თვალსაზრისი სინამდვილესთან ახლოსაა. ვის შეუძლია ამ გამოწვევებთან გამკლავება? ვის გააჩნია მთავარი ეროვნული მიზნების განხორციელების რესურსი? ადამიანს, რომელიც აღჭურვილია პოლიტიკური გამოცდილებით, აქვს გარკვეული სიახლოვე აფხაზებთან და ოსებთან!**

ყველასთვის ცხადია, რომ ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების „ბარიკადის “ მეორე მხარეს ამბიციური რუსეთია. მასთან საჭიროა უფრო გამოკვეთილი, აქტიური დიალოგი და მოქმედებები. ნაბიჯები, რომელთაც ახალი ხელისუფლება დგამს, მისასალმებელია. საიმედო მესიჯების შემცველია პრემიერ ივანიშვილის განცხადებები ერევანში, თუმცა ის ორი ნაპირი, რომლებიც გააჩინა სააკაშვილის უხეშმა პოლიტიკამ, იოლად არ დაიძლევა. ჩრდილოელ მეზობელთან კეთილი განწყობისა და ურთიერთობების რესურსი „ნაცმოძრაობამ“ „ნაგვის ყუთში“ მოისროლა. ახლა რეალური ძალაა საჭირო, ვინც შეძლებს ქვეყნის „წითელი ზოლის“ დაცვით ამ ურთიერთობის აღდგენას.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში რუსეთთან ურთიერთობაში გარკვეული გარდატეხა რომ მოხდება, ამას მოწმობს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია II-ს ვიზიტი მოსკოვში. რუსეთის დედაქალაქში გაგრძელდება არა მხოლოდ ადრე დაწყებული საუბარი ჩვენი თავდადებული და ღირსეული მეფეების — ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ს ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით. იქნება დიალოგი უფრო მასშტაბურ, სასიცოცხლო საკითხებზეც.

ისიც ცხადია, მალე დაიწყება კოალიცია „ოცნების“ თანდათანობითი დაშლა. და თუ ეს პროცესი ახლა დროებით შეჩერებულია, მხოლოდ იმის გამო, რომ ელოდებიან აპრილს, რადგან თეორიულად ჯერ კიდევ არსებობს შანსი, სააკაშვილმა გამოაჩინოს საკუთარი „უსუსური კბილი“. როგორც კი გაზაფხული ჩამთავრდება, დაიწყება „კოალიციის“ პარტიებად დაშლა და ეს, სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე მოხდება. ამიტომ არათუ საჭიროა, აუცილებელიცაა, შევჯერდეთ პრეზიდენტობის ისეთ კანდიდატზე, რომელიც შეძლებს სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ განეიტრალებას სამეგრელოში და რომელსაც ექნება როგორც სოხუმისა და ცხინვალის, ასევე რუსეთის მიმართულებით კონკრეტული შედეგების მიღწევის რესურსი და შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში სერიოზული დესტრუქცია და დაპირისპირება გარდაუვალია და სააკაშვილის ევროპის საპარლამენტო ასამბლეაზე სამარცხვინო გამოსვლა ამის ნათელი დასტურია.

**ბორის დავითაია**,
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი, „ღირსების ორდენოსანი“, მეცნიერებათა აკადემია „აიას“ ნამდვილი წევრი**

გამოსავალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთმა უნდა დაინახოს, რომ სამართალია საქართველოს მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა და არა, თითო-ოროლა ბარტყის გადმოგდება სამათხოვროდ, ანუ რამდენიმე „სტრელოჩნიკის" დაპატიმრება, რომ ხალხი არ დაცხრება მანამ, სანამ ქართული მიწების და სიმდიდრეების გამნიავებელი, ვალების გამსამმაგებელი და ხალხის სულში ჩამფურთხებელი ადამიანი არ გაქრება ქართველი კაცის თვალსაწიერიდან – ციხეში ან ცხრა მთას იქით!**

# საჭიროა სააკაშვილის პიკეტირება ყველგან, მთელი ქვეყნის მასშტაბით!

**ყველას გვახსოვს, პრემიერ-მინისტრად გახდომისთანავე, პირველივე დღეებში, ივანიშვილმა თავაზიანად ურჩია სააკაშვილს გადადგომა, რასაც მწვავე და მყისიერი გამოხმაურება მოჰყვა დასავლეთში. პირდაპირ „გვირჩიეს" ამერიკიდან — სააკაშვილს ოქტომბრამდე ხელს ნუ ახლებთო. ამ „მეგობრული" დირექტივის შემდეგ ცხადი გახდა, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირებით მოსულ „ქართულ ოცნებას" გაუჭირდებოდა მისი მთავარი დაპირების შესრულება. ეს აზრი კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც შედარებით დაბალჩინოსნების დაკავება ლამის პოლიტიკურ დევნად და შერჩევით სამართლად მონათლა ნატო-ევროკავშირმა.**



## მას ისეთი ატმოსფერო უნდა შევუქმნათ, რომ საქართველოში არ დაედგომებოდეს!

მართლაცდა, რომელ ჭეშმარიტ სამართალზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აგერ უკვე სამი თვის მოსულია ახალი ხელისუფლება და დედა-ბუდიანად დამნაშავე „ნაცებიდან" მხოლოდ ერთი მაღალჩინოსანი, ბაჩო ახალაიაა დაკავებული, და მასაც ბრალდებად არა უშუალოდ მის მიერ ჩადენილი უამრავი უმძიმესი დანაშაული აქვს წაყენებული, არამედ – მეორეხარისხოვანი, შედარებით, ნაკლებად მძიმე! ეს ერთი მხარეა სამართლისა, მეორე კი ისაა, რომ მტყუან-მართალს დღესაც ის მოსამართლეები არჩევენ, რომლებიც იურიდიულად „აპრავებდნენ" „ნაცების" უკანონო ქმედებებს მთელი ცხრა წლის მანძილზე, რომელთა განაჩენებმაც გააუბედურა ათეულათასობით ადამიანი!

დიპლომატიური ზეწოლა ახალ ხელისუფლებაზე, ეტყობა, იმდენად დიდი იყო (ალბათ, საქართველოსთვის დახმარება-ინვესტიციების შეწყვეტის მუქარა და სხვა ფარული სანქციები), რომ პრემიერ-მინისტრი იძულებული შეიქნა (იძულება მას სახეზეც ეტყობოდა და მეტყველებაზეც) განეცხადებინა: ჩვენს დასავლელ მეგობრებს ძალიან უჭირთ ჩვენი მოთხოვნების გაგება პრეზიდენტის იმპიჩმენტის თაობაზე და უნდა შევეშვათ ამ მოთხოვნასო. ამის შემდეგ, ჩვენდა სამწუხაროდ და „ნაცების" გასახარად, პარლამენტმა ხმა გაკმინდა, უფრო მეტიც, რასაც აბსოლუტურად(!) არავინ მოელოდა „ქართული ოცნების" მხარდამჭერებიდან, სხვადასხვა დონის ჩინოვნიკისთვის განკუთვნილი, შერჩევითი ამნისტიების (!) შეთავაზება დაუწყო ქვეყნისა და ერის წინაშე ტოტალურად დამნაშავე „ნაცმოძრაობას" — ძველ ხელისუფლებას. ძველ ხელისუფლებაში წარსულის ხელისუფლებას არ ვგულისხმობ, იგი არსად წასულა, იგი ამჟამად არსებული ხელისუფლების მეორე ნახევარს, „ნაცებისგან" შემდგარ მეორე შტოს წარმოადგენს, რომელსაც, ბევრი ექსპერტის აზრით, არანაკლები ბერკეტები უპყრია ხელთ, ვიდრე „ქართულ ოცნებას". იგულისხმება პრეზიდენტის, სასამართლოების (ყველა დონის), ადგილობრივი თვითმმართველობების (უმეტეს რეგიონში), დედაქალაქის მერიისა და საკრებულოს, „ნაცების" შერჩეული კადრების (საშუალო და ქვედა ეშელონებში) ერთობლივი(!) ძალაუფლება.

საბედნიეროდ, საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ხალხი საკმაოდ კარგადაა ჩახედული პოლიტიკაში, არა მარტო ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც. სწორედ ამიტომ (და ახალი ხელისუფლების ჭეშმარიტი მამულიშვილების დასახმარებლადაც!), სააკაშვილის პრეზიდენტობიდან კონსტიტუციურ ვადებში გადადგომის მოთხოვნით, ხელოვნების და საზოგადო მოღვაწეთა ინიციატივით 2012 წლის ნოემბრის მეორე დეკადაში დაიწყო ხელმოწერების შეგროვება მთელ საქართველოში. დღეისათვის შეგროვებულია უპრეცედენტო რაოდენობა ხელმოწერებისა – 800 ათასზე მეტი! **არც ერთ სახელმწიფოს არ ახსოვს, რომ მოსახლეობის 20 %-ს ხელმოწერებით მოეთხოვოს პრეზიდენტის გადადგომა! წარმოიდგინეთ, რუსეთში, სადაც ოპოზიციას პუტინის საწინააღმდეგო მიტინგზე 30 ათასი ადამიანიც ვერ გამოჰყავს (გივი თარგამაძის ჩატანილი ფულითაც!), 30 მილიონი ხელმოწერის შეგროვება რომ მოხერხდეს!**

ხელმოწერებს, პრინციპში, მხოლოდ მორალური ზეგავლენის ფუნქცია აკისრია და, აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის ნამუსზე შეგდების იმედზე, არა მგონია, ვინმე იყოს საქართველოში. ეს კარგად მოეხსენება იმ 50 ორგანიზაციას, რომლებიც სათავეში უდგას ხელმოწერების კამპანიას და, ამიტომაც მათმა ლიდერებმა, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანის – ბატონი რეზო ჩხეიძის თავკაცობით, დახმარებისთვის და განმარტებისთვის პარლამენტს და საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს. ცხადია, უშედეგოდ, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

მიმართეს პრეზიდენტის უფლებამოსილების იმ ვადებთან დაკავშირებით, რაზეც ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ პრობლემა დღემდე მაინც გადაუჭრელია. ამის მიზეზად კონსტიტუციის 70-ე მუხლის ურთიერთგამომრიცხავ ორ პუნქტს — პირველს და მეცხრეს ასახელებენ. სააკაშვილის გადადგომის, ანუ პრეზიდენტობის კონსტიტუციურ ვადებში დასრულების მომხრენი პირველ პუნქტს იშველიებენ და ამტკიცებენ, რომ ხალხის მიერ 2008 წლის 5 იანვარს ხუთი წლით არჩეულ პრეზიდენტს პრეზიდენტობის ვადა გასდის 2013 წლის 20 იანვარს, როცა მას ეწურება 2008 წლის 20 იანვარს ინაუგურაციაზე დადებული ფიცის შემდეგ მინიჭებული 5-წლიანი უფლებამოსილება; სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის გაგრძელების მომხრენი კი იშველიებენ მეცხრე პუნქტს და ამტკიცებენ, რომ ვინაიდან არჩევნები პარლამენტის მიერ 2006 წელს მიღებული საკონსტიტუციო შესწორების თანახმად, ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, ამიტომ სააკაშვილი ამ არჩევნებამდე ავტომატურად ინარჩუნებს პრეზიდენტობასო.

აი, ეს, უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი ორი პუნქტი 70-ე მუხლისა:

პუნქტი 1. **„საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით ხუთი (! — ი. ლ.) წლის ვადით".**

პუნქტი 9. **„პრეზიდენტის მორიგი არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში"** (27.12. 2006, № 4133).

ერთი შეხედვით, მართლაც ასე ჩანს, თითქოსდა, სახეზეა კონსტიტუციური წინააღმდეგობა ზემოთ მოყვანილ პუნქტებს შორის. მეც ასე მიმაჩნდა არცთუ დიდი ხნის წინ, მაგრამ ძაღლის თავი სხვა მუხლში აღმოჩნდა დამარხული. ლოგიკური მსჯელობის მაცდურობას თავი რომ ავარიდოთ, ამიტომ მოდით, მარტივი კითხვა-პასუხის მეთოდით შევეცადოთ ობიექტური პასუხი გავცეთ კითხვას: **სად და რაშია მთავარი წინააღმდეგობა კონსტიტუციაში? მივყვეთ თანმიმდევრობით.**

**კითხვა:** — ვინ ირჩევს საქართველოს პრეზიდენტს: პარლამენტი თუ ხალხი?

**პასუხი:** — ხალხი.

**კითხვა:** — რა ვადით?

**პასუხი:** — 5 წლით.

**კითხვა:** — როდიდან ითვლება პრეზიდენტი არჩეულად?

**პასუხი:** — არჩევის დღიდან.

**კითხვა:** — როდიდან იწყება პრეზიდენტის უფლებამოსილება, ანუ როდის იკავებს იგი პრეზიდენტის თანამდებობას?

**პასუხი:** — ინაუგურაციის დღიდან, ანუ ფიცის დადებისთანავე (არჩევის დღიდან მესამე კვირა დღეს) (მუხლი 71, პუნქტი 1 და 2).

**კითხვა:** — რამდენხანს გრძელდება პრეზიდენტის უფლებამოსილება?

**პასუხი:** — რამდენი ხნითაც ის არის არჩეული.

**კითხვა:** — აქვს თუ არა პარლამენტს უფლება, პრეზიდენტს გაუგრძელოს 5-წლიანი ვადა?

**პასუხი:** — არა, არა აქვს (საგანგებო და საომარი მდგომარეობის გარდა, როდესაც არჩევნები არ ტარდება) (მუხლი 70, პუნქტი 8).

**კითხვა:** — საკონსტიტუციო შესწორებაში, 70-ე მუხლის პუნქტ 9-ში (ან სადმე სხვაგან), წერია, რომ პრეზიდენტს უგრძელდება პრეზიდენტობის ვადა?

**პასუხი:** — არა, არ წერია.

**კითხვა:** — მაშ, რა წერია?

**პასუხი:** — რომ არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვის კალენდარული წლის ოქტომბერში.

**კითხვა:** — ნიშნავს თუ არა ეს, რომ პრეზიდენტს ავტომატურად უხანგრძლივდება პრეზიდენტობის ვადა?

**პასუხი:** — არა, არ ნიშნავს (რაც პირდაპირ არ არის ჩაწერილი კონსტიტუციაში, ისეთ საკითხებზე დასკვნების გაკეთება მხოლოდ ლოგიკური, უფრო კი ალოგიკური მსჯელობის საფუძველზე არ შეიძლება. არავის აქვს უფლება, ამტკიცოს, რომ, რახან საკონსტიტუციო შესწორებით პრეზიდენტის არჩევნები გადაიწევს, მაშასადამე, პრეზიდენტის ვადებიც, შესაბამისად, გადაიწევსო! ყოველგვარი „მაშასადამე" აქ უადგილოა. უადგილოა, რადგანაც პრეზიდენტი ხალხის მიერაა არჩეული ხუთი წლით და მისთვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების უფლებაც მხოლოდ მას აქვს და სხვას არავის! და, რაც მთავარია, მსგავსი რამ არც წერია ამ შესწორებაში, ვადის გაგრძელებაზე სიტყვაც არ არის ნახსენები! ასე რომ, **პუნქტი 9 პუნქტ 1-თან არავითარ წინააღმდეგობაში არ მოდის!).**

**კითხვა:** — აქვს თუ არა პარლამენტს უფლება, შეცვალოს არჩევნების ჩატარების დრო (თვე)?

**პასუხი:** — აქვს.

**კითხვა:** — თუკი ამ საკონსტიტუციო შესწორებით პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა არ უხანგრძლივდება და მხოლოდ არჩევნების თარიღი გადაიწევს 9-10 თვით, რა ირღვევა?

**პასუხი:** — არც არაფერი, თუკი პრეზიდენტი დაიცავს კონსტიტუციას, გადადგება 20 იანვარს და ოქტომბრამდე პრეზიდენტის მოვალეობას შეასრულებს პარლამენტის თავმჯდომარე.

**კითხვა:** — როდის იწურება (წყდება) მოქმედი პრეზიდენტის უფლებამოსილება საქართველოს კონსტიტუციით?

ამაზე, ზემოთ უკვე გავეცი პასუხი და სხვა პასუხი არც შეიძლება არსებობდეს – 5 წლით არჩეული პრეზიდენტის უფლებამოსილება, ცხადია, იწურება 5 წლის შემდეგ, უფრო ზუსტად, ინაუგურაციიდან 5 წლის გასვლის დღეს, ანუ ჩვენ შემთხვევაში, 2013 წლის 20 იანვარს. ზუსტად იმავეს წერენ „გაერთიანების მემორანდუმში" წარმოდგენილი ორგანიზაციები საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში. მაგრამ ის, რაც, თითქოსდა, აქსიომასავით ცხადზე უცხადესია ყველასთვის, 2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი დემეტრაშვილისეული შესწორებით, სულ სხვაგვარადაა განსაზღვრული.

ამ შესწორებით კი „სწორი" პასუხი ასეთია: **პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ახალარჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე** (მუხლი 71, პუნქტი 2, მეორე წინადადება) (2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონი № 3710).

**სწორედ ამ პუნქტშია ძაღლის თავი დამარხული იმ გაგებით, რომ ის მოდის წინააღმდეგობაში 70-ე მუხლის პირველ პუნქტთან, და ის უგრძელებს სააკაშვილს უფლებამოსილებას ავტომატურად ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე!** სანამ ახალი პრეზიდენტი ფიცს არ დადებს, მანამდე, სააკაშვილი რჩება ჩვენს „მამა-მარჩენლად"! ამიტომ 71-ე მუხლის პუნქტ 2-ის მეორე წინადადება აუცილებლად უნდა შეიცვალოს შემდეგნაირად: **„პრეზიდენტის უფლებამოსილება წყდება ინაუგურაციიდან ხუთი წლის თავზე"!** უფლებამოსილების ზუსტი (!) ვადის მითითებით ეს პუნქტი შესაბამისობაში მოვა 70-ე მუხლის პირველ პუნქტთან და კონსტიტუციაში არსებული ძირითადი წინააღმდეგობაც მოიხსნება, ხოლო სააკაშვილი აღმოჩნდება იქ, სადაც მისი დამსახურებული ადგილია — ისტორიის პოლიტიკურ სანაგვეზე! მაგრამ, ვეჭვობ, ამის გამკეთებელი იყოს პარლამენტი. ამიტომაც მნიშვნელობა არა აქვს, თუ კონსტიტუციის რომელ შესწორებებს (დემეტრაშვილისდროინდელ თუ უფრო ადრინდელს) ჩაებღაუჭებიან „ნაცები" თავიანთი კერპის (და საკუთარი!) პოლიტიკური სიცოცხლის გასახანგრძლივებლად. უბრალოდ, აუცილებელია, ვიცოდეთ, სადაა ნაღმები ჩადებული, ჩვენი მთავარი ამოცანა კი სააკაშვილის პრეზიდენტობის დროული დასრულებაა!

უპირველესად, ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ **არანაირ საკონსტიტუციო შესწორებას, თუნდაც იგი ერთხმად იყოს პარლამენტის მიერ მიღებული, არ შეუძლია გადაწონოს უფლება ხალხისა, რომელიც არის „საქართველოში ხელისუფლების წყარო" (მუხლი 5, პუნქტი 1).** გადამწყვეტი ხალხის ნებაა და არა — პარლამენტის. **თუკი ხალხის ნება წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ არჩეული წარმომადგენლების(!), ანუ პარლამენტის ნებასთან, თუკი პარლამენტს არ ძალუძს (!) და ვეღარ ასრულებს ხალხის მოთხოვნას, მაშინ ხალხი ახორციელებს თავის ძალაუფლებას რეფერენდუმის მეშვეობით (მუხლი 5, პუნქტი 2), ან ამ ხალხის არჩეული პარლამენტი უნდა გადადგეს, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი, საშიში და წამგებიანი დაპირისპირება ხალხთან!**

ერთადერთი აპრობირებული, კანონიერი გზა პროტესტისა არის ხალხის არაძალადობრივი ზეწოლა, რასაც, ჩვენდა გასაოცრად, 1 ოქ-

▶

**საააკაშვილის გუნდმა, რომელიც სათავესთან მოვიდა როგორც უმწიფარი და ყოველგვარ კვალიფიკაციას მოკლებული ბედის მაძიებელთა ჯგუფი, ევოლუცია განიცადა განშტოებული და სრულქმნილი კომუნისტურ-პოლიციური დიქტატურისკენ, რომლის აღწერას ტომები სჭირდება.**

გამოსავალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ არადემოკრატიულად მიიჩნევს დემოკრატიულობით თავმომწონე დასავლეთი (ვგულისხმობ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე ხალხის ზეწოლასთან დაკავშირებით დასავლეთში გაკეთებულ განცხადებებს), თუმცა მას კარგად მოეხსენება, რომ „დემოკრატია“ სიტყვა-სიტყვით „ხალხის ძალაუფლებას“ ნიშნავს. და რახან ასეა, მაშასადამე, ხალხის მოთხოვნა უსიტყვოდ უნდა შესრულდეს, მით უფრო მაშინ, როცა ხალხი რაიმე უკანონოს კი არ მოითხოვს, არამედ, პირიქით, იქეთ ითხოვს პრეზიდენტისგან (!) და საკონსტიტუციო სასამართლოსგან უზენაესი კანონის, კონსტიტუციის დაცვას! **ხალხის მშვიდობიანი კეთილგანწყობა ყველამ უნდა დაინახოს და დააფასოს, მათ შორის, დასავლეთმაც, რადგანაც ყველაფერს აქვს საზღვარი, მათ შორის, პოლიტიკურ ორიენტაციასაც!**

სად არის გამოსავალი? დღეს, როცა ნახევარი (!) ხელისუფლება მაინც ჩვენს ხელშია, უნდა მივმართოთ მხოლოდ მშვიდობიანი ბრძოლის გზას — პიკეტირებას. სააკაშვილის, როგორც ყავლგასული პრეზიდენტის, როგორც „ხელისუფლების უკანონოდ მიმთვისებელი“ (მუხლი 5, პუნქტი 3) ჩვეულებრივი მოქალაქის, პიკეტირებას! პიკეტირებას, დილიდან საღამომდე! არა ბლოკირებას (ეს უკანონოა), არამედ — პიკეტირებას (ეს დაშვებულია), გადაადგილების შეუზღუდავად. პიკეტირება ყველგან — სასახლეში, ოფისში და რესტორანშიც, ნებისმიერ ადგილას, გარდა ოჯახის საცხოვრებელი ადგილსამყოფელისა! პიკეტირება მთელი ქვეყნის მასშტაბით! მას ისეთი ატმოსფერო უნდა შევუქმნათ, რომ საქართველოში არ დაედგომებოდეს! პიკეტირება უნდა გაგრძელდეს უცხოეთშიც იქ მაცხოვრებელი ქართველების მიერ! დასავლეთმა უნდა დაინახოს, რომ სამართალია საქართველოს მოსახლეობის მთავარი მოთხოვნა და არა, თითო-ოროლა ბარტყის გადმოგდება სამათხოვროდ, ანუ რამდენიმე „სტრელოჩნიკის“ დაპატიმრება, რომ **ხალხი არ დაცხრება მანამ, სანამ ქართული მიწებისა და სიმდიდრეების გამნიავებელი, ვალების გამსამმაგებელი და ხალხის სულში ჩამფურთხებელი ადამიანი არ გაქრება ქართველი კაცის თვალსაწიერიდან — ციხეში ან ცხრა მთას იქით!**

მიუხედავად კონსტიტუციის აშკარა დარღვევისა, სააკაშვილი ნორმალური ადამიანი, საშუალო დონის პრეზიდენტი მაინც რომ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, არავინ დაიწყებდა მისი გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვებას, მაგრამ ჩვენი უბედურებაც ის არის, რომ ნორმიდან კარგა გვარიან გადახრასთან გვაქვს საქმე! და, თუ დროზე, კონსტიტუციურ ვადებში (!) არ მოვიცილეთ იგი, თუ **დამნაშავე „ნაცებთან“ ერთად მოვისურვეთ სახელმწიფოს მართვა, მაშინ ჩვენც თანამონაწილენი გავხდებით ყველა მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისა, „ბილწთ არ შაეკვრი ზავითა“ თუ დავივიწყეთ, მეტის ღირსნიც ვიქნებით!**

**იაკობ ლეჟავა,**
**პოლიტიკური ემიგრანტი**

**აქცია „ღირსების შეკრება“, რომელიც დაიწყო 20 იანვარს, 13 საათზე პრეზიდენტის რეზიდენციის წინ, უდავოდ იმსახურებს და საჭიროებს მხარდაჭერას სხვადასხვა მიზეზის გამო.**

# სააკაშვილი უნდა აორთქლდეს!

2003 წლიდან დღემდე სააკაშვილის მმართველმა გუნდმა ქართველი ერის თვალში ნათლად მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ მისი პოლიტიკა სხვა არა არის რა, თუ არა საქართველოს ყოველმხრივი, მიზანმიმართული ნგრევა „დასავლური ღირებულებების“ სახელით (რასაც არაპირდაპირ შედეგად, ავტორთა გეგმით, უნდა მოჰყვებოდეს დასავლეთის დისკრედიტაცია საზოგადოებაში). ამ შეგნებულად დივერსიული პოლიტიკის ელემენტებია:

**1. საქართველოს მაკროეკონომიკური ნგრევა.** საქართველოში მოსპობილია მრეწველობა და ორ მესამედად ჩამკვდარია სოფლის მეურნეობა. საქართველოს აქვს ასტრონომიული მასშტაბის საგარეო ვალები და საკუთრებიდან დაკარგული აქვს თავისი ენერგეტიკული ბაზის 75%;

**2. საქართველოს მიკროეკონომიკური ნგრევა.** მოსახლეობის უდიდესი ნაწილი პაუპერიზებულია. მოსახლეობის ამ ეკონომიკური გენოციდის ერთ-ერთი პირდაპირი მიზანია ქართველი მოსახლეობის სტიმულირება ემიგრაციისთვის, რაც ემსახურება საქართველოში მოსახლეობის შეცვლას — გასულის ნაცვლად, შეუზღუდავი იმიგრაციის გზით, საქართველოში აზიის ქვეყნებიდან და უშუალოდ მეზობელი ზოგი ქვეყნიდან ახალი მოსახლეობის მასობრივად ჩამოსახლებას;

**3. ყოვლისმომცველი კორუფცია,** რომელიც მხოლოდ იმ სიახლით განსხვავდება მანამდე არსებულისგან, რომ მას მონოპოლიზებული, სახელდობრ, მმართველ კლანებთან ორგანიზებულად დაქვემდებარებული ხასიათი აქვს;

**4. მეცნიერებისა და განათლების ნგრევა,** რომლის მთავარი პარამეტრებია: ფუნდამენტური მეცნიერების ფაქტობრივად ორგანიზაციული გაუქმება (კვლევითი დაწესებულებების გაუქმება), სტუდენტთა და მოსწავლეთა კონტინგენტის გამესამედება, სასწავლო პროგრამების შევიწროება პრიმიტიულ დონემდე;

**5. მოსახლეობისთვის რეალურად ადექვატური მედმომსახურების გზათა ხელოვნური გადაკეტვა;**

**6. წარმოების ძირითადი საშუალებების** (მათ შორის — სასოფლო-სამეურნეო მიწის) **მასობრივი გასხვისება უცხოელებზე** (საქართველოს კატასტროფული ხელოვნური პაუპერიზაციის ფონზე);

**7. ხელოვნური მიზანმიმართული ნგრევა და ბლოკირება მოზარდი თაობების ფსიქოლოგიური და მენტალური განვითარებისა, აგრეთვე, ხელოვნური რღვევა გონივრულად სწორი ცნობიერებისა და თვითცნობიერებისა** — იმის მალვით, რომ ე. წ. დასავლური ღირებულებები საქართველოში იმპორტირებული არ არის, არამედ ეს ტრადიციული ქართული ღირებულებებია, რომლებიც, ბუნებრივია, ემთხვევა იმ ღირებულებებს, რომლებითაც დღეს ყველა განვითარებული დასავლელი ერის საშუალო ფენა და, ზოგადად, საზოგადოების ძირითადი ნაწილი ცხოვრობს. ამ მალვის მიზანი სხვა არა არის რა, თუ არა ის, რომ თაობებს ხელი აალებინონ ამ ღირებულებებზე და ამით ჯანსაღი საშუალო ფენის ქმნადობას დაბრკოლება შეუქმნან;

— იმ დეზინფორმაციის „შეცურებით“ თაობათა ცნობიერებაში, თითქოს „თავისუფლების“ ცნება, რომლითაც ქართველი ერი დღემდე ცხოვრობდა და ცხოვრობს, დღეს აღარ ნიშნავს შემოქმედებითი ცხოვრების თავისუფლებას ცხოვრების სხვადასხვა დარგში, სოციალურის ჩათვლით, არამედ მხოლოდ ზნეობისა და ზრდილობის ტრადიციულ ნორმებთან შეუთავსებლად მოქმედების თავისუფლებას. ქართველი ერი კულტუროსანი ერია და ამგვარ ინფანტილურ „აღმზრდელობით“ პროპაგანდას ხელისუფლების მხრიდან იგი შეურაცხმყოფელად რაცხს;

**8. სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის მიზანმიმართულად დივერსიული პოლიტიკის გამოვლინებაა შეიარაღებულ ძალთა მშენებლობის რეალური საბოტირება:**

ა. არშექმნა სამხედრო განათლების სისტემისა სასკოლოს ჩათვლით,

ბ. არშექმნა სამოქალაქო თავდაცვისა,

გ. არშექმნა რეალურად სარეზერვო სამსახურისა,

დ. არშექმნა იმ ერთადერთი სისტემისა, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობაში მხედრული სულისკვეთებისა და სამხედრო კვალიფიკაციის აღდგენას: საქართველოს ჰყავს საყოველთაო სამხედრო ვალდებულებაზე დაფუძნებული (ანუ გაწვეული) ჯარი და ჰყავს საკონტრაქტო ნაწილები (მეორეში სამსახური — ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ძალოვან სტრუქტურაში, საკონტრაქტო ნაწილების ჩათვლით — შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც სავალდებულო სამსახური გაიარა),

ე. არშექმნა რეალური სამხედრო მრეწველობის.

**ასევე პირდაპირი ღალატი სახელმწიფოსი და სამშობლოსი სააკაშვილის ადმინისტრაციის მხრიდან არის ის, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე დაუსჯელად ავრცელებს სიცრუეს ინგლისურ ენაზე, თითქოს საქართველოს უმაღლესმა წარმომადგენლობითმა ორგანომ გააუქმა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია.** სხვა უამრავ სახელმწიფო დანაშაულს სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრიდან აქ არ ვახსენებთ.



სავსებით კანონზომიერია, რომ პოლიტიკის ეს ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი მიმართულება, ანუ ერის მასისათვის მიუღებელი მიმართულება, შეუთავსებადია მართვის რეალურად წარმომადგენლობით დემოკრატიულ პრინციპებთან. ამიტომ გარდაუვალი იყო და მოხდა კიდეც ის, რომ **სააკაშვილის გუნდმა, რომელიც სათავესთან მოვიდა როგორც უმწიფარი და ყოველგვარ კვალიფიკაციას მოკლებული ბედის მაძიებელთა ჯგუფი, ევოლუცია განიცადა განშტოებული და სრულქმნილი კომუნისტურ-პოლიციური დიქტატურისკენ, რომლის აღწერას ტომები სჭირდება.**

სავსებით ლოგიკურია ხსენებული აქციის შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელიც, როგორც ჩანს, შემდეგ მთავარ პუნქტებს მოიცავს:

**პირველი. ქართველ ერს თავმოყვარეობა აქვს. იგი ვერ დაუშვებს, რომ მისი სახელმწიფოს საჭე ეჭიროს უზურპატორს, რომელსაც ამ საჭის საჭერად ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის — კონსტიტუციის — მიხედვით არანაირი უფლებამოსილება აღარ აქვს.** ამავე მიზეზით ქართველი ერი ვერ შეურიგდება იმ ფაქტს, რომ საქართველოს სათავეში იმყოფებოდეს პრეზიდენტი, რომელიც მრავალჯერ მხილებულია მკვლელობის მიზანმიმართულ ხელშეწყობაში როგორც ინდივიდუალური პოლიტიკური ნიშნით (ანუ ტერორში), ისე მოქალაქეზე ანგარიშსწორების სურვილით (გირგვლიანი, რობაქიძე, ვაზაგაშვილი, გამყრელიძე და სხვ.) და ქუჩის დემონსტაციის დასჯის მიზნით (ისევ ტერორი), აგრეთვე, აუარებელ სხვა მძიმე დანაშაულში, რომლებიც მრავალჯერადად შეურაცხყოფის მიმყენებელია ერისთვის — პრეზიდენტი, რომელიც ერს განუკითხავად, მხუთავი გაზით მოწამლვისთვის იმეტებს. ასევე **ვერ დათმობს ქართველი ერი იმას, რომ მსოფლიო მას შეურაცხყოფის უსასრულოდ მომთმენ ერად თვლიდეს — უუნაროდ, რომ არ დაუშვას თავის ქვეყანაში კანონიერების რაგინდარა მძიმე დარღვევა;**

**მეორე. ქართველი ერი ვერ დაუშვებს იმას, რომ წლიდან წლამდე, ეპოქიდან ეპოქამდე განვითარებული და თავისუფალი მსოფლიოს თვალში ჩნდებოდეს, როგორც საკუთარი ნების არმქონე უფორმო მასა, რომელსაც მხოლოდ ისტორიისა და პოლიტიკის ობიექტად ყოფნა ძალუძს, მაგრამ არა სუბიექტად.** ჩვენ ხომ მოწმენი ვართ იმისა, რომ წლების მანძილზე ჩვენი გულითადი მეგობრებიც კი დუმილით კვერს უკრავენ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ტოტალურ გაყალბებას საქართველოში მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თუ წვრილმანი პრაგმატული მოტივებით, ანუ ურიგდებიან საქართველოს მოქალაქეთა მასის ერთ-ერთი უპირველესი ადამიანური უფლების ხელყოფას. ურიგდებიან იმის მიუხედავადაც კი, რომ გამყალბებელი ხელისუფლების კურსი მიზანმიმართულად დაპირისპირებულია ერის უარსებითეს მატერიალურ და სულიერ ინტერესებთან, სახელდობრ, მიმართულია ერის ხელოვნური დეგრადირებისკენ, მისი ხარისხის დაყვანისკენ მარტოოდენ მომსახურე, არა შემოქმედებითად მშრომელი და მებრძოლი მასის დონემდე, რომელსაც არაპრესტიჟული სამუშაო ადგილის მოპოვების გარდა სხვა ინტერესი აღარ დარჩენია, — როდესაც უზურპატორი მიზანმიმართულად ავრცელებს დეზინფორმაციას, თითქოს ყოველგვარ პირად და ეროვნულ ამბიციაზე ხელის აღება ინდივიდის მიერ იგივეა, რაც თანამედროვე ცივილიზაციის დონის მიყოლა და განვითარებული მსოფლიოს დღევანდელ იდეოლოგიურ და მენტალურ სტანდარტებთან მიახლოება. **ჩვენმა პროტესტმა ამგვარი პოლიტიკის ცხრა წლის მანძილზე გამტარებელი საძულველი ხელისუფლების წინააღმდეგ მსოფლიოს ნათლად უნდა აჩვენოს, რომ ქართველი ერის კანონიერი ამბიციაა, იყოს ისეთივე მშრომელი და მებრძოლი ერი სხვა ერთა შორის, როგორც დედამიწის დანარჩენი მცხოვრებნი არიან, რადგან პოლიტიკისა და ისტორიის სუბიექტად ყოფნა იმგვარი ღირებულებაა, რომლის დასათმობადაც ქართველი ერი მზად არ არის და ვერ იქნება;**

**მესამე. ქართველ ერს აქვს პასუხისმგებლობის შეგნება თავისი ქვეყნის მომავალ თაობათა წინაშე.** იგი სიმპათიის ღიმილსა და ტაშს ვერ გააყოლებს იმ მმართველებს, რომელთა პოლიტიკა შეგნებულად მიმართული იყო საქართველოს მოსახლეობის ძირის მოსათხრელად — ტერიტორიების ჩუმ-ჩუმად დასათმობად, მრეწველობისა და მეცნიერების გასანადგურებლად, სოფლის მეურნეობის ჩასაკლავად, თავისუფალი ეკონომიკური ინიციატივის დასათრგუნად, „საშუალო ფენის“ განვითარების აღსაკვეთად.

**მსოფლიომ უნდა დაინახოს პოლიტიკური აქციით „ღირსების შეკრება“, რომ ხალხისთვის ეს პოლიტიკა მიუღებელია, ხოლო მისი გამტარებელი ან თუნდაც მხოლოდ მცდელი ხელისუფლება მხოლოდ ზიზღით გასასტუმრებელია და არა პატივისცემით.**

ვადაგასული პრეზიდენტი გუშინ სტრასბურგში ისევ თავისას აჭენებდა. იგი ისევ აგრძელებს შეთქმულებაში ყოფნას ქართველი ერის ნებისადმი და ვერ იაზრებს მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის — ილია II-ს გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობას, მისი და ახალი მთავრობის ურთიერთობების დარეგულირების საქმეში. სააკაშვილი უნდა აორთქლდეს.

**პაატა კოღუაშვილი,**
**პროფესორი**

ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უგვანო გადაწყვეტილება მიიღეს იმ ამერიკელების შთამომავლებმა, რომლებიც ჩვენი მამებისა და პაპების მხარდამხარ იბრძოდნენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებში... რომლებიც ჩვენს მხარეს იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ!“

NATO

რატკო მლადიჩი:

# სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი მხოლოდ თავისუფლებაა

**„ფაქტობრივად არ არსებობს სერბი, რომელიც გულგრილი იყოს გენერალ რატკო მლადიჩის საქმის მიმართ. ჰააგის ტრიბუნალი პრინციპული და მიუკერძოებელი რომ იყოს ყველა ეჭვმიტანილის მიმართ, ასევე, ყველა მხარის მიმართ, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო კონფლიქტში ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე, გენერალი რატკო მლადიჩი, დარწმუნებული ვარ, მის წინააღმდეგ ბრალდების წამოყენებისთანავე თავად წავიდოდა ჰააგაში. გენერალ რატკო მლადიჩის საქმეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთი მხრივ, იგი იყო სერბეთის რესპუბლიკის არმიის სამხედრო მეთაური. მეორე მხრივ, რადგან არმია სახელმწიფოსა და ხალხის რაინდულ ძალას წარმოადგენს, იგი ასევე არის სერბეთის რესპუბლიკის, ყველა სერბის რაინდული ღირსების განსახიერება“. — წერს პოლკოვნიკი, დოქტორი რადე რაიჩი.**
**ეს ციტატა ამოღებულია ცნობილი სერბი ჟურნალისტის ლილიან ბულატოვიჩის წიგნიდან, რომლის ფრაგმენტების თარგმანს დღეს გთავაზობთ.**





**მე მამშვიდებს ის, რომ ვიცავ საკუთარ ხალხს და ვომობ ჩემს მიწაზე, რათა დავიცვა ის, რაც ოდითგან ჩვენ გვეკუთვნის**

ლილიან ბულატოვიჩი რატკო მლადიჩს პირველად 1994 წლის 8 იანვარს, სერბეთის რესპუბლიკის ხან-პისეკში შეხვდა, როცა იტალიელი ჟურნალისტებისთვის გენერლის ინტერვიუს ორგანიზება ითავა.

როცა რატკო მლადიჩს ჰკითხეს ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ომის მოტივების თაობაზე, მან თქვა: „ვოცნებობ იმაზე, რომ ომი აღარასოდეს იყოს. რომ თვით სიტყვა „ომიც“ კი აკრძალონ ადამიანებმა... რომ იარაღი სათამაშოების სახითაც არ გამოუშვან, — და განაგრძო, — ომმა ბალკანეთში დაარღვია მშვიდობა მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, **მსოფლიო ამ პოლიციელმა მოიგონა და სხვადასხვა მაქინაციების მეშვეობით შექმნა გაერთიანებული გერმანია ევროპის გასაკონტროლებლად, რათა გაერთიანებული ევროპა მისი გიგანტური კონკურენტი არ გამხდარიყო.** შეიძლებოდა გვეთქვა, ახლომხედველმა აშშ საგარეო პოლიტიკამ ვერ გათვალა ევროპაში იარაღის გამოყენების საშიშროების შედეგები, რადგან მანამდე ამერიკელებს ჯუნგლებში მცხოვრები ტომების წინააღმდეგ ომის გამოცდილება გააჩნდათ მხოლოდ. ამასთან, ცნობილია, რომ გერმანია დაინტერესებულია, გახდეს იარაღის ქარხანა ამ რეგიონისთვის. აქვეა ისლამიც, რომელსაც, მართალია, არ აქვს ატომური ბომბი, მაგრამ გააჩნია დემოგრაფიული ბომბი და საკუთარი ურყევი მიზნები. ბალკანეთი კი სასწაული მიწაა. ფრინველებიც კი სამხრეთისკენ ბალკანეთის გავლით მიფრინავენ“.

## მლადიჩის ინტერვიუ იტალიელ ჟურნალისტებს

1994 წლის მაისი

**„კორიერე დელა სერას“ კორესპონდენტი ეკითხება რატკო მლადიჩს:**

**— რომელ სტადიაშია დღეს ომი?**

— ეს უნდა ვკითხოთ „ომის ღმერთებს“, მაგრამ ისინი არ არიან არც ყოფილ იუგოსლავიის სივრცეში, არც ყოფილ ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. ისინი არიან სადღაც იქ, ძლიერ ქვეყნებში, რომელთაც იცავს ნატოს ავიაცია ისევე, როგორც ბალკანეთში მათი დავალებების შემსრულებლებს. მე მინდა, რომ ამ მომენტიდანვე შეწყდეს ომი და საერთოდ აღარ იყოს, სანამ ადამიანები ცხოვრობენ პლანეტაზე სახელად დედამიწა.

აქეთ რომ მოემგზავრებოდით, ნახავდით პატარა სასაფლაოს. ახალი საფლავებია, უდანაშაულო ადამიანების საფლავები. ცოტა ზემოთ წინა ომის ძეგლი დგას. 2400 სერბია აქ მოკლული. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ სერბული მონასტერიც, მის წინ კი — წყლის წისქვილი, რომელშიც გერმანელმა ფაშისტებმა სერბი ბავშვები დაწვეს. სადილის შემდეგ გაემგზავრებით ფრონტის წინა ხაზზე, ნახავთ სოფლებს, რომლებიც მუსლიმებმა გადაწვეს, გაესაუბრებით ადამიანებს, რომლებმაც მოახერხეს ამ სოფლებიდან გამოქცევა. მათი ნათესავები და ახლობლები კი დაიღუპნენ და იმ საფლავებში წვანან.

მაპატიეთ, რომ სასაფლაოზე გელაპარაკებით, მაგრამ მინდა, რომ ბუნების სილამაზის აღწერის გარდა, რომელიც ჩვენს გარშემოა, ამ ორ სასაფლაოს მიაქციოთ ყურადღება, იმიტომ, რომ იტალიის საზოგადოებრიობისთვის ცნობილი არ არის არც ერთი სერბი, რომელიც ხორვატი ან მუსლიმური ძალების მიერ არის მოკლული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „ომის ღმერთებმა“ ჯერ კიდევ ვერ განახორციელეს თავიანთი მიზნები, ვერც იუგოსლავიის დანაწევრება მოახერხეს, ვერც სერბი ხალხით დასახლებული ტერიტორიების, ოპტიმისტი ვერ ვიქნები. მათ ხელშია ომის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტა. მაგრამ რადგან ჯერ კიდევ არ გადაუტანიათ ნატოს ბაზები ტერიტორიებიდან, სადაც მათი არსებობა არასასურველია, სხვა, უფრო იაფ ტერიტორიებზე აღმოსავლეთით, სავარაუდოა, რომ ისინი კიდევ შექმნიან ახალ ბაზებს ტუზლასა და სკოპლეს გარდა. ცოტას ამოისუნთქავენ, ძალას მოიკრებენ, აღმოსავლეთით წასაწევად.

**— გენერალო, არ დაგავიწყდეთ, რომ აღმოსავლეთის ქვეყნები ზუსტად ის ქვეყნებია, რომლებსაც ნატოში გაერთიანება სურთ.**

— დიახ, დიახ, — **რატკო მლადიჩის ხმაში ირონია ჟღერს,** — მთელი ხალხი რიგში ჩადგა, ნატოს ხელები რომ დაუკოცნოს და ღმერთს შეთხოვოს ნატოში სწრაფად მიღება. ნატოსკენ ისწრაფვიან ისინი, ვინც საკუთარი ხალხის ინტერესებს უღალატა.

**— მე ვლაპარაკობ რუმინეთზე, პოლონეთზე, რუსეთზე...**

— არ მსურს ვუპასუხო პოლიტიკურ შეკითხვებს, მაგრამ ვიცი, რომ იტალიას არ სურს ნატოს ბაზა თავის ტერიტორიაზე იხილოს.

**— მაგრამ ნატოს ნამდვილად სურს მშვიდობა.**

— *(რატკო მლადიჩმა გადაიხარხარა)* ამაში დამარწმუნებდით, თუ ნატო აღმოსავლეთის ბლოკის ატომური ქობინების განადგურების პარალელურად, გაანადგურებდა თუნდაც თავის ერთ დაჟანგულ შაშხანას! და თუ დამარწმუნებდით, რომ ნატო, როგორც რეგიონული ორგანიზაცია, დარჩებოდა იმ ქვეყნების ჩარჩოებში, რომლებმაც იგი შექმნეს, რათა დაიცვას მათი ძირძველი ტერიტორიები. როგორც ვიცი, სერბი ხალხი ამ ომში არ დამუქრებია ნატოს წევრ არც ერთ ქვეყანას, არც ერთი ჯარისკაცით, არც ერთი სამხედრო შენაერთით, ან რომელიმე სახის იარაღით. ცდებით, ბატონებო, როცა ნატოს ბლოკის განზრახვებზე ლაპარაკობთ. რაც უფრო გვიან გაიგებთ, თქვენთვის და იტალიელებისთვისაც უარესი იქნება.

ახლა კი შემიძლია ვკითხო ჟურნალისტს?

ნატოს ბლოკი შეიქმნა მისი წევრი ქვეყნების ინტერესების დასაცავად. გადასახადის გადამხდელებს მაშინ უხსნიდნენ, რომ ეს აუცილებელი იყო ვარშავის ხელშეკრულების და კომუნიზმის მხრიდან მომდინარე საფრთხის თავიდან ასარიდებლად. ახლა, როცა ვარშავის ხელშეკრულება დაშლილია, ნატოს არსებობა რით შეიძლება აიხსნას? მას შემდეგ, რაც ამ ხელშეკრულების წევრებმა განახორციელეს დემილიტარიზაცია და გააუვნებლეს სტრატეგიული ბირთვული იარაღი, როცა ვარშავის ხელშეკრულების შეიარაღებული ძალები წავიდნენ გერმანიიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ბელორუსიიდან? განა ნატოს ჯარისკაცები და ოფიცრები არ არიან გამოწყობილი მუსლიმური და ხორვატიის არმიების ტანსაცმელში?! განა მათ არ აცვიათ თეთრი ფორმა ევროპის თანამეგობრობის, გაეროს დამკვირვებლების? განა მათ არ ახურავთ ცისფერი მუზარადები და შენიღბული არიან მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებათა ჟურნალისტების ტანსაცმლით? აი, ახლა კი ველოდები პასუხს...

— *(უპასუხებს „კორიერე დელა სერას“ ჟურნალისტი)* პასუხი მოკლეა. მე შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, რომ ნატოს, როგორც ვხედავთ, არ აქვს აგრესიული მიზნები არც იუგოსლავიის, არც რომელიმე სხვა ქვეყნის მიმართ. გარკვეულ მომენტში ნატომ თავიდან აგვაცილა ბირთვული ომი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. ვიზიარებ, რომ ნატოს ძალები არ უნდა მოსულიყო ყოფილ იუგოსლავიაში, მაგრამ ნატო მიიწვია გაეროს უშიშროების საბჭომ, რადგან გაერომ ბევრი შეცდომა დაუშვა...

**— დაგისვამთ თუ არა ოდესმე შეკითხვა საკუთარი თავისთვის, დაგიშვიათ თუ არა რაიმე შეცდომა მიმდინარე ომში?**

— ჩვენთან ამბობენ: არ არსებობს ხე უფოთლებოდ, არ არის უშეცდომო ადამიანი. ვცდილობდი, მემოქმედა უშეცდომოდ. გამომეყენებინა ყველა ჩემი შესაძლებლობა ხალხის დასაცავად. დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, გამოამჟღავნებს ყველა მნიშვნელოვან პიროვნებას, ვინც მონაწილეობდა ამ და, აგრეთვე, სხვა ომებში. ისტორიკოსები და ჟურნალისტები შემდგომ იტყვიან ვინ ვინ არის. მამშვიდებს ის, რომ მე ვიცავ საკუთარ ხალხს და ვომობ ჩემს მიწაზე იმისთვის, რათა დავიცვა ის, რაც ოდითგან ჩვენ გვეკუთვნის. და ვფიქრობ, რომ არ ვცდები. მე ჭეშმარიტების მხარეს ვარ. მე რომ მივსულიყავი ავღანეთში ან ერაყში ადამიანების მოსაკლავად, ან ჩემი მფრინავებისთვის სხვისი მიწის ან ქვეყნის დაბომბვის ბრძანების მისაცემად, მე შემრცხვებოდა. ასეთ გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდი.

**— შემიძლია გკითხოთ, ვინ გიხდით ფულს? ვისგან იღებთ ფულს და ვის უხდით გადასახადებს?**

— მე ხელფასისთვის არ ვმუშაობ, გჯეროდეთ, რომ ძალიან მდიდარი ვარ, რადგან მაქვს შესაძლებლობა ხალხისთვის მიცემის და არა მისგან მიღების. ხალხი აფასებს იმათ, ვინც მას აძლევს. ჩემი ცხოვრების აზრი ის არის, რომ მივცე ხალხს ყველაფერი, რისი მიცემაც ამ მძიმე წუთებში“ შემიძლია.

## გენერალ რადოვან რადინოვიჩის მონათხრობიდან

„ჰააგის ტრიბუნალი სავსეა საზიზღარი, სამარცხვინო, კარნახით დაწერილი მოწმეთა ჩვენებებით. ის მომენტიც კი, რომელიც ვიდეოზე იყო გადაღებული და ასახავდა, თუ როგორ ურიგებს მლადიჩი ბავშვებს კამფეტებს, წარმოგვიდგინეს, როგორც გენერლის ფარისევლობა: თითქოს მან ეს კანფეტები გადაღების შემდეგ წაართვა ბავშვებს.

ასეთი რამ წარმოუდგენელია გააკეთოს ნებისმიერმა ადამიანმა, მით უფრო ისეთმა, როგორიც მლადიჩია, როგორსაც ვიცნობთ. ცხადია, რომ ასეთი ყბედობით მიზანმიმართულად ცდილობენ შექმნან დამნაშავის ხატი. მთელი ომის განმავლობაში იგი მშვიდობისკენ ილტვოდა. მაგრამ ილტვოდა ისეთი მშვიდობისკენ, რომლის დროსაც სერბეთის მხარე იგივე სუვერენიტეტს მიიღებდა, როგორსაც მუსლიმები“.

## ამონარიდი ინტერვიუდან კომპანია სი-ენ-ენს

1995 წლის 13 აგვისტო

„— ჩვენს ხალხზე გამოსცადეს დღემდე არსებული ყველა სახეობის იარაღი წყალქვეშა ნავებისა და ბირთვული იარაღის გარდა. მე პირადად ვიყავი იქ და მაშინ, როცა გვბომბავდა ფ-16 და მისნაირი თვითმფრინავები. იმ მომენტში ჩვენ მძიმედ განვიცდიდით არა მხოლოდ იმას, რომ იღუპებოდა ჩვენი ახალგაზრდობა, არამედ იმასაც, რომ უგვანო გადაწყვეტილება მიიღეს იმ ამერიკელების შთამომავლებმა, რომლებიც ჩვენი მამებისა და პაპების მხარდამხარ იბრძოდნენ პირველ და მეორე მსოფლიო ომებში... რომლებიც ჩვენს მხარეს იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ! მაშინ ისინი, ვისაც დღეს მხარს უჭერენ ამერიკელები, მეორე მხარეს იდგნენ — ავსტრო-უნგრელების ან ჰიტლერელთა ურდოების მხარეს“.

## ახალი წლის მილოცვა

რატკო მლადიჩი ახალ, 1996 წელს შეხვდა პატარა ქალაქ ხან-პიესაკში, საბრძოლო მეგობართა წრეში. ლილიანა ბულატოვიჩმა მოიპოვა გენერლის მიმართვის ჩანაწერი თანამებრძოლებისადმი. გთავაზობთ ფრაგმენტს:

„გთხოვთ, იზრუნოთ ჩვენს დებზე, ჩვენს ქალიშვილებზე, ჩვენს დედებზე, განსაკუთრებით გაუფრთხილდით ჩვენს დედას — სამშობლოს. რადგან რაც უნდა გააკეთოთ, რასაც გინდა მიაღწიოთ ცხოვრებაში, ვერასოდეს დაუბრუნებთ ვალს ვერც დედას, რომელმაც გშვათ, ვერც დედასამშობლოს“.

## „პარდონ, მადამ!“

„რატკო მლადიჩი წინააღმდეგი იყო მოლაპარაკების, რომელსაც ჯიმი კარტერი სერბეთის რესპუბლიკის ხელისუფლებასთან აწარმოებდა. ერთერთ შეხვედრაზე გენერალთან მივიდა აშშ ყოფილი პრეზიდენტის ცოლი როზალინ და აცნობა, რომ მან ჩამოაყალიბა ფონდი, რომელიც აფინანსებს სამხედრო დოკუმენტაციის შეკრებისა და შენახვის საქმეს.

„ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ყველაფერს იწერთ და რომ გაქვთ სამხედრო დღიურები, — უთხრა მან გენერალს და შესთავაზა, — მესიამოვნება, თუ დაგვითმობთ მათ. აი თქვენ ჩეკი, ჩაწერეთ თანხა, რომელიც გსურთ, რომ გადაგიხადოთ“.

რატკომ ერთი კი შეხედა ამ ქალბატონს და დინჯად წარმოთქვა: „მადამ, ჩვენი ისტორია ფასდაუდებელია“.

მლადიჩმა ყოფილ პირველ ლედის ხელი არ გაუწოდა“.

**რუსული პრესის მიხედვით**

**შესანიშნავია, რომ ბიზნესი განთავისუფლდა ხელისუფლების წნეხისგან, ხოლო ყოფილი დიდჩინოსანნი ძრწიან, რადგან მოეკითხათ და მოეკითხებათ. სამწუხაროდ, ამის მეტ ცვლილებებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ და ოპტიმიზმისთვის საკმაო საფუძველი არ გვაქვს.**

პრემიერ-მინისტრის საყურადღებოდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აბაშის ექსპერიმენტი კვლავ აქტუალურია

**2010 წლის 26 დეკემბერს თავის საკვირაო ქადაგებაში პატრიარქმა ილია II-მ მოუწოდა მრევლს, გაიღონ ათ-ათი ლარი, რათა თბილისთან ახლომდებარე სოფელში აშენდეს მეღორეობის ფერმა. პატრიარქის მოწოდება პირდაპირ მიუთითებს იმაზე, თუ რა სავალალო მდგომარეობაშია მეცხოველეობა ქვეყანაში და რამდენად მნიშვნელოვანია ამ დარგის აღორძინება.**

როგორც ვიცით, ახალი მთავრობის უპირველეს მიზანს სოფლის მეურნეობის აღორძინება, შესაბამისად, მეცხოველეობის აღორძინება წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ ამ მიზნის მისაღწევად გადაწყდება მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობა, რომელთაც, უდავო უპირატესობის მიუხედავად, გააჩნია თავისი ნაკლიც: პირველი. ასეთი კომპლექსების მშენებლობა ძალიან ძვირი ჯდება; მეორე. ამ გზით მხოლოდ ნაწილობრივ მოხდება სოფლის მოსახლეობის დასაქმება.

**ამიტომ მიგვაჩნია საჭიროდ მეცხოველეობის განვითარების სხვა ალტერნატიული გზების მოძებნა,** რომლებიც, ერთის მხრივ, გაითვალისწინებს მოსახლეობის დასაქმების პრობლემის მოგვარებას და, მეორე მხრივ, იქნება უფრო იაფი.

ძველ თაობას, ალბათ, კარგად ახსოვს თავის დროზე გახმაურებული ექსპერიმენტის შესახებ, რომლის ავტორიც იყო იმ დროს აბაშის რაიონის რაიკომის მდივანი გურამ მგელაძე. მან მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა ერთი შეხედვით მარტივი გზით გადაწყვიტა. სწორედ ამ სიმარტივეში იყო ამ ექსპერიმენტის უპირატესობა. იმის მაგივრად, რომ აშენებული იყო ათასობით სულ პირუტყვზე გათვლილი ძვირადღირებული მეღორეობის ფერმა, **პირუტყვის მოვლა-პატრონობა განაწილდა სოფლის მოსახლეობაზე. კოლმეურნეობა, რომლის საკუთრებაშიც იყო მხოლოდ მეღორეობის სანაშენე ფერმა, პირუტყვს გასაზრდელად ურიგებდა გლეხებს და ამარაგებდა მათ საკვებით, ხოლო ზრდასრულ პირუტყვს იბარებდა გლეხისგან და გაწეული მუშაობისთვის გასამრჯელოს უხდიდა.** შედეგად სოფელი გადაიქცა ერთ დიდ ორგანიზებულ მეცხოველეობის მეურნეობად. ამით მოგებული დარჩა როგორც გლეხობა, რომელმაც მიიღო დამატებითი შემოსავალი, ასევე სახელმწიფო, რომელსაც სარეალიზაციოდ ჩაბარდა რამდენიმე ათასი ტონა ხორცის პროდუქცია.

კოლმეურნისა და დღევანდელი გლეხის მდგომარეობა, მართალია, სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ მაინც წააგავს ერთმანეთს. მაშინდელი იდეოლოგიით, გლეხს არ შეეძლო საკუთარი ფერმერული მეურნეობა ჰქონოდა, ამიტომ მხოლოდ ოჯახის შესანახად ჰქონდა პირუტყვის ყოლის უფლება. დღეს



გლეხს შეუძლია იყოლიოს რამდენიც უნდა, იმდენი საქონელი, მაგრამ არა აქვს საამისო სახსრები, პირუტყვის გამოსაკვებად რომ ძვირადღირებული საკვები შეიძინოს. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ **აბაშის ექსპერიმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია, ერთის მხრივ, გლეხის დასაქმება და, მეორე მხრივ, მცირე დანახარჯებით მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა, დღევანდელ პირობებშიც წარმატებული იყოს.**

მაგალითისთვის ავიღოთ 200-კომლიანი სოფელი. თითოეულ კომლს თავის საკარმიდამო ნაკვეთში, პირუტყვის სადგომში თავისუფლად შეუძლია იყოლიოს 10-12 ღორი, ანუ სოფელს ერთდროულად შეუძლია გაზარდოს 2000-ზე მეტი ღორი. იმის გათვალისწინებით, რომ პირუტყვის სახორცედ ჩაბარება ხდება 6 თვის ასაკში, სოფელს წლის განმავლობაში შეუძლია გამოზარდოს 4000 სულ ღორზე მეტი და ჩააბაროს სარეალიზაციოდ.

ამ წამოწყების ორგანიზატორი შეიძლება იყოს კერძო მეწარმე ან სოფლის კოოპერატივი. პირველ შემთხვევაში კერძო ფერმერი აშენებს 200 დედა ღორზე და 2000 გოჭზე გათვლილ სანაშენე ფერმას და კომბინირებული საწარმოს დამამზადებელ საწარმოს. 40-დღიან გოჭებს აბარებს სოფელს და ამარაგებს საკვებით. 5 თვის შემდეგ იბარებს ზრდასრულ ღორს, ყიდის და უხდის გლეხს გასამრჯელოს.

მეორე შემთხვევაში იქმნება სოფლის კოოპერატივი, რომლის მეპაიეც გახდება სოფლის თითოეული კომლი. კოოპერატივი აშენებს ფერმას და კომბინირებული საკვების საწარმოს. მეპაიეები თანაბრად ინაწილებენ გოჭებს გამოსაზრდელად. გაზრდილ პირუტყვს ყიდის, მოგება დივიდენდის სახით ნაწილდება კოოპერატივის წევრებს შორის.

**მეცხოველეობის რენტაბელობა პირდაპირ დამოკიდებულია საკვების ღირებულებაზე, ამიტომ ორივე შემთხვევაში მიზანშეწონილია, რომ ფერმერს მცენარეული საკვების წარმოებისთვის საკუთრებაში ჰქონდეს შესაბამისი რაოდენობის სახნავ-სათესი მიწის ფართობი.**

**ანალოგიური სქემით** (გარკვეული სპეციფიკური ცვლილებების გათვალისწინებით) **შეიძლება მოხდეს სოფლად მსხვილფეხა საქონლის ფერმერული მეურნეობის ორგანიზებაც, იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში, საქონლის ხორცის წარმოების გარდა, მნიშვნელობას იძენს ყოველდღიურად რძის წარმოება და მისი რეალიზაციის საკითხი.**

დღეს ქვეყნის წინაშე ყველაზე მწვავე პრობლემა მოსახლეობის დასაქმებაა. ეკონომისტების გათვლებით, ერთი სამუშაო ადგილის შექმნა 20 ათასიდან 50 ათას ლარამდე ჯდება, რაც მიუთითებს იმაზე, თუ რა უზარმაზარი ინვესტიციები არის საჭირო ამ პრობლემის მოსაგვარებლად. **ქვეყნის მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს. აბაშის ექსპერიმენტის დანერგვა საშუალებას იძლევა სწრაფად, მარტივად და, რაც მთავარია, მცირე ინვესტიციების ხარჯზე მოხდეს სოფლად დასაქმების საკითხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რაც ქვეყნის მასშტაბით უკეთესობისკენ შეცვლის არსებულ სიტუაციას.**

**არჩილ ქავთარაძე,**
**ბიზნესმენი, თბილისი**

# ხალხი გაჭირვებულია, არასამთავრობოები ლაღობენ



**ორი თვე გავიდა ახალი მთავრობის მმართველობიდან და უკვე სახეზე გვაქვს ზოგიერთი ხელშესახები და აუცილებელი ცვლილება. ყველაზე მთავარი დასაწყისისათვის, ჩემი აზრით, ის არის, რომ მოიხსნა შიშის სინდრომი მოსახლეობაში. ახლა აღარავის ეშინია, გააკრიტიკოს ხელისუფლება მუშაობაში დაშვებული შეცდომებისთვის. კარგად გვახსოვს, რომ, თუ „ნაციონალებზე" ცუდს იტყოდი ან დაწერდი, შენს ან შვილს და ახლობელს დაიჭერდნენ, ან სამსახურიდან დაითხოვდნენ. აღდგა სამართლიანობა.**

პოზიტიური შედეგი ისიც არის, რომ ახალი მთავრობის წევრები, პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, ხალისით თანამშრომლობენ მედიის წარმომადგენლებთან, რეგულარულად ატარებენ ბრიფინგებს და პრესკონფერენციებს.

**შესანიშნავია, რომ ბიზნესი განთავისუფლდა ხელისუფლების წნეხისგან, ხოლო ყოფილი დიდჩინოსანნი ძრწიან, რადგან მოეკითხათ და მოეკითხებათ. სამწუხაროდ, ამის მეტ ცვლილებებს ჯერჯერობით ვერ ვხედავთ და ოპტიმიზმისთვის საკმაო საფუძველი არ გვაქვს.**

მოველოდით, რომ ამ პერიოდში მთავრობა რამეს შეცვლიდა მმართველობის სტრუქტურაში, აღადგენდა პირადობის მოწმობაში ეროვნებას და მამის სახელს, კუთვნილ შენობებს დაუბრუნებდა შემოქმედებით ორგანიზაციებს, მასმედიის წარმომადგენლებს, აღადგენდნენ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, ძეგლებს დააბრუნებდნენ თავიანთ ადგილებზე, გააიაფებდნენ წამლებს და ტარიფებს და ა.შ. მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.

ბატონო ბიძინა, კარგად გვესმის, რომ ყველაფერი უცებ არ მოგვარდება, მაგრამ უმცირესობა, „ნაციონალები", შეტევაზე რომ გადმოდიან, იმას რა ვუყოთ? მათი ბუნებიდან და მზაკვრული გეგმებიდან გამომდინარე, ხომ ყველაფერია მოსალოდნელი?! აკი ე.წ. პრეზიდენტი იმუქრება კიდეც და წინასწარმეტყველებს, „მეოცნებეები" ვერ მიაღწევენ 2013 წლის ბოლომდეო.

**ბატონო პრემიერ-მინისტრო, ყოველი მთავრობის წარმატებული საქმიანობის მთავარი შედეგი ხალხის ცხოვრების დონის აღმავლობისთვის ზრუნვა უნდა იყოს. ჩვენი ხალხი ტრადიციულად გამრჯე და მუყაითია, ამასთან, ჩვენს ქვეყანას აქვს ოპტიმალური კლიმატი, ნაყოფიერი მიწა, საკმარისი სარწყავი და სასმელი წყალი. მაშ, რატომ ვართ ღარიბები და ნახევრად მშივრები?**

იმიტომ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, რომ თქვენამდე ყოფილი სამივე მთავრობა არაკომპეტენტური და ხალხის მიმართ გულგრილი იყო. **როგორ უნდა დაუშვას ქვეყნის ხელმძღვანელმა, რომ სათავეში მოქცეული მოხელეები წლიურად 150-200 ათას ლარს იღებდეს, პენსიონერები კი 100 ლარს?! განა შეიძლება მოხელის ხელფასი 200-ჯერ აღემატებოდეს რიგითი ადამიანის შემოსავალს?**

გამოსავალია შემოსავლების სამართლიანი განაწილება მოსახლეობის ფენებს შორის, ჩვენი მიწა-წყლის ყაირათიანი გამოყენება, გლეხების მიერ მოყვანილი პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ორგანიზება, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ხალხის ხელშეწყობა და დაფინანსება, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა, ხალხის მასობრივი დასაქმებისთვის. ყველა რეგიონში უნდა ამოქმედდეს მისთვის დამახასიათებელი კულტურების მოსავლის გადასამუშავებელი საწარმოები.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, როცა წინასაარჩევნო ერთ-ერთ შეხვედრაზე თქვენ გკითხეს — **არჩევის შემთხვევაში აღადგენთ თუ არა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანასო,** უპასუხეთ: **ზარალიანი იქნება და მისი ამუშავება არ ღირსო.** ჯერ ერთი, წამგებიანი რატომ უნდა იყოს, **მილიონობით ტონა ჯართი გავიდა ჩვენი ქვეყნიდან უცხოეთში, მაგრამ ჯერ კიდევ არის დარჩენილი და გირჩევთ, აკრძალოთ მისი გატანა.**

მეორეც, შეიძლება საწყის ეტაპზე ქარხანა წამგებიანი იყოს, მაგრამ იქ ათასობით ადამიანი დასაქმდება და ეს თავისთავად დიდი მოგებაა. ასეა თუ ისე, რუსთავზე ხელის ჩაქნევა არ ღირს.

**ერთსაც გირჩევთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო: დააკომპლექტეთ კომპეტენტური კომისია და გაგზავნეთ დანიაში მისი ეკონომიკის შესასწავლად. მოგეხსენებათ, დანია მოსახლეობით ჩვენხელა ქვეყანაა, მისი ტერიტორიის მხოლოდ 2,6 პროცენტია ათვისებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად. არ გააჩნია სასარგებლო წიაღისეული და მისი მრეწველობა შეტანილ ნედლეულზე მუშაობს. აი, ასეთ პირობებში მყოფი ქვეყნის ბიუჯეტი ჯერ კიდევ ათი წლის წინათ ოცი მილიარდი დოლარი იყო, რაც ჩვენთვის საოცნებოა. ვისწავლოთ დანიისგან მეურნეობის გაძღოლა.**

**იგივე შეიძლება ითქვას შვეიცარიაზეც.** მახსოვს, პრეზიდენტი შევარდნაძე გვპირდებოდა, 4-5 წელიწადში საქართველო მეორე შვეიცარია გახდებაო... მაგრამ ვერ გახდა.

იქნებ თქვენს ხელში მოვესწროთ?

კიდევ ერთი პრობლემატური საკითხი: მე შეიძლება კომპეტენტური პიროვნება არა ვარ და ვერ ვაფასებ ე. წ. **არასამთავრობო ორგანიზაციების დანიშნულებას საზოგადოებაში,** მაგრამ მიმაჩნია, რომ ისინი დემოკრატიის ფასადის შესაქმნელად არიან შექმნილნი. **ეს ორგანიზაციები სრულიად ზედმეტი ტვირთია ქვეყნისთვის.**

როგორც ამბობენ, ჩვენს პატარა ქვეყანაში 200-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა, ალბათ, პარტია ამაზე მეტი. გეკითხებით, რა საჭიროა საერთოდ ასეთი ორგანიზაციები, მათ ხომ საიდანღაც დაფინანსება აქვთ, ალბათ, კარგ ხელფასებსაც იღებენ მათში შემძვრალი უსაქმურები. მე არ მსმენია, რომ მათ რჩევას რომელიმე მთავრობა ყურად იღებდეს. მაშნ რა საჭიროა ისინი?

**ბატონო პრემიერ-მინისტრო!**

ვიცი, რომ გონიერი მმართველი ბრძანდებით, მთავრობაც, ასე თუ ისე, კომპეტენტური გყავთ, მაგრამ ყველაფერს ვერ გასწვდებით, ყველა მომენტში ყველა ასპექტს ვერ გაითვალისწინებთ, ამიტომ საზოგადოების სხვადასხვა სპექტრის აზრის მოსმენა გმართებთ. იქნებ არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებთან, რა თქმა უნდა, არა ყველასთან, მაგალითად, კუკავას, ბაღათურიას, ბურჯანაძის პარტიებთან კონსესუსის გზა გამონახოთ და მათთან ერთად რაღაც სათათბირო ორგანო ან საბჭო შექმნათ, თვეში ერთხელ მაინც ერთად შეიკრიბოთ და რეგულარულად იმსჯელოთ ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, იქნებ რაიმე ფორმით მათაც მიაღებინოთ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში.

თქვენი გულმხურვალე მხარდამჭერები აღჭურვილი ვართ მოთმინებით და იმედით.

**ინდიკო სეფაშვილი,**
**პენსიონერი ყვარლიდან**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს გვერდი აუარა მასიური იმიგრაციის პრობლემამ, მათთვის კვლავაც მწვავედ დგას ეთნიკური წყენისა და ურთიერთსიძულვილის შიდა პრობლემები.**

# ევროპელ ხალხთა მომავალი

**ევროპელებმა, შესაძლოა, მოახერხონ გადარჩენა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეძლებენ უარის თქმას საკუთარ ვიწრო „ნაციონალურ ინტერესებსა“ და რეიხის აღორძინების იდეის სასარგებლო ეთნიკურ დაპირისპირებებზე.**

არსებობს არაერთი პარადოქსული მოვლენა, რომელთაც ადგილი ჰქონდა უახლეს ისტორიაში. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმები დაემხო. კომუნიზმი განადგურდა იმიტომ, რომ მისი იდეალებიდან მრავალი, თუნდაც სხვა სახელწოდებით, განხორციელდა კაპიტალისტურ დასავლეთში. მაგალითად, რუსი ბოლშევიკებისა და ევროპელი მარქსისტი ინტელექტუალების ისეთი პალეოკომუნისტური იდეები, როგორიც იყო ეგალიტარიზმი — ინტელექტუალურ-იდეური „გათანაბრება და შერწყმა“, რაც რაღაც წარმოსახვით მულტიკულტურულ სისტემაში მუდმივი ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობად მოიაზრებოდა, დიდი წარმატებით იქნა რეალიზებული თავად დასავლეთში. სწორედ ამიტომ სავსებით მოსალოდნელი იყო იმ ევროპელი პოლიტიკოსებისა და ინტელექტუალების ლიბერალებად და „თავისუფალი ბაზრის“ იდეოლოგიის დამცველებად ტრანსფორმირება, რომლებიც მანამდე მარქსისტულ პოზიციებს იცავდნენ.

**ისტორიის მეორე საოცრება ისაა, რომ, როგორც გამოცდილებამ გვიჩვენა, კომუნისტური წარსულის ცალკეული გამოვლინებების მადლიერნი უნდა ვიყოთ აღმოსავლეთ ევროპაში არაევროპელი იმიგრანტების თითქმის არარსებობის გამო.** კომუნისტების დროს ცხოვრების საკმაოდ მოკრძალებული წესის წყალობით, აღმოსავლეთ ევროპა არასდროს ყოფილა მიმზიდველი მესამე მსოფლიოდან იმიგრირებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტურმა სისტემამ უარყო ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლინება და ცდილობდა, აეშენებინა მულტიკულტურული სისტემა, ამ მიმართულებით ყველა წამოწყება წარმატებით არ დაგვირგვინებულა. იმიგრანტები არც ისე ბრიყვები იყვნენ და მშვენივრად ესმოდათ, რომ ცხოვრების დონე გაცილებით უფრო მაღალია დიდ მეტროპოლიებსა და პოსტფაშისტურ ქვეყნებში.

და მესამე ისტორიული პარადოქსი. მათ, ვისაც მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ასე თუ ისე დიდი დროის გატარება მოუხდათ, მშვენივრად იციან, თუ რას წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაცია ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, სხვისი სოციალურ-კულტურული ექსპანსია. მეხიკოში მცხოვრები მეტისი ან სტამბოლში მცხოვრები წარმოშობით აღმოსავლელი თურქი მშვენივრად აცნობიერებს იმ რასობრივი და კულტურული ფენის საზღვრებს, რომელსაც განეკუთვნება საკუთარ სამშობლოში. ამერიკაში იმიგრირებულმა ამ ფენის წარმომადგენლებმა მშვენივრად იციან საკუთარი უფლებები, რომლებზეც სამშობლოში მხოლოდ ოცნება შეეძლოთ.

**აუცილებელია, მკვეთრად გაიმიჯნოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპელთა თვითიდენტიფიკაცია.** რა ამოძრავებთ მათ? რომელი მითებია დომინირებადი? 30-40 წლის წინ დასავლეთევროპელი ნაციონალები სულაც არ განიხილავდნენ იმიგრაციის პრობლემებს. მათი განხილვის მთავარი თემა კომუნიზმი, მისგან მომავალი საფრთხეები და ამ საფრთხეებისგან თავდაცვის შესაძლო ვარიანტები იყო. ევროპული ნაციის ნაციონალური თვითგანსაზღვრების საკითხი დღის წესრიგში არ შედიოდა, თუ არ ჩავთვლით ნელ-ნელა მზადებად კონფლიქტებს სამხრეთ ტიროლში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და ბასკების ქვეყანაში. დასავლეთევროპელი ნაციონალები და მათი პოლიტიკური ინსტიტუტები თავიანთ მთავარ მტერს ხედავდნენ კომისარ-კომუნისტში და არა არაევროპელი იმიგრანტის სახეში. ჩვენს დროში კომისარი-კომუნისტი სავსებით დავიწყებულია ნაციონალისტების მიერ, რამდენადაც ყველა დასავლეთევროპელი ხალხი, გამონაკლისის გარეშე, არაევროპელი იმიგრანტების მასობრივი შეტევის მსხვერპლია. იმიგრანტების ამ უსასრულო ტალღის დანახვისას, გადახედავ რა წარსულს, უნებლიეთ ჩნდება კითხვა, მართლაც ემუქრებოდა თუ არა კომუნიზმი ევროპელების არსებობას? იქნებ კომუნისტების პირობებში დასავლეთევროპელთა იდენტურობა უკეთ შენახულიყო, ვიდრე ეს კაპიტალიზმის პირობებში ხერხდება?

**ზუსტად ასე გამოვიდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. დღესდღეობით აღმოსავლეთევროპელებს ნაციონალური თვითშეგნება გაცილებით მკვეთრად და რელიეფურად აქვთ გამოხატული, ვიდრე დასავლეთევროპელებს.** ნაწილობრივ ეს შეიძლება აიხსნას ნებისმიერი ნაციონალური გამოვლინების მკაცრი ჩახშობით ყოფილი კომუნისტური რეჟიმების პირობებში, რომლებიც მუდამ ებრძოდნენ ეგრეთ წოდებულ ფაშიზმის საფრთხეს.



იტალიელი მუსლიმანების ჯგუფი არ დაემორჩილა ხელისუფლების აკრძალვას და რომში აღნიშნა რამადანის დასრულება საჯარო ლოცვებით

**იმიგრანტების უსასრულო მოდინებისადმი შიში, სახელმწიფოებისა და ერების ეთნიკური გულების დაშლის რეალური ან თუნდაც სავარაუდო საფრთხე მრავალ ევროპელ ნაციონალისტს აიძულებს, ხელახლა გაიაზროს ისეთი მცნებები, როგორიცაა «ხალხი», «ნაციონალური თვითშეგნება», «ეროვნული სულისკვეთება»**

**იმიგრანტების უსასრულო მოდინებისადმი შიში, სახელმწიფოებისა და ერების ეთნიკური გულების დაშლის რეალური ან თუნდაც სავარაუდო საფრთხე მრავალ ევროპელ ნაციონალისტს აიძულებს, ხელახლა გაიაზროს ისეთი მცნებები, როგორიცაა „ხალხი“, „ნაციონალური თვითშეგნება“, „ეროვნული სულისკვეთება“.** ოდესღაც დასავლეთევროპელი ნაციონალისტები თვითიდენტიფიცირდებოდნენ მეზობელი ქვეყნების ნაციონალისტების გაშავებით. საბედნიეროდ, ის დრო წავიდა. ახლა ყველა დასავლეთევროპელი ნაციონალისტისა და მათი წარმომადგენლისთვის პირველ ადგილზე დადგა გადარჩენა და საერთო ბიოკულტურული უნიკალურობის შენარჩუნების პრობლემა და მორიგი ისტორიული პარადოქსიც აქვეა: ოდესღაც მტრული დასავლეთევროპული ხალხების კონფლიქტის ალბათობა უკუპროპორციულია ჩამოსული არაევროპელების რაოდენობისა. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ფლამანდელებმა მეზობელ ვალონებს ომი გამოუცხადონ ან ავსტრიის ხელისუფლებამ, სამხრეთტიროლელები იტალიისგან გამოყოფისკენ წააქეზოს.

აღმოსავლეთევროპელ ხალხთა წარმომადგენლები პრაქტიკულად არასდროს განიცდიან ისტორიული დანაშაულის გრძნობას ან საკუთარი თავისადმი სიძულვილს, მაშინ, როდესაც დასავლეთევროპელები და განსაკუთრებით გერმანელები ამ შეგრძნებების გარეშე ფაქტობრივად აღარ ცხოვრობენ. პრაქტიკულად ყველა აღმოსავლეთევროპელი მოქალაქისა და პოლიტიკოსის ნაციონალური თვითშეგნება ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დოზით განისაზღვრება ნაციონალური სიამაყით. მაგალითად, ხორვატიის ან უნგრეთის ჩვეულებრივ მოქალაქეებს საერთოდ არ სჭირდებათ რაიმე სტატიების კითხვა მულტიკულტურიზმის საფრთხეების შესახებ და ნაციონალური სულისკვეთების განხილვა. მათ ამ ყველაფრის გარეშეც მშვენივრად იციან, რომ არიან თეთრკანიანები, ევროპელები და კეთილი ქრისტიანები.

**მიუხედავად მრავალი უპირატესობისა, რომლებიც ნაციონალური ერთგვაროვნებით იხსნება, აღმოსავლეთევროპელ ხალხებს შორის ურთიერთქება იმდენად სასიხარულოდ არ გამოიყურება, რამდენადაც სასურველია.** ყველა აღმოსავლეთევროპელი გამოხატავს „ნეგატიურობის“ მაღალ დონეს ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაციონალური თვითშერიგების რეაქტიულობას სხვა მეზობელ-ევროპელთან ექსკლუზიაში. არ შეიძლება შეუფასებელი დარჩეს აღმოსავლეთ ევროპაში არსებულ ეთნოსებსშორისი და ქვეყნებსშორისი დაძაბულობა, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება იქცეს რეგიონში ახალი კონფლიქტების საბაბად. **მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს გვერდი აუარა მასიური იმიგრაციის პრობლემამ, მათთვის კვლავაც მწვავედ დგას ეთნიკური წყენისა და ურთიერთსიძულვილის შიდა პრობლემები.**

ვინაიდან ფრანგი ან ამერიკელი ნაციონალისტის მხრიდან გაუგებარი რჩება ნეგატიური ან რეაქტიული ნაციონალური თვითშეგნების არსი, საჭიროა რამდენიმე მაგალითის მოყვანა. მაგალითად, პოლონელ ნაციონალისტს შეუძლია, დაეთანხმოს გერმანელ ნაციონალისტს ყველაფერში, რაც გლობალიზაციის პროცესების კრიტიკას შეეხება, მათ ზუსტად ანალოგიური ანტიკომუნისტური და ანტიკაპიტალისტური შეხედულებები ექნებათ, მაგრამ მისი ნაციონალური თვითშეგნება ფესვგადგმულია ნათლად გამოხატულ ანტიგერმანულ გრძნობებში. ეთნიკური უნგრელების მესამედი — 2 მილიონზე მეტი ადამიანი — ცხოვრობს სხვა ეთნიკური სახელმწიფოს — სლოვაკეთის, სერბეთის, რუმინეთის იურისდიქციაში, მაგრამ მათი ნაციონალური თვითშეგნება დიდწილად განისაზღვრება უშუალოდ უნგრეთში მცხოვრებ ნათესავებთან მჭიდრო კავშირებით. რაც შეეხება სერბეთსა და ხორვატიას, მათ შორის ოფიციალურად გაფორმებული მშვიდობის შეთანხმების მიუხედავად, მათი თვითაღქმა და ერთმანეთის აღქმა, უბრალოდ, არათავსებადია. ამ ქვეყნების ხალხებს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები აქვთ ისტორიულ მოვლენებზე და ურთიერთმიუღებელი შეფასებები მსხვერპლთან დაკავშირებით. მოკლედ რომ ვთქვათ, რასობრივი ერთგვაროვნების მიუხედავად, სერბებსა და ხორვატებს აქვთ ნაციონალური თვითშეგნება, რომლებიც ურთიერთგამომრიცხველ ხასიათს ატარებენ, თანაც ყველაზე რადიკალური სახით, ანუ ხორვატი პირველ რიგში თვითიდენტიფიცირებას ახდენს, როგორც მრისხანე ანტიერბი, რათა შეძლოს ▶



**არ შეიძლება, არაევროპელ იმიგრანტებს დაბრალდეთ იმიგრაცია და ევროპელ ხალხთა გახრწნა**

## როგორც მომაკვდავ სისტემას შეეფერება, ეს სისტემაც პათეტიკურად ირწმუნება, რომ „მუდმივი“ და „უცოდველია“. ისტორიის მანძილზე დასავლეთი უთვალავჯერ განიცდიდა თვითკმაყოფილებასა და თვითდამშვიდებას, სასურველს რეალობად ასაღებდა. დღეს დასავლეთის, უფრო სწორად კი ევროკავშირის, მმართველი კლასი ძალზე სუსტია, მაგრამ არ შეუძლია ამის აღიარება.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ შემდგომი თვითიდენტიფიცირება კარგ სერბად. **ვინაა დამნაშავე, რომ აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს შორის ჯერ კიდევ ცოცხლობს მსგავსი შეხედულებები, რომლებიც რამდენადაც ურთიერთშეურიგებელი, იმდენად ურთიერთდამღუპველია?** ხალხთა მიერ ერთმანეთისადმი ნეგატიური დამოკიდებულების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს თანამედროვე ისტორიოგრაფია, ათასგვარი „კარის“ ისტორიკოსები და თანამედროვე „დემოკრატია“. აღმოსავლეთევროპელმა ხალხებმა მოახერხეს კომუნისტური რეჟიმისაგან თავის დაღწევა, მაგრამ თითოეულ ამ ქვეყანაში საყოველთაოდ მიღებული ისტორიული ინტერპრეტაციები არ შეცვლილა, ფაქტობრივად, 1945 წლის შემდეგ. ეროვნული მითებისა და ურთიერთგამომრიცხავი აღქმების საფუძველში დევს არასრული და ხშირად მცდარი მონაცემები მეორე მსოფლიო ომის ისტორიიდან. მცდარი, გადაჭარბებული, სიურეალისტური და რომანტიკული ისტორიული ნარატივები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა რაოდენობის დათვლას ცდილობენ, არის აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის ხალხებს შორის გამეფებული სიძულვილისა და ურთიერთშიშის მთავარი მიზეზი.

**რა იმედებიც არ უნდა ასულდგმულებდეთ აშშ-სა და ევროპაში ნაციონალებს, ომს, რომელიც სავსებით შესაძლებელია დაიწყოს ევროპის ტერიტორიაზე, არ ექნება საზღვრები „კარგ თეთრ ევროპელებსა“ და „ცუდ არათეთრ არაევროპელებს“ შორის. სავარაუდო ომი გამოაჩენს კლასობრივი ბრძოლის შტრიხებს, რომლებიც რასობრივ ბრძოლას ერწყმიან და იმ უწესრიგო ეთნიკურ შეტაკებებს, რომელთაც ადგილი აქვს თავად ევროპის შიგნით, ევროპელ ხალხთა შორის. ამ შემთხვევაში ზემოხსენებული ვერც ერთი პოლიტიკურად მოტივირებული სიმართლის დამამახინჯებელი ისტორიული „ფაქტი“ ვერ გაამართლებს ევროპელთა ადგილობრივ ნაციონალიზმებს. შეზღუდულმა გერმანულმა, ხორვატულმა, ამერიკულმა, ინგლისურმა თუ ფრანგულმა ნაციონალიზმებმა უკვე საკმაო უბედურება აწვნიეს ყველა ევროპელ ხალხს. ახლა უკვე თავისუფლად შეიძლება უკან მიხედვა და იმ მომაკვდინებელი მემკვიდრეობის შეფასება, რომელიც ევროპას სახელმწიფო ნაციების შექმნის შედეგად ერგო წილად. უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ევროპა შეეჯახა გამომფიტავ რელიგიურ ომებს, უწყვეტ ტერიტორიულ დავებს და ისტორიული მეხსიერების ფალსიფიცირების ნიაღვარს.**

და ბოლოს, მთავარი კითხვა, რომელიც ყველა ევროპელმა უნდა დაუსვას საკუთარ თავს და რომელზე პასუხის გაცემაც ძალზე ძნელია: დღეს, როდესაც გერმანიის მოქალაქეთა 10%, საფრანგეთის მოქალაქეთა 15% და აშშ-ის მოქალაქეთა 30% წარმოშობით არაევროპელია, რას ნიშნავს გამოთქმა „მე ვამაყობ იმით, რომ გერმანელი (ან ფრანგი, ან ამერიკელი) ვარ“?

ევროპელების ზრუნვის საგანი არ უნდა იყოს იმ შესაძლებლობების, სურვილებისა თუ ვალდებულებების საკითხთა გადაწყვეტა, რომლებიც არაევროპელი იმიგრანტების ინტეგრაციას ეხება, და არც ამ ინტეგრაციის ხარისხი ან საზღვრები. მულტიკულტურიზმის სისტემური წინააღმდეგობებისა და მისი სახიფათოობის შესახებ უკვე ბევრი რამაა თქმული. **ევროპელებმა იმაზე უნდა იზრუნონ, რომ უდიდესი რაოდენობის გერმანელს „გერმანელობის“ შეგრძნება და კიდევ უფრო დიდი რაოდენობით ევროპელს „ევროპელობის“ შეგრძნება დაუბრუნდეს.** მილიონობით ევროპელმა ქვეცნობიერად იცის, რომ თეთრი ევროპელია, მაგრამ ისინი, ვისაც არ ახსოვთ საკუთარი ისტორია, ცხოვრობენ პასიური მომხმარებლური წესით და ფიქრითაც დიდად არ იცხელებენ თავს, უფრო სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ ევროპისთვის, ვიდრე მესამე მსოფლიოდან მოდინებულ იმიგრანტთა ტალღები.

არაევროპელთა იმიგრაციაზე საუბრისას ძალზე ხშირად ურევენ ერთმანეთში მიზეზებსა და შედეგებს და განტევების ვაცს ეძებენ იქ, სადაც არაა. ყველაზე ხშირად არაევროპელ იმიგრანტებს მოიხსენიებენ მუსლიმანებად ან ისლამისტებად, თითქოს ევროპაში მხოლოდ მუსლიმანები მიდიოდნენ. საჭიროა ადამიანების განსხვავება მათი აღმსარებლობის მიხედვით. მაგალითად, ბალკანეთში 10 მილიონზე მეტი მუსლიმანი ევროპელი ცხოვრობს და მათგან უმრავლესობა თეთრკანიანია. ეს ხალხიც უნდა გაძევდეს ევროპიდან? მეორე მხრივ, გერმანიის 4 მილიონი თურქიდან უკლებლივ ყველა ხვალვე რომ მოექცეს ქრისტიანად, ეს არაფერს შეცვლიდა. **ისტორიულად ჩამოყალიბებული ხალხისათვის კუთვნილების ნაციონალური გრძნობა დამოკიდებულია არა მხოლოდ და არა იმდენად აღმსარებლობაზე, რამდენადაც ამ ხალხში ფესვგადგმულ სპეციფიკურ შეგრძნებებზე, ისტორიის უნიკალურ აღქმაზე და ცხადია, ბიოლოგიურ თავისებურებებზეც.**

კონცეპტუალური შეცდომაა, როდესაც ჩვენს დროში ანტიისლამური და ანტიფაშისტური შეხედულებების გამოვლინება უსაფრთხო ინტელექტუალურ თავგადასავლად ითვლება და არა კანონის დარღვევად. ცხადია, უნდა გვესმოდეს, რომ ამგვარ დისკურსს უმაღლესი პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები ასაზრდოებენ, ზოგან მასმედიის მფლობელებიც, აშშ-ში კი — „ნეოკონები“. გარემოებათა დამთხვევით ანტიისლამიზმი ასევე მოსახერხებელი საფარია მულტიკულტურული სისტემის მიუღებლობის გამოსახატად. **თუ ვიღაც ღიად ვერ აკრიტიკებს ევროპულ და ამერიკულ ოლიგარქატს თუნდაც მულტიკულტურიზმის მხარდაჭერისთვის, შეუძლია კანონის საფუძველზე და პროფესიული კარიერისთვის ზიანის გარეშე თავის გამოსვლებში მთელი რისხვა არათეთრ იმიგრანტებს დააფრქვიოს. ამ ყველაფრით დაუყოვნებლივ ისარგებლა არაერთმა ამერიკელმა თუ ევროპელმა ნაციონალისტმა და ისლამის კრიტიკის უკან შეეცადა მულტიკულტურიზმისადმი თავისი კრიტიკული დამოკიდებულების დამალვას.** ევროპული ნაციონალიზმის ზოგიერთი ცნობილი ფიგურა კიდევ უფრო შორს წავიდა — ისინი საკუთარ ანტიისლამურ რიტორიკას აბალანსებენ აუცილებელი გამოსასყიდი ვიზიტებით ისრაელში და გულუბრყვილოდ სჯერათ, რომ შეიძენენ უფლებას, დაბრკოლებების გარეშე აკრიტიკონ მულტიკულტურიზმი.

**არ შეიძლება, არაევროპელ იმიგრანტებს დაბრალდეთ იმიგრაცია და ევროპელ ხალხთა გახრწნა.** ევროპასა და აშშ-ში მრავალმილიონიანი იაფი მუშახელის დაგროვება ხდება ადგილობრივი კაპიტალისტების ინტერესებიდან გამომდინარე, ამით ისინი ულმერთოდ უმცირებენ შრომის ანაზღაურებას თავიანთ თანამემამულეებს. გარდა ამისა, იმიგრანტები არ იღებენ სოციალურ კავშირებს არათავიანთ გარემოში, შორს დგანან პროფკავშირული მოძრაობებისგან და პრაქტიკულად არ ადარდებთ ევროპის ბედი. ამიტომაც იმიგრანტები არიან ყველაზე სუსტი სამიზნე კაპიტალისტების მანიპულაციებისთვის, ევროპელ ხალხთა მთავარი მტრები კი გლობალისტები, პლუტოკრატები და ფინანსისტები არიან და არა იმიგრანტები. ვიდრე არის შესაძლებლობა, ფული ხვეტონ, გერმანელ საბირჟო ბროკერს, ისევე, როგორც ხორვატ ექსკომუნისტ მოღვაწეს, რომელიც კაპიტალიზმის ზვიგენად იქცა, სულ არ ადარდებს არანაირი ნაცია.



მუსლიმთა ლოცვა. ბრიუსელი, ბელგია

**უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე ევროპა შეეჯახა გამომფიტავ რელიგიურ ომებს, უწყვეტ ტერიტორიულ დავებს და ისტორიული მეხსიერების ფალსიფიცირების ნიაღვარს**

**სხვათა შორის, ეკლესიამ თავისი მოწოდებით ახლობლის დახმარების შესახებ ასევე უნდა აიღოს პასუხისმგებლობის წილი საკუთარ თავზე ევროპელი ერების დაშლის გამო.** ამერიკელები, ევროპელები და თეთრი ქრისტიანები დღეს არაევროპელების კეთილდღეობას უფრო მეტად დარდობენ, ვიდრე საკუთარს. საუდის არაბეთის ან ყატარის ნავთობის შეიხი აბსოლუტურად არ ფიქრობს მოლდავეთის უმუშევარი ახალგაზრდობის ბედზე, მას ისიც კი არ სურს, რომ თავის თანამოთემეებსა და თანამორწმუნეებს დაეხმაროს პალესტინაში, არამც თუ ევროპაზე ფიქრით გაიცხელოს თავი.

**ეს ყველაფერი ერთად სისტემის კრახია.**

**ევროპის სახელმწიფო-ნაციების ისტორიული მისია დასრულდა, თანაც დასრულდა კატასტროფების სერიით. ევროპული რეიხის აღორძინების იდეამ კვლავ უნდა მოიკრიბოს ძალები. არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა სახით გამომჟღავნდება მომავალში რეიხის იდეა და არ აქვს მნიშვნელობა არც იმას, რა ორგანიზაციულ თუ სამართლებრივ ფორმებს მიიღებს იგი.** მას შეიძლება ევროპის კონფედერაცია ერქვას, ან თუნდაც შეინარჩუნოს ევროპული კავშირის სახელწოდება, რადგან მნიშვნელოვანია არა ფორმა და სახელწოდება, არამედ რეიხის იდეის განახლებული იმპერიის შინაარსი. **იმპერიულმა იდეამ უნდა მოსპოს უაზრო ნაციონალიზმი და ევროპის ყველა ხალხებს უნდა მისცეს საშუალება, შეინარჩუნონ უნიკალურობა საერთო ვალდებულებების შესრულების პირობებში.** გერმანული რეიხის იდეას საერთო არაფერი აქვს ინგლისური ან ფრანგული იმპერიების იდეასთან და ისინი ერთმანეთში არავის არ უნდა აერიოს.




ლონდონი. მუსლიმური პარტიები ევროპაში, ანუ „დემოკრატიული ჯიჰადი“

ცენტრალიზმი მუდამ წარმოადგენდა ფრანგული იმპერიის იდეის ბირთვს. ამ იდეამ კი დასაწყისში გააჩინა ქსენოფობიური სახელმწიფო-ნაციები, შემდეგ კი ქვეყანას მოავლინა უცნაური ცენტრალიზებული სტრუქტურა, რომელსაც ევროპული კავშირი დაარქვეს. მკაცრი ცენტრალიზებისგან განსხვავებით, რეიხის მმართველი ელიტები საუკუნეობით იცავდნენ ზეეროვნულ პრინციპს, რომელიც ფედერალიზმის სიღრმისეულ ტენდენციებს ეფუძნებოდა. **რეიხი, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკურ პლურალიზმს აღნიშნავს, ოღონდ მტკიცე პოლიტიკური ერთობის საზღვრებში. მაგრამ ევროპელ ხალხთა ერთიანობის იდეას ახალი ღირებულებათა იერარქია ესაჭიროება. ამასთან, ეს ღირებულებები მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს ახლანდელი ლიბერალური ფასეულობებისგან.** ახლანდელ მერკანტილურ სისტემაში, სადაც თაყვანს სცემენ ფულს, „იმპერიის იდეა“ სტილისტურ შეცდომად გამოიყურება.

მაგრამ იმპერიული რეიხის იდეა საფრთხეებისთვის გაცემული ღირსეული პასუხია. XVII საუკუნეში რომ არ ყოფილიყო იმპერიული იდეა და არ ყოფილიყო ევროპელი პრინცი ევგენი სავოელი, დღეს დოქტორი სუნიჩი სულ სხვა თემებზე ისაუბრებდა და, სავარაუდოდ, ალი ან მუჰამედი ერქმეოდა სახელად.

**რა აზრი აქვს ხორვატიის, ლიტვის ან გერმანიის ეგრეთ წოდებულ დამოუკიდებლობას, თუ დასავლეთის არც ერთი ქვეყანა აღარ ფლობს სუვერენიტეტს და იმართება აშშ-ის პროკონსულების, ევროკომისრებისა და ანონიმური ბანკსტერების (ბანკირისა და განგსტერის ნაჯვარი) მიერ?**

კარგი ამბავი ისაა, რომ არსებული სისტემა უკვე სულს ლაფავს. მულტიკულტურიზმის აბსტრაქტული დოგმების ექსპერიმენტები ჩავარდა, ეთნიკურად უჯიშო გარემოში ეკონომიკური განვითარების იმედები არ გამართლდა. ევროპასა და აშშ-ში მიმდინარე მოვლენები ადასტურებს, რომ ლიბერალური ექსპერიმენტი ისტორიას ბარდება და ამას უამრავი ემპირიული დადასტურება აქვს. **როგორც მომაკვდავ სისტემას შეეფერება, ეს სისტემაც პათეტიკურად ირწმუნება, რომ „მუდმივი“ და „უცოდველია“. ისტორიის მანძილზე დასავლეთი უთვალავჯერ განიცდიდა თვითკმაყოფილებასა და თვითდამშვიდებას, სასურველს რეალობად ასაღებდა. დღეს დასავლეთის, უფრო სწორად კი ევროკავშირის, მმართველი კლასი ძალზე სუსტია, მაგრამ არ შეუძლია ამის აღიარება. ელიტებმა არ იციან, სად გაიქცნენ. ჩვენ ყველას კი გვაინტერესებს, როდის გამოცხადდება საგანგებო მდგომარეობა და ვინ გამოაცხადებს მას.**

geopolitica.ru

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული ანგარიში შეიცავს გაფრთხილებას, რომ კრიზისების სერიების შედეგად აშშ-ში შესაძლოა თავი იჩინოს მასობრივმა სამოქალაქო არეულობებმა, რომელთაც „სტრატეგიული შოკი“ ეწოდა.**

# ძალადობის, სიხარბისა და ზოოლოგიური ეგოიზმის უაზრო საზოგადოება — ეს ამერიკაა

**სულ ცოტა ხნის წინ მთელი ამერიკული და არამხოლოდ ამერიკული მასმედია განიხილავდა ნიუთაუნის ელიტურ დაწყებით სკოლაში მომხდარ ამბავს. მორიგი ამერიკელი ობივატელი, ამჯერად 24 წლის ადამ ლანზა სკოლაში მივიდა, რათა სამაგიერო გადაეხადა გულში ჩარჩენილი წყენის გამო მასწავლებლების, მთელი სკოლისა და საერთოდ იმ ცხოვრებისთვის, რომელიც ამერიკელებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. სამაგიეროს გადახდა გადაწყვიტა ძირძველი ტეხასური მეთოდით — სროლითა და მოკვლით. თავიდან 28 მოკლულის შესახებ აცხადებდნენ, რადგან ამერიკის ხელისუფლება, როგორც წესი, ამჯერადაც ჯიუტად მალავდა რეალობას მომხდარიდან პირველი საათების განმავლობაში, რაც, მოგვიანებით გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, დადასტურდა კიდეც.**




ეს ამერიკული ბანდიტიზმი — აშშ-ის თავდასხმა ხან ერთ, ხან — მეორე ქვეყანაზე ან, ოდნავ უკეთეს შემთხვევაში, ომის გაჩაღება ამა თუ იმ ქვეყანაში ბოლოს და ბოლოს დაუსვამს წერტილს კაცობრიობის მოთმინებას? როდემდე შეიძლება იმ გამოშტერებულების ატანა, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ყველაზე თანამედროვე რაკეტებით, ბომბებით, თვითმფრინავებით, ავიამზიდებით და რომელთაც თავი მოაქვთ იმ ციხის ზედამხედველებად, რომლადაც აქტიურად გარდაქმნიან მთელს მსოფლიოსა და მთელს პლანეტას? ის, რაც კონექტიკუტის სკოლაში მოხდა, ის, რაც დიდი ხანია ხდება სირიაში, ისიც, რაც ადრე ლიბიაში ხდებოდა და მანამდე კი ერაყში, ავღანეთსა და იუგოსლავიაში, არის ერთი ამერიკული ნატურირის ორი მხარე — ეს არის იმ დაუსჯელობით გაპარპაშებული ბანდიტის ქმედება, რომელიც მიჩვეულია, ჯერ ისროლოს და მხოლოდ ამის შემდეგ დაფიქრდეს ან სულაც არასდროს შეიწუხოს თავი ფიქრით.

**გამოშტერებული ამერიკელის მიერ ამერიკელი ბავშვების ჟლეტა კონექტიკუტის შტატის სკოლაში არის ამერიკელების ფსიქოლოგიისა და მენტალიტეტის აბსოლუტური გამოვლინება მინიატურაში, რაც საკუთარი თავის წინააღმდეგვე მიმართეს. კარგი იქნებოდა, ამგვარი გამოშტერებულები მხოლოდ ერთმანეთს ხოცავდნენ რაც შეიძლება დიდხანს და რაც შეიძლება მეტს.**

სულ ცოტა ხნის წინ მოდებილო ამერიკელი მოზარდების კუმირის — ბეტმენის კოსტიუმში გადაცმული იდიოტი კინოთეატრში შევარდა და ფილმის პრემიერაზე სროლა ატეხა, რის შედეგადაც 70-ზე მეტი ადამიანის მოკვლა და დაჭრა მოახერხა.

იმავე პერიოდში ამერიკაში კიდევ ერთ ანალოგიური ფსიქიკისა და მსოფლმხედველობის სიმპათიურ ადამიანს ასამართლებდნენ. ასპროცენტიანი ამერიკელი, 23 წლის ჯარედ ლოუგნერი არიზონას შტატში ირთობდა თავს სროლით, მაგრამ, თავისი მსგავსი გონებასუსტების მსგავსად, „წარმატებული“ ვერ აღმოჩნდა და სულ რაღაც 6 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. სამაგიეროდ, მსხვილფეხა ნადავლი ჩაიგდო ხელთ — დაჭრილებს შორის იყო კონგრესმენი ქალბატონი გაბრიელა გიფორდსი, რომელიც მომხდარის შემდეგ საერთოდ წავიდა პოლიტიკიდან.

სხვათა შორის, თავიანთ ხალხს არც ამ ქვეყნის სამართალდამცავები ჩამორჩებიან. იმავე 2012 წლის აგვისტოში არანაკლებ გონებასუსტმა პოლიციელებმა ნიუ იორკის ცენტრში ხუმრობით ატეხეს სროლა და „შემთხვევით“ 9 ადამიანი დაჭრეს.

იმავე წლის 6 აგვისტოს კი არავინ ხუმრობდა: ვისკონსინის შტატის ქალაქ ოუკში 40 წლის ამერიკელმა გადაწყვიტა, პოლიტიკური მრწამსის გამო დაეხოცა ზოგიერთები და ზუსტად ისინი თუ არა, რომელიღაც შვიდი ადამიანი ნამდვილად მოკლა, 25 კი — დაჭრა.

ასე დასრულდა შარშანდელი აგვისტო ამერიკაში, სექტემბერში კი სამსა- ▶

# აშშ-ის შეიარაღებული ძალები საშინაო ჟანდარმის როლში

**ახლახან ინტერნეტში გამოქვეყნდა აშშ-ის არმიის სამხედრო პოლიციის ინსტრუქცია სახელწოდებით „მოქმედებათა თანმიმდევრობა სამოქალაქო არეულობების შემთხვევაში“. მასში აბსოლუტურად დეტალურადაა აღწერილი თანმიმდევრობა, რომლის მიხედვითაც უნდა იქნეს გამოყენებული სამხედრო ფორმირებები ქვეყნის შიგნით ამბოხებების ჩასახშობად, ცეცხლსასროლი იარაღის ამოსაღებად და მასობრივი არეულობების მონაწილეთა წინააღმდეგ იარაღის გამოსაყენებლად.**

დოკუმენტი ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა შემუშავებული და დამტკიცებული, განკუთვნილ იქნა ფორტ-მაკლანში მდებარე აშშ-ის სამხედრო-პოლიციურ სკოლაში დამოუკიდებელი შესწავლისთვის. სახელმძღვანელოში აღწერილ ოპერაციაში მოვლენები ვითარდება, როგორც აშშ-ის კონტინენტურ ნაწილში, ასევე მის საზღვრებს მიღმა ტერიტორიებზე. ინსტრუქციაში ჩამოყალიბებულია სამხედრო შემადგენლის გამოყენების თანმიმდევრობა ადგილობრივი და სახელმწიფო სახელისუფლო ორგანოებისთვის კანონიერებისა და წესრიგის აღდგენის საქმეში დასახმარებლად იმ შემთხვევისთვის, თუ ადგილი ექნება მასობრივ მღელვარებებს და საპროტესტო გამოსვლებს ან გამოცხადდება საომარი მდგომარეობა. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მონაწილე სამხედრო ფორმირებები გამოყენებული იქნებიან ძირითადად არასანქცირებული მიტინგების დასარბევად და არეულობებით მოცული ზონების პატრულირებისთვის.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ წესრიგის აღდგენის ოპერაციის დროს სამხედრო მოსამსახურეებმა შეიძლება მიმართონ ძალის დემონსტრირებას, ბლოკპოსტების შექმნას, ბრბოების დაშლას. სახელმძღვანელოში აღწერილია დაკავებულების განთავსება დროებით ბანაკებში.

**დოკუმენტი მოიცავს იარაღის იმ სახეობების ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მასობრივი არეულობების ჩასახშობად და მოცემულია ამ იარაღის გამოყენების თანმიმდევრობაც, მათ შორის არის იარაღის „გაუფრთხილებლად“ გამოყენების შემთხვევებიც. სამხედროებს ავალებენ, ატარონ იარაღი უსაფრთხო მდგომარეობაში, რათა განხორციელდეს ფსიქოლოგიური ზემოქმედება ძალის დემონსტრირების გზით. ასევე გათვალისწინებულია არალეგალური იარაღისა და წყალმტყორცნების გამოყენება.**

სახელმძღვანელოში განმარტებულია სამხედროთა მონაწილეობის, რიგ ოპერატიულ ღონისძიებებში იმ პირების, ჯგუფებისა და ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოსაგროვებლად, რომლებიც ეჭვმიტანილნი იქნებიან მასობრივი არეულობების პროვოცირებაში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ წესრიგის დასამყარებლად მოხმობილმა ჯარებმა არ უნდა დაუშვან გადამეტებით უხეში მოპყრობა მომიტინგეების მიმართ, უნდა მოიქცნენ, როგორც თავშეკავებული, დისციპლინირებული ძალები, რომელთა ერთადერთი მიზანია, აღმოუჩინონ დახმარება ადგილზე კანონიერებისა და წესრიგის აღდგენის საქმეში მოსახლეობის სიცოცხლისა და საკუთრებისთვის მინიმალური საფრთხით.

**აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული ანგარიში შეიცავს გაფრთხილებას, რომ კრიზისების სერიების შედეგად აშშ-ში შესაძლოა თავი იჩინოს მასობრივმა სამოქალაქო არეულობებმა, რომელთაც „სტრატეგიული შოკი“ ეწოდა.**

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ყველაფრამდე დიდი ხნით ადრე მექსიკა-აშშ-ის საზღვრის გადაკვეთით არალეგალების მასობრივი დინების აღკვეთის მიზეზით შეიქმნა პროგრამა, რომლის სახელწოდებაც იყო მასობრივი დაკავებების სწავლებები (1984).

მაგრამ 1987 წელს გაირკვა, რომ ეს პროგრამა სინამდვილეში იყო საიდუმლო სცენარი და ინსტრუქცია, რომელიც ფედერალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა კონსტიტუციის მოქმედების შესაჩერებლად, საომარი მოქმედების გამოსაცხადებლად, შტატების ადმინისტრაციების და ფედერალური ხელისუფლების უფლებამოსილებების შეიარაღებული ძალებისათვის გადასაცემად და მათთვისვე იმ უფლების მისანიჭებლად, რომ მასობრივად დაეკავებინათ ამერიკელები, რომლებიც მოხვდებოდნენ „ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხის“ შემქმნელთა კატეგორიაში.






ვინაიდან ახლა მრავალი ამერიკელი რევოლუციურად განწყობილი ხდება სოციალურ პოლიტიკაში ობამას ადმინისტრაციის მოქმედებების გამო, ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით, დაუმორჩილებლობის მასობრივი აქციები შეიძლება დაიწყოს არა მხოლოდ მოსახლეობის ღარიბ ფენებს შორის, არამედ ხანგრძლივი მსოფლიო ეკონომიკური კრი- ▶

**თუ ბრიტანეთს სურს, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ყველაფრის შეცვლა მოუწევს. „განსაკუთრებული არაფერი“ დღეს ალტერნატივა არაა, რადგან დროთა განმავლობაში ერთ ადგილას გაშეშებული საზოგადოება მუტაციას განიცდის და საკუთარ თავს გამოხრავს.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ხურიდან გათავისუფლებული განაწყენებული ამერიკელი მივიდა თავის ყოფილ სამსახურში, ატეხა სროლა, 4 ადამიანი მოკლა და 4 დაჭრა, მათ შორის სამი — მძიმედ.

და ასე შემდეგ...

ახლა ამ დებილურ კომიქსებზე, კომპიუტერულ კრეტინობებზე, ვირტუალურ ხოცვა-ჟლეტასა და ომობანაზე, უაზრო ჰოლივუდურ სიბინძურეზე იძულებით იზრდებიან სხვა ქვეყნების ბავშვებიც, რომლებიც ამ ყველაფრის ნაცვლად თავიანთ ჰუმანურ ლიტერატურასა და კულტურას უნდა ეზიარონ. ამერიკული დეგენერატული „თანამედროვე ხელოვნების“ შედევრები ადებილებს მომავალ თაობას, ნერგავს ძალადობის, გარყვნილების, სიბინძურის, ამორალობის, ცინიზმის კულტს.

**და ამ უაზრო, კრეტინული, უსულო, ძალადობრივი, ხარბი, ზოოლოგიური ეგოიზმით გაჟღენთილი ამერიკული საზოგადოების „შეხედულებებსა“ და მრწამსებს, უკვე 20 წელია, ძალადობრივად ნერგავენ ყველგან, რათა ამაზე გამოზარდონ ახალი თაობები.**

ისღა დარჩა, ყველგან დაუშვან იარაღის თავისუფალი ტარება და შემდეგ ესროლონ ლოზუნგი — დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას!

ზისის წყალობით შემცირებად ე.წ. საშუალო ფენაშიც.

**როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ შიდა უშიშროების სამინისტრომ თავისი ანტიტერორისტული აპარატი მიმართა ამერიკის თეთრი საშუალო ფენისაკენ, რომელსაც სოციალური რეკლამის რგოლების სერიაში შიდა ტერორისტის როლში წარმოაჩენს.** უფრო მეტიც, ამავე კატეგორიაში ხვდებიან საპროტესტო მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტის“ მონაწილეებიც. როგორც ცნობილია, ამ აქციის მონაწილეების მიზანი იყო ნიუ იორკის ფინანსურ ცენტრში ქუჩის დიდი ხნით გადაკეტვა, რითაც მათ სურდათ, საზოგადოებრივი ყურადღება მიემართათ ფინანსური ელიტის დანაშაულებებისკენ და ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებების მოწოდება გაეკეთებინათ.

გამოქვეყნებული დოკუმენტი იმას ადასტურებს, რომ რაიმე სახის მასობრივი არეულობების გაჩენის ან ქვეყნის შიგნით საპროტესტო აქციების გამართვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართავს მკაცრ ზომებს „არასასურველთა“ მოსაშორებლად და ამისათვის სამხედრო ფორმირებებსაც კი გამოიყენებს. ამერიკული სისტემის იმ გახანგრძლივებული კრიზისის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებლად განაპირობებს სოციალური ხარჯების შემცირებას და აშშ-ში ცხოვრების დონის კლებას, მასობრივი არეულობებისა და საპროტესტო აქციების დაწყებას უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ.

peacekeeper.ru

# უძრაობის საზოგადოება: ბრიტანეთში «განსაკუთრებული არაფერი» იცვლება

**ინგლისური ენის ბრიტანულ ვარიანტში არის ერთი სტანდარტული პასუხი კითხვაზე „რა ხდება?“: „განსაკუთრებული არაფერი!“. ამგვარი პასუხი არის ან მიზეზი იმისა, რომ დასრულდეს საუბარი, რომელიც პერსპექტივაში შეიძლებოდა „საინტერესო“ გამხდარიყო, ან მიეცეს ზუსტი ფორმულირება იმ არაფრით აღსანიშნავ ცხოვრებას, რომლითაც ცხოვრობს კიდეც მოპასუხე. მოშტერო აბორიგენებისთვის და ინგლისური სლენგის დეტალებს უზიარებენ უცხოელებში ამ პასუხის გასაგებად სირთულეს წარმოადგენს ის, რომ ყოველთვის ვერ ხვდებიან, მნიშვნელობათაგან კონკრეტულად რომელს გულისხმობს მოცემულ მომენტში მოპასუხე მხარე.**



მაშ, რა ხდება ბრიტანეთში ახლა, როდესაც მოქმედმა პარლამენტმა უკვე „მოიხადა“ მისჯილი ვადის ნახევარი? — გარკვეულწილად „განსაკუთრებული არაფერი“, ქვეყანა ეკონომიკურ უძრაობაში გაიყინა. ზოგიერთი ბიოლოგი ამ მდგომარეობას იმ მოსაწყენ ერთფეროვნებას ადარებს, რომელიც ევოლუციურ ამოფრქვევებს შორის პერიოდში დაისადგურებდა ხოლმე. ძნელი მისახვედრი არაა, რომ „განსაკუთრებული არაფერი“-ს ორივე ვარიანტი ამ შემთხვევაში ერთნაირად მიესადაგება ბრიტანელთა საგანგაშო მდგრადობას, არამშვიდ, სავარაუდოდ, დიდი ხნით განგრძობად უდროობას.

იმ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც დანარჩენი მსოფლიოს ქვეყნები ხან სულს მოითქვამდნენ და ხან ისევ თავქვე მიექანებოდნენ, ბრიტანეთის ეკონომიკაში სრული უძრაობა სუფევდა. იგი ჩაეფლო რეცესიაში, მაგრამ არა იმდენად ღრმა რეცესიაში, რომლიდან თავის დაღწევაც შეუძლებელი იქნებოდა. საერთო შიდა პროდუქტის ამსახველი ახალი მონაცემები მიანიშნებენ, რომ ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 0.1 პროცენტით დაიკლო 2012 წელს. ხაზინის კანცლერის პროგნოზები, რომლებიც თემთა პალატაში ტრადიციული საშემოდგომო გამოსვლისას გამოქვეყნდა, წინასწარმეტყველებენ, რომ უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე ბრიტანელების ცხოვრებაში „განსაკუთრებული არაფერი“ მოხდება. მისი ხედვა გულისხმობს არა კურსის შეცვლას, არამედ პირიქით — იმავე გზით სიარულს, რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ამასობაში უმუშევრობის მაჩვენებელი სულ რამდენიმეჯერ „შეირყა“ და გაართულა ზრდის პროგნოზირება, რადგან ეკონომისტები, როგორც წესი, ფიქრობენ, რომ ყველაფერი ძალზე მარტივადაა: სულ უფრო ბევრი ადამიანი მუშაობს, სულ უფრო ნაკლები საათების განმავლობაში. ბრიტანეთში უძრავი ქონების ფასებს იგივე უბედურება არ შეეყრება, რაც ამერიკაში დაემართა, მაგრამ ეს ფასები ახლა არც კი აპირებენ აღდგენას. იმიგრაცია შემცირდა, რითაც განადგურდა თუნდაც დინამიკისა და ნგრევის უკანასკნელი ალტერნატიული პოტენციური წყარო.

კომპანიებიც ანალოგიურ მდგომარეობაში არიან. **მიუხედავად იაფფასიანი ფინანსირების ხელმისაწვდომობისა, მათთვის, ვინც საკმაოდ დიდია საიმისოდ, რომ ბაზარზე ობლიგაციებით არც თუ ცუდი რეიტინგები შექმნას, სულ რამდენიმე შერწყმა და შთანთქმა დაფიქსირდა. როგორც კი შემოიღეს შეღავათები წარმოების ისეთი სახეობისთვის, როგორიცაა „ბიზნესი თანამშრომლების გარეშე“, ახლადშექმნილი ბიზნესების რაოდენობა მკვდარ წერტილზე გაიყინა.** გადახდის უუნარობის საკითხთან დაკავშირებით ბიზნესასოციაციაში ამბობენ, რომ ბრიტანეთის კომპანიების მხოლოდ 10 პროცენტს შეუძლია, თავისი ვალების პროცენტები იხადოს, მაგრამ ისინიც კი ვერაფრით მივიდნენ იქამდე, რომ ძირითადი ვალის გადახდა დაიწყონ. **ეს ფირმები უკვე დიდი ხნის გასრესილები იქნებოდნენ, რომ არა დაბალი საპროცენტო განაკვეთები, რომელთაც ინგლისის ბანკები აწესებენ.**

მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული ბრიტანეთმა მეოთხე კრიზისი გადაიტანა. პირველ სამს ახლდა საშინელი უმუშევრობა და იმდენად მაღალი ინფლაცია, რომ მოქალაქეებს კალკულატორის გარეშე არ შეეძლოთ იმის გამოთვლა, თუ რამდენად ცუდად ჰქონდათ საქმე. იმ მდგომარეობის აღწერისათვის, რომელშიც ქვეყანა 2012 წელს ჩაეფლო, გაზეთებმა არჩევანი შეაჩერეს სიტყვათა შეთანხმებაზე „სასტიკი ბრიტანეთი“ და ამით საერთოდ გვერდზე გადადეს ის ომისშემდგომი წლები, როდესაც ფორთოხლის წვენი მხოლოდ აფთიაქში იყიდებოდა, ცხადია, სააფთიაქო დოზებით.

თუმცა, მიუხედავად ამგვარი სახალისო ისტორიებისა, დიდი ბრიტანეთი არ დაბრუნებია 1940-იან წლებს. მაგრამ სახელმწიფო ხარჯები მცირდება, რაც განსაკუთრებით აისახება მათზე, ვინც დახმარებებს იღებს და სახელმწიფო სექტორში უამრავი სამუშაო ადგილი დაიკარგა. „სისასტიკეც“ ხომ გულისხმობს რაღაც ძლიერს, შეულამაზებელსა და მიზანმიმართულს, როგორიცაა, ვთქვათ, მრავალსართულიანი ავტოსადგომი. ამგვარი აღწერილობა არ შეესაბამება უძრაობის ეპოქას, რომელიც ბრიტანელთათვის ხასიათდება სტაგნაციით.

**არსებობს იმის მკაფიო ნიშნები, რომ ბრიტანეთი ნელ-ნელა «იაპონიზირდება». საქმე ის არაა, რომ ინგლისელებს სულ უფრო მეტად მოსწონთ ტელევიზორში იმის ყურება, თუ როგორ მიირთმევს ტარაკნებს ბიკინებში გამოწყობილი ქალი. ძლიერდება ბავშვების მშობლებთან ერთად ცხოვრების ტრადიცია**

სწორედ ამის გამოა, რომ ბრიტანელებმა გადაწყვიტეს, ამ „განსაკუთრებული არაფერი“-ზე საუკეთესო პასუხი იქნებოდა, ისხდნენ ერთ ადგილას, ჩაეჭიდონ საკუთარ სახლ-კარს, იმუშაონ და დაელოდონ უკეთეს დროს. 2006 წლის შემდეგ სახლების გაყიდვა განახევრდა. იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მუშაობენ სამუშაო ადგილებზე, სადაც ერთ წელზე ნაკლები პერიოდის წინ მოეწყვნენ, ყველაზე დაბალია მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, რაც ხელისუფლება ანალოგიური მონაცემების შეგროვებას შეუდგა 1985 წელს. არადა, ეს შრომის ბაზრის დინამიკის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია. რეკრუტირების კომპანიები იტყობინებიან, რომ პერსონალზე მოთხოვნილება სტაბილურია, მაგრამ დასძენენ, რომ ადამიანებს არ სურთ ახალ ადგილებზე გადასვლა, რადგან თითოეულ მათგანს ეშინია, არ გახდეს ის უკანასკნელი, ვინც მოასწრო და ის პირველი, ვინც დააგვიანა.

ამგვარი ქმედება სავსებით რაციონალურია ინდივიდებისთვის: რთულ პერიოდში ჯობია შეეგუო მდგომარეობას, ვიდრე უადგილოდ გამოყო თავი. ჯობს, გაშეშდე და მოიკუნტო, ვიდრე ყველა უბედურებაში გაეხვე, როგორც ამას ირლანდიასა და საბერძნეთში აკეთებენ. მაგრამ მთელი პრობლემაც სწორედ ისაა, რომ სხვა ქვეყნებში, მაგალითად, იაპონიაში ან იტალიაში, სადაც მიჩვეულნი არიან ამგვარ ცხოვრებას და ერგებიან ცხოვრებას, სადაც „განსაკუთრებული არაფერი“ ხდება, როგორც წესი, საქმე ატროფიამდე მიდის.

არაფრისგან მხოლოდ არაფერი შეიძლება გამოვიდეს.

**არსებობს იმის მკაფიო ნიშნები, რომ ბრიტანეთი ნელ-ნელა „იაპონიზირდება“. საქმე ის არაა, რომ ინგლისელებს სულ უფრო მეტად მოსწონთ ტელევიზორში იმის ყურება, თუ როგორ მიირთმევს ტარაკნებს ბიკინებში გამოწყობილი ქალი. ძლიერდება ბავშვების მშობლებთან ერთად ცხოვრების ტრადიცია.** იაპონიაში 20-დან 34-წლამდე ასაკის მოსახლეობის ნახევარი თავისი მშობლების მაცივრებიდან იკვებება. ბრიტანეთში ამ ტიპის ადამიანების რაოდენობამ უკვე აჩვენა 6%-იანი ზრდა მხოლოდ 2012 წლის მანძილზე. იმ ახალგაზრდა ადამიანების მასა, რომლებიც მზად არიან, ხელფასისთვის იმუშაონ, საკმარისი არაა ცხოვრების ღირსეული დონის უზრუნველყოფისთვის. ეს ძალზე მომგებიანია ფირმებისათვის, რომლებიც აუტსორსინგული სესხებით არიან დაკავებულნი. ასე იქმნება შრომის ორდონიანი ბაზარი, რომლის ერთ პოლუსზე ინსაიდერების ჯგუფია, მეორეზე კი — აუტსაიდერების მასა, რომელსაც სულს იქეთ არაფერი აბადია და შეიძლება რაიმეს შეცვლა უკვე ძალიან გვიანაცაა.

**თუ ბრიტანეთს სურს, რომ ყველაფერი ძველებურად დარჩეს, ყველაფრის შეცვლა მოუწევს. „განსაკუთრებული არაფერი“ დღეს ალტერნატივა არაა, რადგან დროთა განმავლობაში ერთ ადგილას გაშეშებული საზოგადოება მუტაციას განიცდის და საკუთარ თავს გამოხრავს.** დღეს ეს, შესაძლოა, ნაკლებადსახიფათო პერსპექტივად გამოიყურებოდეს, ვიდრე მასობრივი არეულობები და საპროტესტო აქციები, მაგრამ საკმარისია, კიდევ ხუთ წელს გაგრძელდეს „განსაკუთრებული არაფერი“-ს მდგომარეობა, რომ ამ ქვეყანას ველარავინ იცნობს.

**საკმარისია, კიდევ ხუთ წელს გაგრძელდეს «განსაკუთრებული არაფერი»-ს მდგომარეობა, რომ ამ ქვეყანას ველარავინ იცნობს**

The Economist

დაშლის ანატომია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბუშმა, — განაგრძობს ისრაელიანი, — საუბარი უცებ გადაიტანა საბჭოთა კავშირ-ამერიკის არაოფიციალური შეხვედრის მოწყობის შესაძლებლობაზე. თანამოსაუბრედ როგორც მომავალ საბჭოთა ლიდერად მან მხოლოდ ერთი გვარი დაასახელა. „თქვენი შემდგომი ლიდერი იქნება გორბაჩოვი“, — დარწმუნებით თქვა მან.**

საბჭოთა კავშირის დანგრევა რომ გლობალური მოვლენა იყო, განვლილმა დრომ დაადასტურა. დღევანდელი გადასახედიდან ისიც აშკარად გამოჩნდა, რომ კოლოსის მსხვრევის გარდაუვალობის მიზეზი იმპერიის სათავეში უნიჭო, შემთხვევით აღზევებული პატარა კაცების მისვლითაც იყო განპირობებული. სტალინის წასვლით დამთავრდა ტიტანების ეპოქა. იყო სხვა სერიოზული მიზეზებიც, რა თქმა უნდა, მაგრამ „საქართველო და მსოფლიოს“ ახალი რუბრიკა წინა ნომრებში სწორედ ამ თემით დავიწყეთ.
ეს ციკლი მრავალრიცხოვანი უცხოური პუბლიკაციების, საბჭოთა არქივების განსაიდუმლოებული მასალების მიხედვითაა შედგენილი.

დასასრული. დასაწყისი იხ. №47 (2012 წ.) - 1 (2013 წ.)



# ასე იმსხვრეოდა ფოლადი

## ჯეკ მეტლოკი გორბაჩოვის კარიერულ გზაზე

**წინა პუბლიკაციაში ვწერდით, რომ პროფესორმა არჩი ბრაუნმა გორბაჩოვის პიროვნებას ყურადღება ჯერ კიდევ 1978 წელს მიაქცია და რომ ამ პარტიული მოღვაწისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაუძლიერდა 1979 წლის ბოლოს ზბიგნევ მლინარჟთან შეხვედრისა და საუბრის შემდეგ. ამერიკელი დიპლომატის ჯეკ მეტლოკისთვის კი ეს გვარი 1975 წლისთვის უკვე ცნობილი იყო.**

რაზე მიგვანიშნებს მეტლოკის დაკვირვება? რა მნიშვნელობა აქვს, როდის გახდა ახალგაზრდა გორბაჩოვი მისი ინტერესის საგანი და რატომ? ამ კითხვებს პასუხი სრულად რომ გავცეთ, უნდა ვიცოდეთ, ვინ არის ეს ამერიკელი დიპლომატი და რა აკავშირებდა მას საბჭოთა კავშირთან.

**ჯეკ მეტლოკი** დაიბადა 1929 წელს. 1950 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი ჩრდილოეთ კაროლინაში, 1952 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტის რუსეთის ინსტიტუტში მიანიჭეს მაგისტრის ხარისხი, 1953 წელს კი რუსულ ენას ასწავლიდა დარტმუტის კოლეჯში. 1956 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. 1961 წელს პირველად მიავლინეს მოსკოვში, სადაც დაახლოებით ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ვიცეკონსულად და საელჩოს მესამე მდივნად. 60-იან წლებში მუშაობდა აფრიკაში. შემდეგ გადაიყვანეს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც 1971-74 წლებში საბჭოთა კავშირის განყოფილებას განაგებდა, 1974 წელს ისევ მოსკოვშია, ამჯერად — ელჩის მოადგილედ.

საელჩოების, მათ შორის, აშშ საელჩოს თანამშრომელთა სამსახურებრივი მოვალეობა ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსა და სხვა სპეცსამსახურების საქმიანობასთან მჭიდროდ რომ არის დაკავშირებული, ჩვენი მკითხველებისთვის საიდუმლოება არ არის. ამიტომ არავის გაუკვირდება, თუ მეტლოკის მემუარებში ჩაწერილ მის „აღიარებით ჩვენებას“ მოვიშველიებ. პატივცემული დიპლომატი პირდაპირ ამბობს, **1961 წლიდან მოყოლებული იგი დაჟინებით ცდილობდა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში „შეღწევას“. შუა 70-იან წლებში მან უკვე იცის გორბაჩოვის გვარი და იცნობს მას, როგორც „ექსპერიმენტატორს“ და „დაწინაურებულ“ ფუნქციონერს.**

1975 წელს მეტლოკი ჩადის სტავროპოლში სამუშაო ვიზიტით. ეს მისი თანამდებობრივი ფუნქციების საზღვრებს სცილდებოდა, მაგრამ სწორედ იმ დღეებში ელჩი ვაშინგტონში იყო წასული და აშშ-ის საელჩოს დროებით იგი ხელმძღვანელობდა.

მეტლოკის მივლინებასთან გორბაჩოვს არავითარი საქმიანი კავშირი არ ჰქონია. სტუმარს, როგორც მიღებული იყო, მოუწყეს ექსკურსია მხარის გასაცნობად, თუმცა ასეთი დატვირთვა ამ ექსკურსიას ნაკლებად ჰქონდა, რადგან მეტლოკისავე აღიარებით, უმეტესად ან „მანქანაში იჯდა, ან სუფრასთან“. და **სწორედ ამ „მანქანა-სუფრების“ დროს, „დადგენილი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ“, როგორც თავად ამბობს, ისურვა „ვიზიტად ხლებოდა ადგილობრივ პარტიულ ხელმძღვანელს“, ანუ მიხაილ გორბაჩოვს.**

რატომ?

ნაკლებ სავარაუდოა, რომ მეტლოკს სურდა პრაქტიკულად დარწმუნებულიყო იმ ცვლილებებში, რომლებიც, როგორც ელოდნენ, 1975 წლის ზაფხულში ხელმოწერილ ჰელსინკის აქტის შემდეგ უნდა განხორციელებულიყო საბჭოთა კავშირში. მას კერძოდ გორბაჩოვი აინტერესებდა. აკი წერს კიდეც: „ვიმედოვნებდი, რომ იგი სხვა ოლქების მისი აბეზარი კოლეგებისგან განსხვავებით, გადაუხვევდა არსებულ პრაქტიკას და მიიღებდა ამერიკელ დიპლომატს“.

იმედი გაუცრუვდა მეტლოკს, ყველა პარტიული ფუნქციონერი, როგორც წესი, თავს არიდებდა უცხოელებთან კონტაქტს. საამისოდ მოსკოვის თანხმობა იყო საჭირო. გორბაჩოვი განსაკუთრებით ფრთხილი იყო და მაღალი სტუმრის მიღება მხარის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს დაავალა.

ეს თვისება, რასაც ჩვენთან „არც მწვადი დაწვა, არც შამფური“ უწოდებენ, გორბაჩოვს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე გაჰყვა, რაც უკიდურესად უარყოფითად აისახა ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაზე. რუსებს კარგი ანდაზა აქვთ: „არც თევზია, არც ხორცი“.

მოკლედ, მეტლოკი გორბაჩოვისკენ ისწრაფვოდა, მან კი უგანა. ეს ფაქტი, ცხადია, მხედველობიდან არ გამორჩენია „კომპეტენტურ ორგანოებს“. ხომ არ იყო ეს კარგად მოფიქრებული და გათამაშებული ამბავი ორივე მხრიდან?

**კითხვაზე პასუხის მიღების ნაცვლად, ჩვეულებრივ, სვამენ ახალ შეკითხვას: ვისთვის იყო მომგებიანი?**

**როგორც ჩანს, ორივესთვის. მეტლოკისთვის, რადგან შეეცადა პერსპექტიულ ფუნქციონერთან დაახლოებას, რაც მომავალში ცეკას აპარატში შესაღწევად შეიძლება გამოდგომოდა (ხომ გახსოვთ?). ეცადა კაცი.**



რონალდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი, 1985 წ.

**გორბაჩოვისთვის მომგებიანი იყო იმით, რომ პრაქტიკულად დაადასტურა თავისი მტკიცე პოზიცია, „უხო გავლენისგან თავდაცვის“ ინსტიქტის ერთგულების: პირადად არ შემხვდა.** მაგრამ, როგორც ჩანს, ქვეყანაში „ახალი სიოს დაბერვის“ (ჰელსინკის აქტი) დემონსტრირების მიზნით (თუ რამ სხვა მიზეზების გამო) სამხარეო კომიტეტში ოფიციალური მიღება მოუწყო მეტლოკს. ამ მიღებას, როგორც იმ პერიოდში სტავროპოლის პარტიის ქალაქკომის პირველდი მდივანი ვ.ა. კაზნაჩეევი ადასტურებს, სამხარეო კომიტეტის ყველა მდივანი ესწრებოდა, **მათ შორის, გორბაჩოვიც.**

მეტლოკი კი ირწმუნება, რომ გორბაჩოვს მხოლოდ 1985 წელს შეხვდა, ანუ ათი წლის შემდეგ.

რატომ დამალა მან ეს ფაქტი, გაუგებარია. მეტიც, საეჭვოა. მაგრამ **ამ კითხვას პასუხი გაეცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშშ სახელმწიფო დეპარტამენტი გაასაჯაროებს დოკუმენტებს, რომლებსაც დიპლომატები საგარეო უწყებაში აგზავნიდნენ: მეტლოკი ვალდებული იყო თავისი ამ მივლინების შესახებ ანგარიში სახდეპში წარედგინა.**

ან, იქნებ, აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოკუმენტებში აღმოჩნდეს დიპლომატის პატაკი?

ვინ იცის...

მანამდე კი რჩება მხოლოდ ვარაუდი.

## „ამის შესახებ არავინ უნდა იცოდეს“

ოთხმოციან წლებში ჟენევაში მუშაობდა კონფერენცია განიარაღების საკითხებზე. ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაერთიანებული იყო საბჭოთა კავშირიც. ეს კონფერენცია, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებზე მომუშავე ისტორიკოსები თვლიან, სასარგებლო საქმეს აკეთებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოების საკითხში. **საბჭოთა კავშირს აქ წარმოადგენდა სსრკ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიქტორ ლევონის ძე ისრაელიანი, თბილისელი სომეხი.**

საინტერესო პიროვნება გახლდათ ისრაელიანი. ექიმის ოჯახიდან გამოსულმა უმაღლესი საექიმო განათლება მიიღო — დაამთავრა მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტი, სამამულო ომის პერიოდში თავისი პროფესიით მუშაობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში, 1943 წელს დემობილიზებულ იქნა. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ამთავრებს სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ აკადემიას.

1946 წელს მიავლინეს ვაშინგტონში სსრკ საელჩოს მრჩევლად, 1951 წლიდან ასწავლის დიპლომატიურ აკადემიაში, ამავე აკადემიის დიპლომატიის ისტორიის კათედრის გამგეა. 1968 წელს ნიუ იორკში დიპლომატიურ სამუშაოზეა.

სამოციანი წლების ბოლოდან მონაწილეობს თითქმის ყველა მოლაპარაკებაში, კონსულტაციაში, სხდომაში, რომლებიც გაეროს გენერალური მდივნის არჩევისამი იყო მიძღვნილი. საბჭოთა დელეგაციების წევრია გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე, წარმომადგენლობს საბჭოთა მხარეს გაეროს სხვადასხვა ორგანოში.

სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტრო დატოვა 1990 წელს, იმავე წლიდან ცხოვრობდა აშშ-ში, პენსილვანიის შტატის სტეიტ-კალეჯის საუნივერსიტეტო ქალაქში, გარდაიცვალა 2005 წელს, 86 წლის ასაკში.

აი, ასეთი ცნობილი და დიპლომატიურ წრეებში მიღებული პიროვნება იყო ჩვენი თანამოქალაქე ისრაელიანი.

აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ისრაელიანმა ჟენევის კონფერენციაზე თავისი ამერიკელი კოლეგისგან ლუის ფილდსისგან მიიღო მიწვევა „ნეიტრალურ ნიადაგზე“ შესახვედრად. ეს წინადადება არაოფიციალური დიალოგისთვის მიწვევას ნიშნავდა.

შეხვედრა შედგა. **ფილდსმა ისრაელიანს უთხრა, რომ „ვაშინგტონში სურდათ სერიოზული, საქმიანი კონტაქტი დაემყარებინათ კრემლის ხელმძღვანელობასთან”.**

საინტერესო მომენტია: საბჭოთა დიპლომატს მიმართავენ თხოვნით უმაღლეს ხელმძღვანელობასთან გზის გასაკვალად. მაშასადამე, ენდობიან და იციან, რომ იგი ამ საქმის გამკეთებელია.

თუ იური ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტის — რონალდ რეიგანის ადმინისტრაციას ნამდვილად სურდა მოსკოვთან დაახლოება, საკითხავია, რატომ არ აცნობა ეს გადაწყვეტილება უშუალოდ საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ან, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა ელჩს ვაშინგტონში?

სპეციალისტები ამბობენ, რომ **ამ შემთხვევაში ფილდსს მხედველობაში ჰქონდა „კონფიდენციური“ შეხვედრა, რომელიც უნდა გამართულიყო ვიცეპრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და ერთ-ერთ ახალ საბჭოთა ხელმძღვანელს შორის.**

პირველი პირებისთვის ზურგის ავლით?

სწორედ ასეა, და ეს მანევრი გათვლილი იყო პერსპექტივაზე. **ფილდსი ირწმუნება, რომ საბჭოთა მხრიდან შეხვედრაში მონაწილედ ნაგულისხმევი იყო მიხაილ გორბაჩოვი, როგორც „საბჭოთა კავშირის ყველაზე უფრო შესაძლებელი ლიდერი“.** ფილდსი ხაზს უსვამდა, რომ „შეხვედრას უნდა ჰქონდეს“ არა მხოლოდ „მკაცრად კონფიდენციური ხასიათი“, არამედ „მის შესახებ არავინ არაფერი არ უნდა იცოდეს“. „საბჭოთა ლიდერი, — აღნიშნავდა ჯორჯ ბუშის შუამავალი, — შეიძლება ინკოგნიტოდ ჩამოვიდეს, შეიძლება მოიგონოს რომელიმე სხვა შეთხზული ვერსია“.

„ჯაშუშურ საქმიანობაში“ მიწვევის წინადადებაა, პირდაპირ რომ ვთქვათ, — შეთქმულებაში.

წინადადებამ შეაშფოთა ისრაელიანი, ცოტაა იმის თქმა, რომ ჩიხში მოაქცია. ამერიკელების შეთავაზება ნიშნავდა საიდუმლო კავშირის დამყარებას გორბაჩოვთან ისე, რომ ამის თაობაზე არა მარტო მის კოლეგებს არაფერი არ უნდა სცოდნოდათ, არამედ სსრ კავშირის იმდროინ- ▶




**ამერიკელების შეთავაზება ნიშნავდა საიდუმლო კავშირის დამყარებას გორბაჩოვთან ისე, რომ ამის თაობაზე არა მარტო მის კოლეგებს არაფერი არ უნდა სცოდნოდათ, არამედ სსრ კავშირის იმდროინდელი ხელმძღვანელი კონსტანტინ ჩერნენკოც არ უნდა ყოფილიყო საქმის კურსში.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

დელი ხელმძღვანელი კონსტანტინ ჩერნენკოც არ უნდა ყოფილიყო საქმის კურსში.

ცეცხლთან ამგვარ თამაშს რაც მოჰყვებოდა, ისრაელიანმა შესანიშნავად იცოდა. უწინარეს ყოვლისა, იგი წერტილს დაუსვამდა თავის კარიერას. ეტყოდა ამას მაშინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს და — გასცემდა საიდუმლოს, რასაც ამერიკელი „მეგობრები“ არ აპატიებდნენ.

ბუნებრივია, რომ ამ უჩვეულო სიტუაციაში ისრაელიანი დაიბნა.

ჩვენს ვარაუდებს სჯობია, მას მოვუსმინოთ: **„შუა აპრილში ჟენევაში ჩამოვიდა ბუში. განიარაღების შესახებ კონფერენციაზე მისი გამოსვლა 18 აპრილისთვის იყო ნავარაუდევი, წინა დღეს კი ჩემთან ბინაში დარეკა სადრუდინ აღა ხანმა“.** ეს კაცი მუსლიმი ისმაილიტების სექტის ლიდერის შვილი იყო, პარიზში დაბადებული გახლდათ. ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ გარკვეულ ხანს თანამშრომლობდა იუნესკოში. 1959 წლიდან სხვადასხვა თანამდებობა ეკავა იუნესკოში, კერძოდ 1983 წელს იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული პრობლემების კომისიის თანათავმჯდომარე და „წლების განმავლობაში“ „ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჯორჯ ბუშთან“.

**სადრუდინ აღა ხანმა, როგორც ისრაელიანი გვანდობს, „საიდუმლოდ მაცნობა“, რომ „17-ში, საღამოს“ მასთან მყოფ „ჩვენს საერთო მეგობარს“ ჩემთან სურდა შევედრა.**

**ეს „საერთო მეგობარი“ ჯორჯ ბუში აღმოჩნდა.**

„საუბარი სამმა დავიწყეთ... აღა ხანმა დაგვტოვა და მე და ბუში მარტონი დავრჩით... — ბუშმა, — განაგრძობს ისრაელიანი, — საუბარი უცებ გადაიტანა საბჭოთა კავშირ-ამერიკის არაოფიციალური შეხვედრის მოწყობის შესაძლებლობაზე. თანამოსაუბრედ როგორც მომავალ საბჭოთა ლიდერად მან მხოლოდ ერთი გვარი დაასახელა. **„თქვენი შემდგომი ლიდერი იქნება გორბაჩოვი“,** — დარწმუნებით თქვა მან.

მიაქციეთ ყურადღება — **თუ ფილდსი გორბაჩოვს მიიჩნევს შესაძლო ლიდერად, ბუში დარწმუნებით ამბობს, რომ ჩერნენკოს შემდეგ საბჭოთა კავშირის ლიდერი იქნება გორბაჩოვი.**

პუბლიკაციებში, რომლებიც „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა საერთო სათაურით „არაჩვეულებრივი გამოფენა“ ლალის ვარსკვლავების ცის ქვეშ“, აშკარად ჩანდა (დაკვირვებული მკითხველი დამემოწმება), რომ წინამორბედი ლიდერის სიკვდილის შემდეგ ახლის დაბრძანება გენერალური მდივნის სავარძელში ბოლო მომენტამდე (გარდაცვალებამდე) გაურკვეველი იყო, რადგან ბრძოლა — ფარულიც და ხილულიც ინტენსიურად მიმდინარეობდა, ამ შემთხვევაში, როცა ჩერნენკო ცოცხალია და გარდაცვალებას არ აპირებს, ჯორჯ ბუში დარწმუნებით აცხადებს, რომ მომდევნო ლიდერი იქნება გორბაჩოვი.

რა ედო საფუძვლად ამ განცხადებას?

ლოგიური დასკვნა შეიძლება შეკითხვის ფორმით ჩამოვაყალიბოთ: **ნუთუ ეს საკითხი ვაშინგტონში წყდებოდა?**

დავტოვოთ ეს საკითხი ღიად...

ისრაელიანი ბუშს დაჰპირდა, რომ მისი წინადადების შესახებ აცნობებდა მოსკოვს. მაგრამ გადაწყვიტა, თავი აერიდებინა რაიმე დოკუმენტის შექმნისთვის და გაემგზავრა მოსკოვში. თან სწორად გათვალა და, როგორც არალიტიკოსები შენიშნავენ, გორბაჩოვს კი არ ეახლა მოსკოვის სტარაია პლოშჩადზე, სადაც საკავშირო ცეკას კორპუსები იდგა, არამედ სმოლენსკის მოედანზე მივიდა და საგარეო საქმეთა სამინისტროში ანდრეი გრომიკოს შეხვდა. ისრაელიანი წერს: „პირველსავე შეხვედრაზე მინისტრს მოვახსენე ბუშის წინადადების შესახებ. გრომიკომ ყურადღებით მომისმინა, არ შემაწყვეტინა, არც შეკითხვა დაუსვამს. მოხსენების დამთავრების შემდეგ უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა. მინისტრი სადღაც, ჩემს მიღმა იცქირებოდა და რაღაცაზე დაძაბული ფიქრობდა. შემდეგ შემომიტრიალდა და მითხრა: „როგორ მიდის საქმეები განიარაღების კონფერენციაზე?“ მივხვდი, რომ საუბარი დამთავრებულია“.

მკვლევარ ალექსანდრ ოსტროვსკის დაკვირვებით, ისრაელიანმა ეს ისტორია 1991 წელს აღწერა, მას შემდეგ, რაც მოელაპარაკა ჯორჯ ბუშს და მისი თანხმობა მიიღო. ისრაელიანის პუბლიკაცია უცებვე ყურადღების ცენტრში მოექცა და ცხოველი განსჯის საგანი გახდა. ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით ზოგი ავტორი გორბაჩოვს ამერიკელებისგან ფულის აღებაში ადანაშაულებდა, სხვებმა ამ ამბავში გორბაჩოვის ტახტზე დასმაში ამერიკელების ხელი დაინახეს.

## ითქვა კი ის, რაც საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო?

**1999 წელს ჯორჯ ბუშმა გამოსცა მოგონებების წიგნი, რომელშიც შეიტანა „ელჩ ვიქტორ ისრაელიანთან შეხვედრის მემორანდუმი“. ამ დოკუმენტში სიტყვაც არ არის ნათქვამი მიხაილ გორბაჩოვთან შეხვედრის მისეული სურვილის შესახებ.**

ესე იგი, ტყუილი მოგვასაღა ისრაელიანმა?

ასე მარტივად არ არის საქმე.

1984 წლის გაზაფხულზე ისრაელიანმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კორნიენკოს არაოფიციალური წერილი გაუგზავნა, რომლითაც ატყობინებდა იმ შეხვედრის შესახებ, რომელიც ბუშთან გაიმართა და აცნობებდა, რომ „ბუშის აკვიატებული აზრი, რომელსაც იგი საუბრის დროს მრავალგზის იმეორებდა, იყო მისი არაოფიციალური, ლამის საიდუმლო შეხვედრა მისი დონის ერთ-ერთ ხელმძღვანელთან. ამ იდეის შესახებ, რასაკვირველია, იცის რეიგანმაც, და როგორც ჩანს, მხარს უჭერს მას. მეჩვენება, რომ ბუში მზად არის გაემგზავროს სადაც და როცა სურთ“.

ამასთან, ისიც სათქმელია, რომ **„მემორანდუმის“ გამოქვეყნებისას ბუშს ეჭვი არ გამოუთქვამს ისრაელიანის მონათხრობის გამო. ეს გვაფიქრებინებს, რომ ისრაელინისთვის გამჟღავნებულ სურვილს გორბაჩოვთან შეხვედრის შესახებ იგი იმდენად კონფიდენციურად მიიჩნევდა, რომ მის საჯაროდ გამოტანას ოფიციალურ დოკუმენტში თავი აარიდა.**



**არა უადრეს 26, მაგრამ არა უგვიანეს 27 აპრილისა გორბაჩოვს აცნობეს, რომ რეიგანის ადმინისტრაციას სურს, მასთან დაამყაროს არაოფიციალური კავშირი და ჩაატაროს წინასწარი მოლაპარაკება, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მომავალ ლიდერთან**

ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, ისრაელიანის მიერ მოთხრობილი ამბავი 1984 წლის აპრილში ჯორჯ ბუშთან შეხვედრის თაობაზე სანდოა. „ცდილობდნენ თუ არა ამერიკელები სხვა არხებით მოეხდინათ ზონდირება გორბაჩოვთან კონფიდენციური შეხვედრისათვის, — წერს ისრაელიანი, — ჩემთვის უცნობია. ჩემთვის უცნობია განიხილეს თუ არა ეს საკითხი კრემლის ხელმძღვანელობასთან. უფრო სარწმუნოა, რომ — არა“.

ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიმდინარე ფარული პროცესების შესწავლით ირკვევა, რომ აშშ ადმინისტრაცია სხვა გზებსაც ეძებდა გორბაჩოვთან კონფიდენციური შეხვედრის მოსაწყობად. მეტლოკი, რომელიც იმ პერიოდში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში საბჭოთა მიმართულებას ხელმძღვანელობდა, წერს, **„მართალია, ჩვენ ვისწრაფვოდით, დაგვემყარებინა პირდაპირი კავშირი მასთან, მაგრამ გაურკვეველი იყო, როგორი კუთხით დაგვეწყო“.**

**მიუხედავად იმისა, რომ 23 თებერვლიდან გორბაჩოვი სამდივნოს სხდომებს უძღვებოდა, ეს მოვალეობა მას „დროებით“ დაეკისრა, მაგრამ დოკუმენტურად არანაირად არ გაფორმებულა. აქედან გამომდინარე, ფორმალურად გორბაჩოვი რჩებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად სოფლის მეურნეობის საკითხებში.**

4 მარტს საბჭოთა კავშირში გაიმართა სსრკ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. 11 აპრილს — ახლად არჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, რომელზეც მიხაილ გორბაჩოვი საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს. ამ თანამდებობაზე ყოველთვის ირჩევდნენ მეორე კაცს პარტიაში. ეს დამატებითი დასტური იყო იმისა, რომ ანდროპოვის გარდაცვალების შემდეგ გორბაჩოვი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, ფაქტობრივად, მეორე კაცი გახდა.

მეტლოკი წერს, რომ გორბაჩოვის ახალმა თანამდებობამ **„კონგრესის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა მოეწვია იგი შეერთებულ შტატებში“.**

სპეციალისტები ვარაუდობენ რომ **გორბაჩოვთან კონტაქტების დამყარების „სხვა გზად“ ფინეთის პრეზიდენტი მაუნო ჰენრიკ კოივისტო იყო გამოყენებული.** ამას ადასტურებს მეტლოკი თავის წიგნში.

უფრო კონკრეტულად, არა უადრეს 26, მაგრამ არა უგვიანეს 27 აპრილისა გორბაჩოვს აცნობეს, რომ რეიგანის ადმინისტრაციას სურს, მასთან დაამყაროს არაოფიციალური კავშირი და ჩაატაროს წინასწარი მოლაპარაკება, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მომავალ ლიდერთან.

ცნობით კი აცნობეს, მიწვევით კი მიიწვიეს, მაგრამ სკკპ ცკ-ის მდივანი ქვეყანას ვერ დატოვებდა პოლიტბიუროს სანქციის გარეშე. ვერავინ ადასტურებს, ამ სიტუაციას შემთხვევით დაემთხვა თუ არა 1984 წლის აპრილის ბოლოს გორბაჩოვისთვის სამდივნოს სხდომების წარმართვის უფლების ჩამორთმევის უშედეგო მცდელობა.



**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ გორბაჩოვი, აშშ-ს პრეზიდენტი რონალდ რეიგანი (ცენტრში) და აშშ-ს ვიცეპრეზიდენტი ჯორჯ ბუში — 1988 წელს აშშ-ში გორბაჩოვის ვიზიტის დროს**

როგორ ირეაგირა მიხეილ გორბაჩოვმა ამერიკელების წინადადებაზე, არავინ იცის. ისევე, როგორც არავინ იცის, ჩააყენა თუ არა მან პარტიის ხელმძღვანელობა ამ არაორდინალური წინადადების საქმის კურსში.

ამ საკითხს კიდევ უფრო ხლართავს ის გარემოება, რომ დამალვას აზრი არ ჰქონდა, თუნდაც იმიტომ, რომ **ფინეთის პრეზიდენტი კოივისტო სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტთან თანამშრომლობდა.**

ანალიტიკოსები ბოლოს და ბოლოს მიდიან იმ დასკვნამდე, რომ **გორბაჩოვს უარი არ უთქვამს ამერიკელების შემოთავაზებაზე. მოვლენათა განვითარება ამას ადასტურებს. მაშასადამე, ვთქვათ პირდაპირ, გორბაჩოვმა მიიღო აშშ-ის ხელმძღვანელობასთან საიდუმლო მოლაპარაკების წინადადება.**

11 ივნისს გარდაიცვალა იტალიელი კომუნისტების ლიდერი ენრიკო ბერლინგუერი. იტალიელებმა ითხოვეს, რომ საბჭოთა დელეგაციას, რომელიც სამგლოვიარო ცერემონიაში მიიღებდა მონაწილეობას, სათავეში გორბაჩოვი ჩადგომოდა. მოსკოვი დაეთანხმა, და 13 ივნისს, დილით მწუხარების გამზიარებელი საბჭოთა დელეგაცია რომში ჩავიდა.

იტალიელების პირველი კომუნისტი იმავე დღეს დაკრძალეს. საღამოს 8 საათისთვის საბჭოთა საელჩოში იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა გაიმართა, რომელიც, როგორც გორბაჩოვი იხსენებს, მთელ ღამეს გაგრძელდა.

14-ში დილით, როცა საბჭოთა დელეგაცია აეროპორტში გასამგზავრებლად ემზადებოდა, გაისმა სატელეფონო ზარი. **იტალიის პრეზიდენტმა პეტრინიმ**, — იხსენებს საბჭოთა კავშირის ელჩი რომში ლუნკოვი, — **„გამოთქვა სურვილი შეხვედროდა მოსკოველ სტუმარს“, ანუ გორბაჩოვს.**

„14 ივნისს, — წერს მიხეილ სერგეევიჩი, — მიმიღო იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა პეტრინიმ... ეს იყო შინაარსიანი საუბარი, და როცა ვემშვიდობებოდი, ერთმანეთს გულწრფელი მეგობრობის გრძნობით გადავეხვიეთ“.

შეხვედრა 40 წუთს გაგრძელდა.

**იმაზე, თუ რით იყო ნაკარნახევი პეტრინის სურვილი შეხვედროდა გორბაჩოვს, რაზე საუბრობდნენ და რატომ გადაეხვივნენ ერთმანეთს მეგობრულად გორბაჩოვი და პეტრინი, მიხეილ სერგეევიჩი არაფერს ამბობს.**

იმავე დღეს დელეგაცია მოსკოვს გამოემგზავრა. საბჭოთა დედაქალაქში წესითა და რიგით დღისით უნდა ჩამოფრენილიყვნენ. მაგრამ, რატომღაც, მხოლოდ საღამოს ჩამოვიდნენ.

რატომ დაიგვიანეს? სანდო ინფორმაცია ექსპერტებმა ვერ მოიპოვეს.

**1984 წლის ზაფხულიდან დასავლეთის მასმედია მიხაილ გორბაჩოვს მოიხსენიებს, როგორც „კრონპრინცს“ — ტახტის უცილობელ მემკვიდრეს.**

**არმაზ სანებლიძე**

ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მხიარული გენიოსი

**1951 წელი. ფოტოგრაფი: არტურ შასე.**

დაბადების დღეზე ფოტოგრაფებისა და ჟურნალისტებისაგან შეწუხებულმა ალბერტ აინშტაინმა, რომელსაც სთხოვდნენ რომ გაეღიმა, ენა გამოუყო მათ. ეს ფოტო იმის დადასტურებაა, რომ ყველაზე გენიოს ფიზიკოსსაც კი შეიძლება ჰქონდეს დიდი თავისუფლებისა და იუმორის შეგრძნება.



სიცოცხლის ჩანასახის პირველი ამსახველი კადრი, 1965 წელი

# ფოტოები, რომლებმაც შეძრა მსოფლიო



## რასიზმის დასასრული

1954 წლის 4 სექტემბერი. დოროთი ქაუნთსი, ერთ-ერთი პირველი შავკანიანი სტუდენტი, კოლეჯში მიდის.



## შესვენება ლანჩზე

ებრაულ-სლავური წარმოშობის ფოტოგრაფის ჰაინ ლუისის ტრიუმფად ნიუ-იორკის 443-მეტრიანი Empire State Building-ის მშენებლობის ამსახველი კადრები იქცა. ცნობილია, რომ 3000-მდე ევროპელი ემიგრანტი ყოველგვარი სადაზღვევო აღჭურვილობის გარეშე აშენებდა მსოფლიოში იმ დროისთვის ყველაზე მაღალ შენობას. 102-სართულიანი Empire State Building-ის მშენებლობას 410 დღე დასჭირდა. ცათამბჯენი 1931 წლის 1 მაისს გაიხსნა და ტყუპი ცათამბჯენის აშენებამდე ამერიკაში ყველაზე მაღალ შენობად ითვლებოდა. 2002 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ კი ნიუ იორკის ყველაზე მაღალი ნაგებობის სტატუსი დაიბრუნა. ოფიციალური სტატისტიკით, მშენებლობისას 5 ადამიანი დაიღუპა.



## დევნილები

კაროლ გაცი პირველი ქალი ფოტოგრაფია, რომელიც პულიტცერის პრიზით დააჯილდოვეს მის მიერ კოსოვოში გადაღებული გულისამაჩუყებელი კადრებისათვის.



მიწისძვრა ჰაიტიში, ფოტოგრაფი ოლივიე ლაბანი.



## თოვლის კაცი

პატერსონ-გიმლინის დოკუმენტური ფილმი, რომელშიც მოულოდნელად დაფიქსირდა ბიგფუტის (ქართულად იგივე თოვლის კაცი) ქალის ინდივიდი, დღემდე წარმოადგენს ერთადერთ მკაფიო ფოტოს, რომელიც არის მტკიცებულება დედამიწაზე რელიქტური ჰომინიდების არსებობისა.




## ბუხენვალდის ბანაკი, 1945 წელი

კენჩუკის სენატორი ალბერ ბარკლი იყო კონგრესის მიერ შექმნილი კომიტეტის წევრი, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა ნაცისტების მიერ ჩადენილ ქმედებებზე. ფოტოდან ჩანს, რომ იგი ათვალიერებს საკონცენტრაციო ბანაკში არსებულ მტკიცებულებას. ფოტო ვაიმარშია გადაღებული.



## ალბინოსი შავკანიანი ბიჭუნა

**ბიაფრა, 1969 წელი**

ბიჭი თავისი კანის ფერის გამო დისკრიმინაციის მსხვერლი გახდა, რის შემდეგაც თავშესაფარში იმყოფება. ფოტოგრაფი დონ მაკკუილინი.



## ტრაგედია ოკლაჰომაში,

**1995 წელი**

მეხანძრემ მოასწრო ხელთათმანების გახდა, სანამ პოლიციელი ჩვილს გადასცემდა. არ უნდოდა, უკიდურესად უხეში ხელთათმანებით შეხებოდა ბავშვს და ამიტომაც სასწრაფოდ მოიშორა. ფოტოზე ჩანს, როგორი მზრუნველობით დასცქერის გოგონას. მან ხომ ჯერ არ იცი, რომ იგი უკვე გარდაიცვალა.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ჩინეთის სავაჭრო ცენტრში ზვიგენების აკვარიუმი გატყდა

ჩინეთის ქალაქ შანხაის სავაჭრო ცენტრში გატყდა უზარმაზარი აკვარიუმი, რომელშიც ზვიგენები ცურავდნენ. ინციდენტისას 7 ზვიგენი დაიღუპა და 56-მა ადამიანმა სხეულის დაზიანებები მიიღო. მნიშვნელოვნად დაზიანდა სავაჭრო ცენტრის ინტერიერი — იატაკზე მიმოფანტული იყო აკვარიუმის დამტვრეული შუშები.



# ყველაზე პატარა ქალი მსოფლიოში

**მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალი ინდოეთში ცხოვრობს. მას ჰქვია ჯოტი ამგე და ეხლახანს შეუსრულდა 18 წელი. მისი სიმაღლე დაფიქსირდა გინესის წიგნის ჩანაწერებში და შეადგენს მხოლოდ 62,8 სმ.**

ჯოტის დაბადების დღეზე გინესის წიგნის წარმომადგენლებმა მას ოფიციალურად წარუდგინეს მოწმობა ე.ი. მსოფლიოში ყველაზე პატარა ქალობის დამამტკიცებელი საბუთი. გოგონას მცირე ზრდა განპირობებულია ჩონჩხის სისტემის დაზიანებით და, სამწუხაროდ, არ იკურნება. 2009 წელს ჯოტი უკვე იყო შესული გინესის წიგნში, როგორც ყველაზე პატრა მოზარდი. მაშინ მისი სიმაღლე 61,95 სმ იყო; რამდენიმე წლის განმავლობაში ჯოტის სიმაღლემ 0,85 სმ-ით მოიმატა. ახლა გოგონას სიმაღლე უფრო ნაკლებია, ვიდრე 2 წლის ბავშვისა.










# მაჭანკლობა ჩინურად

**საუკეთესო მაჭანკლები ჩინელი მშობლები არიან, რომლებიც შვილებისთვის ქმრებსა და ცოლებს ქალაქ შანხაის პარკში თოკზე გაკიდებული განცხადების საშუალებით ეძებენ.**

მშობლები გასათხოვარი და დასაქორწინებელი შვილების პირად ინფორმაციას, საკონტაქტო მონაცემებსა და ფოტოსურათებს ფურცელზე აკრავენ და პარკში სპეციალურად განკუთვნილ ადგილას სარეცხივით კიდებენ. ყველაზე მეტი მოთხოვნა იმ მამაკაცზეა, რომლის პირად მონაცემებშიც ავტომობილი და ახალგარემონტებული ბინაა მითითებული. მამაკაცებისთვის კი ყველაზე მიმზიდველია განცხადება, სადაც გასათხოვარი ქალბატონის პირად მონაცემებში ამოიკითხავთ: „ვარ ზრდილობიანი, კეთილი და მაქვს სტაბილური სამსახური".

მშობლები ისეთ განცხადებებს ეტანებიან, სადაც მითითებულია, რომ შვილების მომავალ პარტნიორს აქვს კარგი პროფესია და უნივერსიტეტის დიპლომი.

„ჩვენი შვილები ძალიან დაკავებულები არიან და გადატვირთული გრაფიკის გამო პაემანზე წასვლის დრო არ აქვთ, ან სასურველი პარტნიორი ვერ იპოვეს. ჩემი ვაჟი 28 წლისაა და უნდა ოჯახი შექმნას და შვილები შეეძინოს. განცხადება გამოვაქვეყნე და იმედი მაქვს, სასურველი პარტნიორი გამოეხმაურება", — ამბობს ერთ-ერთი მშობელი.

# ანტისტრესული ავტობუსის გაჩერება

**საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტრესის დროს ადამიანს ცელოფნის ბუშტების ხეთქვა ამშვიდებს. მათ აქტიურად იყენებენ სხვადასხვა მტვრევადი ნივთების შესაფუთად.**

იტალიელმა ქუჩის მხატვარმა ფრა ბიანოჩოკმა ავტობუსის გაჩერებაზე ასეთი ბუშტების ლენტები დაამაგრა. გაჩერებაზე ტრანსპორტის მომლოდინე ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ნერვები მათი ხეთქვით დაიმშვიდოს.

შედეგად, ბუშტების ხეთქვით თავშექცეული ადამიანები ნეგატიურ ენერგიას ძალიან სასიამოვნო და სახალისო საქმეში ხარჯავენ.




# 11 წლის ჩინელ გოგონას ზურგზე მესამე მკლავი ეზრდება



**11 წლის სკოლის მოსწავლე გოგონას ზურგზე მესამე მკლავი ეზრდება. როგორც ჩინელი ექიმები ამბობენ, გოგონას ზურგზე განვითარებული უზარმაზარი მასა ტყუპისცალის ნაწილია, რომელიც ვერ განვითარდა და გოგონას სხეულს შეეზარდა. გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ ზურგზე წამონაზარდი მკერდისგან და მკლავისგან შედგება, რომელსაც 2 თითი აქვს. პაციენტს ქირურგთა ჯგუფი პროფესორ ბაოგან პენგის მეთვალყურეობით მკურნალობს.** ემბრიონი ემბრიონში ძალიან იშვიათი მოვლენაა და მსგავსი ფაქტი 5 მილიონ შემთხვევაში ერთხელ ხდება. ამ დროს პათოლოგიურად განვითარებულ ემბრიონს ტყუპისცალის სხეულში ნახულობენ. მსგავსი შემთხვევების 80% მუცლის ღრუში ფიქსირდება, იშვიათია, როდესაც ემბრიონი თავის ქალას ეზრდება და ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მსგავსი ფაქტი ზურგზე დაფიქსირდა.

# ცეცხლოვანი ბალი



პორტუგალიურმა არქიტექტურულმა სტუდია LIKEarchitects-მა დააპროექტა გამაოგნებელი ბალი იკეასთვის კულტურის ცენტრში Centro Cultural de Belლm, ლისაბონში. დიზაინერებმა გამოიყენეს 1200 LEDARE-ს ნათურა და შექმნეს ინსტალაცია, რომელიც ე.წ. განათებულ ლაბირინთს წარმოადგენს.



ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## თოვლის გრაგნილები — ბუნების უიშვიათესი მოვლენა

თოვლიანი ტალღები ერთ-ერთი უიშვიათესი მოვლენაა ჩვენს პლანეტაზე. ისინი იქმნება ქარის მიერ შორი მანძილიდან მოტანილი თოვლით, ზოგი მათ ზამთრის გრაგნილებსაც უწოდებს. ეს უცნაური ხვეულები ვერ გაჩნდება, თუ ქარი საკმარისად ძლიერი არაა. თოვლი ამ დროს თითქმის ყინულადაა ქცეული და მყარ ფენებადაა დაგრაგნილი.



# გასაბერი სათამაშოების აღლუმი

**ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში გაიმართა ტრადიციული გიგანტური გასაბერი სათამაშოების აღლუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი მულტფილმების, მოთხრობებისა და სატელევიზიო გადაცემების გმირები.** ამ დღეს ხალხი აღლუმზე სპეციალურ კოსტიუმებში გამოწყობილი მიდის. ისინი ძირითადად XVII საუკუნის სტილში იცვამენ ან ინდიელებისთვის დამახასიათებელ სამოსს ირგებენ.













# ყველაზე მაღალანაზღაურებადი მომღერლები

**ჟურნალმა Forbes-მა გასული წლის 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი მომღერლის სია შეადგინა. მასში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა:**




სიაში პირველ ადგილზეა **Dr. Dre**, რომელსაც საკუთარი ყურსასმენების გამოშვებამ 100 მილიონი დოლარი მოუტანა, ხოლო მთლიანად 1 წლის მანძილზე 110 მილიონი იშოვა.

**როჯერ უოტერსი, Pink Floyd**-ის ერთ-ერთი დამაარსებელი, სიაში მეორე ადგილზე იმყოფება და მას 2012 წელმა 88 მილიონი მოუტანა.

**ელტონ ჯონი** 80 მილიონით მესამე ადგილს იკავებს. ამ ფულის დიდი ნაწილი მან ლასვეგასში გამართული შოუებით მიიღო.

**U2** — მეოთხე ადგილზე 78 მილიონით არის, ამდენი ფული მათ მოუტანა ტურმა სახელწოდებით „360“.

**Take That**-ის გაერთიანებამ კოლექტივს 69 მილიონი მოუტანა მხოლოდ ერთი ტურიდან.

**ჯონ ბონ ჯოვი** მეექვსე ადგილზეა, მისმა წლიურმა შემოსავალმა 60 მილიონი შეადგინა.

**ბრიტნი სპირსი** მეშვიდეა 58 მილიონით, ამ ფულის დიდი ნაწილი მან მიიღო საკუთარი წარმოების სუნამოს გაყიდვით.

**პოლ მაკარტნიმ** რეიტინგში მერვე ადგილი დაიკავა 57 მილიონით, ასეთი ფული მან „Beatles“ გაგრძელების კონცერტიდან მიიღო.

**ტეილორ სვიფტმა** გამოიმუშავა 57 მილიონი, მისი ახალი ალბომის 1.2 მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა.

მეათე ადგილს იკავებს **ჯასტინ ბიბერი**, რომელმაც 55 მილიონი გამოიმუშავა. 18 წლის მომღერალი ყველაზე ახალგაზრდაა ჩამონათვალში.























## ყველაზე დიდი რევოლვერი

ყველაზე დიდი რევოლვერი დამზადებულია პოლონეთში მისი ერთ-ერთი მკვიდრის მიერ. პოლაკ რიჩარდ ტობისი ამ ქვეყნის ერთ-ერთ სოფელში — პიეტროვოში დაიბადა და დიდი ოსტატობით დაამზადა ყველაზე დიდი და მძიმე რევოლვერი მთელ მსოფლიოში, რომელიც ზუსტი ასლია ნამდვილი იარაღისა — Remington 1859. იგი არის 28 მმ კალიბრიანი, ხოლო მასშტაბი ორიგინალთან მიმართებაში არის 3:1. მისი სიგრძეა 126 სმ, წონა კი 45 კილოგრამს შეადგენს.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ფქვილის ომი ესპანეთში





**ესპანეთის ულამაზეს ქალაქ იბიში, რომელსაც ბევრი მხოლოდ იმ კურორტის სახით იცნობს, სადაც უამრავი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო და ძვირადღირებული რესტორანია, ყოველწლიურად უჩვეულო ფესტივალი იმართება.**

ქალაქში საკმაოდ ბევრია არქიტექტურით გამორჩეულად ლამაზი ნაგებობა და არაერთი ისტორიული ძეგლი, მაგრამ ტურისტებს სწორედ ეს ფესტივალი იტაცებთ. ჟურნალისტებს, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ღონისძიებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩადიან იბიში, შემდეგ მოსაყოლი ბევრი აქვთ ხოლმე.

28 დეკემბერს, ახალ წლამდე 3 დღით ადრე აქ ფქვილის ნამდვილი „სასაფლაოა“. მონაწილეები ნამდვილ სამხედრო გადატრიალებას აწყობენ: ითხოვენ ახალი მმართველის დანიშვნას, შემდეგ მიდიან ჩვეულებრივ მოქალაქეებთან — ტურისტებთან და თხოვენ, რომ გადაუხადონ მათ ხარკი. უარის თქმის შემთხვევაში კი ხდება დასჯა, რომელიც ჩხუბით იწყება. ჩხუბის მთავარი იარაღი ფქვილია, დასაშვებია კვერცხების სროლაც.





# პარიზში 15-მეტრიანი შოკოლადის ხე «ამოვიდა»



**პარიზის ერთ-ერთ საკონდიტროში გიგანტური შოკოლადის ხე გამოფინეს. ინსტალაციის ავტორი შოკოლადის ცნობილი ფრანგი მწარმოებელი პატრიკ როჟეა. მისი მთავარი შთაგონების წყარო ფილმი „მაიმუნების პლანეტა“ იყო.**

ინსტალაციამ, ავტორის ჩანაფიქრით, დამთვალიერებლის ყურადღება პლანეტაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრობლემაზე უნდა გაამახვილოს. გიგანტური შოკოლადის ხე 5 ტონას იწონის და სიმაღლით სამსართულიან შენობას უტოლდება. ამასთან, ამ არქიტექტურულ შედევრში შოკოლადის გარდა, არაფერი გამოუყენებიათ.

უზარმაზარ ვიტრინაში ხე და შოკოლადის ტყის ბინადრები განალაგეს. ერთ-ერთი მაიმუნის გაკეთება კი ორჯერ მოუხდათ — პირველ ვარიანტს შოკოლადის ხის ტოტი დაეცა და დაამსხვრია.

ეს როჟეს პირველი ნამუშევარი არ არის. 2009 წელს მან ბერლინის კედლის დანგრევის ოცი წლისთავის პატივსაცემად, 15-მეტრიანი შოკოლადის სკულპტურა შექმნა.

# სპილოების ფესტივალი

დასრულდა ყველაზე სანახაობრივი ფესტივალი, რომელიც ჩიტვანის ეროვნულ პარკში მიმდინარეობდა. ეს ადგილი 170 კილომეტრითაა მოშორებული ნეპალიდან. ფესტივალი მასპინძლობდა სპილოებს, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „სვლებში“, ფეხბურთში, სილამაზესა და მოქნილობაში. ჩიტვანი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ერთ-ერთი უძვირფასესი ძეგლია. ასე რომ, ღონისძიებას საქველმოქმედო სახეც ჰქონდა.







# ყინულის სასტუმროები

**შვედეთში საახალწლო განწყობისთვის და ტურისტების მისაზიდად ყინულის რამდენიმე ულამაზესი სასტუმრო გახსნეს.**

სასტუმრო მხოლოდ ყინულისგან არის აგებული. ინტერიერში ლოგინები, თბილი თეთრეული და პლედი დაგხვდებათ. სხვადასხვა ოთახში ფერადი ნათურებია დამონტაჟებული. ყინულზე არეკლილი განათება დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. სასტუმროში ყინულის ბარიც არის.

აპრილში სასტუმრო „დნება“, თუმცა ნოემბრიდან, როდესაც ჰაერის ტემპერატურა ეცემა და თოვს, კონსტრუქციას თავიდან აწყობენ. **ყინულის სასტუმროში ჰაერის ტემპერატურა მინუს 5-8 გრადუსია.**







ჯანლუკა მარჩანო



# თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

## გაიმართება ვოკალური მუსიკის კონცერტები

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები და სიმფონიური ორკესტრი 26 იანვარსა და 1 თებერვალს 19 საათზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში კონცერტებს გამართავენ.**

26 იანვარს სცენა დაეთმობათ **ირინე ალექსიძეს, ირინე თაბორიძეს, მარიკა მაჩიტიძეს, არმაზ დარაშვილსა და ზაალ ხელაიას.**

კონცერტის პროგრამა მრავალფეროვანია: შესრულდება არიები და სცენები დონიცეტის, ვერდის, ბიზეს, პუჩინის, ჩილეას ოპერებიდან.

1 თებერვალს შეხვდებით **ირინე რატიანს, თეიმურაზ გუგუშვილს, სულხან გველესიანს და ლევი იმედაშვილს,** რომლებიც იმღერებენ ვერდის, პუჩინის, ლეონკავალოს, ჩილეას, ჯორდანოს, ფალიაშვილის ნაწარმოებებს.

**მომღერლებს პარტნიორობას გაუწევს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი, რომელსაც წარუძღვება დირიჟორი ჯანლუკა მარჩანო.**




# ზვიად გამსახურდიას ოჯახს 130 000 ლარი გადაეცემა



**„130 000 ლარი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, ოჯახს გადაეცემა“, — ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. ნოდარ ხადურის თქმით, აღნიშნული თანხა გამსახურდიას ოჯახს 2002 წელს მიღებული კანონის გათვალისწინებით გადაერიცხება.**

ეს კანონი, პირველი პრეზიდენტის ოჯახის სოციალურად უზრუნველყოფას გულისხმობს. ფინანსთა მინისტრის თქმით, ეს თანხა 2003 წლის ბიუჯეტში იყო გაწერილი, თუმცა საფინანსო კრიზის გამო, ოჯახს 130 000 ლარი ვერ გადაეცა.

2012 წლის დეკემბერში ფინანსთა სამინისტროს ზვიად გამსახურდიას მეუღლე მანანა არჩავძე-გამსახურდიამ თანხის გადაცემასთან დაკავშირებით განცხადებით მიმართა.

# პროკურატურა 80-ზე მეტ ჰომოსექსუალური კავშირის ამსახველ ფარულ ჩანაწერს ფლობს

**გენერალურ პროკურატურას ჰომოსექსუალური კავშირის ამსახველი 80-ზე მეტი ფირი გააჩნია. ამის შესახებ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა განაცხადა.**

მისი თქმით, აღნიშნული მასალები პროკურატურამ მაღანჩინოსანთა სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეომასალის მიღების შემდეგ დაწყებული გამოძიების მსვლელობისას მოიპოვა. ამას გარდა, როგორც პროკურორმა აღნიშნა, გენერალური პროკურატურა ფლობს ისეთი ტიპის ინფორმაციას, რომელშიც ასახული ფაქტების წარმოდგენაც კი რთულია.

**„ჩვენ გვაქვს უამრავი სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, რომლის უბრალოდ გაფიქრება ადამიანს შეზარავს. წარმოიდგინეთ, როდესაც პატიმარს მისი ოჯახის წევრის გაუპატიურებას აყურებინებენ ან როდესაც ადამიანს ყელამდე მიწაში ფლავენ და მის თავზე ბუნებრივ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ“,** — განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, ამ საქმეებზე გამოძიება მიმდინარეობს.

# ახალი შრომის კოდექსის მიხედვით, დასაქმებულის უფლებები გაიზრდება



**შრომის მოქმედ კოდექსში ყველაზე მეტ კრიტიკას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის არგუმენტაციის გარეშე გათავისუფლება იმსახურებდა და ახალი შრომის კოდექსით ეს ყველაფერი რადიკალურად შეიცვლება.**

აღნიშნული განცხადება იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** შრომის კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტის პრეზენტაციისას გააკეთა. მინისტრის განცხადებით, ახალი პროექტის მიხედვით, ეს საკითხი მთლიანად იცვლება. ასევე იცვლება შრომითი ხელშეკრულებების ფორმატი, რომელიც ძირითადად ზეპირ ხასიათს ატარებდა, იყო მოკლევადიანი და დასაქმებულს საკუთარი უფლებების დაცვის შესაძლებლობას არ აძლევდა.

**„რეალურად დღეს საქართველოს არ აქვს ტექსტი, რომელიც იმსახურებს შრომის კოდექსის სახელწოდებას, ამიტომაც გვქონდა შეხვედრები პროფკავშირებთან, დამსაქმებლებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შევიმუშავეთ ახალი პროექტი. მთავარი აქ არის ერთი რამ — არც ერთ დამსაქმებელს მომავალში არ შეეძლება დასაბუთების გარეშე, ერთი ხელის მოსმით, დასაქმებული სამსახურიდან გაათავისუფლოს. ასევე, შრომითი ურთიერთობის ზეპირი ფორმები შეიძენს წერილობით და უფრო დეტალურ ხასიათს. დროებით დასაქმებულთა ინტერესები იქნება მაღალი ხარისხით დაცული. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იფიქროს დამსაქმებელმა, რომ შრომის კოდექსი მასზე იქნება მორგებული“,** — განაცხადა წულუკიანმა.

შრომის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტის პრეზენტაციას საკანონმდებლო ხელისუფლების, ბიზნესსექტორის, მთავრობის, პროფკავშირების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

# «მეოცნებეები «ხაჩიკიანოს» და «წიკლაურიანოს» გვეძახდნენ»

**საპარლამენტო უმცირესობის წევრი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ყოფილი მინისტრი გოგა ხაჩიძე დიღომში, საქალაქო სასამართლოსთან მომხდარ ინციდენტს facebook-ის საკუთარ გვერდზე იხსენებს.**





„ამ რამდენიმე ხნის წინ დიღომში, საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი პროცესიდან გამოვედით. მანქანები ეზოს გარეთ გვყავდა გაჩერებული და ფეხით მოგვიწია გასვლა. წინ მე მივდიოდი, ხოლო ჩემს უკან რამდენიმე მეტრში — ნუგზარ წიკლაური. სასამართლოს ეზოს გასასვლელთან ათამდე აგრესიული „მეოცნებე“ იყო შეკრებილი და „თავდასხმისთვის“ ემზადებოდა. როგორც კი მათ მივუახლოვდი, ყიჟინა დასცეს: „შე ხაჩიკიანო!.. შე ხაჩიკიანო!...“ და ასე ყვირილით მიმაცილეს მანქანამდე...

ჩემ უკან მომავალმა ნუგზარ წიკლაურმა კარგად დაინახა მთელი ეს პროცესი, კარგად გაიგონა შეძახილები და (მისი აზრით) კარგად შეაფასა მეოცნებეთა კრეატიულობის ხარისხი... სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ გაიხსენა, რა გვარის იყო და უფრო დამშვიდებულმა და თავდაჯერებულმა განაგრძო გზა... თუმცა მწარედ შეცდა... როგორც კი მიუახლოვდა მომიტინგეებს, მათ იმავე რიხით დასცხეს: **„შე წიკლაურიანო!... შე წიკლაურიანო!“**, — წერს ხაჩიძე.



# «ქართულ ოცნებას» საპრეზიდენტო არჩევნების ეშინია

**„ნაციონალურ მოძრაობაში“ შემოდგომისთვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს პროგნოზირებენ. საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის, ნუგზარ წიკლაურის, განცხადებით, შემოდგომისთვის იმდენად მძაფრი იქნება ქვეყანაში კრიზისი და იმდენად რთული ეკონომიკური ვითარება გველოდება, რომ „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვოს.**

წიკლაურის მტკიცებით, საპარლამენტო უმრავლესობას საპრეზიდენტო არჩევნების ეშინია, სწორედ ამიტომ ცდილობს, შეცვალოს პრეზიდენტის პირდაპირ არჩევის წესი.

**„შემოდგომისთვის იმდენად მძაფრი იქნება ქვეყანაში კრიზისი, იმდენად ცუდი იქნება ეკონომიკური ვითარება და იმდენად ღრმა იქნება კრიტიკა მთელი მსოფლიოს მხრიდან, რომ „ქართულმა ოცნებამ“, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვოს. ამიტომ მათ სურთ, რომ გაიადვილონ საქმე და აარჩევინონ პრეზიდენტი იმ ორგანოს, რომელშიც დღესდღეობით აქვთ უმრავლესობა“,** — განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა.







http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009